12

ახალი თაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისი 2013 №92
ფასი 7 ლარი

1439 /2
2013

LOUDspeakers

პროექტში „ახალი თაობა“

მთავარი თემა
ახალი ქართული მუსიკა

ინტერვიუ
გოგი ძოძუაშვილი

შოთა იათაშვილის 80-იანები

DVD ქართული ფილმების კრებული: „ბიული“

ISSN 1512-2220
9 771512 022006

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ ჟურნალი "ცხელი შოკოლადი"

შექმენით ქართული ფილმების უნიკალური კრებული

მიიღეთ ყოველთვიურად თქვენთვის სასურველ მისამართზე

www.shokoladi.ge

ONLAIN გამოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ყდა: LOUDspeakers

ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა

ახალი მოკრძალები

N92, ივლისი 2013

06 რედაქტორის სვეტი

08 ავტორთა სვეტები

წარდგენა 10 ცხვრის ფარაზე ძვირადღირებული მელოდრამა
დავით ბუხრიკიძე

მოვლენები 12 ფესტივალი „ოაზისი“ *ზურკინ ჭყონია*

14 ტექნოლოგიები

ანონსი 16 8 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ *სალომე აფხაზიშვილი*

მოხეტიალე 22 სადაც არასდროს ვყოფილვარ *ანა მაყაშვილი*

მთავარი თემა – ახალი ქართული მუსიკა 32 Open Air 2013 – ანუ თავისუფალი იმპროვიზაცია თემაზე – გვჭირდება თუ არა როკფესტივალები
გია ხადური

42 „გამოდი გარეთ, მე მინდა გითხრა ახალი (?) ამბავი..
ლევან ძნელაძე

48 გოგი ძოძუაშვილი: „ყველაზე დიდი ნიჭი არის ცნობიერების განვითარება, წინსვლა“
გია ხადური

56 სუპერსტარი პოლიტიკოსები და კონტროლირებადი მუსიკა *ლაშა გაბუნია*

სპეცპროექტი 64 ახალი თაობა *ბექა მაისურაძე*

კოლონია 74 დესანტი ბერლინში
ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი

საავტორო 80 ბლუზი მტკვრის პირას *ბიძინა მაყაშვილი*

ისტორია ათწლეულებში 88 შოთა იათაშვილის 80-იანები

ესე 98 ადამიანური სიბრიყვის ძირითადი კანონები
კარლო მ. ჩიპოლა, იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ

რეცენზია 110 რიგით მესამე არტ-ფსიქოზი *დავით ბუხრიკიძე*

112 ქალები „სეკენდ-ჰენდისა“ და ანტიკური ტრაგედიის ზღვარზე *დავით ბუხრიკიძე*

მიმოხილვა 114 წიგნები *სალომე აფხაზიშვილი*

118 მუსიკა *სალომე აფხაზიშვილი*

Part of the
ProCredit Group

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ძლიერი ბანკი

ჩემი ბიზნესის წარმატებისთვის!

*22 22 | 220 22 22 | procreditbank.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
მალხაზ ხარბედია

სტილი და კორექტურა
ინა არჩუაშვილი

დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე

ნომერზე მუშაობდნენ:
სალომე აფხაზიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ბექა მაისურაძე, ბიძინა მაყაშვილი, ზურკინ ჭყონია, ანა მაყაშვილი, გია ხადური, ლევან ძნელაძე, ლაშა გაბუნია, ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი, ხათუნა ცხადაძე

ფოტო
ლელი ბლაგონრავოვა, მაკა გოგალაძე, ეკატერინე მახათაძე, გიორგი გოგიტაშვილი

დირექტორი
შალვა ჩუბინიძე

პროექტის მენეჯერი
ქეთევან ბაბუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი
ია შენგელია

დისტრიბუცია
მიხეილ მამუჩიშვილი

რეკლამის განთავსება
ტელ.: 225 25 30
მობ.: 577 57 99 00

გამომცემლობა
შპს „ცხელი შოკოლადი"
მისამართი: თბილისი, აფაქიძის ქ. 11, ტიფლის ბიზნეს ცენტრი
სხვა გამოცემები
„ქართული ღვინის გზამკვლევი"

სტამბა
„სეზანი", თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 235 70 02
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© „ცხელი შოკოლადი" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

აქტუალური მუსიკა და სულელები

დღეს მუსიკაა ჩვენი მთავარი თემა, ახალი ქართული მუსიკა, თანამედროვე, აქტუალური მუსიკა – სოციალური დატვირთვებით და სამოქალაქო პოზიციით. ექსპერიმენტული მუსიკა, ემოციური მუსიკა, თანამედროვე ბლუზი, მელანქოლიური, სევდიანი თემებით – ელექტრონული და ინსტრუმენტული, ცოდნაზე თუ სპონტანურობაზე დაფუძნებული. მუსიკა, რომელიც წინსვლაში გვიწყობს ხელს და სადაც ახლიდან ვიბადებით, არამხოლოდ როგორც მსმენელები, არამედ როგორც საზოგადოების წევრები. ხანდახან ამ საზოგადოების წევრობაზეც ვამბობთ უარს, და ამ უარითაც, ჩვენ, მუსიკის მოყვარულები, ალბათ მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ. ესეც ხომ არჩევანია, ესეც გადაწყვეტილებაა... ესაა ცნობიერების ზრდა და საკუთარი თავის წვრთნა, რომ არ ჩავლპეთ ცრუ-პოლიტიკით გადავსებულ სატელევიზიო მედიას მიშტერებულები, რომ გავექცეთ მხარეებად გადანაწილებულ მეგობრების წრეს (წრეებს) ან წავიყოლოთ ეს მეგობრები უფრო საინტერესო ძიებების სამყაროში.

დღეს თანამედროვე ქართული მუსიკა ცდილობს გათავისუფლდეს პოლიტიკური გავლენებისგან, ჩნდებიან ერთი მხრივ სუფთა პროტესტის, მეორე მხრივ კი სუფთა ესკაპიზმის მუსიკოსები. მუსიკა ივსება შინაარსით, მუსიკაში შემოდის სათქმელი. ზოგ შემთხვევაში საკუთარი ხელწერაა ეს სათქმელი, ზოგ შემთხვევაში კარგი გამეორება. სხვები ტექსტით ახერხებენ ამას, ვიღაცეები კი ხმოვანებით (ძველქართულად რომ „საუნდს" უწოდებენ). ხმაზე ბევრს ზრუნავენ თანამედროვე მუსიკოსები, ექსპერიმენტირებენ, იღებენ თამამ გადაწყვეტილებებს, ზოგი პრინციპულად შორდება ყველაფერს ნაცნობს, ქართულს, სხვები კი ჩვენს ეროვნულ, გაცვეთილ მუსიკალურ ენაშიც პოულობენ სარჩო-საბადებელს. ცდილობენ ახალი მუსიკალური ენები შექმნან მეტი თვითგამოხატვისთვის, სიღრმისთვის ან სიმსუბუქისთვის, ლოკალურისთვის ან ზოგადისთვის, აწმყოს აღსაწერად თუ მომავლის დასანახად.

დღევანდელ ნომერში თანამედროვე მუსიკისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების გარდა რამდენიმე სხვა მასალასაც გაეცნობით. გირჩევთ განსაკუთრებული ყურადღებით, ღიაობით (გახსნილობით) და ღადავისტური ხალისით წაიკითხოთ კარლო ჩიპოლას ბრწყინვალე ესე „ადამიანური სიბრიყვის ძირითადი კანონები". ეს მხიარული და ამავე დროს, დამთრგუნველი სემიოტიკური კვლევა ძალიან მოქნილ პასუხებს იძლევა ჩვენს წინაშე არსებულ ბევრ კითხვაზე. ერთი ციტატით დავასრულებ:

„სულელი არის ის, ვინც ზიანს აყენებს სხვა ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ისე, რომ, ამავე დროს, თავად არანაირ სარგებელს არ ნახულობს. მეტიც, შეიძლება, თავადაც ზარალდებოდეს საკუთარი ქმედებით. <...> არასულელი ადამიანები ვერასოდეს აფასებენ სათანადოდ სულელი ადამიანების ზიანის მომტან პოტენციალს. უფრო ზუსტად: არასულელს მუდმივად ავიწყდება, რომ სულელთან საქმის დაჭერისას კრახი გარდაუვალია და ეს შეცდომა ძალიან ძვირად დაუჯდება...".

ახლა უცებ წარმოვიდგინე, რამდენი ანგაჟირებული მკითხველი გააიგივებს თავს ამ „არასულელებთან" და მაგრად გამეცინა, გემოზე გამეცინა. ჰოდა ასე, სიცილ-სიცილ დაგემშვიდობებით მომავალ ნომრამდე.

მალხაზ ხარბედია

Silklab

აირჩიე თემატური პაკეტი

დაიმატე პირდაპირ ტელევიზორიდან

პლიუსი + / სპორტი / კინო

საბავშვო / ჰობი / HD / 18+

2 100 100

www.silknet.com

Find us on: facebook.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ძნელაძე

როდის აიღებს ქართული ალტერნატიული მუსიკა სრულ პასუხისმგებლობას თავის თავზე და როდის გადადგამს დამოუკიდებლად სერიოზულ ნაბიჯებს? ამ საკითხზე ფიქრი და მსჯელობა შიგადაშიგ გაიმართება ხოლმე, ძირითადად სოციალურ ქსელებში და იშვიათად – რომელიმე ტელე-რადიო გადაცემაში. ცხადია, ეს საკმარისი არ არის და ამის შესახებ უფრო მეტი უნდა ვისაუბროთ, გავმართოთ სხვადასხვა ტიპის დისკუსია და მეტად ჩავერთოთ იმ სფეროს განვითარებაში, რომელიც ასე თუ ისე, თანამედროვე ქართული კულტურის სერიოზულ ნაწილს უნდა შეადგენდეს.

ჩემი მოკრძალებული წერილი ამის ერთ-ერთი მცდელობაა და რადგან „ცხელი შოკოლადის“ წარმოდგენილი ნომერი მთლიანად იმ საკითხს ეთმობა, რომელიც ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია – თავი ვალდებულად ჩავთვალე, ორი სიტყვით ჩემი შეხედულებაც დამეფიქსირებინა და მოკლედ გადმომეცა აზრი იმის შესახებ, თუ როგორ აღვიქვამ დღევანდელ სიტუაციას და რა პერსპექტივებსა და ტენდენციებს ვხედავ ახლო მომავალში.

„გამოდი გარეთ, მე მინდა გითხრა ახალი (?) ამბავი..

გვ. 42

ხათუნა ცხადაძე

ვინც რა უნდა თქვას ამაზე, მჯერა, რომ არ არსებობს ხერხი, მექანიზმი, სტრატეგია, რეკლამა, რომელიც ტექსტს „ბესტსელერად“, მით უფრო – „ლონგსელერად“ აქცევს. სიცოცხლეს გარედან ვერ ჩაბერავ ნაწერს, ძალადაც ვერავის ვერაფერს წააკითხებ. სიცოცხლის მარცვალი თავად ტექსტში ღვივის და მას სხვადასხვა რამ შეიძლება უწოდო. აქტუალურობა, ალბათ, აუცილებელი სიტყვაა. მე იუმორსაც დავამატებდი. კარლო ჩიპოლას „ადამიანური სიბრიყვის ძირითადი კანონები“ ძალაშია ნებისმიერ გეოგრაფიულ, კულტურულ, სოციალურ, ისტორიულ კონტექსტში: ყველგან, სადაც ამ ანც ორფეხს, ადამიანს, ფეხი დაუდგამს. მართლა ვერ წარმომიდგენია, ადამიანი ამ ტექსტის თუნდაც რომელიმე ფრაზას არ დაეთანხმოს, არ იხალისოს, არ მოუნდეს მეგობრებს დაუგზავნოს, წააკითხოს ჩიპოლას უნივერსალური კანონები. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ალბათ ერთია: კარლო ჩიპოლა, ისევე მარტივად, როგორც ორჯერ ორი – ოთხია, ანგრევს სტერეოტიპს სისულელის „უვნებლობაზე“ და მხიარულად გიმტკიცებს თეორემას: „რეგვენი უწყინარი ვერ იქნება“.

ადამიანური სიბრიყვის ძირითადი კანონები

გვ. 98

გია ხადური

მიმაჩნია რომ მასშტაბური, პომპეზური და „ღია“ როკფესტივალები არც იქ, და მით უმეტეს არც აქ, არ ტარდება მუსიკის მოყვარულთა დანაყრებისა თუ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. უფრო მეტიც, არანაირი პუბლიკა ასეთ დიდ ფესტივალებზე არ არის მზად მუსიკის აღქმისა და მისი მონელებისთვის, მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი ფესტივალები იდეალური ადგილია ათიათასობით ახალგაზრდის კულტურული, მშვიდობიანი თანაარსებობისთვის თუნდაც ერთი საღამოს განმავლობაში. ამ რამდენიმე დღის წინ მცხეთაში განვითარებული მოვლენები შეიძლება აბათილებდეს ამ მოსაზრებას, მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ უკანდასახევი გზა მოჭრილია.

ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში მეორედ მომიწია გოგი ძოძუაშვილთან „კულტუროლოგიური“ ურთიერთობა და უნდა ვთქვა, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგანაც იგი ორივე შემთხვევაში განსხვავებულად გაიხსნა, რაც ნამდვილად საინტერესო იყო ჩემთვის. ბავშვობიდანვე მიყვარდა ისეთ ადამიანებთან საუბარი, რომელთაც ჩემგან განსხვავებული მოსაზრებები აქვთ ერთსა და იმავე თემაზე, გოგის შემთხვევაშიც, ხშირად ასე იყო, რამაც გამოიწვია ის, რომ ამიერიდან უფრო მიყურადებული ვიქნები იმაზე, თუ რას გააკეთებს ეს კაცი მომავალში.

„ყველაზე დიდი ნიჭი არის ცნობიერების განვითარება, წინსვლა“

გვ. 48

NUXE
PARIS

ეროვნული ბიბლიოთეკა

Huile Prodigieuse

უილ პროდიჟიოზი მრავალფუნციური მშრალი ზეთი სახე / ტანი /თმა

98.1% ნატურალური ინგრედიენტებით (მცენარეთა ზეთები და ვიტამინი E) გაჯერებული ზეთი სახესა და თმას სირბილეს, ელასტიურობასა და ბზინვარებას ანიჭებს.

კვება/აღდგენა/დარბილება. 50მლ.

HUILE PRODIGIEUSE მრავალფუნციური მშრალი ზეთის გამოყენების წესები

სახეზე

დაიტანეთ Huile Prodigieuse®-ის რამოდენიმე წვეთი სახეზე და ნაზად შეიზილეთ და /ან შეურიეთ Huile Prodigieuse®-ის რამდენიმე წვეთი თქვენს სახის საცხს და დაიტანეთ სახეზე-კანი ბევრად უფრო ნაზი, ხავერდოვანი და რბილი გახდება.

ტანზე

შეიზილეთ Huile Prodigieuse® ტანზე წრიული მოძრაობებით ან ჩაასხით რამოდენიმე წვეთი აბაზანაში არაჩვეულებრივი სურნელისა და კანის გაჯანსაღებისთვის.

თმა

შეისხურეთ თმაზე , შეიფუთეთ თავი თბილი პირსახოცით, გაიჩერეთ 10-15 წუთი და ჩამოიბანეთ შამპუნით. არაჩვეულებრივად რბილი თმისათვის. ან დაიტანეთ მოხლოდ თმის ბოლოებზე რათა გამოკვებოთ ისინი (არ ჩამოიბანოთ).

NUXE, ბუნებისგან ბოძებული სილამაზე!

ჯიპისი GPC

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცხელი შოკოლადის“ ქართული ფილმების კრებული

ცხვრის ფარაზე ძვირადღირებული მელოდრამა

ნიკოლოზ შენგელაის „გიული“ (1927)

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

ქართული მელოდრამის ერთ-ერთი პირველი ნიმუში, 75-წუთიანი ფილმი „გიული“, ნიკოლოზ შენგელაიამ 1927 წელს გადაიღო. ჟანრობრივი შეზღუდულობისა და ერთგვარი „მიწიერი რეალიზმის“ მიუხდავად, ფუტურისტული ლიტერატურით გატაცება და გემოვნების კვალი ფილმის კინოენაში, ცხადია, მაინც იგრძნობა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ახალგაზრდა ნიკოლოზ შენგელაია სწორედ მოდური ფუტურისტული პოეზიით „მოინამლა“ და, შესაბამისად, მაიაკოვსკის შემოქმედებითაც მოიხიბლა. სწავლობდა თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, თუმცა შედარებით ახალი ხელოვნების – კინემატოგრაფის დიდმა სიყვარულმა კოტე მარჯანიშვილთან მიიყვანა. უკვე სახელოვანმა რეჟისორმა ის ასისტენტად მიიწვია ფილმზე „ქარიშხლის წინ“.

ახალგაზრდობის დროინდელი ლექსების პოეტურმა და რიტმულმა წყობამ, ისევე როგორც პოეზიის სტრუქტურამ, დიდი გავლენა იქონია ნიკოლოზ შენგელაიას ფილმების სტილზე. განსაკუთრებით, მკვეთრად გამოხატულ პოეტურ-რიტმულ მონტაჟზე. რეჟისორის შემოქმედებაში საეტაპოა ფილმი „ელისო“ (1928), რომელშიც მთელი ძალით და მასშტაბით გამოვლინდა მონტაჟის ხელოვნების ცოდნა და ბრწყინვალე ექსპრესიულობა.

„ელისომდე“ დაახლოებით ორი წლით ადრე, ნიკოლოზ შენგელაიამ ლეონიდ პუშთან ერთად, თავისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი „გიული“ გადაიღო, რომელსაც საფუძვლად უდევს შიო არაგვისპირელის ამავე სახელწოდების მოთხრობა. სწორედ ამ ფილმით გაიცნო მაყურებელმა ნატო ვაჩნაძე, ხოლო რეჟისორმა – დიდი სიყვარული და შემოქმედებითი მუზა აღმოაჩინა! ნატო ვაჩნაძემ ახალგაზრდა, მუსულმანი ქალის ტრაგიკული სახე შექმნა, რომელსაც მამის სიკვდილის შემდეგ ავი დედინაცვალი ცხვრის ფარის საფასურად გაათხოვებს მოხუც, მდიდარ მეზობელზე. არადა, გიულის ახალგაზრდა მოჯამაგირე, ქრისტიანული აღმსარებლობის მიტრო (გაიოზ მელიავა) მოსწონს... ფინალში ალი შურს მაინც იძიებს და თოფით გასროლით კლავს ქალს!

ნატო ვაჩნაძის გარდა ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ – მიხეილ ვარდიაშვილი (ქუჩუკი, გიულის მამა), ცეცილია წუწუნავა (გიულის დედინაცვალი), ალექსანდრე იმედაშვილი (ალი), კოხტა ყარალაშვილი (ქერბალაი, ალის შვილი), ალექსანდრე თაყაიშვილი (ოვანესი, ვაჭარი), გაიოზ მელიავა (მიტრო, ოვანესის შეგირდი), დიმიტრი ყიფიანი (ფარი, გიულის მეგობარი).

„გიულის“ თანაავტორი და სცენარისტია რუსეთში დაბადებული რეჟისორი ლეონიდ პუში, რომლის განსაკუთრებული დამოკიდებულება კავკასიის წარსულისა და კულტურის მიმართ, სხვა ფილმებშიც აისახა. რაც შეეხება ფილმის ოპერატორს, მიხეილ კალატოზიშვილს (შემდგომში უკვე სახელოვან რეჟისორს), მისი ნამუშევარი მართლაც უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. არანაკლებ საინტერესოა ცნობილი კინომხატვრის, ვალერიან სიდამონ-ერისთავის შესანიშნავი ნამუშევარი – განსაკუთრებით კი კოსტიუმები, რომლებიც შთამბეჭდავი და ავთენტურია. მართალია „გიული“ ისეთი ბრწინვალე დინამიზმითა და მონტაჟური მიგნებებით არ გამოირჩევა, როგორც „ელისო“, მაგრამ ფილმმა ეკრანზე გამოსვლისთანავე მიიპყრო მაყურებლის ყურადღება. მოლოდინს გარკვეულწილად ამძაფრებდა შიო არგვისპირელის მოთხრობის სიუჟეტიც; რელიგიური და სოციალური თემების ერთი შეხედვით უცნაური კავშირი მელოდრამის ჟანრთან და, ამავე დროს, შთამბეჭდავი „ექშენი“. ფინალში ერთმანეთს უპირისპირდება სიკვდილი და სიცოცხლე, დამღლელი შურისძიება და სიცოცხლის წყურვილი. პარადოქსულია, მაგრამ გიულის სიკვდილი დაფარულ ჭეშმარიტებას ააშკარავებს: მარადიულ მოძრაობას და სიყვარულის ლტოლვას ვერაფრი შეაჩერებს. ამიტომაც, მელოდრამა ცხვრის ფარაზე ძვირადღირებულია!

ავერსის მტრედი ბარათის ყველაზე იღბლიანი მფლობელები გამოვლინდნენ

"ავერსის" დაგროვებითი ბარათი _ მტრედი ბარათი საზოგადოებაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მას საქართველოს მასშტაბით 700 ათასამდე მომხმარებელი ჰყავს. "ავერსის" საბაფთიაქო ქსელში დახარჯული თანხის შესაბამისად ბარათზე დაგროვილი მტრედებით არა მხოლოდ სასუქველი საჩუქრის არჩევა, არამედ წამახალისებელი გათამაშებაში მონაწილეობის მიღებაც გახლავთ შესაძლებელი.

"ავერსის" მტრედი ბარათის ოცგზის მეოთხე გათამაშება 2013 წლის 19 ივნისს "ჩუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში შედგა. გამარჯვებულები და ყველაზე იღბლიანებიც უკვე გამოვლინდნენ. წამახალისებელ ღატარიაში სასუქველი პრიზები თამაშდებოდა: 5-ჯერ ხუთი ათასი, 5-ჯერ ათი ათასი და 20 ათასი ლარი.

იღბალი ადამიანებს, ხშირად, მოულოდნელად სწყალობთ და "ავერსის" საჩუქარი გამარჯვებულთათვის მართლაც სიურპრიზი და უდიდესი სიხარული გახდათ. შესაბამისად, გათამაშება, საოცრად ემოციურად ჩატარდა. "ავერსის" სიურპრიზებით სავსე ტელე ეთერს არც ცრემლების გარეშე ჩაუვლია:

მთავარი პრიზის _ 20 ათასი ლარის მფლობელი ქალბატონი ქეთო ხინიკაძე აღმოჩნდა.

პირდაპირ ეთერში ემოცია მგონი ვერც გამოვხატე, ჩემთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ეს სიხარული _ გამოგვიტყდა, როდესაც მისალოცად და კომენტარის ჩასაწერად კიდევ ერთხელ დავუკავშირდით.

ქალბატონი ქეთო 36 წლის გახლავთ. ქობულეთის რაიონის, სოფელ ზედა ჯვარიჯეს მკვიდრია. როგორც მან გვითხრა, უკვე 17 წლის ოჯახი აქვთ:

_ ოჯახის სრულფასოვნებისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება _ შვილი გვაკლია. ხელმოკლედ ვცხოვრობთ. მეუღლე არ მუშაობს. მეც დილასადილის გახლავართ. ცოტა ხნის წინ ოჯახში მცირე შემოსავალი გაგვიჩნდა და მაშინვე ექიმს მივაშურე. დამაიმედა, გიმკურნალებთ და ელდობის ბედნიერებას სულ მალე იგრძნობთო, თუმცა ამ ყველაფერს ხომ სახსრები სჭირდება.

"ავერსის" გათამაშება ახლოვდებოდა, ბილეთები მქონდა და სულ წმინდა გიორგის ვევედრებოდი _ შენ შემეწიე, შენი ჯილთა გადმომაფარე მეთქი...

ერთს გეტყვით: ღმერთი გაჭირვებული ადამიანს არასოდეს მიატოვებს და მეც "ავერსისგან" უდიდესი საჩუქარი მივიღე. ეს თანხა მკურნალობისთვის უნდა გამოვიყენო. პატარა ბარა ხომ გაჩნდება, ამაზე მეტი სიხარული რა უნდა იყოს ჩემს ცხოვრებაში.

ჩემი ოჯახის ამ ბედნიერებას "ავერსს" ვუმადლით. მან გაგვიჩინა იმედი, მან მოგვცა მომავლის რწმენა.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვეღაცვთ გამარჯვებულს და ვუსურვებთ, მისი სანუკვარი ნატვრა _ დედობა სულ მალე ხელობად იქცეს.

"ავერსის" მტრედი ბარათის წამახალისებელმა გათამაშებამ კიდევ ბევრ ოჯახში შეიტანა უდიდესი სიხარული:

ათი ათასი ლარის მფლობელები არიან ქუთაისის მკვიდრნი დავით ბუცხრიკიძე და ვახტანგ ჩიხლაძე. ასევე, თბილისში მცხოვრები არჩილ გელენიძე, ზისიკო ჯაჯელია და ვალენტინა ნადარეიშვილი.

მტრედი ბარათის გათამაშებაში კიდევ ხუთი პრიზი თამაშდებოდა _ თითოეული ხუთი ათასი ლარის ოდენობით, რომლის მფლობელებიც გახლავთ: ბუბრაძე ლელა თბილისელი, ქუთაისის მკვიდრნი ცისანა დოლონაძე და ელენე ღალაძე, ქალბატონი მზია ილურიძე გორელი და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ საღინაურის მცხოვრები ნაირა თურმანიძე.

გამარჯვებულთაგან ქალბატონ ლელას დავუკავშირდით. როგორც აღმოჩნდა, ის ოჯახთან ერთად თბილისში ქირით ცხოვრობს. 35 წლის გახლავთ. მეუღლე და ორი შვილი ჰყავს _ ელენე და სანა. ვაჟი 10 თვისაა და, როგორც ელენემ გვითხრა, "ავერსის" მტრედი ბარათის გათამაშებაში მოგება სწორედ მისი დამსახურებაა:

_ სანა ხელოვნურ ჯვებაზე მყავს. ამიტომ ბავშვის საჭვებისა და პამპერსებისთვის "ავერსის" აფთიაქს ხშირად ვაკითხავდი. ფარმაცევტები უკვე მცნობდნენ და პირდაპირ მანვდიდნენ ჩემთვის სასუქველ პროდუქტს. ასე დამიგროვდა მტრედი ბარათზე ქულები და გათამაშების დღისთვის უკვე 9 ბილეთი მქონდა. 35 წლის ვარ და დღემდე არაფერი მომიგია _ ღარიც ერ არ მიპოვია... ასე ხომ ეს მართლაც დიდი მოულოდნელობა და სიხარული იყო ჩვენი ოჯახისთვის.

ქალაქიდან გახლავართ. სოფელ სვერში ხშირად ჩავდივართ ხოლმე და უმანქანოდ ბავშვების ტარება, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია. გადავნაკვეთეთ, მოგებული თანხით მანქანა შევიძინოთ _ ეს მართლაც შესანიშნავი საჩუქარი იქნება "ავერსისგან". კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა კომპანია "ავერსს". უფლის წყალობა არ მოგაკლდებათ, იადგან იმდენი ადამიანი გემადლიერებათ, მათი ლოცვით გზა მუდამ განათებული გექნებათ.

"ავერსი" ელოცავს გამარჯვებულებს და ყოველ თქვენგანს წარმატებებს გისურვებთ, იადგან კომპანია ერთგული მომხმარებლის სიურპრიზებით ყველავს გაანებივრებს.

ავერსი
AVERSI

☎ 2-967-227
www.aversi.ge

"ავერსი" გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესტივალი „ოაზისი“

მცხეთა, 22–23 ივნისი

ავტორი: ზურკინ ჭყონია

მუსიკის ფესტივალი „ოაზისი“ იქნება ყველაზე მრავალფეროვანი ფესტივალი, რომელიც კი საქართველოში ჩატარებულა. ასეთი წინადადებით იწყებოდა ოაზისფესტივალის ოფიციალური პრესრელიზი, რომელიც მცხეთაში ჩასვლამდე უაღრესად ამბიციურად მეჩვენებოდა.... საბედნიეროდ, ჩემი მოჩვენებები ფესტივალის სამაჯურის გაკეთების შემდეგ ნელ-ნელა გაქრა.

მუსიკალური ფესტივალისთვის იდეალური ადგილი, მისაღები ბილეთის ფასი, საკმაოდ მაღალი დონის ორგანიზება, მუსიკოსების გამოსვლის საათებს შორის მინიმალური ცდომილება (რაც ჩემთვის ყველაზე დიდი სიურპრიზი გახლდათ), კეთილმოწყობილი კვების ობიექტები, სპორტული აქტივობებისა და კემპინგისთვის განკუთვნილი სპეციალური ადგილები, მთლიანობაში ქმნიდა იმ გარემოს, რომელიც ქართველ ახალგაზრდებს ძალიან გვაკლია და ამ დანაკლისის შესავსებად საზღვრებს მიღმა გამართულ ფესტივალებზე დასწრება გვიხდება. თურმე ყოფილა შესაძლებელი მეტ-ნაკლებად პოპულარული და დაბალანაზღაურებადი მუსიკოსებით ჩატარებულ ფესტივალს ბევრად პოზიტიური გამოხმაურება ჰქონდეს, ვიდრე ისეთ ფესტივალს, რომლის ბიუჯეტიც რამდენიმე მილიონი ლარია.

მეგონა ასეთ საფესტივალო განწყობას ვერაფერი გამიფუჭებდა, სანამ მთავარი სცენის წინ მდგარ რამდენიმე ათას კაცში თეთრმა „შკოდა ოქტავიამ“ სიგნალით არ გაიარა. თავიდან ვიფიქრე, ფესტივალის რომელიმე ჰედლაინერი მოიყვანეს მანქანით და ყურადღება აღარ მივაქციე. რამდენიმე წუთში კი სამ ახალგაზრდას დაატოვებინეს ფესტივალის ტერიტორია. მეგობრების კითხვაზე, თუ რატომ ან სად მიჰყავდათ ისინი, ერთ-ერთმა პოლიციელმა უპასუხა, რომ ნარკოლოგიურში წაიყვანდენ და თუ არაფერი აღმოაჩნდებოდათ, უკან დააბრუნებდნენ. ასე ამოყო თავი ფესტივალიდან ნარკოლოგიურ განყოფილებაში დაახლოებით ასამდე ადამიანმა. გაცილებით მეტს მოუხდა დამამცირებლად, შუა ფესტივალზე ჯიბეების გადმობრუნება და იმის მტკიცება, რომ არაფერი კანონსაწინააღმდეგო არ ჩაუდენია.

„ოე, ბობ მარლი, მოდი აქ, შენ მოსაწევი გედება ჯიბეში“ – ტრადიციული ხელკავი, მოფარებულ ადგილას დრედებიანი ტიპის გაყვანა და მის ჯიბეებში ქექვა... ეს პრობლემაა და ყველა იმ დადებით ფაქტს ფარავს, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი და თეძოზე გამაღიზიანებლად იარაღმიმაგრებული პოლიციელებისთვის არ არის ამგვარი ტიპის ფესტივალები.

ეჭვი არ მეპარება, რომ ოაზისფესტივალი მომავალ წელსაც გაიმართება. ჩვენ ასეთი ფესტივალები ძალიან გვჭირდება, უბრალოდ დიდი იმედი გვაქვს, რომ მასზე დამსწრე ადამიანების უსაფრთხოებაზე დაცვის პოლიცია იზრუნებს და არა ვიღაც უფორმო, ინტრიგანი მილიციელები.

ყველანი სამსუნგის ახალ სამყაროში!

Samsung

SMART TV

Samsung წარმოგიდგენთ Smart TV-ის ახალ შესაძლებლობებს ყველაზე გამოცდილი მომხმარებლებისთვის! უნივერსალური მენიუ Smart Hub მარტივი და ფუნქციონალური გახდა, ხოლო Smart Interaction–ის მართვა კიდევ უფრო ადვილია. ფუნქცია Smart View საშუალებას გაძლევთ ტელევიზორში და სმარტფონში ან პლანშეტში ერთდროულად ისიამოვნოთ ორი სხვადასხვა გადაცემით. დანართი Smart Kino - 7 000-ზე მეტი საუკეთესო ფილმის შერჩევა და თქვენთვის სასურველი დროს ნახვა. ჩიპი – Evolution Kit საშუალებას გაძლევთ თავად განაახლოთ თქვენი Smart TV უახლესი ფუნქციებით თქვენი ტელევიზორის მოდელის ახლით შეცვლის გარეშე. ყველანი Samsung Smart TV ახალ სამყაროში!

SAMSUNG

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭკვიანებული ტელევიზორი

თუ დავფიქრდებით რა ადგილი უკავია ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში ტელევიზორს, რატომ ვართ მასზე მიჯაჭვული ან რა გვწყვეტს მის ჰიპნოზს, მივხვდებით, საით მიდის მისი ტექნოლოგიური განვითარება.

ჰომერსიმფსონის „ზომბი-ყუთი" აღარ არის საკმარისი იმისთვის, რომ სავარძელი არ მივატოვოთ. მოგვბეზრდა. მეტი გართობა და მეტი ფუნქცია გვჭირდება, თორემ ავდგებით და ლეპტოპებს მივუსხდებით.

ჰოდა, ტელევიზორიც ცდილობს არ დაგვკარგოს. პირდაპირი მნიშვნელობით, სამსუნგ სმარტ TV-ს პულტს თუ ვერ იპოვით, პირდაპირ დაუძახებთ თქვენს მერვე სერიის LED ტელევიზორს – „გაუმარჯოს!" და ამის მერე შეგიძლიათ ხმით მართოთ. თუ ესეც დაგეზარათ, ხელის მოძრაობით გადართეთ და აუწიეთ ხმას, ესეც შეუძლია. ოღონდ არ წახვიდეთ და აქვეა ინტერნეტი, ყველა მოწყობილობასთან უმარტივესი კონტაქტი, სურათების, კლიპების ფეისბუქზე და ტვიტერზე ატვირთვა და მეგობრებთან ურთიერთობაც. ოღონდ კომპიუტერისკენ არ გაიხედო.

კიდევ რით შეუძლია ტელევიზორს გვასიამოვნოს? თუ სხვა გაჯეტები ვიზუალურად მაინც ასე თუ ისე ერთნაირია და არ გვაკვირვებს, აი, ტელევიზორი, უშნო ყუთიდან დაწყებული, დიზაინის შედევრამდე განვითარდა. Samsung smart TV ინტერიერის დიზაინის ნამდვილი დეკორია, თანამედროვე ვერცხლისფერი ტექნოლოგიებისა და ხელოსნობის ნამდვილი ნიმუში.

განხეთქილების ახალი ვაშლი

თითქოს ისედაც პოლარიზებულ ქართულ საზოგადოებას ვერაფრით ველარ აღაშფოთებ, მაგრამ სულ მალე აზრთა სხვადასხვაობის კიდევ ერთი მიზეზი მოგვეცემა – მობილურის ოპერაციული სისტემა iOS7.

ახალი OS-ი ჯონათან აივმა შეიმუშავა, რომელიც აქამდე iPhone, iPad, Mac Book-ის დიზაინზე მუშაობდა. დიზაინი სრულად განახლებულია, შესაძლებლობები გაზრდილი, მაგრამ უკმაყოფილებასაც სწორედ დიზაინი იწვევს.

განხილვის დაწყებამდე გეტყვით, რომ საუბარია ოპერაციული სისტემის ბეტა-ვერსიაზე, რომელიც ჯერ მუშავდება. სრული ვერსია, სავარაუდოდ, შემოდგომაზე, ახალ აიფონთან ერთად გამოვა. აგრეთვე შეგახსენებთ, რომ iOS 2007 წელს გამოვიდა აიფონებისთვის.

მაგრამ აქამდე მის ინტერფეისში ისეთი ცვლილება არ მომხდარა, როგორიც iOS7-ში. აღარანაირი ჩვეული იკონკები, მომრგვალებული ფორმები, მოცულობითი ღილაკები და ჩრდილები. ყველაფერი ბრტყელია!

საცდელი ვერსია დავაყენე. „ჩემი აიფონი ჩინურ ყალბ აიფონს დაემსგავსა!" – პირველად სწორედ ეს გავიფიქრე. მაგრამ თავიდან ვეჩვევი და მომწონს კიდეც ეს უბრალოება.

Apple მაკიმ შეცვალა დიზაინის კონცეფცია, მაგრამ სხვა დანართების შემმუშავებლებს პროგრამების ახლიდან გადაწერა მოუწევთ, iOS-ის ინტერფეისს რომ მოუხდეს.

სტივ ჯობსი კი ამბობდა თავის დროზე, რომ იკონკები დეტალიზებული და ლამაზი უნდა იყოსო, მაგრამ ჯონათან აივი ჯომაედის (ბესტსელერის „უბრალოების კანონი" ავტორი) მოძღვრებას მიჰყვა და ინტერფეისი უფრო პრიმიტიული გახადა.

ახალ iOS7-ს ჯერჯერობით უამრავი წუნი აქვს სხვადასხვა ფუნქციებში, მაგრამ, როგორც Apple-ს სჩვევია, დახვეწილი შემდგომი ვერსიები გამოვა.

თითქოს რაღაც სიახლე იყო საჭირო. 8 წელი ერთი და იგივე მოსაწყენია. ძნელია გაუძლო ცდუნებას და არ მიჰყვე სიახლეს, როცა იცი, რომ გამოვიდა ახალი iOS7, მაგრამ იქნებ მოგენატროს ძველი, მშობლიური დიზაინი, ის ხომ ჩვენი საყვარელი აიფონების ნაწილია?

მოკლედ, მძიმე გადაწყვეტილება წინ გვაქვს!

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. პრეპარატის უეჭველებისა და გვერდითი მოვლენების მესახებ, დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

გამოფენა

ბათუმის VII საერთაშორისო ჯაზფესტივალი

როდის: 18.07 – 21.07
სად: ბათუმის ტენისის კლუბი, კლუბი Take Five
დასაწყისი: 20:00, 23:00

18-დან 21 ივლისის ჩათვლით ბათუმი ტრადიციულად უმასპინძლებს წლის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეული მოვლენას – მუსიკალურ ჯაზფესტივალს, რომელიც უკვე მეშვიდედ ჩატარდება. წელს ქართველი ჯაზის მოყვარულების წინაშე სხვადასხვა თაობისა და მიმართულების რამდენიმე ჯაზ-შემსრულებელი წარდგება. მათ შორის ყველაზე გამორჩეული რვა გრემის მფლობელი ჯაზის ლეგენდა – ელ ჯეროა, ერთადერთი მუსიკოსი, რომელიც გრემის გამარჯვებული სამ ნომინაციაში გახდა: ჯაზი, პოპი და არენბი. აღსანიშნავია, რომ მასთან ერთად სცენაზე პიანისტი და საქსოფონისტი ჯო ტურანო, გიტარისტი ჯონ კალდერონი, დრამერი მარკ სიმონსი და პიანისტი ლარი უილიამსიც დაუკრავენ. კონცერტი, აღნიშნული შემადგენლობით, ფესტივალის გახსნის დღეს გაიმართება.

ფესტივალის მეორე დღე გიტარისტ მაიკლ სტერნსა და ბასისტ ვიქტორ ვუტენს დათმობა. ქართველი მსმენელისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჯაზის ამ საინტერესო წყვილთან შეხვედრა, რადგან მათი მუსიკალური იმპროვიზაციების უკან ჯაზის ისეთი ლეგენდერული სახელები დგას, როგორიცაა: მაილს დევისი, მარკუს მილერი, ჯაკო პასტორიუსი და სხვები.

ლათინური ჯაზის მოყვარულები კი კონცერტზე დასასწრებად 20 ივლისისთვის უნდა მოემზადონ, რადგან ფესტივალის მესამე დღე კაბო-ვერდელი ვოკალისტის, კარმენ სოუზას კვარტეტს უმასპინძლებს. კულტურულად მრავალფეროვანმა გარემომ, რომელშიც კარმენი იზრდებოდა, მისი მუსიკალური სტილის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებულად იმოქმედა. გარდა ამისა, შემოქმედებითი ინდივიდუალიზმის აღმოჩენაში მას ელა ფიცჯერალდის, ბილი ჰოლიდეის, ნინა სიმონეს, კიტ ჯარეტის, ეტა ჯონსის და ჯო ზავინულის მუსიკით შექმნილი ინსპირაციები დაეხმარა. მდიდარი მუსიკალური ბეგრაუნდის მქონე 27 წლის პორტუგალიელ შემსრულებელს ქართველი მსმენელი პირველად სწორედ წელს მოუსმენს.

ფესტივალს ჟანრობრივი თავისუფლებითა და მრავალფეროვნებით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ამერკელი მუსიკოსი – ხოსე ჯეიმსი დახურავს, რომელიც ქართველ მსმენელს თანამედროვე ჯაზისა და ჰიპ-ჰოპის ნაზავს შესთავაზებს: „არ მინდა მუსიკის რომელიმე კონკრეტულ ჟანრს მივაკუთვნო ჩემი თავი. როგორც კი მივიღე გადაწყვეტილება, რომ აღარ მსურდა მხოლოდ ჯაზ-ვოკალისტი ვყოფილიყავი, მაშინვე გავთავისუფლდი ყველა იმ ხელოვნური საზღვრებისგან, რომელიც მნიშვნელოვნად მზღუდავდა, როგორც მუსიკოსს“ – ამბობს მუსიკოსი, რომელიც მსმენელის წინაშე 21 ივლისს, საღამოს 8 საათიდან წარდგება.

BOX.GE

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფენა

„ელენე დარიანი - ქალი პაოლოს უკან“

როდის: 2.07 – 31.07

სად: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

მისამართი: გ. ჭანტურიას ქ№8

ლიტერატურის მუზეუმი აღნიშულ გამოფენას ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე საიდუმლოებით მოცულ ამბავს უძღვნის. ელენე დარიანი – ფსევდონიმი თუ ნამდვილად არსებული პოეტი-ქალი, რომელიც ლექსებს ეროტიკულ თემებზე წერს? – ამ საკითხის შესახებ მსჯელობა განსაკუთრებით აქტუალური გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან გახდა. აქედან მოყოლებული, ოფიციალური ვერსიით მიიჩნეოდა, რომ ქართული ლიტერატურისთვის თავისუფლებითა და ეროტიკულობით სრულიად გამორჩეული ლექსების ავტორი პაოლო იაშვილია, თუმცა საპირისპირო მოსაზრება, რომელიც პირველად ლიტერატურათმცოდნე გიორგი ჯავახიშვილმა წამოაყენა ღიად, დარიანული ლექსების ავტორად ქალს მიიჩნევდა. ჯავახიშვილის ამ ვარაუდმა მძლავარი კრიტიკა დაიმსახურა. ბევრმა ეს პაოლო იაშვილის შეუარცხყოფადაც კი მიიღო, არადა, თვითონ პაოლოს არასდროს განუცხადებია, რომ „დარიანული ციკლის“ ლექსები მის კალამს ეკუთვნოდა. ამის მიუხედავად, 1955 წელს გამოცემულ პოეტის პირველ კრებულში, შემდგენელმა შალვა დემეტრაძემ დარიანის ლექსებიც შეიტანა. მას შემდეგ ეს ლექსები გამოცემიდან გამოცემაში უცვლელად გადადის. ამ ქალბატონის სახელი და გვარი მართლაც უკავშირდება პაოლო იაშვილს, რომელთანაც მას ლიტერატურული თანამშრომლობა აკავშირებდა. ამის შესახებ თავის მოგონებებში ელენე ბაქრაძე (პირველი ქორწინების შემდეგ – ბერიშვილი და მეორე ქორწინების შემდეგ – ქართველიშვილი) წერს. ის ყვება, თუ როგორ წერდა ლექსებს და როგორ არედაქტირებდა მათ პაოლო. ლიტერატურის მუზეუმის ორგანიზებით დაგეგმილი ეს გამოფენა, მდიდარი დოკუმენტური ჩანაწერებითა და ფოტო-არქივით, დამთვალიერებელს გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული სასიყვარულო ისტორიის გაცნობის უნიკალურ შანსს აძლევს.

გოგი ჩაგელიშვილის პერსონალური გამოფენა და წიგნის პრეზენტაცია



როდის: 4.07 – 18.07

სად: გალერეა „ვანდა“

გახსნა: 19:00

მისამართი: დ. ჭონქაძის ქ№14

„მამაკაცისთვის ყველა ქალი მარგარიტაა“ – ასე ხსნის ქართველი ფერმწერი ახალი სერიის არსს, რომელსაც დამთვალიერებელს ივლისის თვეში გალერეა „ვანდაში“ წარუდგენს. აღნიშნული კონცეფცია ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ შექმნილ ლეგენდარულ სახეს – „მარგარიტას“ უკავშირდება და ასახვას ჩაგელიშვილისეულ ვარიაციებში პოულობს. ოცდაათამდე კოლაჟური და ფერწერული ნამუშევარი მხატვარმა ბოლო თვეების განმავლობაში შექმნა. აღნიშნული სერია ერთგვარი კოლექციაა, რომელიც გოგი ჩაგელიშვილმა მთლიანად ქალის თემას მიუძღვნა და ყველა მათგანში სხვადასხვა გარეგნობისა და ხასიათის ქალი გამოსახა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოფენის გახსნაზე მისული დამთვალიერებელი საჩუქრად მიიღებს მხატვრის ავტორობით შექმნილ მოთხრობების კრებულს.

„ზოგჯერ მიწითლდება თვალები...“
სოფო ჩერქეზიშვილის პერსონალური გამოფენა

როდის: 28.06 – 12.07

სად: „გამრეკელი-გალერეა“

მისამართი: გამრეკელის ქ.14

„თვალები მიწითლდება: გაკვირვებისგან, გაურკვევლობისგან, სიხარულისგან, შიმშლისგან, ტკივილისგან, თანაგრძნობისგან და ალბათ შენს გამოც...“ ამბობს ახალგაზრდა მხატვარი სოფო ჩერქეზიშვილი ნამუშევრების იმ სერიის შესახებ, რომელიც მან ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნა. ექსპოზიცია ცამეტ ფერწერულ ტილოს და ერთ გრაფიკულ ნამუშევარს აერთიანებს. ნამუშევრები „გამრეკელი-გალერეაში“ 12 ივლისამდე დარჩება.

ნიკა ყაზბეგის „შავ-თეთრი კინო“

როდის: 10.07 – 18.07

სად „ბაია-გალერეა“

გახსნა: 19:00

მისამართი: შარდენის ქ. 10

„შავ-თეთრი კინო“ – ასე ჰქვია გამოფენას, რომელიც გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გრაფიკოსისა და თეატრისა და კინოს მხატვრის, ნიკოლოზ (ნიკა) ყაზბეგის გარდაცვალებიდან 30-ე წლისთავს ეძღვნება. ამ თარიღის აღსანიშნავად, „ბაია-გალერეაში“ მხატვრის მიერ შესრულებული ის ესკიზები გამოფინება, რომელიც მეოცე საუკუნის ქართული თეატრისა და კინოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მათ შორისაა კინოფილმების – „ჯარისკაცის მამის“, „შეხვედრა წარსულთან“, „ჩარი-რამას“ და სამასამდე სხვა ქართული თუ უცხოური სპექტაკლის ესკიზებიც. ნიკოლოზ ყაზბეგის შემოქმედებითი ზრდა ისეთი მხატვრების გამოცდილებას ეყრდნობოდა, როგორებიც არიან: გიგო გაბაშვილი და ევგენი ლანსერე. ხალხის მტრის შვილის ბრალდებამ, მას აკადემიის დატოვება გადააწყვეტინა, თუმცა ამას მხატვრის განვითარება არ შეუფერხებია. უფრო მეტიც, 1946-1958 წლებში, მას სოხუმის დრამატული თეატრის მთავარი მხატვრის პოსტი ეკავა. ამავე წლებში ის იყო აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარეც. დღეს კი მის არქივში ასობით მხატვრული ესკიზი ინახება, რომელთა ძირითად ნაწილს დამთვალიერებელი „ბაია-გალერეაში“ იხილავს ივლისის თვეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

SOBRANIE

LONDON

130 განსაკუთრებული წელი

სიგარეტის ბაზრის ერთ-ერთი პიონერის, „სობრანიეს" - როგორც ძვირადღირებული თამბაქოს წარმოების ისტორია 130 წელს სცილდება და კონტინენტებსა და კულტურებზე ვრცელდება.

განსაკუთრებული ხედვა

1879 წელს ჩვენმა დამფუძნებელმა ალბერტ უეინბერგმა დაარეგისტრირა „სობრანიეს სახლი" სენტ ჯეიმსის პრესტიჟულ უბანში ლონდონში, რომელიც მას შემდეგ ჩვენი ტრადიციული და კოსმოპოლიტური ტენდენციის წყაროდ იქცა. მან ჩვენი ბრენდის სახელად „სობრანიე" შეარჩია, რომელიც სლავურად შეკრებას ნიშნავს, რაც ერთგვარად ასახავდა თამბაქოს მწეველთა ასოციაციის, ვაჭართა და მაღალი საზოგადოების სხვა წარმომადგენლების შეკრებების მიმართ დამოკიდებულებას. „სობრანიეს სახლისთვის" ალბერტის ხედვა თამბაქოს განვითარებას და ბაზარზე ძვირად ღირებული თამბაქოს ბრენდის შექმნას ითვალისწინებდა.

ნოვაციური იდეები

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ალბერტ უეინბერგმა გამოიგონა პირველი თანამედროვე სტილის სიგარეტის კოლოფი; მუყაოს ყუთი ბრენდის სახელითა და ილუსტრაციით. მანამდე, სიგარეტი დიდი რაოდენობით იყიდებოდა და მას პერსონალური კოლოფებით ატარებდნენ. 1934 წელს ჩვენ გამოვუშვით „ბლექრაშენი", - პირველი ფერადი სიგარეტი, რომელიც გათვალისწინებული იყო საღამოს ტანსაცმელთან შესახამებლად, ხოლო 1952 წელს შეიქმნა ელეგანტური, სხვადასხვა ტონის სიგარეტები ქალბატონების კოკტეილის კაბების დასამშვენებლად. ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი პირველი ბრენდი, რომელმაც სპეციალურად ქალბატონებისთვის შექმნა სიგარეტი: 1950-იან წლებში ჟასმინის არომატითა და სურნელით, ხოლო 1990-იან წლებში თხელი და ულტრათხელი ფორმით.

თამბაქოს ექსპერტები

ალბერტ უეინბერგის ოჯახმა ვაჭრობა გეოგრაფიულად გააფართოვა. მათ მოიძიეს და შეარჩიეს თამბაქოს საუკეთესო ჯიშები მთელი მსოფლიოდან - ისეთი ნაზავი, როგორიცაა „ბალკანსობრანიე" ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან. მათ საკუთარი მომთხოვნი მომხმარებლების ზრდადი გემოვნების დასაკმაყოფილებლად, პროდუქციის მრავალფეროვანი ასორტიმენტის შეთავაზების მიზნით, პირველებმა შექმნეს მნიშვნელოვანი ნაზავები: აღმოსავლური, რუსული, ვირჯინია და ამერიკული, ასევე ჩიბუხისა და თამბაქოს არომატების ასორტიმენტის ფართო არჩევანი. ჩვენ ყოველთვის ვანიჭებდით განსაკუთრებულ ყურადღებას დეტალებს, პროდუქციის ხარისხსა და შეფუთვას.

სობრანიე

ლონდონი

29167

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

SOBRANIE

LONDON

შეკვეთით დამზადების ტრადიცია

თავდაპირველად შავი „სობრანიე" სანქტ-პეტერბურგის სასამართლოს დიდი ჰერცოგისთვის შეიქმნა, მას უნდოდა სიგარეტი, რომელიც მის სალამოს ჩაცმულობას მოუხდებოდა.
მან „სობრანიეს" საკუთარი საგვარეულო გერბით სარგებლობის უფლება მისცა, რომელსაც „სობრანიე" დღესაც ღირსეულად ატარებს. სპეციალური შეფუთვით სიგარეტს უკვეთავდნენ ლონდონის არისტოკრატიული წმ. ჯეიმსის ჯერძო კლუბები, თემთა პალატა, კლუბები ქალაქგარეთ, სამხედრო ნაწილები და ავიაკომპანიები.
„სობრანიე" ხელოვანთათვისაც ქმნიდა სპეციალურ პროდუქტს, მათი განსაკუთრებული გემოვნების დასაკმაყოფილებლად.
მე-XX საუკუნის ბოლოს ჯარგად ცნობილმა რუსმა ოპერის მომღერალმა თავისი სახელითა და პორტრეტით ჩვენი ნაწარმის მიწოდება მოითხოვა. მისი გემოვნების დასაკმაყოფილებლად საგანგებოდ შექმნილმა პროდუქტმა ჩაღრმავებული ფილტრით, ხელი შეუწყო ჩვენი პროდუქტის ინოვაციის ტრადიციას, რაც „სობრანიესთან" ერთად დღესაც გრძელდება.

ასევე ცნობილია ბრიტანელი მწერლის მაგალითი, რომელმაც „სობრანიეს" სთხოვა სიგარეტის ღერზე თავისი ხელმოწერის წითელ ფერში აღბეჭდვა.

სობრანიეს სახლი

130 წელზე მეტია, რაც „სობრანიე" განსაკუთრებულ სიგარეტებს აწარმოებს. ჩვენი პროფესიონალური გამოცდილება, ექსკლუზიური თამბაქოს დამზადების ტექნოლოგიაში გაერთიანებულია ჩვენს მიზანთან, გარდავქმნათ ტრადიცია, რომელიც უკეთ დააკმაყოფილებს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს.

დღეს „სობრანიე" ცნობილია თავისი მემკვიდრეობით, შემოქმედებითი ინოვაციებითა და ავანგარდული სულისკვეთებით.

დღეს ჩვენი პორტფოლიო მოიცავს როგორც პრესტიჟულ და სახასიათო სიგარეტს, ასევე გამორჩეულად თანამედროვე შეთავაზებებს, რომლებიც ყველაზე მომთხოვნი გემოვნების მწეველსაც კი დააკმაყოფილებს.

სობრანიე

ლონდონი

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

სხვადასხვა

„ლიტერატურული ღამე“ თბილისში

როდის: 5.07
სად: „მწერალთა სახლი“
დასაწყისი: 19:00
მისამართი: მაჩაბლის ქ №13

ივლისის პირველ პარასკევს თბილისში „ლიტერატურული ღამე“ გაიმართება, რომელიც ოთხ ევროპელ ავტორს უმასპინძლებს: გერმანელ – გიუნტერ ოჰნემუსს, ბრიტანელ – ჯეიმს ჰოპკინს, ფრანგ – ინგრიდ ტობუას და ქართველ – აკა მორჩილაძეს. ისინი დამსწრე საზოგადოებისთვის ორიგინალში წაიკითხავენ ნაწყვეტებს თავიანთი ცნობილი ნაწარმოებებიდან, რის შემდეგაც იმავე ტექსტებს ქართულ ენაზე და უფრო ვრცლად, მთარგმნელები და მსახიობები წაიკითხავენ. შესვენებებზე მწერალთა სახლის ფოიესა და შიდა ეზოში რეზო და გიორგი კიკნაძეების შესრულებით ჯაზური კომპოზიციებიც გაჟღერდება.

„ლიტერატურული ღამე“ ევროპული ლიტერატურის შეხვედრის ადგილს ქმნის და ქართველ მკითხველს ოთხი ქვეყნის თანამედროვე ავტორების აღმოსაჩენად იწვევს. აღნიშნული ღონისძიების მიზანია საქართველოს დაახლოება ევროპულ კულტურულ სივრცესთან. მას ორგანიზებას უწევენ საქართველოში მოღვაწე ევროპული გაერთიანების EUNIC CIUSTER ძირითადი მოქმედი წევრები, სამი ევროპული კულტურის ინსტიტუტი – გოეთეს ინსტიტუტი, ბრიტანული საბჭო და ფრანგული ინსტიტუტი. ღონისძიება იმართება საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით და მას სულ ახლახან რესტავრირებული „მწერალთა სახლი“ მასპინძლობს.

კინო



ფრანგული კინოკლუბის მორიგი სეანსი

როდის: 10.07
სად: შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოდარბაზი
დასაწყისი: 19:00
მისამართი: აღამშენებლის გამზ № 40

ფრანგული კინოკლუბი, რომელიც საქართველოს ფრანგული ინსტიტუტისა და შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით ფუნქციონირებს, ყოველი თვის მეორე და მეოთხე ოთხშაბათს თანამედროვე კინოფილმების ჩვენებას მასპინძლობს. ფილმს მაყურებელი წინასწარ არჩევს ფეისბუკის გვერდის საშუალებით, რომლის მისამართია: https://www.facebook.com/ინსტიტუტფრანცაისდეგეორგიე. ივლისისთვის განსაზღვრული ფილმების შერჩევას და ხმის მიცემას დაინტერესებული ადამიანები 5 ივლისამდე შეძლებენ, 10 ივლისს დაგეგმილი კინოჩვენებისთვის ასარჩევი ფილმების ჩამონათვალი კი ასე გამოიყურება:

1. ოლივიე მასეს „არალეგალი“, დრამა. 2010 («Illégal», Olivier Masset, drame, 2010)

2. მეჰდი ბენ ატიას „ბენვის ხიდი“, დრამა, 2010 («Le fil», Mehdi Ben Attia, drame, 2010)

3. კატელ კილევერეს „ძლიერი სანამლავი“, დრამა, 2010 («Un poison violent», Katell Quillévéré, comédie dramatique, 2010).

ლექცია

ლექციათა ციკლი – REVERSE BRAIN DRAIN

როდის: 3.07, 15.07
სად: თბილისის გოეთეს ინსტიტუტი
დასაწყისი: 18:00
მისამართი: ზანდუკელის ქ№16

ლექციათა ციკლის – Reverse Brain Drain-ის ფარგლებში, ივლისის თვეში ორი საჯარო მოხსენება გაიმართება:

3 ივლისს მუსიკის თემით დაინტერესებული ადამიანები მოისმენენ გიორგი კიკნაძის ლექციას იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს კონტრაბასი ანსამბლის სტილისტური სახის ჩამოყალიბებაზე. მომხსენებელი ამ თემას ბილ ევანსის ტრიოს კონტექსტში განიხილავს;

15 ივლისს კი გოეთეს ინსტიტუტის საგამოფენო სივრცეს გაბრიელე ბრუენენმაიერი დაიკავებს, რომელიც მეტად საჭირო და სასარგებლო თემის – „პრეზენტაციის ხელოვნების“ შესახებ ისაუბრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დააგღვიე შენი გზა 10 ლარად“

ერთღიანი გზის დაგღვევა

ავტორი: ელენე კანდელაკი

ხშირად, როცა ჩემი ნაცნობებისთვის მიკითხავს დაზღვეული ჰყავთ თუ არა ავტომანქანა, ასეთი პასუხი მიმიღია – არა, რა დაზღვევა! ეგ „ჩაინიკებისთვისაა“, მე ბავშვობიდან ვატარებ, რა უნდა დამემართოს?!

დიდი იმედი მაქვს, რომ ამის მთქმელს მართლა არასოდეს არაფერი დაემართება, თუმცა როცა ასეთ პასუხს ვისმენ, ვნანობ, რომ პრინტზე არ გავუშვი და ჩანთაში არ ჩავიგდე ახლახან ინტერნეტში შემთხვევით ნანახი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ის ვარსკვლავმა რალფ შუმახერმა თავისი არასარბოლო BMV Z4 ყიდვისთანავე დააზღვია. თან ჟურნალისტებისთვის ასეთი კომენტარიც გააკეთა: „დაზღვევა საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ იმგზავრო მშვიდად და თავი აარიდო არასასიამოვნო ექსცესებს. საჭესთან ყოფნა დიდი პასუხისმგებლობაა, ამიტომ უსაფრთხოება და სიმშვიდე აუცილებელია,“ – ამბობს რალფი, ფორმულა 1-ის გამოცდილი პილოტი.

ცხადია, რალფის ჰონორარები ნებისმიერ დაზღვევას გასწვდება და ჩვეულებრივი მოკვდავნი მას ვერ შევედრებით, მაგრამ მთავარი აქ მაინც მიდგომა და სიტყვა „პასუხისმგებლობაა“.

სინამდვილეში, თანამედროვე მსოფლიოში დაზღვევა და უსაფრთხოება დიდი ხანია გასცდა ფუფუნების ჩარჩოებს და ყოველდღიურ აუცილებლობად იქცა. მანქანებს მხოლოდ ვარსკვლავები კი არა, უბრალო მუშებიც აზღვევენ. გარდა იმისა, რომ ავტოდაზღვევა დიდი კომფორტია და ბევრ დროს, ფულსა და ენერგიას ზოგავს, ცივილიზებულ სამყაროში ავტოდაზღვევა, პირველ რიგში, სწორედ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა, რომელიც გაცნობიერებული აქვს ყველას, ვინც საჭეს მართავს.

იმ წუთიდან, როდესაც მართვის მოწმობას იღებ და საჭესთან ჯდები, ავტომატურად იღებ დამატებით პასუხისმგებლობას შენი და სხვა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

საქართველოში, სადაც მხოლოდ ახლა ხდება არა მარტო სადაზღვევო ბაზრის, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, ეს პროცესი ნელა, მაგრამ სტაბილურად მიიწევს წინ.

თბილისში მოძრავი ასი ათასობით ავტომობილიდან, რომლებიც პიკის საათში დაუძლეველ საცობებს ქმნიან, 20 პროცენტზე ცოტაა დაზღვეული. ეს დიდი პროგრესია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რამ-

დენიმე წლის წინ მათი რიცხვი ერთეულები იყო.

ავტომობილის წლიური დაზღვევა საქართველოში, სადაც საშუალო ხელფასი არც თუ ისე მაღალია, მძღოლების ერთი ნაწილისთვის დღესაც დიდი ფინანსური დანახარჯია. თუმცა, პარალელურად, ავტომობილების დაზღვევას არც ისინი ჩქარობენ, ვისაც ამის ფინანსური საშუალება აქვს. ამის მთავარი მიზეზი სწორედ სადაზღვევო კულტურის არარსებობა და, ასევე, ქართველი მძღოლების თავდაჯერებულობაა, რაზეც თავშივე მოგახსენეთ.

ამგვარი მენტალიტეტი და მასთან ერთად ინფორმაციის ნაკლებობა, შესაძლოა უფრო დიდი დაბრკოლებაც იყოს საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარებისთვის, ვიდრე საკითხის ფინანსური მხარე.

სწორედ ამიტომ, სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ პროდუქტი „გზის დაზღვევა“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინიციატივაა ქართული სადაზღვევო ბაზრისთვის.

ალბათ შეგხვედრიათ გოგონები ქალაქიდან გასვლისას, რომლებიც გთავაზობენ ავტომობილის დაზღვევას 10 ლარად. პრინციპი ძალიან მარტივია: მაგალითად, უქმეებზე გადაწყვიტეთ ქალაქიდან გასვლა – პიკნიკზე კახეთში, ან სულაც ბათუმისკენ, გასარუჯად, ან ფასანაურისკენ არაგვში საბანაოდ. სულ ერთია სად მიდიხართ – თბილისიდან ყველა გასასვლელში, ნებისმიერ ბენზინგასამართ სადგურსა თუ სუპერმარკეტში შეგიძლიათ 10 ლარად იყიდოთ გზის დაზღვევა, რომელიც 12 საათი მოქმედებს და ამ პერიოდის განმავლობაში თქვენი მანქანა დაზღვეული იქნება ნებისმიერი ტიპის ავტოსაგზაო შემთხვევისგან.

საქართველოს ბაზარზე ეს ინოვაციური პროდუქტი ორი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი: პირველი – ტრასაზე, სადაც მგზავრობა უფრო რისკიანია, უფრო მეტ მძღოლს ექნება საშუალება დაზღვეულად იმგზავროს, რადგან საკუთარ უსაფრთხოებაში 10 ლარის გადახდა არც მათ გაუჭირდებათ, ვინც ჯერჯერობით ავტომობილის წლიურ დაზღვევას ვერ ახერხებს; და მეორე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია – ქალაქის გასასვლელში გზის დაზღვევით, ჩვენ საკუთარ თავს დაზღვევის კულტურას შევაჩვევთ. როცა ერთხელ, ორჯერ დაეზღვევი და მიხვდები, რა კომფორტული და უსაფრთხო შეგრძნებაა, როდესაც დაზღვეული ხარ, მერე ეს ჩვევასა და აუცილებლობაში გადაიზრდება.

დაზღვევისთვის პირადობის მოწმობაც კი არ არის საჭირო. „ალდაგის“ კონსულტანტები თქვენი მანქანის სახელმწიფო ნომერს ჩაიწერენ და სულ ესაა – თამამად იმგზავრეთ – 12-საათიანი დაზღვევა საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხემდე მიგაცილებთ.

ასე რომ, როდესაც ამ ზაფხულს უქმეების ქალაქგარეთ გატარებას დააპირებთ, ქალაქის გასასვლელში, ბენზინგასაგამართ სადგურში საწვავის შევსებისას ან სუპერმარკეტში გამაგრილებელი სასმელისა და სასუსნავების ყიდვისას, „ავტოდრაივის“ პოლისიც მოიკითხეთ. ტრასაზე თქვენი უსაფრთხოება და უქმეების სასიამოვნოდ გატარება ღირს იმად, რომ ამაში ჩიფსებისა და ბოთლი კოკა-კოლის ფასი გადაიხადოთ.

რუბრიკას წარმოგიდგენთ „ალდაგი ბისიაი“
www.facebook.com/aldagi

ალდაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც არასდროს ვყოფილვარ

ავტორი, ფოტო: ანა მაყაშვილი

2007 წელი

მოგზაურობაზე ფიქრი ბევრად ადვილია, ვიდრე თავად მოგზაურობა. როცა ვიზა და ბილეთი უკვე აღებული გაქვს, გგონია, რომ ყველა სირთულე გაიარე. სინამდვილეში სირთულეები ჩემოდანის ჩალაგების დროს იწყება და გიჩნდება შეგრძნება, რომ ყველაფერი ვიღაცამ დაგეგმა ძალიან ორგანიზებულად და შენს ჯინაზე: ყველაზე მოსახერხებელი ბორბლებიანი ჩემოდანია – ტევადია და სიმძიმეების თრევაც არ გიწევს. სამაგიეროდ, თავად ჩემოდანი, სულ ცოტა, 5 კილოს იწონის, რაც მის სასარგებლო ფუნქციას უარყოფითად ანეიტრალებს, იმიტომ, რომ შიგნით ათ კილოზე მეტი თუ ჩააწყვე, ზედმეტი წონა გექნება. ვითარებას და ჩემოდანს საგრძნობლად ამძიმებს პარფიუმერია, რომლის ხელჩანთაში მოთავსების უფლება არა გაქვს. არადა, რომ არ წაიღო, იძულებული გახდები, იმ ქვეყანაში იყიდო, სადაც მიდიხარ... ნებისმიერ შემთხვევაში, დისკომფორტია.

თუ ეს დისკომფორტიც გადალახე, მოლოდინის სასიამოვნო განცდა გიბრუნდება და ცდილობ ეს მოლოდინი მაქსიმალურად გაიმართლო.

არა მგონია, თქვენთვის ამ წერილის წაკითხვა ისეთივე საინტერესო იყოს, როგორიც ჩემთვის მოგზაურობისას გატარებული დრო, მაგრამ მაინც გადავწყვიტე გაგიზიაროთ...





აეროპორტში ერთხელ კიდევ მომიხდა აზერბაიჯანულ ვალუტაზე დაფიქრება, სადაც „ბორჯომი“ სამი დოლარი ღირდა და ყავა – ოცი, და ამით აღშფოთებული ამერიკელი მგზავრის დაშოშმინება, რომელსაც ბარმენმა ფული უკან მიუგდო, ყავა ხელიდან ააცალა და თუ ძვირი გგონია, სადაც მიეთრევი, იქ დალიეო, უთხრა.

ბაქო, OH MY GOLD!

საბედნიეროდ, ბაქოში მარტო ერთი დღე გავჩერდი, თუმცა ამ ერთ დღეში იმაზე მეტი ფული დავხარჯე, ვიდრე დიდ ბრიტანეთში ერთი კვირის განმავლობაში.

ყველაფერი ჰეიდარ ალიევის სახელობის აეროპორტიდან დაიწყო, როცა დოლარები აზერბაიჯანულ ვალუტაზე გადავცვალეთ: ვალუტას ერქვა მანათი და იმის მაგივრად, რომ ყოფილიყო, სულ ცოტა, ლარის ეკვივალენტი, აღმოჩნდა სადღაც ევროსა და ფუნტს შორის.

ამ არაადეკვატურობით გაბრუებული, საერთოდ არ გავუმხნევებივარ ნათის სუნში გაზავებულ ცხელ და ნესტიან ჰაერს, რომელიც აეროპორტის შენობიდან გამოსულს დამხვდა.

ბაქოს აეროპორტთან დაკავშირებით პირველი, რაც ინტერნეტში წერია, ისაა, რომ ტაქსის მძღოლები მოგვარდებიან და ცენტრში იაფად წაყვანას შემოგთავაზებენ, თქვენ არ უნდა ენდოთ არალიცენზირებულ ტაქსის მანქანებს და ყველას სჯობს, ავტობუსით წახვიდეთ. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია დასავლეთის ქვეყნების ტურისტებისთვისაა და არა იმ ქვეყნების, რომელთაც თვითონაც აქვთ მსგავსი გამოცდილება. ამის მიუხედავად, პირველივე ტაქსისტს ჩავუჯექით და 50 დოლარად 15 წუთში ქალაქის ცენტრში ამოვყავით თავი.

ქალაქის ცენტრში იყო განთავსებული სასტუმრო „აბშერონი“, რომელშიც ჩვენ გავჩერდით. ის ბევრად კეთილმოწყობილად გამოიყურებოდა, ვიდრე სხვა ყველაფერი, რაც იქ მისვლამდე ვნახე ბაქოში; თან, როგორც სასტუმროს კეთილგანწყობილმა, სამენოვანმა თანამშრომლებმა გვითხრეს, ნომრები სავსე იყო ევროპელი, იაპონელი და რუსი ტურისტებით. ეს სასტუმროს უპირატესობად მივიჩნიეთ და იქ დარჩენა გადავწყვიტეთ. ჩვენი ოთახის ხედი კასპიის ზღვაზე იშლებოდა, მაგრამ დიდად არ შეესაბამებოდა სასტუმროს ფოიეს ცივილურ იერს: უფრო საბჭოთა კავშირის დროინდელი სასტუმროს გარემონტებულ ნომერს წააგავდა. თან გზაში ბებიაჩემმა „ბორჯომი“ იყიდა (ჩვენი სასმელი მაინც ყველაზე კარგიაო) და მაცივარზე შემოდო...

საერთოდ, ეს გარემონტებული სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბჭოთა კავშირის ელფერი მთელ ბაქოს დაჰკრავდა. ეს მერე, ცენტრში სეირნობისას შევამჩნიე და განსაკუთრებით აეროპორტში, როცა რეგისტრაციის ყვითლად შეღებილი მაგიდებიდან ულვაშებიანი აზერბაიჯანელები ჩემს პასპორტს ამონმებდნენ და ღია აგრესიით მომახალეს, დოკუმენტები არა გაქვს წესრიგში, აბა ბაქოს გავლით რატომ მიფრინავ ლონდონშიო (ეგ მეც ვინანე მაგ დროს), ჩემ გვერდით მდგომ ქართველ თინეიჯერ ბიჭს კიდევ, რომელიც ინგლისურად ელაპარაკებოდა ამ ულვაშებიან თანამშრომლებს, უყვირეს, – ქართველი თუ ხარ, რუსულად გველაპარაკეო.

ცენტრში სეირნობას რაც შეეხება, ვერც ამ დროს მივხვდი წესიერად, როგორ ქალაქთან მქონდა საქმე: ეს არც ეგზოტიკა იყო და არც რამე მაინცდამაინც ახლობელი (ალბათ ეს იყო სწორედ ეგზოტიკა). არც ბუნებაა დიდად ლოგიკური: პალმები, ხრიოკი, ნაძვები... ერთი საათით წინ არიან ჩვენზე და საერთოდ რაღაც ძალიან შუაში არიან – წარსულსა და აწმყოს და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ქუჩაში ცოტა ხალხი დადის და თუ ვინმე ქერა, დასიცხული, ფლოსტებიანი ტურისტი გხვდება, იძულებული ხარ, თანაგრძნობით ჩახედო თვალებში და გაიფიქრო, რომ შენი ქვეყანა ოდნავ უფრო დასავლეთითაა...

ხალხის დათვალიერების შანსი ერთ-ერთ ცენტრალურ რესტორანში მომეცა, სადაც თავაზიანი მიმტანები აღმოჩნდნენ. გოგო მიმტანები საკმაოდ მომხიბლავები არიან (ტინტო ბრასის ქალების აღმოსავლურ ვერსიას წააგვანან), ბიჭი მიმტანები, როგორც ჩვენთან, უმეტესად გეები არიან, ოღონდ ძალიან თავშეკავებულები, თმების მოკრძალებულად გამორჩეულ ვარცხნილობებს ატარებენ და დამახასითებელი სევდა-სიმშვიდე-ქარიზმანარევი გამომეტყველება აქვთ გადაკრული ოდნავ გაფართოებულ თვალებზე. დანარჩენი ბიჭები (არაგეები) დიდი სილამაზით (ან სხვა რამით) არ გამოირჩევიან. ორივე სქესს უმეტესად თეთრი ტანსაცმელი აცვია და აუცილებლად უბრჭყვინავს სადმე სქელი ოქრო – ხელზე, ყელზე, ყურზე, პირში, ან ყველგან ერთად. რა გასაკვირია, კასპიის ზღვა ხომ ცარიელი ნავთია?!

ნაციონალური საჭმელი თურქული ქაბაბია. ადგილობრივი პოპმუსიკა – ისეთივე ცუდი, როგორიც დანარჩენ მსოფლიოში.

კარგი ის იყო, რომ მეორე დღე მალე მოვიდა და ჩვენმა ტაქსისტმა დროულად მოგვაკითხა აეროპორტში წასაყვანად. გზაში მან ტაქსისტის დამახასიათებელი ყველა თვისება უხვად გამოავლინა და დაიწყო ლაპარაკი თავის განათლებაზე, ოჯახზე, პოლიტიკაზე, ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე, ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთპატივისცემაზე, ანეკდოტების მოყოლა ჩუქჩებზე, სომხებზე... მე კიდევ ვიჯექი უკან, ბაქოს ქუჩებს გავცქეროდი და ვფიქრობდი, რომ რაღაც მაინც გვაერთიანებს – „ძველი ძმობის“ ნარჩენები, მახსენდებოდა ყველაფერი თემატური, მაგალთად, „მიმინო“ და ის, რაც ჩემი ბავშვობის ნაწილი არ ყოფილა. ბოლოს, ლადო ბურდულის მოყოლილი ანეკდოტი გამახსენდა (რომელიც გაზეთში, თავის სომხურ შთაბეჭდილებებთან დაკავშირებულ სვეტში დაწერა) და ძალიან შესაფერისი დრო მივიჩნიე მოსაყოლად, მაგრამ კიდევ კარგი, არ მოვყევი, იმიტომ, რომ ანეკდოტი შემდეგნაირია: სომხებმა კრემლში განცხადება შეიტანეს ერევანში საზღვაო-სანაოსნო სამინისტროს გახსნასთან დაკავშირებით; კრემლში უთხრეს, ეგეთი სამინისტრო რაში გჭირდებათ, ზღვა მაინც არ გაქვთო და სომხებმა ნიშნის მოგებით უპასუხეს, აბა აზერბაიჯანში კულტურის სამინისტრო რომ არისო?! ამის მაგივრად, ტაქსისტს ვკითხე, „ალი და ნინო“ თუ წაგიკითხავთ-მეთქი. კი, როგორ არაო. ალბათ მომატყუა. სიმართლის გარკვევის დრო აღარ იყო, იმიტომ, რომ უკვე აეროპორტში ვიყავით.

აეროპორტში ერთხელ კიდევ მომიხდა აზერბაიჯანულ ვალუტაზე დაფიქრება, სადაც „ბორჯომი“ სამი დოლარი ღირდა და ყავა – ოცი, და ამით აღშფოთებული ამერიკელი მგზავრის დაშოშმინება, რომელსაც ბარმენმა ფული უკან მიუგდო, ყავა ხელიდან აიცალა და თუ ძვირი გგონია, სადაც მიეთრევი, იქ დალიეო, უთხრა.

ამ ყველაფრის – მთელი ბაქოური შთაბეჭდილებების – პიკი კი აზერბაიჯანელი მგზავრი – ეკონომისტი, ოქროასხმული გოგონა იყო, რომლის შავ მაისურს დიდი ოქროსფერი ასოებით ეწერა: Oh my Gold!

GOD SAVE THE QUEEN

დიდი ბრიტანეთი (უფრო სწორად, all that's great about Britain): გარდა იმისა, რომ გეოგრაფიულად არიან გამოყოფილები, დასავლეთ ევროპისგან მათ სხვა რაღაცებიც განასხვავებთ. ძირითადად ეს არის ფუნტი, შენგენის ვიზის უძლურება იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ევროკავშირში არ შედიან, მანქანების საჭე მარჯვნივ (შესაბამისად, სხვა ყველაფერიც შეტრიალებულია) და ის, რომ არ ეხებათ გლობალური დათბობა.

ბაქოდან ბრიტანეთის აეროპორტში ჩამოფრენილისთვის თვალშისაცემად იცვლება ყველაფერი. პასპორტის შემოწმების გრძელ რიგებში მგზავრების უმეტესობა წიგნს კითხულობს (თხელყდიან წლის ბესტსელერს ალბათ), ყოველ შემთხვევაში, შიგნით იყურება და ხმაურიანი გარემოს მიმართ მშვიდ გულგრილობას ამჟღავნებს. აეროპორტის გათანგული მომსახურე პერსონალი, მიუხედავად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, არც დაღლილობას იმჩნევს და არც აგრესიას, ღიმილითა და მოთმინებით გეუბნება გამარჯობას, ნახვამდისს და გიხდის ბოდიშს და მადლობას. მართალია, ხვდები, რომ ეს ზრდილობა სრულიად ავტომატიზებულია, მაგრამ მაინც გსიამოვნებს. ყოველ შემთხვევაში, თავიდან...

შოტლანდია. მამაცი გული

მიუხედავად იმისა, რომ მაინცდამაინც არ ეამაყება, შოტლანდია დიდ ბრიტანეთის 1/4 ნაწილს წარმოადგენს და კუნძულების ჩრდილოეთი უკავია. „მამაცი გულით“ ცნობილი ისტორიული მიზეზების საფუძველზე, ინგლისის მიმართ დიდ სიმპათიას არ განიცდის და სწორედ საკუთარ თავს მიიჩნევს ნამდვილ ბრიტანეთად. საკანონმდებლო სისტემა საშუალებას აძლევს, ეს დამოკიდებულება ლეგიტიმურად გამოხატოს და დედოფალთან შეთანხმებით, დანარჩენი ბრიტანეთისგან მოკრძალებულად განსხვავებული კანონები დააწესოს, რაც ეროვნული თვითიდენ-

ტობის გამძაფრებაში ეხმარება. მაგალითად, ინგლისისგან განსხვავებით, შოტლანდია თავისი სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში სწავლის საფასურს თვითონ იხდის, უწევს უფასო დახმარებას ხანშიშესულებს, მოწევას საზოგადოებრივ ადგილებში წელიწადნახევრით უფრო ადრე კრძალავს, ვიდრე ინგლისი და ბრიტანულ ფუნტს დედოფლის ნაცვლად ზედ ეროვნულ (შოტლანდიელ) გმირებს ახატავს (როგორებიც არიან ფიზიკოსი ფარადეი, მწერალი სკოტი, შოტლანდიური ბანკის პირველი მმართველი...). მართალია, ამ ფუნტებს ზუსტად ისეთივე ძალა აქვთ, როგორიც დედოფლის გამოსახულებიანებს, მაგრამ ლონდონის მაღაზიების და კაფეების აფროამერიკელი მომსახურე პერსონალი მას ეჭვის თვალით უყურებს...

ინგლისისგან განსხვავებით, აფროამერიკელები და სხვა ფერადი რასის წარმომადგენლები შოტლანდიაში უფრო ტურისტების როლში გხვდებიან, ვიდრე მოქალაქეების. ინგლისისგან, ზოგადად, კიდევ ისიც განასხვავებთ, რომ უფრო თბილები არიან, ნაკლებად ფორმალურები, ზარმაცები, უპასუხისმგებლოები – მაგალითად, შეუძლიათ ტაქსი გააჩერონ და მძღოლს უთხრან, რომ ამ წუთას არა აქვთ ფული და ხვალ მიუტანენ; „ხვალ", რა თქმა უნდა, არ მიაქვთ, მაგრამ ერთი თვის მერე სადმე თუ გადაანყდებიან, ორჯერ მეტს მისცემენ; მზად არიან დახმარება გაგიწიონ, უანგაროდ დაგპატიჟონ პაბში სასმელზე...

ეს რომ არ არის შოტლანდიასთან დაკავშირებული ბევრი სტერეოტიპიდან ერთ-ერთი, მე თვითონ დავრწმუნდი: ერთ ზაფხულს, ჩემთან, თბილისში, ინგლისელი წყვილი იყო სტუმრად, ბიჭი და გოგო. ორი კვირა ჩემთან ცხოვრობდნენ, ვაჭმევდი, დამყავდა ყველგან, სადაც დავდიოდი და იქაც, სადაც სულ არ მინდოდა წასვლა; თუმცა საერთო მაინცდამაინც ბევრი არ გვქონდა: მაგალითად, ჩემი წიგნების თაროზე მოთავსებული ათასგვერდიანი წიგნი The Rough Guide to Rock („უხეში გზამკვლევი როკში"), ძალიან პატარა შოტლანდიური ქალაქის (მოსახლეობა ათას კაცს არ აღემატება), როკის უხეში გზამკვლევი ეგონათ; ამბობდნენ, დევიდ ბოუი კარგი ჯგუფია და ჩვენი საყვარელი მომღერალი დევიდ ბექჰემიაო. ერთხელაც სტუმრად წავიყვანე და გზაში 30-თეთრიანი შოკოლადი იყიდეს, მასპინძლისთვის. მასპინძელი თავისი ნამცხვრებით გაუმასპინძლდა, შოკოლადის გახსნა დაავიწყდა და იქვე მაგიდაზე დადო. წამოსვლის წინ ინგლისელმა გოგომ სტაცა ამ შოკოლადს ხელი და თან წამოიღო. მერე სადღაც გავისეირნეთ და ისე ცხელოდა, რომ შოკოლადი ჩაადნა ხელებში და იძულებული გახდა, გაეხსნა... ეს ინგლისელი გოგო შოტლანდიაში ცხოვრობს და რომ ჩავედი, ვიფიქრე, ვნახავ, გაუხარდება და წამიყვანს სადმე, ცოტას გამართობს-მეთქი. მაგრამ სულ ტყუილად – ერთხელაც არ დაურეკავს, ბევრს ვმუშაობო. დავურეკე, მოვალ, მე თვითონ გნახავ-მეთქი, ჩამაწერინა სამსახურის მისამართი, მივედი და შოკოლადის კაფეში არ დაუწყია მუშაობა?! რა გასაკვირია, იმ კაფედან მე არაფერი მერგო...

ყველა გამვლელი კმაყოფილი სახით მიღიმოდა და მეუბნებოდა: „გამარჯობა საყვარელო, რა მშვენიერი ამინდია, არა?!" – ამ ფრაზის პირველ ნაწილზე ვერაფერს იტყვი, მაგრამ მეორე საეჭვოდ ჟღერდა, მაშინ როცა აგვისტო იყო, ცაში – ღრუბლები და ტემპერატურა – 15 გრადუსი.

სამაგიეროდ, უცნობი შოტლანდიელების გულუხვობის ხარჯზე ეკონომია გავაკეთე პაბებში...

ეს გულუხვობა განსაკუთრებით დასავლეთ სანაპიროსთვისაა დამახასიათებელი, სადაც მდებარეობს შოტლანდიის ყველაზე დიდი ქალაქი გლაზგო. გლაზგოში (და დასავლეთ შოტლანდიაში საერთოდ), ისეთი აქცენტი აქვთ – თავიდან გგონია, რომ არაფერი აქვს საერთო ინგლისურთან. საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ქალაქია (შოტლანდიის მოსახლეობის ნახევა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ცხოვრობს) და, როგორც ყოფილი ინდუსტრიული ცენტრი, ამ ინდუსტრიულობის კვალს დღესაც ატარებს, ოღონდ ღირსეულად.

შოტლანდიის დედაქალაქი ედინბურგია, რომელიც აღმოსავლეთ მხარესაა და რომელიც დიდ ბრიტანეთში ჩასულ ტურისტებს ლონდონის მერე ყველაზე მეტად უყვართ, ეს განსაკუთრებით მას მერე, რაც ედინბურგში განთქმული საზაფხულო ფესტივალი ეწყობა, სადაც წარმოდგენილია ყველა ფორმის ხელოვნება ნებისმიერი გემოვნებისთვის შეღავათიან ფასებში (მათ შორისაა, მაგალითად, ქართული სპექტაკლებიც და ენდი უორჰოლის გამოფენაც). გარდა ამ უპირატესობისა, ედინბურგი კიდევ ბევრი სხვა რამითაა მიმზიდველი: არის გამორჩეულად ლამაზი, პატარაა დიდ ქალაქებთან შედარებით და ამავე დროს ძალიან ქალაქური განწყობა აქვს. ვალდებული ვარ აღვნიშნო, რომ არაა შემთხვევითი, რომ ედინბურგში ცხოვრობს ჰარი პოტერის ავტორი ჯეი ქეი როულინგი, მეტიც – პირველი ჰარი პოტერი სწორედ ედინბურგის ერთ-ერთ კაფეში დაწერა. და ედინბურგელია შერლოკ ჰოლმსის ავტორი არტურ კონან დოილიც. შოტლანდიურია ასევე დრიმ-პოპჟანრად კლასიფიცირებული ჯგუფი Cocteau Twins...

შემთხვევითი არაა-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ შოტლანდიასთან დაკავშირებული სტერეოტიპების მეორე ნახევარი, რომელიც არაა ასოცირებული კაბაში გამოწყობილ თმაგაწეწილ მელ გიბსონთან (ანუ მის გმირთან უილიამ უოლესთან), ასოცირებულია შოტლანდიურ მისტიკასთან: ყველას სმენია ალბათ ურჩხულ ნესის შესახებ, რომელიც ადგილობრივი ლეგენდების თანახმად, ტბა ნესში (Loch – ასე ეძახიან ტბებს შოტლადიში) ბინადრობს და ჯერაც არავინ იცის, როდის ამოყოფს თავს, რას დააშავებს და, საერთოდ, როგორ გამოიყურება. მიუხედავად ამისა, ნესის იმიჯი შექმნილია და მას რბილი სათამაშოების ფორმაში საპატიო ადგილი უჭირავს შოტლანდიის ტურისტულ მაღაზიებში.

შოტლანდიის ბუნებრივი გარემო მართლა ისეთია, რომ არაა გასაკვირი, მისტიფიცირების საშუალებას რომ იძლევა. აი, თუნდაც მე სადაც ვცხოვრობდი – დასავლეთ შოტლანდიაში, ატლანტის ოკეანის ყურეში მოქცეული პატარა ტურისტული ქალაქიდან 10 წუთის სავალზე, პატარა სოფელში – შუა საუკუნის ციხესიმაგრეებით, ცხვრებით მოფენილი მთებით, ტბებით და ოკეანით გარშემორტყმული...

I lost my faith in the summertime,
'Cause it don't stop raining
The sky all day is as black as night
But I'm not complaining
Oasis

პირველი შთაბეჭდილება, რაც სახლიდან გასულმა მივიღე ის იყო, რომ ყველა გამვლელი კმაყოფილი სახით მიღიმოდა და მეუბნებოდა: „გამარჯობა საყვარელო, რა მშვენიერი ამინდია, არა?!" – ამ ფრაზის პირველ ნაწილზე ვერაფერს იტყვი, მაგრამ მეორე საეჭვოდ ჟღერდა, მაშინ როცა აგვისტო იყო, ცაში – ღრუბლები და ტემპერატურა – 15 გრადუსი. თავიდან მიჭირდა გამვლელებთან დათანხმება, მაგრამ მერე ნელ-ნელა, როცა წვიმის გარეშე არ ჩაუვლია არც ერთ დღეს, კარგად მივხვდი, რას ნიშნავდა „მშვენიერი ამინდი" და, როცა ნელ-ნელა მე თვითონ დღე არ ჩამიგდია ამინდზე ლაპარაკის გარეშე, იმასაც მივხვდი, რატომაა ბრიტანელების ლაპარაკის მთავარი თემა ამინდი. მეტიც – მგონი, ზუსტად ამინდზე აქვთ აგებული მთელი თავანთი ტურიზმი: სუვენირების მაღაზიების დახლები აჭრელებულია ღია ბარათებით, რომელთა ძირითადი მოტივი წვიმაა. მაგალითად, ბარათზე გამოსახულია ოთხი სეზონი და ოთხივეში წვიმს, ან, მაგალითად, კმაყოფილი ტურისტები დგანან კამერებით ხელში და ერთმანეთს ეუბნებიან: „მმმ... რა კარგი ხედი იშლება სანაპიროზე!", არადა, ნისლისა და ღრუბლების გამო არც სანაპირო ჩანს და არც არაფერი.

ასეთ წვიმაში მარტო მე და ტურისტები ვსეირნობდით ქუჩებში გაბადრული სახეებით, ამიტომ, თუ ვიკარგებოდი, შანსი არ მქონდა, გამეგო სწორი გზა.

მეც შემიყვარდა წვიმა, განსაკუთრებით როცა გადაიღებდა ხოლმე.

ძალიან შემიყვარდა ვისკიც, განსაკუთრებით მისი დალევა. ცხადია, წვიმის გარდა, სწორედ ვისკი წარმოადგენს შოტლანდიური ტურიზმის საამაყო კომპონენტს (რომ აღარაფერი ვთქვათ უნისექს ქვედაბოლოზე – კილტზე).

ოღონდ პაბებში, როგორც წესი, ადგილობრივები ლუდს სვამენ.

A cold and frosty morning, there's not a lot to say
About the things caught in my mind
Oasis

ეს ის სიმღერაა, რომელიც პაბში ყოფნის მეორე დილას უნდა იღიღინო... ადგილობრივებისთვის პაბში წასვლა საღამოს მძიმე დღის განტვირთვასავითაა, რაც გამოიხატება უამრავი ლუდის ძალიან ჩქარა დალევაში. სიგარეტის მოწევა პაბში აკრძალულია, ამიტომ ღამით ქუჩაში ერთად მოგროვილ ბევრ ხმაურიან ტიპს თუ დაინახავ, ეს ნიშნავს, რომ პაბის წინ დგანან და ეწევიან.

პაბში ყველა ძალიან კეთილგანწყობილია და ბედნიერად გრძნობს თავს. გოგოები Spice Girls-ის ემა ბანტონის ვარიაციებს გვანან, ბიჭები – რობერტ კარლაილს (პოპულარული შოტლანდიელი მსახიობის, ჩვენთან ცნობილი ფილმიდან „ფორმულა 51", რომელსაც სინამდვილეში „51-ე შტატი" ჰქვია და მეტ-ნაკლებად ცნობილი „ტრეინსპოტინგიდან" და ალბათ კიდევ უფრო ნაკლებად ცნობილი სხვა ცნობილი ფილმებიდან, რომლებსაც აღარ ჩამოვთვლი). სულ მეგონა, რომ ყველა ძალიან ლიტერატურული ენით ლაპარაკობს, ალბათ იმიტომ, რომ ირვინ უელში მაქვს წაკითხული.

შოტლანდიის ყველაზე იაფფასიან პაბში იმაზე უკეთესი მუსიკაა, რაც საქართველოს ყველაზე კარგ კონცერტზე...

ჩემი სამსახური: იმისთვის, რომ საღამოს პაბში გატარებას ჩემთვისაც ისეთივე მნიშვნელობა ჰქონოდა, როგორიც ჭეშმარიტი შოტლანდიელი ახალგაზრდისთვის, დავიწყე მუშაობა. ჩემი სამსახური ცოტათი მამაჩემის მიერ ჩემთვის გამოგონილ არარსებულ პროფესიას ჰგავდა, რაც გულისხმობდა ფირფიტების (ჯერ) და CD-ების (მერე) გამხვრეტის თანამდებობას. ჩემი ნამდვილი სამსახური კი ყუთების კეთებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობდა და ქალაქის ბევრიდან ერთ-ერთ – „თევზისა და ჩიფსების“ მაღაზიაში მდებარეობდა (სხვათა შორის, თევზი და ჩიფსები კვერცხსა და ბეკონზე არანაკლებ ნაციონალური ბრიტანული კერძია): მოკლედ, მაღაზიაში წვავდნენ ამ თევზს და ჩიფსებს და ჩემი მოვალეობა იყო ყუთისთვის განკუთვნილი ბრტყელი მუყაოს ნაჭერი ყუთად მექცია, რომელშიც მერე თევზს და კარტოფილს ჩადებდნენ და გაყიდდნენ. შემოქმედებითი პროცესი იყო-მეთქი, ვერ ვიტყვი... ჩემი შემოქმედების მაქსიმუმი, რაც ამ სამსახურში გავაკეთე ის იყო, რომ ერთ სამუშაო დღეს ყუთებში პასტით ჩავწერე: Eat Me („შემჭამე“).

პოლონეთი: ერთი შეხედვით, პოლონეთი შოტლანდიასთან არანაირ კავშირშია, მაგრამ საკმარისია ერთი კვირა გაჩერდე იქ, რომ მიხვდები, – არის. ევროკავშირში ყოფნის უპირატესობები პოლონელებს საშუალებას აძლევთ ვიზის გარეშე იარონ ევროპაში და იმუშაონ რამდენიც უნდათ. ჩემს სამსახურში უფრო მეტი პოლონელი იყო, ვიდრე ადგილობრივი და მუშაობისას სულ ერთ სიტყვას გაიძახოდნენ: „კურვა“. ბოლოს ვკითხე, რა არის-მეთქი და გინების ეკვივალენტი აღმოჩნდა („ბოზს“ ნიშნავს, თუ არ ვცდები). ქართული გინება არ ვასწავლე, იმიტომ, რომ ხანდახან მაგათაც ვაგინებდი და საერთოდ იმდენს ვიგინებოდი, რამდენიც მინდოდა... ჩემგან განსხვავებით, პოლონელები თურმე ძალიან მშრომელები ყოფილან, ყველა სამუშაოს იაფად (მაგათ გამო გამომუშავებით სამუშაოებზე ანაზღაურებებმაც დაიწია თურმე) და ხარისხიანად ასრულებენ და გამალებით ხვეტენ, ხეხავენ, რეცხავენ, წმენდენ, ბოლოს სლოგანიც კი მოვუფიქრე: Polish people polish well („პოლონელები კარგად აპრიალებენ“). იქ ყოფნისას ქართველმა მეგობარმა დამირეკა ლონდონიდან, პოლონელი ცოლი უნდა მოვიყვანოო, ეტყობა ევროკავშირში მოუნდა შესვლა...

როულინგისგან განსხვავებით, ისე დავტოვე შოტლანდია, რომ არაფერი დამიწერია და გავეშურე სამხრეთისკენ, ლონდონში...

ამდენი აქეთ-იქით სიარული ლონდონში ნიშნავს ნახევარი დღის მიწისქვეშ გატარებას – მეტროში; ნაწილობრივ, ამიტომაა, რომ ლონდონის მეტროს ლოგო ლონდონიდან ჩამოტანილი ერთ-ერთი აუცილებელი სუვენირია.

ლონდონი. MAGICAL MYSTERY TOUR

შოტლანდიიდან ინგლისამდე დამაკავშირა მატარებელმა, რომელშიც 6 საათი გავატარე, მაგრამ ეს დრო ტანჯვის მაგივრად სიამოვნებას მანიჭებდა და ერთი წამით არ მომიწყვეტია თვალი ფანჯრისთვის, სადაც პეიზაჟების ცვენა იყო ჩრდილოეთის ზღვის, ინგლისის ქალაქების, სოფლებისა და სადგურების სახით. თუმცა ეს იმანაც განაპირობა, რომ სულ არ მინდოდა ფანჯრის მოპირდაპირე მხარეს გახედვა, სადაც ერთი ჟღალი ბიჭი იჯდა და ხან თან წამოღებულ ხახვის ბუტერბროდებს ჭამდა, ხან პორნო-ჟურნალებს ათვალიერებდა და ხან უზარმაზარ გაზეთებს, რომელსაც დრო და დრო ზედ მაფარებდა.

ექვსი საათი ექვს წამში გავიდა-მეთქი, მაინც ვერ ვიტყვი, მაგრამ გავიდა...

ასე ჩავედი ლონდონში ერთ-ერთი მეტროს სადგურზე, სადაც მერე კიდევ არაერთხელ მომიწია ჩასვლა.

London calling at the top of the dial…
The Clash

ტურისტები მაინცდამაინც არ მიყვარს – დაქანცულობას რომ არ იმჩნევენ და ზურგჩანთებით, გზამკვლევებითა და რუკებით რომ დადიან ქუჩებში და მოღიმარი სახეებით რომ უყურებენ ყველა იმ ღირშესანიშნაობას, რაზეც მათ გზამკვლევებში წერია, რომ უნდა შეხედონ. არ მიყვარს მეტროში დიდი ჩემოდნებით რომ შემოდიან აეროპორტისკენ მიმავლები (მიუხედავად ამისა, მეც იგივე გავაკეთე) და, შესაბამისად, ყველაზე ნაკლებად ის მიყვარს, ტურისტად რომ ვგრძნობ თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ განცდის თავიდან ასაცილებლად, ვიფიქრე, კარგი იქნება ისეთ ადგილებში წავიდე, რაც არ შედის Places to Visit (მოსანახულებელი ადგილები) სიაში-მეთქი. თუმცა ამის განხორციელება იმდენად ძნელია, რამდენადაც დიდია ლონდონი, სადაც ორიენტირება ჩემთვის ძალიან რთული იყო და რთული დასაჭერი იყო კავშირი ქალაქის რუკასა და ცოცხალ ქალაქს შორის. რთული იყო მიწისქვეშა სისტემაში გარკვევაც, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ძველი და გრძელია.

ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ არიან შენი მასპინძლები. ჩემი მასპინძლები ბევრად უკეთესები აღმოჩნდნენ, ვიდრე ველოდი!

ყველაფერ ზემოთქმულის მიუხედავად და გათვალისწინებით, ჩემ მიერ მონახულებული ადგილების სია კარდინალურად არ განსხვავდებოდა ლონდონის პლაცეს ტო ვისიტ სიისგან.

Summertime to talk and swear...
We could walk through Leicester Square
Red Hot Chili Peppers

გასაკვირი არაა, რომ Red Hot Chili Peppers-ი ამერიკული ჯგუფია, თორემ ბრიტანელს თავში არ მოუვიდოდა ლესტერ სკვეარზე გოგოსთან ერთად სეირნობაზე ემღერა. როგორც ჩემმა მასპინძელმა მითხრა, ლესტერ სკვეარი იგივეა, რაც თბილისში რუსთაველი. ამ ქუჩაზე ყველას ნახავ ინგლისელის გარდა, ირგვლივ საჭმლის სუნი დგას და ჩინელების ფუსფუსია (იმიტომ, რომ იქვეა Chinatown – ჩინელების რესტორნებით და მაღაზიებით სავსე უბანი), იმდენი ხალხია, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევ.

აქვეა კიდევ უფრო ხმაურიანი პიკადილი სირკუსი. სწორედ პიკადილიზეა პოპკულტურის ნაწილად ქცეული დიდი სარეკლამო ბილბორდი.

და აქვეა ისტორიული ტრაფალგარ სკვეარი. აქ „ნაციონალურ გალერეასთან“ ამავალ დიდ კიბეებზე უნდა დაჯდე, შადრევნებით გარშემორტყმულ ადმირალ ნელსონის ძეგლს უყურო და მტრედები დაისვა თავზე, რომლებიც ამ ადგილის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენენ. რამდენიმე წლის წინ ამ ღირსშესანიშნაობის ნაწილს ტურისტების მიერ მათი გამოკვება შეადგენდა, რაც ბოლოს აკრძალეს მოედნის ფარგლებში, რადგან იყო რაღაც ინციდენტები. მერე მტრედების რაოდენობაც შეამცირეს, იმიტომ, რომ სკინტლით იყო დასვრილი მთელი ნაგებობები. აქ სპეციალური ორგანიზაცია – „გადაარჩინე ტრაფალგარ სკვეარის მტრედები“ – გამოვიდა მტრედების უფლებების დასაცავად, მაგრამ საბოლოოდ მაინც მერიამ გაიმარჯვა. ერთი სიტყვით, როგორც დანარჩენები, ჩვენც დავსხედით კიბეებზე და მტრედები თვითონ გვაცლიდნენ პირიდან ნაყინს. ზუსტად ტრაფალგარ სკვეარზე ვნახე პირველი უცნობი ქართველი ლონდონში: მას მერე რაც ნახევარი საათი გვერდით გვეჯდა და მოისმინა ჩემი და ჩემი მეგობრის დიალოგი, მოგვესალმა და თქვენც ქართველები ხართო, გვკითხა. 15 წელია არ ვყოფილვარ საქართველოშიო და მასზე უფრო ცუდი წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე მე ავღანეთზე (სადაც არასდროს ვყოფილვარ). ამ დროს ჩვენი მეგობარი მოვიდა (ნიკა კოჩაროვი), რომელსაც ეს ქართველი კაცი ინგლისურად მიესალმა და როცა გაიგო, რომ ქართველი იყო, შეცბუნება ვერ დამალა და უთხრა, ალბათ მაგრა გეშინია საქართველოში ჩასვლა, ეგრე რო გამოიყურებიო...

ისე, უცნობი ქართველები კვირაში ორჯერ მაინც გხვდებიან ქუჩაში. ყველაზე მეტი ქართველი ერთად DJ-ი სიხას კონცერტზე ვნახე. შინაურულ ლაპარაკს მიწყებდნენ, ოღონდ მე ჯერ არ მქონდა საერთოდ საქართველოს ნოსტალგია, მაგათგან განსხვავებით...

თუმცა ქართველების რაოდენობას ლონდონში თავისთავად ვერ შეედრება არათეთრი ეთნიკურობის მქონე მოსახლეობის ოდენობა – ინგლისის ყველა ყოფილი კოლონია, მგონი, ლონდონშია გადმოსული. ყველაზე მეტნი ინდოელები არიან, მერე იამაიკელები, ნიგერიელები, პაკისტანელები, შრი ლანკელები, სამხრეთ აფრიკელები, თურქები... მიუხედავად იმისა, რომ პოლიტკორექტულობის ეპოქაა, უნდა აღვნიშნო, რომ წესებს უფრო მეტად ეს ეთნიკური ჯგუფები არღვევენ, მაგალითად, ღამის 11 საათის მერე ყიდიან ალკოჰოლს თავიანთ მაღაზიებში, რაც დიდი ბრიტანეთის კანონით იკრძალება.

მუზეუმები: მუზეუმები უხვადაა ლონდონში, მაგრამ მე მარტო ორ მათგანს ვეწვიე – „ტეიტ მოდერნს“ და „საიანს მუზეუმს“. „ტეიტი“ ჩემი იქ მისვლიდან ერთ საათში დაიხურა, რაც იმას ნიშნავს, რომ მარტო ერთი სართულის პატარა მონაკვეთის დათვალიერება მოვასწარი. სამაგიეროდ, „ტეიტთან“ მდინარე ტემზის პირას კაფეში ვიჯექი, მერე გავიარე „მილენიუმ ბრიჯზე“ და გავისეირნე ლონდონის იმ მხარეს, სადაც ბევრი ახალი და შთამბეჭდავი შენობაა. „საიანს მუზეუმში“ პირველად რომ მივედი, იმხელა რიგი იყო, რომ მუზეუმში არასდროს აღარ წავალ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ერთხელაც შემთხვევით რომ ჩავუარე, არ იყო რიგი და შევედი, შევედი და შევედი...

And still we say come back, come back to Camden
მორისი

სტატისტიკურად ყველაზე მეტჯერ ორ ადგილას ვიყავი: ბრიკლეინზე და ქამდენ თაუნში. ეს ორი ადგილი ლონდონის სხვადასხვა მხარეებშია (ერთი აღმოსავლეთში, მეორე – ჩრდილოეთში), მაგრამ საერთო ის აქვთ, რომ ორივე ახალგაზრდებისა და ალტერნატიულების საყვარელი ადგილებია.

საუკუნის დასაწყისში ბრიკლეინი სოფლად ითვლებოდა და ლონდონში სამუშაოს საძებნელად ჩასული ბევრი ემიგრანტი (ებრაელები, ინდოელები) ცხოვრობდა იქ; ჯერ კიდევ 10 წლის წინ ინდუსტრიული ცენტრი იყო და მერე ნელ-ნელა პანკურ უბნად აქციეს, დამოუკიდებელმა დიზაინერებმა და არტისტებმა დაიწყეს თავიანთი ნამუშევრების გამოტანა, ღამის კლუბები გახსნეს, გრაფიტით მორთეს – ბრიკლეინზეა, სხვათა შორის, ბენქსის ერთ-ერთი ნამუშევარი (ვარდისფერი მანქანა) და შიგადაშიგ პატარ-პატარა სტენსილებიცაა. სწორედ ამ უბანშია ლონდონის წამყვანი ვინტიჯ-მაღაზიები. ყველაზე კარგი კი ისაა, რომ იქ

ერთი მოკლუბო ბარის (1001) წინ საკმაოდ გემრიელი ბურგერები იყიდება, რომელსაც შენ თვალწინ აკეთებენ და რასაც გინდა, იმას ჩაადებინებ შიგნით. ამის ჭამა რიტუალი იყო ბრიკლეინზე ყოფნისას.

რაც შეეხება ქამდენ თაუნს, ეს ძირძველი ლონდონური უბანია – ასევე სუბკულტურათა თავშეყრის ადგილი და ლონდონის ისეთ ნაწილშია (ჩრდილოეთში), სადაც სიამოვნებით ვიცხოვრებდი. მეტროდან ამოსულს აუცილებლად დაგხვდება შავკანიანი და რამე ნარკოტიკს უსასყიდლოდ შემოგთავაზებს (მთავარია არ გამოართვა). ქამდენ თაუნშია ბაზრობა, ნოთინგ ჰილის პორტობელო მარკეტზე (რომელსაც ერთი დღე დავუთმე) არანაკლებ განთქმული. ამ ბაზრობას ვერც ერთხელ ვერ მივუსწარი, მოსწრების იმედით მივდიოდით ხოლმე და ერთსა და იმავე კაფეში ვსხდებოდით.

მაგრამ ეს ამდენი აქეთ-იქით სიარული ლონდონში ნიშნავს ნახევარი დღის მიწისქვეშ გატარებას – მეტროში; ნაწილობრივ, ამიტომაა, რომ ლონდონის მეტროს ლოგო ლონდონიდან ჩამოტანილი ერთ-ერთი აუცილებელი სუვენირია. თავიდან მეტროს სადგურებიც გალერეებივით გეჩვენება, ამ მხრივ, სხვათა შორის, ჩვენი ქუჩის, გლოსტერ როუდის სადგური გამოირჩეოდა – ინსტალაციებით. ყველა სადგურთან უფასო გაზეთები რიგდება, რომლებსაც გზაში კითხულობენ და რომლებშიც წერია ჭორები ლოკალური პოპსტარების შესახებ და ჩვეულებრივი ახალი ამბების სკანდალური ვარიაციები (დაახლოებით ლონდონის „სარკესავითაა"). მეტროს თანამშრომლები წამდაუწუმ იფიცებიან და საშინელ საცობებსა და დაბნეულობებს ქმნიან ქალაქში, იმიტომ, რომ მეტროს ზოგი ხაზი იკეტება და უფრო მეტი გადაჯდომა გიწევს, ვიდრე ჩვეულებრივი მგზავრობისას.

არანაკლები დაბნეულობაა მიწის ზემოთ. ჩემთვის უფრო მეტად – შეტრიალებული მოძრაობის გამო, განსაკუთრებით დიდ ქუჩებზე (მართალია, ყველა გადასასვლელს აწერია: „გაიხედე მარჯვნივ", „გაიხედე მარცხნივ", მაგრამ სულ უკუღმა ვიყურებოდი, ძლივს



ამ ალბომთან დაკავშირებული უამრავი ლეგენდიდან ერთ-ერთის თანახმად, BEATLES-ს მისთვის EVEREST უნდა დაერქმია, მაგრამ დაეზარათ ფოტოს გადასაღებად ჰიმალაიზე გამგზავრება და იქვე, საკუთარი სტუდიის წინ გადაიღეს ფოტო.

შევეჩვიე და ეხლა აქ ძლივს გადავდივარ ქუჩაზე): ვთქვათ, მივუყვებოდი ქუჩას ერთი მიმართულებით, შევიდოდი მაღაზიაში, გამოვიდოდი, გადავიდოდი მეორე მხარეს, გადმოვიდოდი უკან და ცოტა ხანში იმავე მაღაზიაში შევიდოდი, სადაც პირველად ვიყავი.

ადგილი, სად წასვლასაც ჩვენი სახლიდან ტრანსპორტი არ სჭირდება, ჰაიდ-პარკია – ლონდონის ერთ-ერთი უზარმაზარი პარკი. იმხელა, რომ 1969 წელს „როლინგ სთოუნზის" კონცერტზე იქ ნახევარი მილიონი ადამიანი მივიდა. ამ კონცერტის ჩანაწერი ბავშვობაში ნანახი კონცერტებიდან ჩემი ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება იყო. საერთოდ, ასეთივე და უფრო მასობრივ ისტორიულ კვალს თითქმის მთელი ლონდონი ატარებს, მაგრამ იქ ყოფნისას ამის განცდას ისე ვერ ახერხებ, როგორც ფილმების ან ფოტოების ყურებისას.

Always stays the same, nothig ever changes,
English summer rain seems to last for ages
Placebo

სახლში გატარებული დრო: ყველა სტერეოტიპის ჯინაზე ლონდონში ჩემი ყოფნის დღეს არც ერთხელ არ უწვიმია. სამაგიეროდ, Placebo-ს ვუსმენდით ხოლმე, და საერთოდ, სახლში გატარებული დრო ძალიან კარგი მოგონებაა. ეს დრო გადიოდა სახლის კედელზე „ყვითელი წყალქვეშა ნავის" დახატვაში, ჩიფსების მოხატვაში, სიმღერაში, დაკვრაში, როკ-ენ-როლ-გამოცანების თამაშში და ათას სასარგებლო რამეში.

Let me take you down to ... Abbey Road

ეროვნული ბიბლიოთეკა

(აბა Strawberry Fields-ი ნიუ-იორკის სენტრალ პარკში 2,5 აკრის ნაკვეთია, ლენონის საპატივცემულოდ 1985 წელს მის დაბადების დღეზე გახსნილი...).

ლონდონის ღირსშესანიშნაობებიდან საკმოდ მნიშვნელოვანი ადგილი ბოლოსთვის მოვიტოვე. ეს ადგილი ერთ-ერთი ქუჩის, ები როუდის გადასასვლელია, რომელსაც სახელი გაუთქვა მსოფლიოში ყველაზე ცნობილმა ლივერპულელმა ოთხეულმა იმით, რომ ამ ქუჩაზე არსებული სტუდიიდან – EMI Abbey Road Studios – გამოვიდა, ზედ გაიარა, ამ დროს ფოტო გადაიღო და ეს ფოტო თავისი 1969 წლის უკანასკნელი, ამავე სახელწოდების (Abbey Road) ალბომის ყდად აქცია. სწორედ ასე გახდა ები როუდზე მდებარე გადასასვლელი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი. მას მერე ზედ ათასმა ყ*ემ გადაირა და ტურისტული თვალსაზრისით, დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა შეიძინა, როგორიც ბიგ-ბენმა. ამიტომაცაა, რომ Abby Road-ის ყდა დღეს უკვე იმდენი პაროდირებული სახით გვხვდება, რამდენითაც, ვთქვათ, მონა ლიზა.

ამ ალბომთან დაკავშირებული უამრავი ლეგენდიდან ერთ-ერთის თანახმად, Beatles-ს მისთვის Everest უნდა დაერქმია, მაგრამ დაეზარათ ფოტოს გადასაღებად ჰიმალაიზე გამგზავრება და იქვე, საკუთარი სტუდიის წინ გადაიღეს ფოტო.

ლეგენდაზე დაყრდნობით, ჩვენც დაგვეზარა ები როუდზე წასვლა და იქვე, სახლის წინ, გლოსტერ როუდზე გადავიღეთ ფოტო.

სინამდვილეში ესეც ლეგენდაა და, რა თქმა უნდა, წავედით ები როუდზე და ვიარეთ წინ და უკან გადასასვლელზე, რითაც მოძრაობას ვაფერხებდით, იმიტომ, რომ ეს იმ ტიპის გადასასვლელთაგანია, სადაც, როცა არ უნდა გადახვიდე, მანქანა იძულებულია, გაჩერდეს. ამის მერე იქვე, Beatles-ის სუვენირების ძალიან პატარა მაღაზიაში შევედით, სადაც ათასი უხარისხო ნივთი იყიდებოდა Beatles-ის ალბომების გამოსახულებებით. ამის მიუხედავად, გონება დაგვებურა და ყველაფრის ყიდვა მოგვინდა, და რომ გამოვედით, აღმოჩნდა, რომ ეს Beatles-ის კი არა, პირველ რიგში, ყავის მაღაზია იყო.

დიდ ბრიტანეთში არსებული ტრადიციის მიხედვით, კონცერტები ეროვნული ჰიმნის – God Save the Queen – სიმღერით სრულდება. არც Beatles-ს დავიწყებია დედოფალი თავისი უკანასკნელი ალბომის უკანასკნელ სიმღერაში The End და, როგორც pretty nice girl („პატარა საყვარელი გოგონა") მოიხსენია. ასე დაასრულა Beatles-მა თავისი რვაწლიანი კონცერტი.

მიუხედავად იმისა, რომ მე ჯერ კარიერის დასრულებას არ ვაპირებ, წერილს დიდი ბრიტანული ტრადიციების შესაფერისად დავასრულებ:

God save the Queen.

P.S. დიდი მადლობა ნინას და ნიკას

creative home

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკორატიული აქსესუარები თქვენი ინტერიერისათვის

თბილისი, ჭავჭავაძის 34 , სავაჭრო ცენტრი პიქსელი
ტელ: +995 32 2183507
ქავთარაძის 1, ჰიპერმარკეტი გუდვილი
ტელ:+995 32 2145014

ბათუმი, მემედ აბაშიძის 44
ტელ: 422 2359004

http://www.facebook.com/pages/Creative-Home/

pepsi
Sandora
Samsung
GALAXY S4
pepsi
Tbilisi
OPEN
AIR
MUSIC BREAKS FREE
Nemiroff
Nemiroff
Nemiroff



OPEN AIR 2013

ანუ თავისუფალი იმპროვიზაცია თემაზე – გვჭირდება თუ არა როკფესტივალები

ავტორი: გია ხადური
ფოტო: ეკატერინე მახათაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ უამრავ მუსიკალურ ფესტივალთაგან, რომელიც ყოველწლიურად ტარდება მსოფლიოში, ყველაზე მასშტაბური და რეზონანსული, რა თქმა უნდა, ე.წ. როკფესტივალებია. თუ რატომ, რა მიზეზით ხდება ასე, ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. მთავარია, რომ სანამ როკმუსიკა იქნება ახალგაზრდული მუსიკალური კულტურის დასაყრდენი (და არა მარტო მუსიკალურის), და სანამ ახალგაზრდობა იქნება ყველაზე „მოცლილი", „უდარდელი" და დაინტერესებული ფენა საზოგადოებისა, მრავალ ათეულ (და ხანდახან ასეულ) ათასიანი პუბლიკით როკფესტივალები უზრუნველყოფილი იქნებიან. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი წარმომადგენლობითი როკფესტივალი უაღრესად კომერციულია, თანაც, არ დაგვავიწყდეთ, რომ დღესდღეობით ჩანაწერების დიდი ტირაჟებით გაყიდვა პრობლემაა (გასაგები მიზეზების გამო) და ამიტომ მთელი აქცენტი კონცერტებზე კეთდება (არადა, ადრე პირიქით იყო). ეს კიდევ უფრო ზრდის ფესტივალების მნიშვნელობას, რადგანაც პუბლიკას შესაძლებლობა ეძლევა, ერთდროულად უამრავი ბენდის კონცერტს დაესწროს; ხოლო რაც უფრო ბევრი და სახელოვანი არტისტი იღებს მასში მონაწილეობას, მით უფრო მომგებიანი ხდება ფესტივალი. ეს კი გეომეტრიული პროგრესიით ზრდის აუდიტორიის რაოდენობას.

ასეთი მსხვილი ფესტივალების პრობლემა ისაა, რომ, რაც უნდა გენიალური „ზვუკაჩების" მიერ იყოს დარეგულირებული საუნდი, უზარმაზარ ღია სივრცეში მაინც იფანტება, იკარგება და დეფორმირდება (ის, რაც ჩვენ გვესმის ლაივჩანაწერებზე, მიქშერიდან მიღებული, გაფილტრულ-გასწორებული საუნდია და ცოტა რამ აქვს საერთო იმ ჟღერადობასთან, რაც უშუალოდ კონცერტის დროს ისმინება). ამიტომაც, როცა პუბლიკას ესმის უკვე ნაცნობი, თავში გამჯდარი სიმღერები, ის ხარვეზებს ყურადღებას არ აქცევს, ხოლო უცნობი, თუნდაც ძალიან მაგარი სიმღერის მოსმენისას, მოწყენილია. სწორედ ამიტომ არის პრობლემა გამომსვლელთა სიაში ახალი, უცნობი არტისტების შეყვანაც. მაგრამ ორგანიზატორებმა იციან, რომ ერთი-ორი ახალბედა მაინც უნდა გამოიყვანონ, რომელთაგან ზოგს სახელგანთქმული არტისტები უწევენ პროტექციას, ზოგსაც – გავლენიანი, ე.წ. მუსიკალური მენტორები. ხშირად სწორედ ასეთი ფესტივალების შემდეგ იქცევენ ახალბედა, უცნობი არტისტები პრესის, პუბლიკისა თუ „პრომოუტერების" ყურადღებას და გარკვეულ წარმატებასაც აღწევენ, ეს კი ფესტივალის მესვეურებისა და ზოგადად ფესტივალის პრესტიჟია. აი, ამ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორც კარგად აწყობილი კრეატიულ-კომერციული მექანიზმი, ისე მუშაობს მსხვილი (ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას) საფესტივალო სისტემა დასავლეთში და სპონსორებმაც კარგად იციან, რომ წაგებაში არასდროს იქნებიან.

ახლა გადმოვინაცვლოთ ჩვენს სამწუხარო რეალობაში და ვთქვათ, დგას თუ არა იგივე მოცემულობა ფესტივალ Open Air-ის მესვეურების წინაშე? რა თქმა უნდა – არა. უფრო სწორად, ვერა. ეს ობიექტური რეალობაა და მათ ნება-სურვილზე არც არის დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, აქვს თუ არა აზრი ჩვენში მასშტაბური, ე. წ. საერთაშორისო როკფესტივალების ჩატარებას, როცა მას არ მოაქვს არც კომერციული და (ჯერჯერობით) არც კულტურული ხეირი? – ვფიქრობთ, რომ აქვს. ჯერ ერთი, წლევანდელი ფესტივალი უფრო დახვეწილი იყო, ვიდრე წინა სამი; მეორეც, ფესტივალის ორგანიზატორებისთვის ეს ღირსების საკითხად იქცა, რაც სამომავლო პერსპექტივისთვის ძალიან მნიშვნელოვანია; და მესამე, მარტო ის რად ღირს, რომ თურმე იმატა იმ ხალხის რაოდენობამაც, რომელმაც ბილეთში ფულის გადახდა არჩია „ზაბეკალოვკაში" გასკდომას. ასე რომ, გარკვეული პროგრესი სახეზეა და ამ საქმეს პერსპექტივა აქვს. მაგრამ სანამ წლევანდელ Open Air-ს „ჩაუღრმავდებით", აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ წინა ფესტივალები, რომლებიც თითქმის ყოველი მხრიდან ძალიან ბევრ და ხშირად ნეგატიურ მითქმა-მოთქმას იწვევდა.

ერთი რამ ფაქტია, რამდენიმედღიანი ფესტივალი ჩვენში... არ, მაგრამ დიდი ფუფუნება, სრული უაზრობაცაა, სახსრების ფუჭად ფლანგვა, შემსრულებელთა გაზრდილი რაოდენობა, რომელიც ხარისხში ვერ გადადის – ეს ყველაფერი მოსაწყენი ხდება. მით უმეტეს, რომ ჩვენი აუდიტორია ასეთ ფესტივალებს შეუჩვეველია და სწრაფად იღლება. ამ კუთხით მსოფლიო ფესტივალები, სადაც ყოველდღე უამრავი საქვეყნოდ ცნობილი კოლექტივი გამოდის (ლეგენდებზე აღარ ვლაპარაკობ), მაგალითად არ გამოდგება. ერთ-ერთ მთავარ პრეტენზიად ორგანიზატორებს უყენებდნენ სწორედ უცნობი არტისტების ჩამოყვანას იმ ფასად, რომელსაც ეს არტისტები არ იმსახურებდნენ. ეს პრეტენზიები გარკვეულწილად სამართლიანია, რადგან კიდევ ერთხელ ვამბობ, დიდ ფესტივალებზე ბევრი ხალხი სახელოვანი ბენდების გამო მოდის და არა მათი ყურისთვის უცნობი, თუნდაც ძალიან მაგარი მუსიკის მოსასმენად (მსგავსი ფესტივალების ფუნქციაში ეს არც შედის), უბრალოდ შეგიძლია ერთი-ორი უცნობიც შეაპარო (ვუდსტოკშიც კი ასე იყო), მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ დიდი ბენდები დიდი ფული ღირს. შარშან მონტროს ჯაზფესტივალზე, Radiohead-ს 1 000 000 გადაუხადეს, და რაღაზეა აქ ლაპარაკი! ამიტომ ბიუჯეტიდან გამომდინარე, ყოველთვის უკეთესია, ჩამოიყვანო რამდენიმე, მაგრამ ნაცნობი გაპიარებული ჯგუფი, თანაც მხოლოდ ერთი დღით. ამ პრინციპის უპირატესობა ნათლად გამოჩნდა წელს.

უკვე რამდენიმე წელია ჩვენი მუსიკოსებისგან მესმის პრეტენზიები, რომ Open Air-ის მესვეურები თავიანთ ფესტივალებზე ქართულ ჯგუფებს არ აძლევენ უცხოელებთან ერთად თავის გამოჩენის საშუალებას, ხოლო ვინც გამოჰყავთ, გაცილებით ცოტას უხდიან ჩამოსულებთან შედარებით; და ეს მაშინ, როცა ჩამოსულები არაფრით არ არიან ადგილობრივებზე უკეთესნი. უაღრესად დელიკატური საკითხია, მე არ ვიცნობ ამ ურთიერთობების სამზარეულოს, მაგრამ ვიცი ის, რომ არტისტებისთვის გადასახდელი თანხის ოდენობა არც მათი მუსიკის ხარისხით

Winston

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲕᲘᲜᲡᲢᲝᲜᲘ

FREEDOM ISLAND

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ

*ᲐᲥᲪᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ ᲛᲘᲘᲦᲔ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲪᲘᲔ ᲨᲔᲜᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲓ

*ᲩᲐᲠᲗᲔ ᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲔ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ.
ᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲘᲨᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲬᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ.
ᲐᲥᲪᲘᲐ ᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲕᲔᲑ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ WWW.WINSTON.GE ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲗ.
ᲐᲥᲪᲘᲐ ᲫᲚᲐᲨᲘᲐ 2013 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ 2013 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲛᲓᲔ.

WWW.WINSTON.GE

ᲡᲗᲔᲘ ᲗᲠᲣ

STAY TRUE

ᲛᲝᲬᲔᲕᲐ ᲙᲚᲐᲕᲡ
ᲛᲝᲬᲔᲕᲐ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲙᲐᲜᲘᲡ
ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕ ᲓᲐᲑᲔᲠᲔᲑᲐᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაზღვრება და არც იმით, თუ რას ფიქრობენ მათზე კრიტიკოსები. უფრო ძვირი ღირს ის, ვისაც პოტენციურად მეტი ხალხის მოყვანა შეუძლია. და კიდევ, მინდა გითხრათ, რომ ჩვენს შემსრულებლებს შორის ძალიან ცოტაა ისეთი, რომელიც მზადაა გაშლილ, დიდ სივრცეში, სადაც პოტენციურად 50 000-იანი პუბლიკის შეკრება შეიძლება და სადაც საუნდი ნებისმიერ შემთხვევაში იკარგება, ხარისხიანი კონცერტი ჩაატაროს. ასეთ კონცერტზე სულ სხვა მოცემულობაა, სულ სხვა გამოცდილებაა აქ საჭირო, სულ სხვა ვარჯიში და საშემსრულებლო ტექნიკა და, ბოლოს და ბოლოს, სულ სხვა ენერგეტიკული რესურსი. თავის დროზე მაილს დევისსაც კი, როდესაც მან პატარა დარბაზებიდან დიდ სტადიონებზე გადაინაცვლა, უზარმაზარი ძალისხმევა დასჭირდა თავისი მუსიკის პრეზენტაციისთვის, რისთვისაც მხოლოდ ნიჭი არ აღმოჩნდა საკმარისი. ამის მკაფიო მაგალითია წლევანდელ ფესტივალზე გამოსული ჯგუფი The Subway. მელოდიურად მათი მუსიკა ღარიბია და ბანალური, ცინცხალი იდეები – ნული, მაგრამ როგორი დრაივი წამოვიდა! როგორი ენერგია და მუხტი! მთელი მათი მუსიკალური რესურსი მაქსიმალურადაა ამოქაჩული სწორედ გაშლილ, დიდ სივრცეში, სწორი მანიპულირებისა და აქცენტების ხარჯზე; სცენიდან წამოსული მუხტი პუბლიკასაც გადაედო და ბევრი გამოცდილი მსმენელიც კი შეიყვანა შეცდომაში, ანუ მათ თავიანთი მისია შეასრულეს. ამიტომაცაა, რომ ისინი სასურველი სტუმრები არიან ძალიან ბევრ პრესტიჟულ ფესტივალზე, თუმცა ფანები მათ თბილისშიც ჰყოლიათ, თანაც ისეთი, რომ ტექსტებიც კარგად იციან და ჯგუფის ფრონტმენსაც ხმას აყოლებდნენ, რაც იშვიათი და სასიამოვნო „სანახაობა“ იყო. ამ ჯგუფის ფონზე, სამამულო Kid Jesus აშკარად ფერმკრთალად გამოიყურებოდა და განა იმიტომ, რომ მუსიკალურად ჩამორჩებოდა Weekend-ს რამით (პირიქით, უკეთესნიც კი არიან), უბრალოდ მათი მუსიკა არ იყო ადაპტირებული სტადიონისთვის. ამიტომაც ენერგეტიკული „შოუ“ ვერ შედგა. როკ-ენ-როლის ერთ-ერთი ძალა იმაშია, რომ სივრცის და გარემოების ზეგავლენით ის შეიძლება ტრანსფორმირდეს და სულ სხვა სახით წარუდგეს მსმენელს, რაც მაქსიმალურ ძალისხმევას მოითხოვს და მუსიკოსებისთვის სერიოზული გამოწვევაა. ჩვენს მუსიკოსებს ეს არასდროს დასჭირვებიათ, რადგან მათ არ უწევთ განსხვავებულ სივრცეში გამოსვლა და, შესაბამისად, არც არიან მზად სტადიონზე კონცერტის ჩასატარებლად (თუმცა გულწრფელად რომ გითხრათ, არცაა საჭირო).

ყველაზე მთავარი საკითხი მაინც დაფინანსებაა. წინა ფესტივალები დაფინანსებული იყო ბიუჯეტიდან, რაზეც ერთი ამბავი იყო ატეხილი და, მართლაც, უნდა აფინანსებდეს თუ არა სახელმწიფო, კულტურის სამინისტრო ასეთ ღონისძიებებს? ჩემი აზრით, სახელმწიფო უნდა აფინანსებებს ყველაფერ იმას, რაც ხელს შეუწყობს ჩვენში ახალგაზრდული კულტურის განვითარებას, და ნებისმიერი კონტრარგუმენტი, რომ ქვეყნისთვის უფრო სხვა, მნიშვნელოვანი პრიორიტეტები არსებობს, უმეცრებაა (ჯანდაცვა და განათლება არ მაქვს მხედველობაში). ნებისმიერი ქვეყნის მთავარი რესურსი, კაპიტალი და მომავალი ახალგაზრდობაა, რომელმაც უნდა ჩაიბაროს ქვეყანა, და აქედან გამომდინარე, ის, თუ რა მორალური კრიტერიუმები გააჩნია და რა ფასეულობებს ეყრდნობა ახალგაზრდა თაობა, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, მარტო მუსიკა და მით უმეტეს მისი ერთი სეგმენტი ამის მარტო გაკეთებას ვერ შეძლებს, მაგრამ სწორედ ეს ე.წ. ახალგაზრდული კულტურაა ახალგაზრდების პრეროგატივა, მათი თვითდამკვიდრების, საკუთარი თავის რეალიზების უებარი საშუალება და სწორედ ის ებრძვის ყველაზე უშეღავათოდ ახალგაზრდა კაცის მთავარ მტერს – კომფორმიზმს, რომლისკენ სწრაფვაც ადრეული ასაკიდან იწვევს იმ პრობლემებს, რაც შემდგომ ყველაზე დიდ ზიანს გვაყენებს. და აქ მარტო მუსიკაში არ არის საქმე, იგივე lifestyle, სუბკულტურული ბექგრაუნდი, იდეალისტური, ხანდახან გულუბრყვილო-რადიკალური ხედვა, და თუნდაც კონფლიქტი მშობლების მიერ ნახვეულ ფასეულობებთან, არა თუ მნიშვნელოვანია, არამედ აუცილებელიც არის მოზარდის ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბების რთულ საქმეში. იქნებ ვაზვიადებ, მაგრამ, ვფიქრობ, სწორედ ეს არის მთავარი. დამერწმუნეთ, შეიძლება ხუთი ჰარვარდი დაამთავრო და ერთი-ორი სორბონაც მიაყოლო ზედ, მაგრამ ეს ყველაფერი გადაწონოს ერთ კონცერტზე მოხვედრამ ან ერთი ალბომის მოსმენამ იმ ღირებულების ძიებაში, რომელიც მთავარია ცხოვრებაში და რომელთა არსებობასაც მომავალშიც ვერასდროს გაიგებს ჩვენი ე.წ. საზოგადოების უმეტესი ნაწილი, თუ არ იქნება ფოკუსირება ახალგაზრდულ კულტურაზე და არ გაიზრდება მისი როლი ქვეყნის კულტურულ პოლიტიკაში (რაც ჯერ საერთოდ არ გაგვაჩნია). და თუ ეს ყველაფერი სწორია, გეკითხებით, ვინ უნდა აიღოს თავის თავზე და ვინ უნდა გაითავისოს და იტვირთოს ახალგაზრდა თაობის კულტურული თვითიდენტიფიკაციის ურთულესი პროცესის (რომელიც დიდი ხანია დაწყებულია ჩვენში) მხარდაჭერა?! – რა თქმა უნდა, სახელმწიფომ! დასავლეთშიც კი, სადაც ასეთი გამოწვევები დიდი ხანია აღარ არსებობს, სახელმწიფო ნაწილობრივ მაინც ითავისებს ამ პროცესს. რა თქმა უნდა, Altervision, თავისი Open Air-ით კულტურულ რევოლუციას ვერ მოახდენს, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც, ჯანსაღი ყოფიერების ერთი დღე ხომ შეუძლიათ მისცენ ქართველ ახალგაზრდობას? ესეც საქმეა, მით უმეტეს წლევანდელ ფესტივალზე აშკარად გამოჩნდა, რომ სამამულო აუდიტორიის ხარისხი აშკარად უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა წლებში, და ეს პროგრესი არა მარტო სმენის კულტურას ეხება, არამედ ზოგადად ყოფაქცევის კულტურასაც მასობრივი თავშეყრის ადგილებში. თუმცა, მეორე მხრივ, წლევანდელი ფესტივალი ხომ არ დაუფინანსებია სახელმწიფოს? ის ხომ მთლიანად კერძო სპონსორების ხარჯზე ჩატარდა? კი, ასე იყო, რაც ძალიან კარგია და ფაქტობრივად იდეალური შემთხვევაა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ „კერძოს“ ყოველთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერძო ინტერესები აქვს – კერძო მოთხოვნები, პირობები და ეს სავსებით გასაგებია. მაგალითად, დიდი გამჭრიახობა სულაც არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ „ფარფლების“ ჩასმა საფესტივალო პროგრამაში, რასაც აუდიტორიის პოტენციური გაზრდა უნდა უზრუნველეყო, სწორედ სპონსორის პირობა იქნებოდა. ტიპური ბიზნეს-გათვლაა, რომელმაც იმუშავა. „ფარფლებს“ ჩვენ კიდევ მიუბრუნდებით, მაგრამ ის, რომ ფესტივალის ორგანიზატორები ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეზღუდული იყვნენ არჩევანში, ესეც ფაქტია; და კიდევ ერთი მთავარი რამ: სახელმწიფოს რომ თავის თავზე აეღო თუნდაც ხარჯის ნახევარი, ეს თეორიულად გაზრდიდა ბილეთების ფასის (რომელიც ქართული სტანდარტით საკმაოდ მაღალი იყო) მნიშვნელოვნად შემცირების შესაძლებლობას (რაც შეუძლებელი იყო და იქნება კერძო დაფინანსების შემთხვევაში), რასაც თავის მხრივ შეიძლება გაეორმაგებინა კიდეც დასწრება. შედეგად სტადიონიც გაივსებოდა და ივენთის მნიშვნელობა და პრესტიჟიც ამაღლდებოდა; ეს კი აუცილებელია, რათა ფესტივალი მომავალში უფრო დამაინტრიგებელი გახდეს უცხოელი პოტენციური პარტნიორებისთვის და, შესაბამისად, უფრო წარმომადგენლობითი და საინტერესოც.

ამის გამოცდილება ჩვენში არსებობს ჯაზფესტივალების სახით, რომელსაც მრავალი წელი კულტურის სამინისტრო კურირებდა და ნაწილობრივ ასპონსორებდა კიდეც. ამან ორგანიზატორებს საშუალება მისცა ჩამოეყვანათ პირველხარისხოვანი ჯაზმუსიკოსები და მსოფლიო საჯაზფესტივალო რუკაზე თბილისის ფესტივალისთვის ღირსეული ადგილის მოპოვება უზრუნველეყოთ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ რომელიმე ჰერბი ჰენკოკის, ჯონ მაკლაფლინის ან ჯო ზავინულის მიერ აქედან წაღებული პოზიტიური ემოციები უფრო დადებითად მუშაობს ხალხის, ქვეყნის იმიჯზე, ვიდრე რომელიმე მაღალჩინოსანი ევროპელი, ანდა ამერიკელი პოლიტიკური ფუნქციონერის ყალბი (თუნდაც გულწრფელი) დითირამბები იმის შესახებ, თუ როგორ უკანმოუხედავად მიემართება საქართველო ზოგადსაკაცობრიო დასავლური ფასეულობებისკენ და როგორ იმსახურებს (ან მალე დაიმსახურებს) ევროპულ ოჯახში ღირსეულ ადგილს. აქ არ არის მხოლოდ მუსიკოსებზე, მით უმეტეს ჯაზმუსიკოსებზე საუბარი, უბრალოდ უნდა მივხვდეთ ვისკენ მივმართოთ დაინტერესების ვექტორი, იმ ხალხისკენ, ვინც ქმნიდა და ქმნის ამ ფასეულობებს (ანუ ვინც ქმნის თანამედროვე კულტურას), თუ ვინც ამით მანიპულირებს (დაკონკრეტებას თავს ავარიდებ). და საერთოდ, უნდა მივხვდეთ, რომ მთავარი ის კი არ არის, ვეცადოთ უკეთესი თვალით შემოგვხედონ „გარედან“, არამედ მართლა უკეთესები გავხდეთ; და „უკეთესად“ გახდომის რთულ გზაზე რომ კულტურას (მაგ., მუსიკალურს) დიდი მნიშვნელობა აქვს, მე მგონი, ამას ახსნა არ სჭირდება.

უცნაურია, მაგრამ საბჭოეთის პერიოდშიც კი, კულტურისა თუ კომკავშირულ ჩინოვნიკებს შეგნებულად თუ ქვეცნობიერად გათავისებული ჰქონდათ ეს და ცდილობდნენ, ხანდახან რაღაც კულტურული საკვები მაინც მიეცათ ქართველი საბჭოთა ახალგაზრდებისთვის, რაც სერიოზულ რისკთან იყო დაკავშირებული, ისეთთან, დღეს რომ არც დაესიზმრებათ. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი არტისტი, რომელიც კი საბჭოეთში ჩამოსულა, თბილისში ნამყოფია. მოსკოვი, ლენინგრადი და თბილისი (ხანდახან კიევიც. თუმცა უკრაინას, სსრკ-ის დროსაც კი ჰყავდა გაეროში საკუთარი წარმომადგენელი), აი, ეს იყო საგასტროლო მარშრუტი და ნურავის ჰგონია, რომ ეს თავისთავად ხდებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ უბრალოდ ამ დიდი ქვეყნის ორგანული ნაწილი ვიყავით. ამას საკმაოდ დიდი ძალისხმევა და „ჩალიჩი“ სჭირდებოდა, რადგანაც არ ვარ დარწმუნებული, რომ „ცენტრი“ ასე დაინტერესებული ყოფილიყო თავის რესპუბლიკებში დასავლური კულტურის გაზიარებით. აი, ასე მიეცა ქართველ საზოგადოებას საშუალება ენახა და მოესმინა – ჟაკ ბრელი, ბი ბი კინგი, „niti griti dert band“ და კიდევ სხვები. ასე გახდა თბილისი ამხელა ქვეყნის ერთ-ერთი კულტურული ცენტრი, და თან ისე, რომ ყველა ჩამომსვლელს ექმნებოდა შთაბეჭდილება: ჩვენი ხალხი მენტალურად არ იყო ინტეგრირებული ამ ე.წ. ტოტალიტარულ საბჭოთა იმპერიაში (დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მაგ., კიევში, ამას ვერ იგრძნობდნენ). ალენ გინზბერგი და ბობ დილანი ალმა-ათაში ან მინსკში არ ჩასულან და არც არავის მოუსურვებია მათი იქ ჩაყვანა, ხოლო ბილი ჯოელი,

ერთი რამ ფაქტია, რამდენიმედღიანი ფესტივალი ჩვენში, არა მარტო დიდი ფუფუნება, სრული უაზრობაცაა, სახსრების ფუჭად ფლანგვა, შემსრულებელთა გაზრდილი რაოდენობა, რომელიც ხარისხში ვერ გადადის – ეს ყველაფერი მოსაწყენი ხდება. მით უმეტეს, რომ ჩვენი აუდიტორია ასეთ ფესტივალებს შეუჩვეველია და სწრაფად იღლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც მარტო მოსკოვ-ლენინგრადში ჰქონდა ოფიციალური კონცერტები, 1986 წელს საკუთარი სურვილით ჩამოვიდა თბილისში და იმპროვიზებული კონცერტისმაგვარი „წარმოდგენა" გამართა ოპერის სახლში; „ოდოიაც" კი იმღერა ანსამბლ „ჟურნალისტთან" ერთად, რომელიც მოხვდა კიდეც ბილი ჯოელის ოფიციალურ „ლაივ" ალბომში სახელწოდებით „კონცერტ", და თანაც პირველ ტრეკად.

არადა, ბილი ჯოელი იმ დროს ტოპარტისტი იყო ამერიკაში და უაღრესად პოპულარული მთელს მსოფლიოში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საკმაოდ სერიოზულად მუშაობდა ეს ე.წ. ინტელექტუალ-ნომენკლატურულ-ჩინოვნიკური ქართული ელიტა. რა თქმა უნდა, ამაში იყო კეკლუცობის მომენტიც – თითქოს ყველას უმტკიცებდნენ, რომ სინამდვილეში შინაგანად არანაირი „საბჭოელები" არ იყვნენ და უბრალოდ კომფორმისტები იყვნენ, მაგრამ ფაქტია, რომ შესაძლებლობების ფარგლებში საქმე კეთდებოდა. ამ ყველაფრის გვირგვინი კი, რასაკვირველია, იყო აბსოლუტურად უპრეცედენტო, იმ დროისთვის გაუგონარი, საბჭოთა, შეუნიღბავი როკფესტივალი „გაზაფხულის რიტმები", რომელიც 1980 წელს ჩატარდა ფილარმონიაში. ფესტივალი იმდენად მასშტაბური იყო (სამი დღე გაგრძელდა), რომ რამდენიმე ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურა (და არაოფიციალურიც) იყო მასში ჩართული, იმდროინდელი ე.წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის" ჩათვლით.

ბევრი ეს ე.წ. საქმოსანი სრულიად უანგაროდ იყო ჩართული ამ საქმეში,

რაც, სხვათა შორის, არც პირველი შემთხვევა იყო და არც უკანასკნელი. ისინი თითქოს ყოველთვის რაღაც პასუხისმგებლობას გრძნობდნენ „ხალხის“ წინაშე და ძალიან ხშირად, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის კულტურულ, სპორტულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქაც შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს რაღაც მორალური ინდულგენციების ყიდვა იყო მათი მხრიდან, მაგრამ, ფაქტია, რომ განსაკუთრებით 60-70-იანი წლები, ქართული კულტურის, სპორტის, ხელოვნებისა და, საერთოდ, კრეატივი-მენტალიტეტის მაქსიმალური განვითარების ეპოქა იყო და ის მაშინდელი ნიშნული დღეს ნამდვილად აღარ გვაქვს. მარტო ის რად ღირდა, რომ სწორედ ზემონახსენები 1980 წლის ფესტივალის დღეებში, ქალაქში გამოფენილი საბჭოთა როკერების ექსცენტრიკული ვიზუალი ზიზღს კი არ იწვევდა, არამედ უფრო აღტაცებას და ამიტომაც იყო მათი დაპატიჟება-გადაპატიჟებები თითქმის ყოველდღიური ამბავი. გასაგებია, რომ აქ მუშაობდა აკრძალული ხილის ფაქტორი, მაგრამ, დამერწმუნეთ, ყველა დანარჩენ საბჭოთა ახალგაზრდებთან შედარებით, ქართველ ახალგაზრდობას მაშინ უკეთესი საწყისი პოზიციები ჰქონდა. ისე, არავინ არ იცის, როგორ განვითარდებოდა, მაგალითად, რუსული როკის ისტორია, რომ არა ის ფესტივალი, რომელზეც ფინელმა დოკუმენტალისტებმა ფილმიც კი გადაიღეს. აბსოლუტურად მართალი იქნება ის, ვინც იტყვის, რომ მაშინ საქართველოს თავისი ბიუჯეტი არ ჰქონდა, ფული ცენტრიდან იქაჩებოდა და ამ კუთხით არავის არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა; არც ხალხს დააწვებოდა რამე კისერზე, მაგრამ სახელმწიფო თანხების განსაკუთრებით დიდი ოდენობის გაფლანგვისთვის მაშინ დახვრეტა იყო, ხოლო მიზანმიმართულად, მტრული იდეოლოგიის მქონე კულტურის პროპაგანდა-დანერგვისთვის, თანაც სახელმწიფო ხარჯებით, ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა... ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ მაქსიმალური წნეხის პირობებში, ინტუიციურ დონეზე მაინც, რაღაც ახალგაზრდული კულტურის პოლიტიკის მაგვარი არსებობდა, დღეს ეს პოლიტიკა, ვეჭვობ, აღარ არსებობს, ან თუ არსებობს, არასწორი მიმართულებით ვითარდება.

თუ დავუბრუნდებით თანამედროვე მუსიკალური ფესტივალების იდეას, შეიძლება ეჭვქვეშ დააყენო ესა თუ ის ფორმატი, მაგრამ არა ზოგადად იდეა. მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ მსხვილი, მასშტაბური ფესტივალების მოწყობას და ძვირადღირებული არტისტების ძებნა-ჩამოყვანას, გაცილებით ჯობია შედარებით ნაკლებმასშტაბური, ადეკვატურ სივრცეში და არა სტადიონზე მოწყობილი ფესტივალის ჩატარება უაღრესად კრეატიული, ექსპერიმენტული შეფერილობის, არაორდინარული არტისტების მონაწილეობით, რომლებსაც მასობრივი პოპულარობა შეიძლება არა აქვთ, მაგრამ სერიოზული ავტორიტეტით სარგებლობენ მეინსტრიმს მიღმა არსებულ მუსიკალურ სამყაროში და მართლა ფასეულ და საინტერესო მუსიკას ქმნიან. ასეთები ბევრნი არიან, ძვირს არ ითხოვენ და არც კაპრიზები აქვთ. მსგავსი ფესტივალი ვერ იქნება კომერციული, ამიტომ ის მთლიანად უანგაროდ უნდა იყოს დაფინანსებული, რომ თუნდაც ბილეთების ფასმა ხალხი არ დააფრთხოს; ინტრიგის გასაღვივებლად კი, რაც აუცილებელია ასეთი სახის ფესტივალის წარმატებისთვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უნდა გაკეთდეს უფასო ჭკვიანური რეკლამა.

წესით, არ უნდა იყოს საჭირო იმის ახსნა, თუ რისთვის იქნება საჭირო ასეთი ივენთები, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მაინც ვიტყვი: ეს განა მარტო იმიტომ არის საჭირო, რომ ხარისხიანი მუსიკის ხშირად მოსმენის შემდეგ უკეთესი ხდები, არამედ იმიტომაც, რომ ასეთ განსხვავებული მუსიკის მოსმენის შედეგად გივითარდება არაორდინარული, განსხვავებული აზროვნებისა და ისეთი რაღაცების დანახვის, შეგრძნებისა და ჩაწვდომის უნარი, რომლის არსებობის შესახებ ადრე შეიძლება არც იცოდი, და რაც უფრო ახალგაზრდულ ასაკში გადაეყრები მას, მით უკეთესია, თან არა მხოლოდ შენთვის. აი, ეს არის ჩემთვის კულტურა და არა ისეთი რაღაცების ცოდნა, რასაც ინტელექტი საერთოდ არ სჭირდება და, კიდევ, ეს არის ის, რისი გაკეთებაც, ჩემი აზრით, კულტურის სამინისტროს ევალება. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, „გემოვნების“ საკითხია და ამაზე პრეროგატივა არავის გააჩნია.

> წლევანდელი ფესტივალი ხომ არ დაუფინანსებია სახელმწიფოს? ის ხომ მთლიანად კერძო სპონსორების ხარჯზე ჩატარდა? კი, ასე იყო, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ `კერძოს~ ყოველთვის კერძო ინტერესები აქვს – კერძო მოთხოვნები, პირობები და ეს სავსებით გასაგებია. დიდი გამჭრიახობა სულაც არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ „ფარფლების“ ჩასმა საფესტივალო პროგრამაში, სწორედ სპონსორის პირობა იქნებოდა.

რაც შეეხება წლევანდელ ფესტივალს Open Air 2013, მიმაჩნია, რომ აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთავარი იმ ადამიანების მოსაზრებაა, ვისთვისაც კეთდება ან უნდა კეთდებოდეს ასეთი ფესტივალები და არა ჩემისთანა სქელკანიანის აზრი, რომელსაც სულ უფრო უჩლუნგდება ის რეცეპტორები, რომლებიც პასუხს აგებენ თანამედროვე მუსიკით მიღებულ სასიხარულო შეგრძნებებზე. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ამ ივენთისადმი დამოკიდებულება ცალსახა არ ყოფილა, შევეცდები, ყველაზე მნიშვნელოვანზე გავამახვილო ყურადღება.

ფესტივალი ჩატარდა „დინამოს“ სტადიონზე, რაც, ერთი მხრივ, კარგია, რადგან სიტუაცია უფრო კონტროლირებადია, ხოლო ცუდია იმიტომ, რომ საფესტივალო-პიკნიკური და თან რაღაც ავტონომიური ატმოსფერო იკარგება, თუმცა აბსოლუტურად მესმის ორგანიზატორებისა და ქართული რეალობისაც. ძალიან მოსახერხებელი იყო სახელდახელო ბარები, რომლებიც გადატვირთული არ იყო, მაგრამ სამუშაო ნამდვილად არ აკლდა. ერთი მინუსი ის იყო, რომ ასეთ ივენთებზე არაყი არ უნდა გაიყიდოს. მართალია ამასთან დაკავშირებით რამე სერიოზული ექსცესი არ შემიმჩნევია, მაგრამ ქართველ მოზარდთა თავშეყრის ყველაზე დაუძინებელი მტერი არაყია (არც ლუდი და არც ღვინო) და ამიტომ. ის, რომ ფესტივალი საათ-ნახევრით გვიან დაიწყო, პირადად ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა, რადგანაც ასეთ ივენთებზე ასი პროცენტით დაზღვეული არასდროს ხარ. სამწუხაროდ, ამან გამოიწვია ის, რომ ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ერთი ყველაზე საინტერესო მონაწილე Modeselektor-ი ვეღარ გამოვიდა, თვითმფრინავზე აგვიანდებოდათ და იმიტომ. არადა, იყო ხალხი, რომელსაც ყველაზე ძალიან ეს გერმანული დუეტი აინტერესებდა (სხვათა შორის მეც) – თვით ტომ იორკის („რედიოჰედ") ფავორიტებს რომ წარმოადგენენ. Subway-ზე უკვე ვილაპარაკეთ, Kid Jesus-ზეც, რაც შეეხება black strobes-ს, კი დაიწყო ძალიან ეფექტურად და სწრაფადაც „დაითრია" პუბლიკა, მაგრამ როცა მთელი საათი ერთსა და იმავეს, თუნდაც ეფექტურად მიგნებულ მუსიკალურ ფორმულას მისდევ, ძალიან მისაწყენია. მიახლოებით იმავეს თქმა შეიძლებოდა ლაივ-ტრანს ბენდზე ისრაელიდან Infected Mushroom-ი. თუმცა მათი პოტენციალი გაცილებით უფრო მეტია; ისინი უფრო ადაპტირებულები ჩანდნენ ღია, დიდი სივრცისთვის და ტრანსფსიქოდელიური გადახვევებიც არცთუ ურიგოდ გამოსდიოდათ. ეს გასაგებიც არის, ებრაული ტრანსი განთქმულია და უკვე დიდი ტრადიციაც აქვს, თუმცა ეს მუსიკა დიდად არასდროს მხიბლავდა თავისი აშკარა პროგნოზირებადობის გამო.

დარჩა ორი მთავარი: პირველი Tricky-ია. თუ ვინ არის ეს კაცი, ყველამ იცის, თრიპ-ჰოფის პიონერი, მსახიობი და უაღრესად ექსცენტრიკული ტიპი, მას შეუძლია რაც უნდა ის გააკეთოს სცენაზე (ან არც არაფერი გააკეთოს) და მაინც „ჩაეთვლება". მისი გამოსვლა უმეტესობას არ მოეწონა, რადგან აგდებული, უპატივცემულო დამოკიდებულება დაინახეს მის მხრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიმაჩნია, რომ მსხვილი, მასშტაბური ფესტივალების მოწყობას და ძვირადღირებული არტისტების ძებნა-ჩამოყვანას, გაცილებით ჯობია შედარებით ნაკლებმასშტაბური, ადეკვატურ სივრცეში და არა სტადიონზე მოწყობილი ფესტივალის ჩატარება უაღრესად კრეატიული, ექსპერიმენტული შეფერილობის, არაორდინარული არტისტების მონაწილეობით.

დან, რაც სწორი არ არის. პირადად მე ძალიან მომეწონა პროლოგი, როცა ხალხით გაავსო სცენა და, Motorhead-ის Ace of Spade-ის ენერგიულ რიტმზე ადამიანები 20 წუთის მანძილზე ენერგიულად ახტუნავა, ისე, რომ თვითონ არც არაფერი გაუკეთებია. მაგრამ ეს გარკვეული რიტუალია, შეიძლება პოზაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სცენაზე მოხტუნავე პუბლიკისგან თვითონ იმუხტება ენერგეტიკულად, რათა შემდეგ უკანვე დაუბრუნოს პუბლიკას ეს ენერგია. თრიკის გამოსვლა 40 წუთის ნაცვლად საათზე მეტხანს გააგრძელდა, ამიტომ მისი მხრიდან რაიმე ხალტურაზე ლაპარაკი არ არის სწორი. თვითონ რომ ცოტა იმღერა და უემოციოდ, არაფერსაც არ ნიშნავს; მერე რა, ის არასდროს იყო მომღერალ-შემსრულებელი, ის იმ მუსიკის მკეთებელია, რომელიც შესანიშნავად შეასრულა მისმა ბენდმა თავის ბექვოკალისტების ჩათვლით, და ეს ბენდი საუკეთესო იყო იმ საღამოს. მარტო შეგნებულად გადატვირთული და დამძიმებული ბასი რად ღირდა, რომელიც სხეულის მძაფრ ვიბრაციას იწვევდა და ბევრს დისკომფორტში აგდებდა, თითქოს გახვედრებდა, რომ მუსიკა მარტო იმისთვის არაა, რომ კომფორტულად იგრძნო თავი. სხვა საკითხია, რომ ეს მუსიკა არ არის ასეთ სივრცეში შესასრულებლად გათვლილი და უფრო დახურული სივრცის მუსიკაა, სადაც სულ სხვა აკუსტიკური ნაკადი მოდის, ეს ზოგადად თრიპ-ჰოპს ეხება და არა მარტო Tricky-ის.

მეორე „ფარფლებია". ის, რომ 2013 წელს „ფარფლები" ფესტივალის ჰედლაინერია, რომ ყველაზე მეტი ხალხის მოყვანის პოტენციალი გააჩნია და კომერციულადაც გამართლებულია, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდია და კიდევ ერთხელ მეტყველებს ქართველი მასობრივი მსმენელის სტაგნაციის უმაღლეს ხარისხზე. ეს მსჯელობა სწორი იქნებოდა თავის დროზე მოვლენათა ნორმალურად განვითარების შემთხვევაში, რაც არ მოხდა. ამიტომ იქცა „ფარფლები" იმ შორეულ ეპოქაში იმ ერთ-ერთ ვეშაპად, რომელზეც იდგა როკმუსიკის სიყვარული ჩვენში. არა, ის უფრო მეტი იყო, ვიდრე მუსიკა. „ბითლზთან", „პინკ ფლოიდთან" და „ლედ ზეპელინთან" ერთად ის იყო სიმბოლო თავისუფლებისა, სრულიად სხვა მსოფლშეგრძნებისა, რომელმაც თავდაყირა დააყენა მანამდე არსებული ფასეულობების მთელი პაკეტი. ძალიან ბევრისთვის მაშინ მორჩა საბჭოთა იდეოლოგია და მაშინ ჩაისახა იმედი იმისა, რომ ოდესღაც ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული. მეც კი, რომელსაც არასდროს მიყვარდა ეს ბენდი, პირველად სწორედ Born Child in Time-ის მოსმენის დროს ამეხილა თვალები და გამიცისკროვნდა გონება, ვიგრძენი, რომ შევედი ისეთ სამყაროში, რომელთან შედარებითაც გაფერმკრთალდა ყველაფერი და ამ სამყაროს, როკ-ენ-როლი ერქვა.

„ფარფლების" მუსიკა (თუმცა არა მარტო მათი) იმდენად კომფორტული იყო, რომ იქიდან გამოსვლა უმეტესობამ არ ისურვა. ის კი არა, ლამის გენეტიკურ კოდად იქცა ჩვენში და თაობიდან თაობაზე გადადის უკვე. ის მეხსიერების ნაწილია და, როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ ქმედითი. ვინ იცის, რა მსხვერპლი გაიღო იმ უამრავმა ადამიანმა, რომელთაც საკმაოდ ძვირადღირებული ბილეთები შეიძინეს იმათ სანახავად, ვისი ნახვაც წარმოუდგენლად მიაჩნდათ თავის დროზე და ასეთ მაღალ მატერიებზე საუბრისას, ის, რომ გილანს ხმა აღარ ერჩის, ის, რომ ლორდის შემდეგ ჰამონდ-ორღანის საუნდი უკანა პლანზე იწევს (თუმცა ეს შეიძლება ლაივში ისმის ასე) და ის, რომ ეს მუსიკა დღეს ანაქრონიზმად აღიქმება (რაც მართალია), უკვე მეორეხარისხოვანია. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, არ იქნება ურიგო, თუ მომავალშიც დასავლეთში უკვე მოდიდან გამოსულ დიდ ლეგენდებს ჩამოიყვანენ, რადგანაც აქ მათ სულ სხვა ბექგრაუნდი გააჩნიათ და სულ სხვა დატვირთვა აქვთ, თან პუბლიკაც უფრო მრავალფეროვანი და დამაინტრიგებელი გახდება.

მე ბევრჯერ ვახსენე, რომ როკ-ენ-როლი თავისი „სატელიტებით", ახალგაზრდული კულტურაა, უფრო სწორად, ესაა კულტურა, რომელიც ახალგაზრდულ მდგომარეობას ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს, ახალგაზრდული მდგომარეობა კი მარტო ახალგაზრდების საკუთრება არ არის, და ის, თუ როგორ შეიძლება გამოაცოცხლო და გაამძაფრო ეს მდგომარეობა, თუნდაც არაახალგაზრდულ ასაკში, კარგად გამოჩნდა 2013 წლის 5 ივნისს.

და ახლა გეკითხებით მე თქვენ, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ეს ცოტაა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გამოდი გარეთ, მე მინდა გითხრა ახალი (?) ამბავი...“

ქართული ალტერნატივა დღეს

ავტორი: ლევან ძნელაძე
ფოტო: ეკატერინე მახათაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გუშინდელი დღე, დღევანდელს ჰგავს
დღევანდელი ამზადებს ხვალინდელ
დღეს
და ყოველდღე ასე იქნება, სანამ
მე თვითონ არ შევცვლი ამინდებს“.
ამორალი – „მიწის ქვეშ“. 1997

ქართული ალტერნატიული მუსიკა საკმაოდ რთული თემაა იმისთვის, რომ მის შესახებ დასაწერად მარტივად მოემზადო, საქმე იმაშია, რომ ამ სცენის ფრაგმენტულობიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულია თავი მოუყარო ფაქტებს, მოვლენებს და მათი გაანალიზების შემდგომ საბოლოო დასკვნა გამოიტანო, რადგან ერთიანი ჯაჭვი, როგორც ასეთი – არ არსებობს.

ამ წერილში შევეცდები გადმოვცე ის, რაზეც ნაფიქრი მაქვს და დღემდე ვფიქრობ, როგორც მსმენელი და გულშემატკივარი, შესაბამისად – ჩემი დამოკიდებულება რიგი საკითხების მიმართ აბსოლუტურად სუბიექტურია და ღიაა ნებისმიერი სახის დისკუსიისთვის. მე ვერც გავბედავ და არც მაქვს შესაძლებლობა, რომ დავდო რეცეპტები ან ვინმეს რამე ვასწავლო, ეს ტექსტი წარმოადგენს პერსონალური გულისტკივილის და სხვადასხვა მოსაზრების საჯაროდ გაზიარებას, არც მეტი – არც ნაკლები.

მე მგონია, რომ ქართული ალტერნატიული სცენა, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს, როგორც შემდგარი სისტემა. ის რომ არსებობდეს, ამისთვის საჭიროა ტელე- და რადიოშოუები, რომელთაც თითო-ოროლას გარდა ვერ გავიხსენებთ. ჩვენთან არ ფუნქციონირებენ ლეიბლები, არ იხსნება მუსიკალური მაღაზიები, თითზე ჩამოსათვლელია კლუბები და საღონური ტიპის დაწესებულებები. არ ტარდება ლოკალური ფესტივალები, გვაქვს ერთადერთი საერთაშორისო ფესტივალი. ბენდებს აქვთ ერთი შეხედვით ისეთი ბანალური პრობლემა, როგორიც სარეპეტიციების არსებობაა. თუმცა სანამ სარეპეტიციომდე მივალთ, უფრო მასშტაბური რამეები უნდა ვახსენოთ – დღესდღეობით, თბილისში ალტერნატიულ სცენაზე მოქმედი ბენდებიდან მხოლოდ ერთს ჰყავს მენეჯერი. ჩვენთან არ არსებობენ მუსიკალური პროდიუსერები, რომლებიც მსგავსი მუსიკით ინტერესდებიან და ბენდები არ, ან ვერ უშვებენ ალბომებს. პრობლემური საკითხია კარგი ხმის რეჟისორი და, ზოგადად, პროფესიონალი ტექნიკური პერსონალი, რომელიც კრეატიულ ნაწილს ხორცშესხმის საშუალებას მისცემს.

ქვეყნიდან გასვლის მსურველი მუსიკოსი საკმაოდ ბევრია (თითქმის ყველა მათგანი), ჩემს მიზანს ერთი წამითაც არ წარმოადგენს ვინმეზე თავდასხმა ან შეურაცხყოფის მიყენება, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საკუთარი კრეატიული თუ მატერიალური შესაძლებლობების შეფასების უნარის მქონე ამ კოლექტივებიდან ცოტა თუ გახლავთ.

საქმე იმაშია, რომ უცხოელ პროდიუსერს, უმეტეს შემთხვევაში, არა აქვს ინფორმაცია, ან არ უღირს თანამედროვე პროცესებს მოწყვეტილი ქვეყნიდან ბენდის წაყვანა, რადგან ეს მისთვის ზედმეტი ხარჯია. განსაკუთრებით ახლა, როცა აკუსტიკური ბენდების პრობლემა გაცილებით უფრო აქტუალურია საერთაშორისო მასშტაბით, ვიდრე თუნდაც რამდენიმე წლის წინ. აკუსტიკური ბენდი თავის თავს ძნელად ინახავს, ამიტომ მათ ფაქტობრივად ქარხნულ რეჟიმში აქვთ აყვანილი ლაივების დაკვრის კულტურა და მათი შემოსავლის ძირითადი წყაროს სწორედ ტურნეში სიარული და რაც შეიძლება მეტი კონცერტის ჩატარება და მეტ ფესტივალზე გამოსვლა წარმოადგენს.

აკუსტიკური ბენდის, როგორც ოჯახის ფინანსური პრობლემა, დგას, რა თქმა უნდა, ბენდის წევრების რაოდენობაზე, მათ მუსიკალურ აღჭურვილობასა და კიდევ მრავალ მნიშვნელოვან დეტალზე. სწორედ ამის გამოა, რომ საქართველოდან ელექტრონული არტისტი გაცილებით მეტი გადის, ან თანამშრომლობს უცხოურ ლეიბლებთან. ელექტრონული მუსიკა ბევრად უფრო ფუნქციონალურია და პორტატული. ელექტრონული მუსიკის პროდიუსერს შეუძლია ერთ ლეპტოპზე შექმნას, დამიქსოს და დაამუშაოს თავისი პროდუქტი და მას არ დასჭირდეს არანაირი გარე ჩარევა მის დასასრულებლად. ამას გარდა, ამ ტიპის მუსიკა გაცილებით უფრო გაყიდვისუნარიანია მისი სამომხმარებლო თვისებების გამოც. ვგულისხმობ კაფე-ბარებს, კლუბებსა თუ სხვა გასართობი ტიპის დაწესებულებებს, რომლებშიც აკუსტიკური ბენდების მუსიკა ნაკლებად გამოსადეგი იქნება ატმოსფეროს შესაქმნელად.

იმისთვის, რომ ბენდები საზღვარგარეთ გავიდნენ და წარმატებას მიაღწიონ, ჯერ უნდა შეიქმნას ლოკალური სცენა და თუნდაც პატარა, მაგრამ დამაკმაყოფილებელი მუსიკალური ინდუსტრია ყველა იმ კომპონენტის გათვალისწინებით, რომლებიც ზემოთ უკვე ვახსენეთ. ეს განსაკუთრებით ეხება აკუსტიკური ბენდების კრიზისულ მდგომარეობას, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ელექტრონული მუსიკა გაცილებით უფრო მოქნილია საერთაშორისო მუსიკალურ ბიზნესთან ურთიერთობისთვის.

იმისთვის, რომ ადგილობრივი სცენა განვითარდეს, საერთოდ არ არის საჭირო მეგაპოლისის არსებობა. უამრავი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში პატარ-პატარა ქალაქებს და უბნებსაც კი თავისი განსხვავებული და თვითმყოფადი სტილი და საუნდი გააჩნია. ასეთი ადგილებია ბრუკლინი, რომელიც თანამედროვე ექსპერიმენტული მუსიკის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, ასევე ბრიტანული ქალაქები და უბნები – კარგი მაგალითია მანჩესტერი და შეფილდი, ასევე ბრისტოლი. ამ სამ ქალაქს ერთმანეთისგან აბსოლუტურად დაშორებული და რადიკალური საუნდი განასხვავებს.

აგრეთვე მინდა ვისაუბრო ერთ თითქოსდა ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე, რომლის შესახებაც არაერთი ცხარე დისკუსიაც მინახავს და საავტორო სვეტებიც.

ქართული და ინგლისურენოვანი ლირიკის საკითხი შიგადაშიგ აქტუალური ხდება და ეს ფრაგმენტული აქტუალობა, როგორც წესი, მალე მიეცემა ხოლმე დავიწყებას, სანამ კიდევ ერთხელ არ ამოტივტივდება.

მე პირადად სულაც არ ვფიქრობ, რომ ინგლისურენოვანი ლირიკა ქართულ ბენდს არ უხდება, ან მის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგულწრფელია; თანაც დღევანდელ დღეს და განსაკუთრებით ინდი მუსიკაში, ტექსტუალური ნაწილის დატვირთვა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ის თუნდაც 20 წლის წინ იყო. დღესდღეობით მუსიკა ცხოვრების საუნდტრეკს უფრო წარმოადგენს რიგი მიზეზების გამო, ვიდრე სოციალურ ფენომენს, რომელსაც მასებზე ზემოქმედების უნარი ვერბალური თხრობით შეუძლია. ჩვენ გვაქვს წარმატებული მაგალითები იმისა, რომ კარგ ბენდს ორივე ენაზე შეუძლია იყოს ემოციური და ღრმა. ამ შემთხვევაში კი გავიხსენებდი ქართულენოვან ჯგუფ „წერილს“ და ინგლისურენოვან Landmark-ს, რომელთა შემოქმედებაც ზემოაღნიშნულს ადასტურებს.

გარდა იმისა, რომ უკვე ჩამოვთვალეთ რიგი პრობლემებისა, რომლებიც თანამედროვე ქართველ მუსიკოსებს აწუხებთ, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ქართველ მსმენელზეც, რომელსაც არანაკლები პრობლემა გააჩნია ინფორმაციასთან წვდომის, ზოგადი დამოკიდებულებისა და რაოდენობის მხრივ.

მცირერიცხოვანი პუბლიკა შესამჩნევად ასვამს დაღს ქართულ ალტ. სცენას, რადგან თითქმის შეუძლებელია ატარო კონცერტი მუდმივად ერთი და იმავე (საუკეთესო შემთხვევაში – 500) ადამიანის თვალწინ, რომელსაც მატერიალური პრობლემები აქვს, გარდა იმისა, რომ ინფორმაციის ნაკლებობასაც განიცდის.

მცირერიცხოვანმა პუბლიკამ შესაძლოა ჟანრი მთლიანად გააქროს ბაზრიდან და ამის ყველაზე კარგი მაგალითი ქართული მეტალია. ვინმეს გვახსოვს 2000-იანების დასაწყისში არსებული ქართული მეტალსცენა? სად არიან ახლა მშვენიერი მეტალჯგუფები – „მორტირიუმი“, „ჰიმერა“, „ბოჰემა“ და სხვები? ისინი სწორედ პატარა პუბლიკამ გააქრო სამოქმედო სივრციდან, თანაც ისე, რომ ქართული მუსიკალური სცენის ზოგად კონტექსტშიც კი აღარავის ახსენდება.

ამ ეტაპზე ქვეყანაში არ არსებობს არც ერთი მუსიკალური ბეჭდური ჟურნალი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით გამოვა და არსებულ საინფორმაციო პრობლემას გადაჭრის ან შეეცდება მაინც მის გადაჭრას (უნდა აღინიშნოს, რომ ამის სერიოზული მცდელობები იყო). ცხადია, არსებობს ბევრი საერთაშორისო ვებ-ჟურნალი, მაგრამ მათი ცნობადობა საკმაოდ მწირია და გარკვეული ტიპის მსმენელის გარდა, მათ შესახებ ბევრმა ადამიანმა არაფერი იცის.

ამ წერილს ეპიგრაფად წავუმძღვარე ამონარიდი ჯგუფ „ამორალის“ 1997 წელს გამოსული კომპოზიციიდან

> დღევანდელი ალტერნატიული სცენა ძირითადად თანამედროვე ამერიკული და ბრიტანული ინდი სცენიდან იკვებება და ეს სულაც არ არის ცუდი, მაგრამ, საუბედუროდ, იყო შემთხვევები, როდესაც აღმოჩნდა, რომ წლის განმავლობაში ქართველი მუსიკოსები არ უსმენდნენ არც ერთ მათ კოლეგას დასავლეთში, ბევრმა მათგანმა ვერ დაასახელა წლის საუკეთესო ათი ალბომიც კი.

„მიწის ქვეშ“, რომელიც ამ საკითხს არ უკავშირდება, მაგრამ ტექსტის გამო დღესაც საკმაოდ აქტუალურია. მინდა შევეხო მუსიკალური (და არამხოლოდ) საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გავრცელებულ პოპულარულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ ან ბიზნესმა ხელოვნურად (ხაზს ვუსვამ) უნდა შეუწყოს ხელი ამ სფეროს განვითარებას; მე ამას არ ვეთანხმები და მიზეზსაც ვიტყვი: რატომ უნდა ჩადოს ფული ბიზნესმენმა იმ საქმეში, რომელიც თვითონ მუსიკოსებს და მათ მსმენელებს არ ადარდებთ, მით უმეტეს, თუ ამ საქმიდან მოგებას ვერ ნახავს? საქართველოში ალტერნატიული მუსიკა ვერ იქნება ბიზნესი და უხეშად რომ ვთქვათ – მასში თავის შეყოფით ფული არ იშოვება. ჩვენ ასევე გვახსოვს ბიზნესის მხრიდან მისი სტიმულირების ტოტალურად კიტჩური მცდელობა „არტ-იმედის“ სახით, რომლის ფატალური დასასრულიც ყველას ძალიან კარგად მოგვეხსენება. რაც შეეხება სახელმწიფოს, ის ყოველთვის და ყველა ეპოქაში ეცდება, რომ კაპიტალი ელექტორალურად მომგებიან მუსიკაში ან პროპაგანდისტულ აუდიო-ვიდეო პროდუქციაში დააბანდოს. ამ ქვეყანაში ამის არაერთი მაგალითი გვაქვს და დადგა დრო, რომ აღარ გვჯეროდეს ჩინოვნიკების, რომელთა სრულ უმრავლესობასაც აბსოლუტურად ლეგიტიმურად არ ანაღვლებს ქართული ალტერნატიული მუსიკის ბედი.

აუცილებელია, რომ გაჩნდეს ინდივიდუალური ინიციატივები და გამბედავი ადამიანები, რომლებსაც რაღაც კონკრეტული საქმე უყვართ, რეალურად უნდა ჩაერთონ პროცესებში. სწორედ ამას გულისხმობს პირადად ჩემთვის ეპიგრაფში მოყვანილი ტექსტი და ამის მაგალითი არსებობს ლოკალურ საკლუბო სცენაზეც, რომელის შესახებაც წერილში აუცილებლად ვისაუბრებთ.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, დარწმუნებული ვიყავი, რომ 90-იანები ხმოვანების თვალსაზრისით რაღაცნაირად გადავხარშეთ და დღეს არსებობენ ბენდები, რომლებიც შედარებით უფრო აქტუალურ მუსიკას უკრავენ. მაგრამ, საბოლოო ჯამში, როგორც აღმოჩნდა, წინ კუს ნაბიჯებით მივდივართ. ასეა თუ ისე, ალბომები 90-იანებში უფრო მეტი გამოდიოდა. ჩვენ გვაქვს ირაკლი ჩარკვიანის, „ამორალის“ (წერილი), „აუტსაიდერის“, „რეცეპტის“, „პრიზის“, Mother On Mondays-ის და სხვების ალბომები იმ პერიოდიდან, დღეს კი რა გაგვაჩნია? ადამიანი ცალი ხელის თითებზე ჩამოთვლის ღირებულ ალბომებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ბოლო დროს გამოვიდა. ერთ-ერთი ასეთი, ნამდვილად აღნიშვნის ღირსია Landmark-ის ალბომი, სახელწოდებით Void, რომელსაც აშკარად ეტყობა, რომ მის შესაქმნელად არაერთი ადამიანის შრომა დაიხარჯა, მაგრამ მივადექით უკვე აღნიშნულ პრობლემას: სად არის გამოხმაურება ამ ალბომზე? მე პირადად მხოლოდ ერთი წერილი წავიკითხე და ერთ გადაცემაში ვნახე მოკლე რეცენზია და, რაც უნდა სამწუხარო იყოს, საუბარი მის შესახებ ამით დამთავრდა.

საინტერესო საკითხია, თუ საიდან იკვებება დღევანდელი ალტერნატიული სცენა საქართველოში. ვის და რას აქვს გავლენა მასზე და არის თუ არა ეს გავლენები მნიშვნელოვანი? ჩვენ ვიცით, რომ 90-იანებში მოღვაწე მუსიკოსები საკმაოდ დიდი დოზებით სესხულობდნენ იმ დროინდელ პოსტპანკ/სინთპოპ ჟღერადობას და მაშინდელ აქტუალურ მუსიკას აქ ასე თუ ისე უსმენდნენ.

დღევანდელი ალტერნატიული სცენა ძირითადად თანამედროვე ამერიკული და ბრიტანული ინდი სცენიდან იკვებება და ეს სულაც არ არის ცუდი, მაგრამ, საუბედუროდ, იყო შემთხვევები, როდესაც აღმოჩნდა, რომ წლის განმავლობაში ქართველი მუსიკოსები არ უსმენდნენ არც ერთ მათ კოლეგას დასავლეთში, ბევრმა მათგანმა ვერ დაასახელა წლის საუკეთესო ათი ალბომიც კი, რომლებიც იმ წელს მოეწონათ და ეს იმაზე უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ბოლო დროინდელი საკლუბო სცენის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად მეიმედება და დიდი სურვილი მაქვს, უახლოეს წლებში მაინც შევძლოთ ნამდვილ რეივ მოძრაობასთან ახლოს მყოფი კულტურის ჩამოყალიბება.

საკლუბო კულტურის პოპულარობა ჩვენთან 2000-იანების პირველ ნახევარში დაიწყო და ხანმოკლე აღმოჩნდა არაერთი მიზეზის გამო. ეს ვრცელი საკითხია და საკმაოდ საინტერესოც; თუმცა ჩვენ დღევანდელობაზე ვსაუბრობთ და აუცილებლად უნდა ითქვას ორი სიტყვა თანამედროვე საკლუბო სცენაზე, რომელიც არ ვიცი რამდენად შეიძლება ჩაითვალოს იმ დროის გამოძახილად, მაგრამ მსმენელთა გარკვეული ნაწილი რომ საკმაოდ გაზრდილი და ინფორმირებულია, ეს უნდა აღინიშნოს. დღეს თბილისში სულ რამდენიმე ღამის კლუბია, მაგრამ ელექტრონული მუსიკის მოყვარული ნამდვილად არ გახლავთ ცოტა. ასევე საკმაოდ წინ არის წასული DJ-ინგი ლოკალურ დონეზე და მიქსებსაც ეტყობა, რომ საქმე წინ მიდის. საშიშროება იმისა, რომ ლოკალურ საკლუბო სცენას იაფფასიანი და ვულგარული საუნდის შემოდინება ემუქრება (რაც ხშირად გამიგია), ლეგიტიმურია, რადგან, რბილად რომ ვთქვათ, შეიმჩნევა უცნაური პროდიუსერების მიერ შექმნილი მუსიკის კულტივირება ამა თუ იმ დიჯეის მიქსში და სხვადასხვა მინიფესტვალებზე მათი ჩამოყვანა, მაგრამ ამ ფაქტებს ტენდენციური ხასიათი ნაკლებად აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ამის საშიშროება ყველგან არსებობს. ამისთვის საჭიროა გემოვნებიანი დიჯეები, რომლებიც ჩვენთან ასევე არსებობენ და მათ შეუძლიათ კრეატიული წინააღმდეგობა გაუწიონ დანარჩენებს, და პრომოუტერები, რომელთა მხრებზეც მთელი ეს შემოქმედებითი თუ საორგანიზაციო დავიდარაბა გადადის.

საშიშროება იმისა, რომ ლოკალურ საკლუბო სცენას იაფფასიანი და ვულგარული საუნდის შემოდინება ემუქრება, ლეგიტიმურია, რადგან, რბილად რომ ვთქვათ, შეიმჩნევა უცნაური პროდიუსერების მიერ შექმნილი მუსიკის კულტივირება ამა თუ იმ დიჯეის მიქსში და სხვადასხვა მინიფესტვალებზე მათი ჩამოყვანა, მაგრამ ამ ფაქტებს ტენდენციური ხასიათი ნაკლებად აქვს.

ზემოთ ითქვა, რომ საკლუბო სცენაზე უფრო მეტი გამბედავი და ინიციატივიანი ადამიანი მოღვაწეობს, როგორც პროდიუსერები, დიჯეები და პრომოუტერები, ისე ელექტრონული მუსიკის მსმენელები. ამის მაგალითია თუნდაც კლუბი „მტკვარზე", რომელმაც ამ ზამთარს უკვე ფესტივალ Unsound-ის ჩატარება შეძლო და შექმნა სამოყვარულო გაერთიანება – საერთაშორისო ინტერნეტ პროექტ Boiler Room-ის ქართული ანალოგი, რომელსაც Stare at DJ ჰქვია. კლუბი მხოლოდ და მხოლოდ ენთუზიასტი, მუსიკის მოყვარული ახალგაზრდა ადამიანების დამსახურებით არსებობს და არანაირი მატერიალური სარგებელი მას არ მოაქვს (რაც თავისთავად ცუდია).

ელექტრონული მუსიკის მიმართ მზარდი ინტერესის და რეივ (Rave) კულტურის ნიშნების გაჩენა მიგვანიშნებს, რომ აქაურ ახალგაზრდობას განტვირთვა ესაჭიროება. ამიტომ, ვფიქრობ, კლუბური კულტურა ნელ-ნელა უფრო მჭიდროდ მოიკიდებს ფეხს ქართულ მუსიკალურ რეალობაში და უფრო მეტი ასეთი დაწესებულება გაჩნდება. ამის ნიშნები განსაკუთრებით 2013 წელს გამოიკვეთა.

საბოლოო ჯამში, ყველაფერი ისე ცუდადაც არ არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ადამიანები მაინც უკრავენ, მაინც ატარებენ კონცერტებს, მაინც აკეთებენ იმას, რაც მათ რეპრეზენტაციას საუკეთესოდ ახდენს. შესაბამისად, არ ვვარაუდობ, რომ ისინი ერთ დღეს ყველაფერს შეეშვებიან და არმატურის ბიზნესის კეთებას დაიწყებენ. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი ყველაფერი დამოკიდებულია საკუთარი თავისა და ნერვების ბოლომდე იმ საქმისთვის მიძღვნაზე, რომელსაც ამდენი პრობლემა აქვს. ეს სრულებითაც არ გახლავთ მარტივი საქმე, მაგრამ ამის იმედი არ უნდა დავკარგოთ.

PAPILLON
პაპილონი

ევროპული
ბიბლიოთეკა

ევროპული ავეჯი განახლებულ პაპილონში

თბილისი აკ. ბაქრაძის 6 (მტკვრის მარჯვენა სანაპირო, დიღმის ხიდთან); ტელ: +99532 2540990
ქუთაისი წერეთლის 163, ტელ: 0431 235025; ბათუმი ბაგრატიონის 109; ტელ: 0422 220348
WWW.PAPILLON.GE

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გოგი ძოძუაშვილი: „ყველაზე დიდი ნიჭი არის ცნობიერების განვითარება, წინსვლა“

ავტორი: გია ხადური
ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა

მინდა გითხრათ, რომ იმ ქართულ ბენდთაგან, რომელიც მე მინახავს სცენაზე, „მაზერს ოფ მანდეი“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო. 1995 წლის სექტემბერში, ამას (ავანგარდული მოდის ასამბლეა) ფარგლებში ჩატარებული მათი კონცერტიდან მიღებული გაოცებანარევი ემოცია დღესაც მკაფიოდ მახსოვს, თანაც ეს ბენდი იყო ერთადერთი ინგლისურენოვანი (ხაზს ვუსვამ) ქართული ბენდი, რომელიც მომწონს. „მაზერს ოფ მანდეი“ აღარ არსებობს, სამაგიეროდ, დღესაც სრულ მუსიკალურ მზადყოფნაშია ამ ბენდის ერთ-ერთი მთავარი (თუ ყველაზე მთავარი არა) კრეატიული ძალა, გოგი ძოძუაშვილი, რომლიც სულ ცდილობს განსხვავებულ აკუსტიკურ გარემოში მოაქციოს საკუთარი თავი და დარწმუნებული ვარ, ეს პროცესი არასდროს გაჩერდება. ამიტომაც იქნება ყოველთვის საინტერესო მასთან საუბარი.

– თუ არ ვცდები, შენ 90-იანების მიწურულს წახვედი აქედან.

– არა, მე უბრალოდ მივდიოდი, ჩამოვდიოდი, მერე ისევ, მაგრამ, საბოლოოდ, არასდროს არ წავსულვარ.

– ე.ი. ემიგრანტი არასდროს ყოფილხარ, თუმცა გქონდა იმის საშუალება, რომ გასცლოდი ამ სივრცეს და მერე განახლებული თვალით შეგეხედა იმ პროცესებისთვის, რომელიც აქ მიმდინარეობდა.

– კი.

– რატომ ჩაგეძიე ასე... ბევრი თვლის, რომ 90-იან წლებში მართალია გაუსაძლისი, დუხჭირი სიტუაცია იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, იმ ეპოქის მუსიკოსებში იგრძნობოდა მძლავრი შემოქმედებითი მუხტი და კრეატიული გადაწყვეტილებებისკენ სწრაფვა. შემდეგ ცხოვრება უფრო დალაგდა, პირობებიც გაცილებით კომფორტული გახდა რაღაც-რაღაცების გასაკეთებლად და, წესით, ევოლუცია და პროგრესიც სახეზე უნდა იყოს, მაგრამ ხედავ შენ ამ პროგრესს? თუ ეს ერთგვარი სტაგნაციაა, რაც თავის მხრივ რეგრესს ნიშნავს?

– ე.ი. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და უფრო მეტი ხალხის დაინტერესება ხელოვნებით, სულაც არ ნიშნავს ხელოვნების ხარისხის გაზრდას. ჩემის აზრით, ხელოვნება რა პერიოდში აფეთქდება და რა მასშტაბებს მიაღწევს, სულაც არ არის დამოკიდებული მატერიალურ ფაქტორებზე ამა თუ იმ ქვეყანაში, ეს სრულიად ავტონომიური პროცესია, თანაც ირაციონალური და მოუხელთებელი. ის, რომ 90-იან წლებში ჩვენში იყო რაღაც იმპულსები, რაც დღეს არ არის, ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ამასთან არავითარ კავშირში არ არის კარგი თუ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები. ეკონომიკური პროგრესი არ ზრდის კრეატიული ადამიანების რაოდენობას და ეს ჩვენში აშკარად ჩანს. ე.წ. მასებზე გათვლილ კულტურაშიც კი საოცარი უკუსვლა იგრძნობა, არც არასდროს ყოფილა მაღალი დონის, მაგრამ მაინც, არამასობრივ მუსიკაშიც, მე მგონი, საინტერესო ბევრი არაფერი ხდება, შეიძლება ეს ჩემი ბრალია და თვალს ვერ ვადევნებ, მაგრამ მე რაც მესმის, არაფერია ისეთი. არის უფრო კარგად გაკეთებული და განმეორებული, მაგრამ ახალი და არაორდინარული არაფერია. რა არ არის იცი? შენს თავს რომ მისცე იმის თავისუფლება, რომ რამე სიგიჟე გააკეთო.

– ანუ დაარღვიო რაღაც წინასწარი მოცემულობა.

– აი, ეგ იყო 90-იან წლებში, სწორედ იმიტომ, რომ არ იყო იმის მარწუხები, როგორი უნდა იყოს ის, როგორი უნდა იყოს ეს, არანაირი ჩარჩოები არ იყო და ეს არ ეხება მარტო მუსიკას. ინფორმაცია არ იყო ამდენი, ინტეგრაცია ნაკლები იყო დასავლეთთან და ამიტომ იყო უფრო თავისუფალი. ვისაც რა უნდოდა, იმას აკეთებდა და ამიტომაც გამოვიდა სპონტანურად რაღაც-რაღაცები კარგი და ფასეული. დღეს ეგ გამორიცხულია, რადგანაც ყველაფერი არის ზუსტ მოცემულობებში ჩასმული, ანუ ყველა ის ასპექტი, რაც, წესით, უნდა იყოს სპონტანური, არის დადგმული და ყველა იმეორებს, თუმცა კარგად კი იმეორებს, უფრო კარგად, ვიდრე ადრე იყო. ეს ხდება არა მარტო საქართველოში, იგივე ხდება ყველგან. ახალი ბენდები, ეს დიდი გრანდ ბენდები, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ყველაფერი ერთხელ, ერთ დროს ამოფრქვეული აღმოჩენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირგვლივ ტრიალებს. უბრალოდ ჩვენ კიდევ უფრო უინტერესონი ვართ ამ მხრივაც.

– ყველაზე ჩამორჩენილ რეგიონებშიც არის აზრზე მოსული, განვითარებული და მომთხოვნი პუბლიკის თუნდაც პატარა სეგმენტი, მაგრამ ხომ არ მიგაჩნია, რომ ჩვენი მთავარი პრობლემა სწორედ მასობრივი მომხმარებლის უმეცრებაა, რომელსაც არ გააჩნია უნარი უფრო მეტი მოსთხოვოს მას, ვინც ქმნის ამ მასკულტურას და სწორედ ეს უწყობს ხელს კულტურის დამუხრუჭებას?

– მასობრივი კულტურა ხელოვნება არ არის, ეს არის გართობის ერთ-ერთი სეგმენტი და არანაირად არ შეუძლია განსაზღვროს თუნდაც კულტურის ზოგადი დონე. პირიქით, ის თვითონაა მთლიანად დამოკიდებული იმ ძირითად ბირთვზე, რასაც ნამდვილ ხელოვნებას უწოდებენ (რაც მასობრივი არ შეიძლება იყოს) და მისი უხარისხო ანარეკლია, ამიტომ მასკულტურას არ შეუძლია დაიწყოს რამე პროცესი ან დაასრულოს. საერთოდ, ფასეულობებზე და ღირებულებებზე დავა დიდი ხანია უკვე ყველგან მიმდინარეობს. ჯერ კიდევ ენდი უორჰოლმა როდის ამოსწია ეს თემა პოპარტში, მაგრამ რაც დრო გადის, მე უფრო ცხადად ვხედავ იმ უფსკრულს, რომელიც არსებობს ნამდვილ ხელოვნებასა და ამ ე.წ. „პაპსას“ შორის. ეს სწორედ ისეა, როგორც, მაგალითად, ყოველდღიური, დიდტირაჟიანი გაზეთი და რომელიღაც წიგნი, რომელიც მრავალი წლის წინ შეიქმნა; გუშინდელი გაზეთი, რაც უნდა ბევრი გაყიდულიყო, დღეს უკვე ძველია, ხოლო ის წიგნი შეიძლება დღესაც აქტუალური იყოს, თუმცა შეიძლება ცოტა კითხულობდეს.

– ჰო, მაგრამ იმ გაზეთის დანიშნულებაც ხომ ეგ არის, ერთი დღე...

– ჰოდა, მასკულტურის დანიშნულებაც ეგ არის სწორედ, დღევანდელი დღე, და მორჩა. ხოლო ის, რაც უნდა დარჩეს, სხვა პრინციპებზე ეწყობა, ის ყოველთვის ინდივიდუალურია, ძალიან ინტიმურია და ყველაზე არაა გათვლილი.

– ეს გასაგებია, მაგრამ რაშია იცი საქმე? – გამომდინარე იქიდან, რომ ყოველდღიურად უამრავი მუსიკალური პროდუქტი იდება, ძალიან ძნელია ჩაუღრმავდე ყოველ მათგანს. შესაბამისად, ფიზიკურად ვეღარ უბრუნდები იმას, რაც შეიძლება მოგეწონოს, რადგანაც რიგში ყველთვის დგანან დანარჩენები, არანაკლებ საინტერესოები, რომელთა რაოდენობაც მუდმივად იზრდება. ამ გამოწვევას თითქოს კარგი მუსიკოსებიც ულებენ ალღოს, შედეგად კი ვიღებთ ნამუშევარს, რომელმაც შეიძლება ჩემი აღტაცება გამოიწვიოს მოსმენისთანავე, მაგრამ იმის სურვილი, რომ მეორედ დავუბრუნდე, არ მებადება...

– და აი, ეგ მომენტი შეადარე – როგორ იყო ადრე, გინდაც ჩვენში, გინდაც „იქ“. როდესაც ახალი რამე გამოდიოდა, მისი მოსმენა რაღაც განსაკუთრებული რიტუალი, საკრალური რამე იყო, თანაც ერთად ბევრი უსმენდა და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. აი, მუსიკასთან მიმართებაში სწორედ ეს მაგია დაიკარგა... და ბუნებრივიცაა, რომ დაიკარგა.

– და ხომ შეუძლებელია ამას გაექცე?...

– ვერ გავექცევით ჩვენს საზოგადოებაში.

– და იქ?

– ვერც იქ, რა თქმა უნდა, იმათი მოგონილია ყველაფერი. ეს გარდაუვალია „კონსიუმერულ“ საზოგადოებაში. მაგალითად, რატომ არის, რომ დღეს გამოჩნდება 5 ახალი ბენდი, რომელიც ხვალ არავის არ ახსოვს? იმიტომ, რომ სწრაფ მოხმარებაზეა გათვლილი, ისევე, როგორც 5 ახალი რაიმე ნივთი, პროდუქტი, რომელიც სასწრაფოდ უნდა გასაღდეს. ფსიქოლოგიურად ისეა ჩვენი გონება გამორეცხილი, რომ ერთ რაღაცაზე გაჩერება აღარ ხდება...

– გამოდის ისე, როგორც „მერსედესში“ მომუშავე ერთმა ჩინოვნიკმა მითხრა, რომ ძველი მოდელებისგან განსხვავებით, ახალი მოდელები ისეა დაკომპლექტებული, რომ მისი დეტალები უფრო ადრე გაცვდეს, რათა მომხმარებელმა შემდეგი იყიდოს და ეს ციკლი არ გაჩერდესო.

– აი, ზუსტად ეგ პრინციპია დღეს მუსიკაში და ყველანაირ არტში. ეკონომიკურად ეს მომგებიანია. მსგავსად კორპორაციებმა იპოვეს ეს მეთოდები, ღრმა ფსიქოლოგიური კოდები ჩადეს ადამიანში და იმდენად დიდი აღმოჩნდა ეს ტალღა, რომ მოიცვა ის ტერიტორიები, რომელიც, ერთი შეხედვით, არ უნდა მოეცვა – კულტურა, ხელოვნება, მე ვიტყოდი ფილოსოფია და რელიგიაც. ვერ ვიტყვი, რომ აღარ არიან მუსიკოსები, ანდა მწერლები, რომლებიც წრფელად უდგებიან თავის საქმეს; ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, ყველაზე ცოტა რამ შეიცვალა, მაგრამ... ზოგადად, ცივილიზაციის განვითარების დღევანდელი საფეხურია ასეთი.

– ხომ არ მივდივართ ჩვენ იმ უბრალო, მარტივ დასკვნამდე, რომ არ მოგვწონს დღევანდელი ხელოვნება, ე.ი. არ მოგვწონს დღევანდელი ეპოქა.

– ვერ დაგეთანხმები, რადგანაც იყო „ცუდი“ ეპოქები და იმ ეპოქებში შექმნილი ძლიერი ხელოვნება. თანაც ეპოქასთან ჭიდილი ხშირად სწორედ ხელოვნებას ასტიმულირებს. მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარი ის არის, რომ არც ერთ ეპოქაში არ შთაუნთქავს, არ გადაუყლაპავს კულტურული პროცესები ყოველდღიურობას ისე, როგორც დღეს. ვფიქრობ, ეს 60-იანებში მომხდარი აფეთქების ბრალია, რადგანაც მაშინ იმხელა ძალა გამოჩნდა კულტურის სახით, რომ საჭირო გახდა მისი მოთოკვა და გაკონტროლება. ეს მოხდა და, თანაც მოხდა ძალიან მარტივად, ნელ-ნელა, მეთოდურად... როგორ? – ყოველგვარი „აკრძალვის“ გარეშე. ყველაფერი, რაც იყო ანდერგრაუნდში, დღის სინათლეზე შემოაგდეს და, შესაბამისად, „გააპაპსავეს“, რითაც საკუთარ სივრცეში განვითარების უნარი მოუსპეს. აი, მაგალითად, მე ვარ ალტერნატიული არტისტი და მყავს ჩემი მსმენელთა წრე, რომელიც თანდათან შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ რა წამს მე ამომაგდებენ ზედაპირზე და დამაყენებენ უზარმაზარი აუდიტორიის პირისპირ, ჩემი მესიჯი, ჩემი სიგნალი გაიბნევა, შესუსტდება და ჩემი შემოქმედება ძალას დაკარგავს.

– ის, რომ მეინსთრიმში გადასვლა ხშირად ამ არტისტის კრეატიულ კას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაციას იწვევს, ეს ცხადია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ბევრმა მათგანმა, მიაწვდინა რა თავისი „ხმა“ და სულისკვეთება მასებს, დაფიქრა და ბიძგი მისცა ფასეულობების გადაფასებას მილიონობით ადამიანში. აქ ის ფრაზა მახსენდება, ამერიკელმა სენატორმა რომ თქვა ჯერ კიდევ 70-იანებში: „ჩვენ ომი ვიეტნამში კი არ წავაგეთ ბრძოლის ველზე, ზურგში წავაგეთ, სტუდენტურ კამპუსებსა და როკფესტივალებზე“... ისე, ახლა წარმოუდგენელია მსგავსი რამე ვინმემ თქვას.

– და აბა რატომ თუ იცი? ხომ იყო ბოლო ხანებშიც ომები, რატომ იყო ყველა დადუმებული, იმიტომ, რომ ის კულტურული სივრცე აღარ არის, რომელსაც რამის აგორების ტრაკი აქვს. საქმეც სწორედ ამაშია, თავის დროზე პოლიტიკურმა ელიტამ გადაწყვიტა გაეჩერებინა ის არტისტები, ვისაც ამის ტრაკი ჰქონდა, როგორ?

– ლიმუზინში ჩასვა.

– ზუსტად, ლიმუზინში კი უკვე სხვა რამეზე ფიქრობენ. თუმცა მარტო ლიმუზინშიც არ არის საქმე, მე სიმდიდრის წინააღმდეგი კი არ ვარ, უბრალოდ მგონია, რომ ხელოვნება არის ელიტარული, – ყველას ხომ არ აქვს უნარი გაიგოს უმაღლესი მათემატიკა ან ფიზიკა? კიდევ უფრო ცოტაა ხალხი, რომელსაც შეუძლია ხელოვნება მიიღოს და შეაფასოს. ის უნდა იქმნებოდეს გარკვეული წრისთვის. როდესაც შენ უკრავ ადეკვატური 100 კაცისთვის, რომელსაც მოთხოვნილება მაღალი აქვს, შენც ვითარდები, მაგრამ როცა დაგიდებენ სერიოზულ კონტრაქტს და უკვე მიმართავ 100 000 კაცს, რომელიც არ არის მზად შენი მუსიკისთვის, „ფუჭდები“, რადგანაც შენი ენერგია შემოქმედებითი პროგრესისკენ კი აღარ არის მიმართული, არამედ იქითკენ, რომ ცდილობ, უკვე ამ 100 000 კაცს მოერგო და შენში იწყება პროცესები, რომელსაც ვერ გააკონტროლებ. ამიტომ შენ სინამდვილეში ლიმუზინი კი არ გაფუჭებს, არამედ არაადეკვატური მსმენელი, ჯიმი ჰენდრიქსიც რომ იყო, 5 წელიწადში არაადეკვატურ მსმენელთან „გაფუჭდები“.

– ან უნდა მოკვდე ისეთივე წარმატებით, როგორც ჰენდრიქსი, რომელმაც თავის დროზე ბევრ სხვასთან ერთად, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც მოასწროხელი შეეწყო იმ ფასეულობების დამკვიდრებისთვის, რაზეც აღმოცენდა შემდეგ ეს ე.წ. პოლიტკორექტულობა, რომელიც, ჩემი აზრით, დღეს ინერციითღა არსებობს და სულს ღაფავს. პედრო ალმადოვარმა ისიც კი თქვა ერთხელ, ხელოვნებას თუ დაღუპავს რამე, პოლიტკორექტულობა დაღუპავსო....

– არა მარტო ხელოვნებას, არამედ ადამიანის ცნობიერებას, რადგანაც ცნობიერების მთავარი მტერია ჩარჩო, ტაბუ და, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაგადებს ტაბუს, სახელმწიფო, რელიგია თუ გაფეტიშებული პოლიტკორექტულობა. ადამიანი ხომ შეცდომის გარეშე არ არსებობს, უბრალოდ, როცა ვითარდები, შენში უნდა ამოვიდეს ეს ზედაპირზე, გაიაზრო, მოიცილო თუ საჭიროა და გადადგა შემდეგი ნაბიჯი წინ; ხოლო როდესაც „ტაბუირებული“ ხარ, ეს აღარ ამოდის ზედაპირზე, აღარ ღვინდები....

– ანუ არასდროს არ უნდა გეშინოდეს, საკუთარ ნამუშევარში გამოჩნდე არაკორექტულად. ეს მიახლოებით რას ჰგავს იცი? როდესაც მუსიკაში შემოვიდა დისონანსი და ატონალობა, მუსიკალურ არაკორექტულობად ითვლებოდა და ჰარმონიის ტაბუდადებულ ცნებას არღვევდა...

– და ახლა პირიქით არის, მუსიკაში და ხელოვნებაში ტაბუდადებულია რაღაც მარტივი ანდა ლამაზი, ასეთი რამ რომ გააკეთო ეგრევე იტყვიან: უუფ, ეს რა არის, ეს ხომ უკვე იყოო, და რომ დააკვირდე, სწორედ ასეთი მიდგომა ახშობს შემოქმედებით პროცესს, არადა, მე იქნებ მინდა ძველმოდური ვიყო, მომეცი უფლება, რომ ვიყო.

– ის, რომ დასავლური კულტურა გარკვეულწილად ჩაციკლულია და გამოსავალს ეძებს, ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, თუ როგორ ეძებენ ისინი ინსპირაციას განვითარებადი ქვეყნების ეთნიკურ, ავთენტიკურ მუსიკალურ კულტურაში. ამის ფონზე ხომ არ შეიძლება თუნდაც ჰიპოთეტურად ვივარაუდოდ, რომ სწორედ არადომინანტი ქვეყნიდან მოხდეს კრეატიული გარღვევა, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ამ ქვეყნებში არ არიან რაღაც პირობითობით შეზღუდულნი; ასეთ ქვეყნებში უფრო მეტი თავისუფალი სივრცეა კრეატივისთვის, აქ არ არიან წნეხის ქვეშ, რადგანაც ნაკლები მოეთხოვებათ, საქართველოც შეგვიძლია ვიგულისხმოთ მათ რიცხვში.

ინგლისურად ვმღერივართ, ვაკეთებთ თავიდან ბოლომდე დასავლური ჟღერადობის კომპიუტერულ მუსიკას და ამას საოცრად თბილისური და ისეთი სულისკვეთება აქვს, რომ ბუნებრივად გადმოსცემს ჩვენს ყოფას. ეგრე გამოვიდა და, გამოვიდა იმიტომ, რომ არ იყო კოპირებული და საერთოდ მეკიდა, დასავლურ სივრცეში ეს რამდენად პოპულარული იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მაგაში ვერ დაგეთანხმები. თუკი რაიმე გარღვევა მოხდება, ისევ მოხდება დომინანტ ქვეყნებში, ამას განა იმიტომ ვამბობ, რომ დასავლური ცივილიზაციის აპოლოგეტი ვარ, პირიქით, უბრალოდ გარღვევას ჩიხი უნდა უძღოდეს წინ, თავის თავში უნდა ამოიწუროს რაღაც. ეს საქართველოში არ მოხდება იმიტომ, რომ უკანა ვაგონია და ენაგადმოგდებული მისდევს ამ დასავლურ ცივილიზაციას. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ აქ ყველაფერი ირეცხება, ოღონდ დასავლურ ცივილიზაციას რაღაცნაირად დავეწიოთ... როგორ შეიძლება ეგეთ ცნობიერებაში მოხდეს გარღვევა?

– გარღვევა მოხდება ისეთ ცნობიერებაში, რომელიც პირველია; ეგეთი ცნობიერება გაირღვევა მხოლოდ, ჩამორჩენილი ვერა... მაგრამ მეორე მხრივ, გარღვევა არასდროს არ არის ლოგიკური, ვერასდროს ვერ გამოიანგარიშებ მაგას. მე კი მგონია ახლა ასე, მაგრამ შეიძლება პირიქით მოხდეს ყველაფერი, რადგანაც ხელოვნების მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იყოს სპონტანური, გაუგებარი, აუხსნელი, რომელსაც ვერ დაგეგმავ. აი, იძახი, გარღვევაო, ყველა ელოდება ამ გარღვევას, ის კი შეიძლება მოხდეს ასი წლის შემდეგ, შეიძლება მოხდეს ხვალ, შეიძლება მოხდეს ინგლისში, საქართველოში, ანდა ტიბეტში, კაცმა არ იცის... ხელოვნების მაგიაც ეს არის, მეტი არაფერი, და ამის რაღაც ლოგიკურ ჩარჩოებში ჩასმა, შეცდომაა; რომ დააკვირდე, შეცდომაა ყველანაირი ეგეთი გარღვევა პოლიტიკაშიც, რელიგიაშიც... ადამიანი რაღაც გზას ადგას, წლები, ათწლეულები, რაღაცას ეძებს, მედიტირებს, სრულყოფილებას ეძებს, მიდის, მიდის, მიდის და ბრახ! უცებ თავზე რაღაც შეიძლება დაეცეს და მიხვდეს...

– როგორც ნიუტონს დაეცა თავზე ვაშლი.

– და არანაირი ლოგიკა ამაში არ იყოს, მით უმეტეს, მუსიკა ისეთი რამეა, რომ...

– მოუხელთებელია, ვერ მართავ...

– როგორ უნდა მოიხელთო, როგორ უნდა მართო, დღეს იმიტომაც არის ჩამქრალი ყველაფერი, რომ არის მუსიკის მოხელთების მცდელობა. გარანტია მინდა მე. მე რომ ახალგაზრდა მუსიკოსი ვარ, ვიცი, ასე თუ მოვიქცევი, ასე თუ ჩავიცვამ და ასე თუ დავუკრავ სცენაზე, წარმატება გარანტირებული მაქვს.

– ამ ბოლო დროს გატაცებული ვარ თანამედროვე ფინური მუსიკით და ყველაზე ძალიან რა მხიბლავს იცი, თუ როგორ ეძებენ თავიანთ მენტალურ ფესვებში ისეთ რამეს, რომელიც წაადგება მუსიკას. ფინელები იკვებებიან თავიანთი ფოლკლორით, განა ამ სიტყვის მხოლოდ პირდაპირი გაგებით და რაღაც ინტონაციებით, არამედ განსაკუთრებული ყოფით, რომელმაც მოიტანა ფინური მსოფლშეგრძნების განსაკუთრებული ხასიათი. სწორედ ეს აქვთ ჩადებული ძალიან მაგრად თავიანთ მუსიკაში და თითქოს არც აინტერესებთ, გახდება თუ არა ის მოთხოვნადი მსოფლიო ბაზარზე. როგორ ფიქრობ, შესაძლებელია, რომ ჩვენშიც, მუსიკოსმა დაძებნოს და ჩადოს ასეთი სიღრმე?

– შესაძლებელია კი არა, მე ვფიქრობ, რომ ეს არის ერთადერთი საშუალება მუსიკალური თვითიდენტობისა, ოღონდ მე არ ვგულისხმობ წინაპრების ფესვებს და რამე ასეთს; მე ვგულისხმობ იმას, რომ ყველა ვარიანტში ერთგული უნდა იყო შენი ყოფის. აი, ფინური ყოფა არ ვიცი, მაგრამ როგორ შეიძლება მე, ქართველს, მომეწონოს მათი მუსიკა? თუ ის კარგია, ვგრძნობ, რომ ცოცხალია და ცოცხალია იმიტომ, რომ სწორი რაღაცით იკვებება, ინგლისური ბენდით კი არ იკვებება, იკვებება თავისი გარემოცვით, რომელშიც აღმოცენდა თვითონ და ამის გარეშე წარმოუდგენელია... ჯერ კიდევ 90-იან წლებში, მე, ნიკა (მაჩაიძე), ტუსია (ბერიძე) რომ ვაკეთებდით, რასაც ვაკეთებდით, სულ ვიძახდით და ვამბობდით, რომ ინგლისურად ვმღერივართ, ვაკეთებთ თავიდან ბოლომდე დასავლური ჟღერადობის კომპიუტერულ მუსიკას და ამას საოცრად თბილისური და ისეთი სულისკვეთება აქვს, რომ ბუნებრივად გადმოსცემს ჩვენს ყოფას, რომელშიც არეკლილია ჩემი ქუჩაში სეირნობა, მეგობრებთან ურთიერთობება, განწყობა, როგორი ცხოვრების წესიც გვაქვს. კი, ჩვენ ყველანი დასავლურ კულტურაზე გავიზარდეთ და არც ჩვენი მიზანი იყო მაინცდამაინც თბილისური სურნელით გაგვეჟღინთა მუსიკა, მაგრამ ეგრე გამოვიდა და, გამოვიდა იმიტომ, რომ არ იყო კოპირებული და საერთოდ მეკიდა, დასავლურ სივრცეში ეს რამდენად პოპულარული იქნებოდა; და რადგან თავიდანვე ვიცოდი, პოპულარული ვერ იქნებოდა, ეგ ტვირთი არ მქონდა და ამიტომ ვაკეთებდი იმას, რაც მინდოდა. რაც შეეხება ენას, მე არ ვიცი ბრიტანული ინგლისური, ჩემთვის ბრიტანული კულტურის მატარებელი კი არ არის ეს ენა, არამედ თუნდაც ვინმე ჩეხ მსმენელთან საკომუნიკაციო ენაა და მუსიკაშიც ამ კონტექსტში ვიყენებ, მეტი არაფერი.

– ერთ-ერთ რუსმა კომპოზიტორმა ასეთი რამ თქვა; ერთი 3-წუთიანი მელოდიური სიმღერის შექმნა და ჩაწერა უფრო ძნელია, ვიდრე სიმფონიისო. შენი კომენტარი მაინტერესებს ამაზე, როგორც მუსიკოსის.

– მე სიმფონია არ დამიწერია და ვერ შევადარებ, მაგრამ ვიტყვი, რომ მელოდიურად მდიდარი და ჰარმონიულად გამართული სიმღერის დაწერა ბეეეერად უფრო რთულია, ვიდრე რაღაც „ქუულ“ და სახასიათო მუსიკის შექმნა. სხვათა შორის, მე რომ ვაკეთებდი რაღაცეებს, მაშინ იყო მოდაში ჭუჭყიანი, გასვრილი საუნდი და ბევრი მსაყვედურობდა, ძალიან სუფთა ბგერებს იყენებო, განა მარტო აქ, გერმანიაშიც, და ვერ ვხვდებოდი რატომ. მერე რა, რომ სუფთა ხმას ვიყენებ-მეთქი, „თუუ ქლინ“, მეუბნებოდნენ. არადა, თავიდან მეც ასეთ ჭუჭყიან საუნდზე ვჩალიჩობდი, მაგრამ მერე მომბეზრდა, როცა მივხვდი, რომ სუფთა საუნდის მიღება უფრო რთული ყოფილა. იმის თქმა მინდა, რომ მოდურ ტენდენციებს აყოლა ძალიან მარტივია და უინტერესო. მაგალითად, ახლახან უკვე ჩავწერე აკუსტიკური ალბომი, გიტარაზე ვუკრავ და ვმღერივარ.

– ახალი მასალაა?

– კი, ახალია, მარტო გიტარაა, არც მეორე გიტარა, არც ბასი... ეს ექსპერიმენტი იყო, არაფრით არ ვალამაზებ, როგორიც შეიქმნა ისეთია, მარტო გიტარა და ვოკალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

– მუსიკალური ბგერის მიღების შენთვის განსხვავებული წყაროები გაჩვენებს, თუ საით უნდა „გაუშვა“ მუსიკა?

– რა თქმა უნდა...

– ანუ ამჯერად გიტარის საუნდმა განაპირობა ის, თუ რა უნდა გაგეკეთებინა?

– თავიდან ბოლომდე. მაქვს იმავე სიმღერის ელექტროვერსია, რომელიც მელოდიკით და ყველაფრით სხვა სიმღერა გამოდის. მერე ისიც გავაკეთე, რომ უკვე გაკეთებული „ელექტროსიმღერებიც“ გადმოვაგიტარე, ადრე პირიქით ვაკეთებდი, მაგრამ ახლა ასე ვცადე და სრულიად შეიცვალა მელოდიური და ჰარმონიული სტრუქტურა, იმიტომ, რომ გიტარამ თვითონ მოითხოვა რაღაც და სხვა ბიძგი მომცა. ანუ თუკი ხარ თავისუფალი და მზაობა გაქვს, რომ ნებისმიერი იმ მიმართულებით წახვიდე, რაც მოვა სპონტანურად, მაშინ შესაძლებელია, რომ ერთმა ინსტრუმენტმა, ანუ ერთმა ხმამ, დაგაწერინოს ძალიან საინტერესო რამ.

– მუსიკის შექმნის რამდენიმე გზა არსებობს, უფრო სწორად, მუსიკა რომ გამოვიდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ამათგან უმთავრესია ორი: კომპოზიციის გზა და იმპროვიზაციის გზა. რომელი უფრო ახლოსაა შენთან, რომელია უფრო მისაღები?

– მუსიკა ჩემთვის არის მათემატიკა, მათემატიკური პრინციპია, რაღაც უნდა მიუმატო, მერე უნდა გამოაკლო, ანდა უფრო გეომეტრიულ-არქიტექტურული, რაღაც სახლი უნდა ააშენო, რომელშიც რაღაც განწყობა შეიქმნება, ჩემთვის მუსიკა დროში მიმდინარე პროცესი არ არის: დაიწყო 00:00 წუთზე და დამთავრდა 03:00 წუთზე. უფრო რაღაც სივრცესავით არის, რომლითაც ხარ მოცული იმ 3 წუთის განმავლობაში და ამით ცხოვრობ. ასეთი სტრუქტურა რომ ააშენო, რაღაც მათემატიკურობა, გეომეტრიულობა უნდა გქონდეს, ჩემთვის ესაა შემოქმედება, როდესაც ინტიმია... მარტო ტიპი, რომელიც თავის თავში აშენებს რაღაც შენობას, რომელშიც მერე შენ შემოგიყვანს. თუმცა შეიძლება კიდევ უფრო მაგარი სახლი აშენდეს, როდესაც სამი კაცი ერთად აშენებს, ოღონდ სამივე მიზანმიმართულად უნდა იყოს ჩაბმული ამ მშენებლობაში, მაგრამ ყველაზე მთავარია ის, თუ რა აძლევთ ამ სახლის აშენების მოთხოვნილებას ან ენერგიას, რაც უკვე ირაციონალურია... და რა აერთიანებს ამ სამ კაცს, რომელიც ერთ სახლს აშენებს, ასევე ესეც ირაციონალურია, ეს არავინ არ იცის. მე მქონია ეგეთი გამოცდილება, „მაზერს ოფ მანდეის“ დროს, როდესაც სამნი ვაშენებდით ამ რაღაც სახლს. სანამ ეს სახლი სამივეს არ მოგვეწონება, მოუსვენრობაა, როგორც კი დასრულდება, უკვე ყველა კმაყოფილია. ჩემთვის გამოუცნობია, თუ რატომ იკრიბება ეს სამი კაცი და რა საჭიროა ამ სახლის აშენება, მაგრამ ყველაზე მეტად ამ პროცესს ვაფასებ, როდესაც თავჩახრილს, აღარ გახსოვს არაფერი, რადგანაც მთლიანად გადასული ხარ ამ „შენებაზე“.

– ანუ პროცესი ხდება რეზულტატზე უფრო მნიშვნელოვანი? თუ მაინც ორივე ერთად?

– რა თქმა უნდა, ორივე ერთად, უბრალოდ რეზულტატი პროცესის დასასრულია და ეს ნაღვლიანი მომენტია. კი, იმპროვიზაცია სხვა რაღაცაა, რაღაც მომენტში შეიძლება საოცარი გახსნები იყოს, სადღაც ისე წაგიღოს... მაგრამ სტრუქტურულობა აკლია, მეორედ ვეღარ გაიმეორებ, იმ სახლში მეორედ ვერავის დაპატიჟებ, მომენტალურად ქრება. შეიძლება იმ მომენტში საოცრება იყოს, მაგრამ დაიწყო და მორჩა დროში. მუდმივი არ არის. ისეთი რამ უნდა ააშენო, რომ იდგეს. მე იმას კი არ ვიძახი რომელია უკეთესი, არამედ იმას, თუ ჩემთვის რომელი მუსიკალური სივრცეა მისაღები, იმპროვიზაცია მე არც შემიძლია, თუმცა ყველანაირი მუსიკალური უნარების გამომუშავება შეიძლება ვარჯიშით და მათ შორის იმპროვიზაციის უნარისაც, უბრალოდ მე ეს არ მაინტერესებს.

– მოდი ახლა სხვა კუთხიდან შევხედოთ თემას. რომელი უფრო მნიშვნელოვანია მუსიკოსისთვის, არტისტისთვის: თანდაყოლილი ნიჭი თუ წმინდა პიროვნული ფაქტორი, ანუ შინაგანი პოზიცია, მდგომარეობა. რა უფრო უნდა ეტყობოდეს ნამუშევარს.

– მე შემიძლია თამამად ვთქვა და არ მრცხვენია ჩემი მოსაზრების, რომ თანდაყოლილი ნიჭი საერთოდ არაფერს არ წარმოადგენს და უმნიშვნელოა. თუ გაქვს, ბედნიერი ხარ, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია, მთავარია შენ როგორ ვითარდები, ანდა როგორ ავითარებ თუნდაც ამ ნიჭს. შეიძლება ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე არა ვარ განსაკუთრებით ნიჭიერი, მაგრამ ძალიან ბევრი ნიჭი ვიცი, რომელიც არ ვითარდება და ლპება. ჩემთვის ბევრად უფრო მთავარია განვითარება, შრომა და სწორი ცნობიერება, ჩემთვის ყველაზე დიდი ნიჭი არის ცნობიერების განვითარება, ანუ სულ წინსვლა რომ იყოს ამ კუთხით, ნიჭი კი ხშირად აფერხებს ამ პროცესს. როცა ჯიბეში გიდევს გარანტია, რომ ნიჭიერი ხარ, შენთვის სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია და, შესაბამისად, შედეგიც მხოლოდ ნიჭიერულია.

– მინდა გითხრა, რომ მეც „ნიჭიერების“ ისეთი ნამუშევრები უფრო მომწონს, სადაც ეს ნიჭი საერთოდ შენიღბულია და მიჩქმალული. მაგრამ ახლა გადავიდეთ სხვა თემაზე. ბევრ ახლგაზრდა ქართველ მუსიკოსს მიაჩნია, რომ წარმატების კრიტერიუმი ის არის, როცა ვინმე ბრიტანელი ან ევროპელი გეტყვის, რა მაგარი ბიჭი ხარო; ამიტომაც ისინი ცდილობენ მოერგონ მათ გემოვნებას, ხოლო თუ ვინმე გამოიჩენს ნებას და დაეხმარება კონცერტის მოწყობაში ან ჩანაწერის გაკეთებაში... ეს უკვე ოცნების ზღვარია.

– პირადად მე, ლონდონელი და ნიუ-იორკელი საერთოდ არ მაინტერესებს. მუსიკალურ ენას არა აქვს ეროვნება, შეიძლება მე ბევრად უფრო კარგად მესმოდეს ბრიტანული მუსიკა, ვიდრე ნებისმიერ ინგლისელს და ვიღაცას, რომელიც აქ ჩამოვა. ვინმეს მოვწონვარ თუ არ მოვწონვარ, ამას საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, გარდა გაყიდვისა. მაშინ ვაღიარებ, რომ უფრო მეტი შანსია ინგლისელს მოვეწონო და „პრომოუშნი“ გამიკეთოს, მაგრამ ეს საერთოდ არ არის ხელოვნების სფერო და ამას ჩემი შემოქმედებითი პროცესისთვის არანაირი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. და კიდევ, ავტორიტეტები ძალიან გიშლიან ხელს. კი, შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგტენონ, მაგრამ მუსიკის კეთების დროს ყველასგან უნდა გათავისუფლდე. რა თქმა უნდა, თუ პირადად შენ გაინტერესებს, შეიძლება მოსაზრება ჰკითხო ვინმეს, შეიძლება ვინმემ კონსტრუქციულადაც გაგაკრიტიკოს, რაც შეგიძლია არც გაითვალისწინო მაგრამ ამან პოზიტიურად იმოქმედოს შენზე, ეს მესმის, ეს კარგია; მაგრამ ვიღაცა ინგლისელისთვის გავაკეთო რამე, რომელსაც ან მოეწონება ჩემი გაკეთებული, ან არა, ეს არის მონური ფსიქოლოგია.

– არადა, ბევრი, ვინც ახლა იწყებს, თავიდანვე ეს იდეა აქვს ჩადებული, რომ...

– ადრე ჩვენც ეგრე გვქონდა, 20 წლის ბავშვები ვიყავით და დაგეგმილი გვქონდა ლონდონში წავსულიყავით. პატარები ვიყავით და რაღაც დონეზე ეგ მოსულა, მაგრამ როცა გაიზრდები და კიდევ ამაზე ფიქრობ, ე.ი. გაჭედილი გაქვს. ადრე მეც ეგრე ვიყავი, ჩარკვიანიც ეგრე იყო, ერთად ვიყავით მოსკოვში და გავაკეთეთ ვიდეოკლიპი, ახლა რომ ვუყურებ ძალიან სასაცილო ვიდეოა, მაგრამ მაშინ MTV-ში გავაგზავნეთ. სულ ვწუწუნებდით, რა კარგია ინგლისი და რა ცუდია პოსტსაბჭოთა სივრცე, მაგრამ, საბოლოო ჯამში, რაც გამიკეთებია, სწორედ პოსტსაბჭოეთის და საქართველოს არომატი აქვს ყველაფერს და არა ინგლისის, და არც ვაპირებ ამის დაკარგვას. მთავარია, წრფელი იყო იმაში, რასაც აკეთებ და არავინ შეუშვა შენში, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. და მინდა ერთიც დავამატო: არავითარი წესი, რეცეპტი იმისა, რომ მე ესე გავაკეთებ მუსიკას, ჩავწერ და ის წარმატებული იქნება, არ არსებობს, არც აქ, არც საფრანგეთში და არც ინგლისში. ეს არის ლატარეა, ან გაგიმართლებს, ან არა. და რა მნიშვნელობა აქვს ამაზე ფიქრს, ენერგიის ხარჯვას, არ მესმის.

– ერთი „გრემის“ ლაურეატი მესაყვირის ტელეინტერვიუ გამახსენდა, რომელიც ამბობს, რომ „გრემის“ მოპოვება წარმატებას არ ნიშნავსო. წამყვანი ეკითხება, აბა რა არის წარმატებაო, ის კიდევ პასუხობს, წარმატება სიხარულიაო; რა სიხარულიო, აი, ის სიხარული, როდესაც თუნდაც ერთი ტრეკი მაგარი გამომივაო.

– ეგ მართლა ეგრეა, მაგრამ ამ სიხარულს ასრულებს, როდესაც ვიღაც ტიპი მოისმენს და ზუსტად მიხვდება, შენ რა ჩადე ამ ტრეკში. ხელოვნება რაღაც პონტში არის კომუნიკაციის ენა და მიუხედავად იმისა, რომ კეთების პროცესი ძალიან სასიამოვნოა, ხელოვნებას მაინც ასრულებს მისი გაზიარება. გაუზიარებელი ხელოვნება დასრულებული ვერ არის ჩემი აზრით, თუმცა შეიძლება მხოლოდ ერთი ადამიანი იყოს, რომელიც გაიზიარებს მას, მიხვდება, რისი თქმა გინდოდა ამ ტრეკით და ეს სრულიად საკმარისი იყოს.

– ამით ჩვენ შეგვიძლია დავამთავროთ კიდეც...

და ტაილანდელსაც ერთნაირად ეფეძლია, არანაირი განსხვავება არ არის. ამას რომ მივხვდი, ნელ-ნელა ხელ-ფეხი გამეხსნა და თუ მე დღეს ინგლისურ ტრადიციას ვიყენებ ჩემს მუსიკაში, ეს ნიშნავს, რომ მე, ზოგადად, კაცობრიობის ტრადიციას ვიყენებ და არა კონკრეტულად ინგლისურს. საბოლოო ჯამში, არ არსებობს არაფერი ქართული, ინგლისური თუ გერმანული, არსებობს საყოველთაო, ადამიანური, ზოგადსაკაცობრიო.

– ეს როგორც ანდრეი მაკარევიჩმა თქვა ერთხელ: „იცოდეთ, რომ „ბიტლზი“ უფრო მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა ახალგაზრდებისთვის, ვიდრე ბრიტანელებისთვის, უფრო დიდი მუსიკა იყო აქ, ვიდრე დასავლეთში“.

> თავიდან მეც ასეთ ჭუჭყიან საუნდზე ვჩალიჩობდი, მაგრამ მერე მომბეზრდა, როცა მივხვდი, რომ სუფთა საუნდის მიღება უფრო რთული ყოფილა. იმის თქმა მინდა, რომ მოდურ ტენდენციებს აყოლა ძალიან მარტივია და უინტერესო.

– ჰო, მაგრამ მინდა ერთი რამ დავამატო და კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ხელოვნებას საზღვრები არა აქვს და ის საუკეთესო ნიმუშები, რომელიც შექმნილა თუნდაც თანამედროვე მუსიკაში, არ არის მხოლოდ ამერიკისა და ინგლისის საკუთრება; ის ისევეა ქართული, როგორიც ამერიკული ან ინგლისური, ამიტომ ის კომპლექსი, რომ მე ქართველი ვარ ან თურქი და ამიტომ ეს არ გამომივა... სისულელეა. ნებისმიერი მუსიკა საყოველთაოა და ყველას საკუთრებაა. პათეტიურად არ ვიძახი, ზუსტად ვიცი რასაც ვამბობ და კონტრეტულად ძალიან ზუსტ რაღაცას ვეხები. ინგლისური მუსიკის გაგება ინგლისელსაც

– ეგ ეგრეა ზუსტად, მარტო „ბიტლზში“ და მუსიკაში არ არის საქმე, რომელიღაც დიდი ფილმის რეჟისორის შეიძლება მე უფრო მესმოდეს, ვიდრე მის უახლოეს ადამიანებს და მეგობრებს. ეს საზღვრების არარსებობა მეტაფორა კი არ არის, არამედ ასეა, ამიტომაც არ შეიძლება ლენონი იყოს მხოლოდ ინგლისელი. უფრო მეტს გეტყვი, იქ, სადაც ლენონი ინგლისელია, მე ის არ მომწონს.

– ძალიან კარგი... მე მგონი კარგად ვილაპარაკეთ... და ვფიქრობ, მუსიკაზე საუბარი რომ გამოგვსვლოდა, სულაც არ იყო აუცილებელი მარტო მუსიკაზე გვესაუბრა...

– რა თქმა უნდა, უდავოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერსტარი პოლიტიკოსები და კონტროლირებადი მუსიკა

ავტორი: ლაშა გაბუნია
ფოტო: გურამ წიბახაშვილი

მე ვარ სენტიმენტური, თუ თქვენ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ;
მე მიყვარს ქვეყანა და ვერ ვიტან, რაც აქ ხდება.
მე არც მემარცხენე ვარ და არც მემარჯვენე.
უბრალოდ, დღეს სახლში ვზივარ,
ამ უიმედო, პატარა ეკრანში ჩაკარგული.

ლეონარდ კოენი

შესავალი

სახელგანთქმული ამერიკელი პოლიტიკოსი ჰენრი კისინჯერი თავის მემუარებში წერს, რომ ამერიკას აქვს ოთხი მიზეზი, რომელიც პლანეტაზე მის დომინირებას განაპირობებს. პირველი, ესაა არმია, მეორე – მეცნიერება, მესამე – მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი მასკულტურა და მხოლოდ მეოთხე ადგილზე დაასახელა ეკონომიკა. ეს მართლაც ასეა, რადგან მასობრივი მუსიკა პოლიტიკური გავლენის გიგანტური ინსტრუმენტია. მასში უზარმაზარი ენერგია დევს. სტალინი, რომელიც თვლიდა, რომ „ვინც დღეს ჯაზს უკრავს, ხვალ სამშობლოს გაყიდის“, მართალი აღმოჩნდა, რადგან დასავლურმა ფასეულობებმა, რომელიც საბჭოთა კავშირში ჯერ ჯაზის და მერე უკვე როკ-ენ-როლის სახით შემოაღწია, მთლიანად შეცვალა ამ უტოპიური ქვეყნის ხელოვნურად დამკვიდრებული ფასეულობები. რუსი როკმუსიკოსი და პროდიუსერი ბარი ალიბასოვი „ნიუ-იორკ ტაიმსთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი სწორედ როკ-ენ-როლმა დაშალა, თუმცა შედეგი არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც წარმოედგინათ.

ნამდვილად არაა მარტივი დაწერო სტატია პოლიტიკის, მუსიკისა და მედიის ურთიერთობაზე ისეთ ქვეყანაში, სადაც ყოველდღიური პოლიტიკით აბსოლუტურად ყველაფერია გაჯერებული, – ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, სოციალური მედია, ტრანსპორტი, სამზარეულო და საძინებელიც კი... ამიტომ, აღარ იცი, საიდან და როგორ დაიწყო წერა. აქ ხომ ნებისმიერი ცნობადი სახე (ე.წ. სელებრითი), აკადემიური მუსიკოსიც კი საზოგადოების თვალში რომელიმე პოლიტიკურ ბანაკს უკავშირდება, ან შეგნებულად მიაკუთვნებს თავს. საქართველო ამ ურთიერთობების მხრივ თავისებურად უნიკალური ქვეყანაა და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ყველაფერს ახლავე მოგახსენებთ.

კონტროლი უკან, წარსულში

კომუნისტი მმართველები სსრკ-ის არსებობის პირველ წლებშიც კი მუსიკასა და კულტურას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ამიტომ 1920-იანი წლების დასაწყისში უკვე შეიქმნა „ფილარმონია“, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ეკონტროლებინა მუსიკა და მუსიკოსები. ეს ორგანიზაცია მოიცავდა როგორც აკადემიურ, ისე თანამედროვე მუსიკას. ფილარმონია ერთგვარ საპროდიუსერო ცენტრის ფუნქციას ასრულებდა. იგი პროპაგანდირებდა საბჭოთა მუსიკას. როცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დამკვრელური შრომის ფერხულში იყო ჩაბმული, მშრომელთა გასამხნევებლად იქმნებოდა მომღერალ კომუნისტ კოლმეურნეთა ჩანაწერები, რომელიც ჯერ კიდევ 1930-იან წლებში დიდი ტირაჟით ვრცელდებოდა გრამოფონის ფირფიტებით. მათში ქებას ასხამდნენ სოციალისტურ ქვეყანას, შრომას, პარტიას. ასეთი სიმღერები რეჟისორმა ოთარ იოსელიანმაც გამოიყენა თავის ფილმში „გიორგობისთვე", სადაც ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე ჩართულ რადიოში სწორედ კოლმეურნეთა მომაბეზრებელი სიმღერები ისმის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფილარმონია კიდევ უფრო გააქტიურდა უკვე თანამედროვე მუსიკის მიმართულებით. მაშინ, როდესაც მსოფლიო როკ-ენ-როლის რიტმებზე ყირაზე გადადიოდა, სსრკ-ში, როგორც იქნა, ჯაზორკესტრების შექმნის შესაძლებლობა გაჩნდა. ზოგადად კი, მთელი თანამედროვე მუსიკა მოექცა ერთ სიტყვაში – ესტრადა, რომელიც საქართველოში ტერმინის სახით დღემდე შემორჩა. ფილარმონია განაგებდა მუსიკალურ, საცეკვაო თუ მხატვრული კითხვის შემსრულებლებს, გეგმავდა მათ კონცერტებს, ხოლო გასტროლებს საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში „სოიუზკონცერტი" და „გოსკონცერტი" უკეთებდნენ ორგანიზებას, ამიტომ ქვეყანასა და უცხოეთში შემსრულებლის კონცერტზე მიღებული ჰონორარის უმეტესობა ამ ორგანიზაციებს მიჰქონდა.

სამოციანებში პირველი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები, ე.წ. „ვია"-ები გაჩნდა. სსრკ-ში პირველი ასეთი კოლექტივი ქართული „ორერა" იყო, რომლის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, რობერტ ბარძიმაშვილმა ადრე საუბრისას მომიყვა, მკაცრი საბჭოთა ცენზურის პირობებში როგორ შეჰყავდა შეცდომაში „გოსკონცერტის" ხელმძღვანელობა. როდესაც ანსამბლის სიმღერა საქართველოზე, თბილისზე ან სიყვარულზე იყო, რუსულად თარგმნისას ის მიუთითებდა ხოლმე, რომ ტექსტი პარტიას, ხალხთა მეგობრობას ეძღვნებოდა და ამ ტექსტს მოსკოვში დასამტკიცებლად აგზავნიდა. მან გაიხსენა: „საზღვარგარეთ გასტროლებისას ანსამბლს შემოსული თანხის მხოლოდ 5-10%-ს გვაძლევდნენ, დანარჩენს „გოსკონცერტს" ან საელჩოს ვაბარებდით. მართალია კონცერტებს სახელმწიფოს ხარჯით ვმართავდით, მაგრამ ბევრი უსამართლობა იყო. ცუდიც და კარგიც რატომღაც თანაბარ მდგომარეობაში ვიყავით, ანუ მნიშვნელობა არ ჰქონდა წარმატებებს, დარბაზების „დალაშქვრას" და ა.შ.".

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო საგრძნობლად ერეოდა მუსიკასა და მუსიკოსების ცხოვრებაშიც კი. მაგალითად, კომუნისტ მუსიკოსს უფრო მეტი გაქანება ჰქონდა, ვიდრე უპარტიოს. ეს გავლენა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო თანამედროვე მუსიკაში. თუნდაც ის რად ღირს, რომ ესტრადაც გარკვეულწილად გააკადემიურეს, რადგან არსებობდა წოდება „პროფესიონალი მუსიკოსი", რომელიც აუცილებლად ფილარმონიული გახლდათ და, ნიჭის მიუხედავად, მას გზა ხსნილი ჰქონდა ესტრადის სცენაზე. თუმცა არსებობდნენ საეჭვო პერსპექტივის „არაპროფესიონალი" (ანუ „მოყვარული") მუსიკოსებიც. ამ უკანასკნელთა მოღვაწეობას მხოლოდ თვითშემოქმედება ერქვა. ხოლო ყოველივე დასავლური მუსიკა (როკ-ენ-როლი და ა.შ.) „მავნებლურ" მუსიკად მოინათლა და ასეთი ფირფიტების შემოტანა კონტრაბანდად ითვლებოდა.

სსრკ-ის დაშლამდე რამდენიმე წლით ადრე, ე.წ. „პერესტროიკის" დროს, საესტრადო მუსიკამ უკან გადაინაცვლა და პოპულარული გახდა ანდერგრაუნდ მუსიკა, როკმუსიკა, რომელიც ამ პერიოდში თითქოს არ იყო კონტროლირებადი. მაგრამ საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში (მოსკოვში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში) არსებობდა ე.ნ. „როკკლუბები", სადაც თავს იყრიდნენ როკისა და ალტერნატიული მუსიკის შემსრულებლები. ეს კლუბები ოაზისი იყო არასაბჭოთა მენტალობის მქონე მუსიკოსებისათვის, რადგან თანამოაზრეები ერთად შეკრებას ახერხებდნენ. ამასთანავე, როკკლუბებში მათ სამართალდამცავები ნაკლებად ავიწროვებდნენ. ისინი გეგმავდნენ კონცერტებს, მაგნიტოფირებზე კუსტარულად იწერდნენ მუსიკას და უშვებდნენ მაგნიტოალბომებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გაერთიანებები დამოუკიდებლად არ შექმნილა. ისინი სახელმწიფოს ნებართვით არსებობდნენ და, ამიტომ, კონტროლის აჩრდილი, ავად თუ კარგად, იქაც დააბიჯებდა.

დასავლური ცივილიზაციის ფანჯარაზე ჩამოფარებული „რკინის ფარდის" გამო, საბჭოთა კავშირმა გამოტოვა მსოფლიოს მუსიკალური კულტურის მეტად მძლავრი ეტაპები, რომელშიც შედიოდა, თუნდაც ბიტნიკებისა და ჰიპების ამბოხი, როკ-ენ-როლი, ბიტლომანია, 70-იანების პანკმოძრაობა და ა.შ. ამ მეტად მძიმე ფარდის მიღმიდან ქართულენოვანი რადიოს, „ამერიკის ხმით" შემოღწეული ეს კულტურული ნაფლეთები ბევრი ადამიანისთვის სულიერი საზრდო და თავისუფლების სიმბოლო გახდა. თუმცა ეს ჩავარდნები, რომელსაც ემატებოდა საბჭოეთისთვის დამახასიათებელი პიროვნების კულტი, პოსტჰომო-სოვიეტიკუსის მსოფლმხედველობაზე პირდაპირ აისახა.

პოლიტიკოსი – SUPER STAR

მაშინ, როცა დასავლეთში (გნებავთ, აღმოსავლეთშიც) ელვისის, ფრენკ სინატრას თუ „ბიტლზის" კონცერტზე რიგით თინეიჯერს ემოციური ექსტაზისგან გული მისდიოდა და მისი სიყვარულის ობიექტი შოუბიზნესის ვარსკვლავი იყო, სსრკ-ში ნებისმიერ ბავშვს ტვინში უნერგავდნენ კომუნისტური ბელადების, – მარქსის, ენგელსის, ლენინის და ცეკას მდივნების სიყვარულს. მათი სურათები და ლოზუნგები იყო გაკრული ყველგან, ბენზოგასამართი სადგურებიდან დაწყებული, საწყობებით, სტადიონებით თუ კოსმოსური სადგურებით დასრულებული. თუ დასავლეთში თინეიჯერს

ადამიანების უმრავლესობას ყველა ქვეყანაში სიყმაწვილისას ერთი და იგივე მისწრაფებები აქვს. მათ მომღერლები და მსახიობები ზოგჯერ ოჯახის წევრებზე მეტადაც კი უყვართ. პოსტსაბჭოთა საქართველოში შოუბიზნესის ვარსკვლავების როლი პოლიტიკოსებმა შეითავსეს და აგერ უკვე 22 წელზე მეტია, ასე გრძელდება.



ვინმეს ფანობის ასაკი უმთავრდებოდა და იგი მუსიკის მოსმენას განაგრძობდა როგორც მელომანი, სოციალისტურ სინამდვილეში მთელი ცხოვრება ერთი და იგივე პოლიტიკოსების სიფათებისთვის უნდა გეცქირა.

არადა, ადამიანების უმრავლესობას ყველა ქვეყანაში სიყმაწვილისას ერთი და იგივე მისწრაფებები აქვს. მათ მომღერლები და მსახიობები ზოგჯერ ოჯახის წევრებზე მეტადაც კი უყვართ. პოსტსაბჭოთა საქართველოში შოუბიზნესის ვარსკვლავების როლი პოლიტიკოსებმა შეითავსეს და აგერ უკვე 22 წელზე მეტია, ასე გრძელდება რამდენიმე მიზეზის გამო:

1) ქვეყანამ უახლესი ისტორიის განმავლობაში მთავრობათა რამდენიმე ძალადობრივი ცვლა, ომები და დიდი გაჭირვება გადაიტანა. რიგითი ჰომოსოვიეტიკუსები ძველი ინერციით ხსნას ხედავენ ვინმე მხსნელ პოლიტიკოსში, რომელიც მოსესავით მოგვევლინება, „ტერიტორიებს“ დაგვიბრუნებს, გაგვაერთიანებს, გაგვამდიდრებს („ფულებს“ დაგვირიგებს), დასავლეთთან ინტეგრაციასაც გაგვიხერხებს და ა.შ. ამ საკითხზე ადრე მუსიკოსმა ირაკლი ჩარკვიანმა ინტერვიუში მითხრა: „ეროვნულმა მოძრაობამ ახალგაზრდების მუსიკალური პროტესტი იმ თვალსაზრისით ჩაკლა, რომ ახალგაზრდებმა გააკეთეს მხოლოდ ერთი დასკვნა – მათი პოლიტიკურ აქტივობის შედეგად შესაძლებელი იყო ისინი პარლამენტში მოხვედრილიყვნენ და ამით ფინანსური მომავალი გასჩენოდათ. ეს, უბრალოდ, ცხოვრებასთან პრაგმატული დამოკიდებულებაა. დასავლეთისგან განსხვავებით, აქ ადამიანს ერთადერთი შანსი აქვს – გახდეს პოლიტიკოსი. მხოლოდ მაშინ ექნება ფინანსური დივიდენდები და შეძლებს ცხოვრებას. ეს, საუბედუროდ, ამ საკითხისადმი ძალიან პრაგმატული, ვიწრო და აღმოსავლური მიდგომაა“. ანუ პოლიტიკოსობა (და არა მუსიკოსობა, მხატვრობა, მწერლობა და ა.შ.) პრაგმატული ახალგაზრდისთვის თვითგადარჩენის ერთგვარი საშუალებაც იყო;

2) ჩაკეტილი სივრცისა და გაუნათლებლობის გამო, როგორც მოგვეხსენება, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში უნიჭო რუსი „ესტრადნიკების“ გარდა, ხარისხიანი მუსიკოსები ვერ ჩამოჰყავდათ, ამისი არც სახსრები იყო და არც დიდი მოთხოვნილება. ამასთან, ამ კონცერტებზე, ჩვენებური საზომით, საშუალო შეძლების მუსიკის მოყვარულს დასწრება ბილეთის სიძვირის გამო არ შეეძლო. ვერც ქართველი მუსიკოსები ახერხებდნენ დასავლეთში გასვლას. ან, თუ ახერხებდნენ, შემდეგ იქვე რჩებოდნენ. ამავე დროს, ახალ ინფორმაციებსა და ხარისხიან მუსიკალურ ლიტერატურაზე წვდომა, ინტერნეტის არარსებობის დროს, ძალიან ჭირდა. ორმაგად რთული გახლდათ ამ ყველაფრის მშობლიურ ენაზე წაკითხვა;

3) მედიის დამსახურებით. მოდით, მოკლედ მიმოვიხილოთ დღევანდელ ქართული მედია, მისი გამოცემები თუ გადაცემები. გასაგებია, რომ სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ თემებზე სასაუბროდ ტელე- და რადიოსტუდიებში იწვევენ პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგე-



ბს და ეკონომისტებს, მაგრამ გადავხედოთ გასართობ გადაცემებს, თოქშოუებს, მუსიკალურ თუ გასართობ არხებს, განსაკუთრებით სადღესასწაულო პროგრამებს. სტუდიაში აქაც პოლიტიკოსები სხედან და წამყვანი არკვევს, თუ როგორ აკეთებს მავანი პოლიტიკოსი საახალწლო საცივს ან გოზინაყს, როგორ ღებავს საალდგომო კვერცხს, მოსახლეობამ უნდა შეიტყოს მისი სანუკვარი ოცნება როგორ ახდა და ა.შ. ამას, ყველაფერს, ტელეწამყვანები თუ ტელებოსები საზოგადოებრივი დაკვეთით ხსნიან. თუმცა არც ის დაგვავიწყდეს, რომ ჩვენთან მედიასივრცეც პოლიტიზებულია და პოლიტიკოსების წამდაუწუმ ეკრანზე გამოჩენა გარკვეულ მიზნებს ემსახურება. იმავეს აკეთებს ბეჭდური მედიაც. ჟურნალ-გაზეთები გასართობ გვერდებზეც კი დიდ ადგილს უთმობენ სხვადასხვა პოლიტიკოსის ინტიმური ცხოვრების დეტალებს. მახსოვს, წელს, საახალწლოდ, ერთმა პოპულარულმა საინფორმაციო საიტმა გამოკითხვაც კი ჩაატარა, თუ რომელ პოლიტიკოსს ვისურვებდით ოჯახში მეკვლედ.

რა თქმა უნდა, ყველაზე უკონკურენტო პოპულარობით ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი სარგებლობდა. იგი დიდხანს ითავსებდა პოპიდოლის მისიასაც. „ვარდების რევოლუციის“ მეორე დღიდანვე ქვეყნის მეთაური თითქმის ყველა დიდ კონცერტზე ჩნდებოდა, მუსიკოსების თუ მოცეკვავეების კონცერტებზე სცენაზე უცერემონიოდ იჭრებოდა და იქიდან მიმართავდა შეკრებილ ახალგაზრდებს, რომლებიც ისე რეაგირებდნენ მის ენერგიულ სიტყვებზე, როგორც პოპვარსკვლავის ნამღერ-ნაცეკვზე. ამ ყველაფრის მთელი საქართველოს მასშტაბით ტირაჟირებას კი ისევ და ისევ მედია ახდენდა. სხვებთან ერთად, ჩვენი პრეზიდენტი იყო ნამდვილი პოლიტიკოსი Super Star-ი.

პოლიტიზებული მუსიკა

ამ ყველაფრის ფონზე, რთული არაა წარმოვიდგინოთ, რამდენად პოლიტიზებულია დღევანდელი ქართული მუსიკა. ქვეყანაში, მგონი, არ არსებობს სცენაზე მყოფი მოქმედი მუსიკოსი, რომელსაც რიგითი მსმენელი რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან არ აკავშირებდეს. თავიდანვე შევთანხმდეთ, რას ვუწოდებთ პოლიტიზებულ მუსიკას. თუ შემსრულებელს რომელიმე პოლიტიკური ძალის რწმენა აქვს და იგი ან მემარცხენეა, ან მემარჯვენე, ან, გნებავთ, ცენტრისტი და თავის შემოქმედებაში ამას გამოხატავს, გულწრფელობისთვის ნუ დავძრახავთ; მაგრამ თუ მუსიკოსი თავისი შემოქმედების განმავლობაში სხვადასხვა პოლიტიკურ გუნდებში მომთაბარეობს და მისი შემოქმედების დიდ ნაწილს სწორედ პოლიტიკოსები აფინანსებენ, თავისუფლად შეგვიძლია პოლიტიზებულად შევრაცხოთ.

ახალი საუკუნის დასაწყისში, როცა ჯგუფმა „სახემ“ ყველას დაანახვა, რომ უზარმაზარი აუდიტორიის შეკრება შეეძლო, პოლიტიკოსებს სურვილი გაუჩნდათ, ეს აუდიტორია თავიანთ მხარდამჭერ ელექტორატად გარდაექმნათ. თავდაპირველად მათ სხვადასხვა მუსიკოსის ფარული მხარდაჭერა გადაწყვიტეს და საკუთარ ვინაობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ყველაფრის ფონზე რთული არაა წარმოვიდგინოთ, რამდენად პოლიტიზებულია დღევანდელი ქართული მუსიკა. ქვეყანაში, მგონი, არ არსებობს სცენაზე მყოფი მოქმედი მუსიკოსი, რომელსაც რიგითი მსმენელი რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან არ აკავშირებდეს.

არსად ახმაურებდნენ, – დააკვირდნენ, რა ხეირის მომტანი შეიძლება ყოფილიყო ეს საქმე. როცა დაინახეს, რომ ექსპერიმენტი ამართლებდა, საკუთარი მიზნების განსახორციელად უკვე ღიად ჩაითრიეს მუსიკოსები. ამ მხრივ განსაკუთრებით „მოქალაქეთა კავშირი“ გააქტიურდა. ამ პარტიის ხარჯებით ასობით კონცერტი დაფინანსდა, ჩაიწერა ალბომები. მუსიკოსთა პალიტრაც საკმაოდ ჭრელი გახლდათ, – ცნობილი კომპოზიტორებით დაწყებული, რიგითი ბოიბენდებითა და ესტრადის ვარსკვლავებით დამთავრებული.

კომპოზიტორებზე გამახსენდა, იმ ეპოქის ყველაზე გამორჩეული პოლიტიკური ჰიტი, ალბათ, მაინც „მოქალაქეთა კავშირის“ მხარდამჭერი ჰიმნი „გიხაროდენ“ იყო, რომელიც პოპულარულმა კომპოზიტორმა ჯემალ სეფიაშვილმა დაწერა. სიმღერის ჩაწერასა და ვიდეოს გადაღებაში კი მაშინდელმა ე.წ. ესტრადის თითქმის ყველა ცნობილმა სახემ მიიღო მონაწილეობა. ასე დაიწყო მუსიკოსების ჩათრევა პოლიტიკაში. სწორედ მაშინ გამოჩნდა პირველად უცნობიც, რომლის სიმღერები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელთან ასოცირდებოდა და ვიდეოების გადაღებას სწორედ ეს პარტია აფინანსებდა. ამასობაში საქართველოში ჩამოსულმა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა (რომელიც რამდენიმე წელიწადში პოლიტიკაშიც მოვიდა) შექმნა „არტ-იმედი“, რომელშიც გაერთიანდა უამრავი ესტრადის მუსიკოსი. აღნიშნული ორგანიზაცია, ადრეული საბჭოთა „ფილარმონიისა“ თუ „გოსკონცერტის“ მსგავსად, ერთგვარი საპროდიუსერო ცენტრი გახდა.

შემდეგ მოხდა „ვარდების რევოლუცია“, სადაც ოპოზიციური ძალების მიტინგებზე უამრავი მუსიკოსი მივიდა. მათ ხალხმა „წვიმის მუსიკოსები“ შეარქვა. ეს პროტესტი არ იყო პოლიტიზებული. ეს იყო მაშინდელ როკმუსიკოსთა მეტად გულწრფელი პროტესტი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის წინააღმდეგ. თუმცა ახალი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ ქართველი მუსიკოსების დიდი ნაწილი ისევ სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებში აღმოჩნდა, გასული წლის ოქტომბრის არჩევნებამდე მუსიკოსების ერთი ნაწილი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის გამტარებლებად მოგვევლინა. ხსენებული „წვიმის მუსიკოსებიდან“ რამდენიმე შემსრულებელი ნაციონალური მოძრაობის იდეების მხურვალე მხარდამჭერად იქცა და ა.შ.

მოგეხსენებათ, ბევრმა მუსიკოსმა ამ დამსახურებებისთვის სახელმწიფო ჯილდოებიც მიიღო. დაიწერა უამრავი ჰიმნისმაგვარი სიმღერა, რამდენჯერმე ჩატარდა პატრიოტულ თემებზე დაწერილი სიმღერების კონკურსი „პატრინოტი“ და ა.შ. როგორც ამბობენ, ერთგვარი კასტაც გაჩნდა, რომლებიც სცენაზე არ აჭაჭანებდა განსხვავებულად მოაზროვნეებს, ან სულაც, თავისუფალ მუსიკოსებს. გაზეთებსა და ჟურნალებში გახშირდა ინტერვიუები იმ მუსიკოსებთან, რომლებიც თვლიდნენ, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო იდევნებოდნენ, ანუ მათ სცენაზე არ უშვებდნენ ხელისუფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბის მხარდამჭერი მუსიკოსები, რომ ეს უკანასკნელები განაგებდნენ შოუბიზნესს და ა.შ.

შარშან, წინასაარჩევნო კამპანიაში, ისევ ზემოხსენებული კომპოზიტორის, ჯემალ სეფიაშვილის, ამჯერად „ქართული ოცნებისთვის" დაწერილი ჰიმნი გუგუნებდა, ხოლო ამ პოლიტიკური მოძრაობის ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის ვაჟი, ბერა, ამავე პოლიტიკური ძალისთვის დიდი მონდომებით რეპავდა. ბუნებრივია, რომ იგი მამის პოლიტიკური პიარკამპანიის სახეა.

და რატომ აკეთებენ დღეს ასე მუსიკოსები, ანუ რატომ ექცევიან ისინი პოლიტიკოსთა გავლენის ქვეშ და რატომ არიან ისინი პოლიტიზებულები? ახლა ხომ აღარავინ ამოწმებს მათ ტექსტებს და აღარ არსებობს ცენზურა? ამ კითხვებზე პასუხი მარტივია. დღეს ყველას აქვს უფლება იმღეროს იმაზე, რაზეც უნდა და როგორც უნდა, მაგრამ საქართველოს შოუბიზნესის არეალი ძალიან პატარაა და ბაზარიც ღატაკია. შესაბამისად, შემსრულებელთა ფინანსური შემოსავლები ძალიან მწირია, ამიტომ მუსიკოსს ურჩევნია დაფინანსება მიიღოს პოლიტიკოსისგან, ვიდრე არავისგან და საერთოდ ჩაკლას თავისი შემოქმედება.

კონტროლი დღეს

დღეს, როცა მსოფლიოში ბევრს საუბრობენ „ევროვიზიის" პოლიტიკურ იარაღად გადაქცევასა და უამრავი მუსიკალური კონკურსის პოლიტიზაციაზე, ძალიან საეჭვოც კია საქართველოში ამდენი სატელევიზიო მუსიკალური კონკურსის არსებობა. ქართველი მაყურებელი საინფორმაციოდან საინფორმაციომდე, საპნის ოპერიდან საპნის ოპერამდე „ერთობა" მუსიკალური კონკურსებით, რომელსაც თითქმის ყველა პოპულარული მსხვილი ქართული ტელეარხი სთავაზობს. თუმცა კონკურსი, როგორც წესი, გართობა არ არის, მას ნერვიულობა და სახსრებიც სჭირდება, რათა მაყურებლის მოწონებულმა მუსიკოსმა კონკურსი არ დატოვოს. ამისთვის მსმენელი თავისი რჩეული კონკურსანტის სახელზე რაც შეიძლება მეტ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას აგზავნის, რაც ყველაზე მეტად ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებს ახეირებს. ამიტომ ამ მრავალრიცხოვან კონკურსებს ძირითადად ეს კომპანიები აწყობენ ხოლმე.

საქართველო არაა დიდი ქვეყანა და აქ შოუბიზნესი სრულფასოვნად დღემდე ვერ განვითარდა, ამიტომ ძალიან ბევრია ერთდროულად სამ ტელეარხზე სხვადასხვა მუსიკალური კონკურსის მოწყობა. თანამედროვე მუსიკას, კლასიკურისგან განსხვავებით, არ სჭირდება კონკურსები. ბევრი ამბობს, რომ ეს კონკურსები ახალი ნიჭის გამოვლენას უწყობს ხელს, მაგრამ ხომ შეიძლება ამისთვის კარგად ორგანიზებული ფესტივალები მოეწყოს? რა საჭიროა ვინმე ან გამარჯვებული, ან დამარცხებული გახდეს? მოდით, მსმენელმა თავად გადაწყვიტოს, ვის მოუსმენს. ეს მესიჯომანია უფრო სპორტული ჟინისა და აზარტის გამოვლინებაა, ვიდრე ხელოვნებით ტკბობა. ისე კი, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ეს კონკურსებიც პოლიტიკოსთა მხრიდან ადამიანთა კონტროლისთვისაა მოგონილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს შოუბიზნესის არეალი ძალიან პატარაა და ბაზარიც ღატაკია. შესაბამისად, შემსრულებელთა ფინანსური შემოსავლები ძალიან მწირია, ამიტომ მუსიკოსს ურჩევნია დაფინანსება მიიღოს პოლიტიკოსისგან, ვიდრე არავისგან და საერთოდ ჩაკლას თავისი შემოქმედება.

მსგავს „შეთქმულების თეორიებს“ საკმაოდ სერიოზული ადამიანები იზიარებენ და მათ შორის მუსიკოსებიც. თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მეამბოხე ჯგუფი Muse სიმღერაში „აჯანყება“ მღერის: „ისინი ვერ დაგვაძალებენ, ისინი შეწყვეტენ ჩვენს დეგრადირებას, ისინი ვერ გაგვაკონტროლებენ, ჩვენ გავიმარჯვებთ“. ტექსტის მიხედვით, „ისინი“ – ბობოლა მდიდრები არიან, რომლებიც ცდილობენ, მოგვაჩეჩონ გამოსათაყვანებელი წამლები, რათა სიმართლე ვეღარ დავინახოთ. ეს მემარცხენე სულისკვეთების სიმღერა იმ მედიაბოსებისკენაცაა მიმართული, რომელთაც ხელში ჩაიგდეს მუსიკალური ინდუსტრია და მსმენელს თავს ახვევენ საკუთარ მდარე გემოვნების ნაწარმს, სადაც მუსიკის გარდა თითქმის ყველაფერია გათვალისწინებული – ადამიანის ფიზიკური მონაცემები, უკანალის მოხდენილად ქნევა თუ გამაღიზიანებლად მყვირალა ხმა. მსგავსი პროტესტი ადრე პანკებს ჰქონდათ, თუმცა უფრო უხეშ ფორმებში.

სიტყვამ მოიტანა და, ქართულ მუსიკალურ ტელეკონკურსებს თუ თვალყურს მივადევნებთ, ადამიანის ვოკალურ ღირსებად ჟიურის წევრებს ყველაზე ხშირად კარგი, მოხდენილი ყვირილი მიაჩნიათ. ქართველ სიმღერის შემფასებელთა ნაწილის ერთგვარი ეტალონები არიან: უიტნი ჰიუსტონი, ემი უაინჰაუსი, სტივ უანდერი და მსგავსი ვარსკვლავები. სწორედ მათი ცუდი მიბაძვის შედეგად მიიღება ის საშინლად მყვირალა ხმები, ძლიერი რომ ჰგონია ბარე ორს. ეს რომ არ მეთქვა, არ შემეძლო.

ჩემი თაობის ბევრი მელომანი ხშირად ბუზღუნებს, რომ მსოფლიოს დღევანდელ მუსიკას მელოდიზმი, ჰარმონია, რომანტიზმი და პროტესტი აკლია, რადგან თანამედროვე მუსიკალურ ინდუსტრიას მსხვილ პოლიტიკოსებთან დაახლოებული ადამიანები დაეპატრონნენ, რომელთაც არ სურთ მოაზროვნე და მეამბოხე ახალგაზრდა თაობა, რადგან მორჩილი ადამიანების საარჩევნო ხმების მიღება მარტივია. მათივე აზრით, ამ პოლიტიკოსებმა უდიდესი საპროტესტო მუხტი, რაც მუსიკოსებმა თუნდაც ვუდსტოკის ფესტივალსა და შემდეგ პანკმოძრაობისას ამოაფრქვიეს, კალაპოტში მოაქციეს და ახლა ყოველწლიურად ათას ადგილას ტარდება მსგავსი ფესტივალები, სადაც პროტესტი ნაკლებადაა, ხოლო თანამედროვე კომერციული პანკები თუ ჰიპ-ჰოპერები როლერებზე, სერფინგერებსა და მაგარ ნაშებზე მღერიან. უკანასკნელი მეამბოხე მოჰიკანი კურტ კობეინი იყო. მისი სიკვდილით წერტილი დაესვა მსგავს მუსიკას – გულისწყვეტით აღნიშნავენ ისინი. მსგავსი შეხედულებები მხოლოდ საქართველოში არ არსებობს. ბევრმა შესანიშნავად გააცნობიერა ისიც, რომ კაცობრიობა ვერასდროს გახდება ისეთი უტოპიური, როგორც ლენონს წარმოედგინა სიმღერაში Imagine („წარმოიდგინე“).

შეიძლება ისიც თქვა, რომ მეოცნებე ვარ,
თუმცა ჩემნაირი ბევრია,
იმედია, ერთ დღეს შენც შემოგვიერთდები
და მსოფლიო გაერთიანდება.
ჯონ ლენონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალი თაობა

ავტორი: ბექა მაისურაძე
ფოტო: ეკატერინე მახათაძე

ქართველ მუსიკოსებს „მწერალთა სახლის“ ეზოში შევხვდი. ისინი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან, თუმცა საერთოც ბევრი აქვთ. მსმენელს ხარისხიანი მუსიკის მოსმენისკენ მოუწოდებენ. ზოგი მუსიკალური სნობიზმის წინააღმდეგია, მუსიკის კატეგორიებად დაყოფა მიუღებელად მიაჩნია, ფიქრობს, რომ მუსიკოსი პუბლიკას ჩარჩოებში არ უნდა სვამდეს, რადგან სჯერა, რომ ის, ვისაც თავი სხვაზე უკეთესი ჰგონია, შემოქმედებითად მალე იკეტება და თავად აღმოჩნდება ჩარჩოში, საიდანაც თავის დაღწევა არც ისე ადვილია.

ოცნებებიც განსხვავებული აქვთ – ზოგიერთს სურს, სახალხო გახდეს და მთაში, ჩონგურზეც კი დაუკრან მისი სიმღერები. ზოგიერთის მიზანი საქართველოდან წასვლაა, ამიტომ ინგლისურ ენაზე მღერიან. მიუხედავად ამისა, სჯერათ, რომ უცხოელი პუბლიკის წინაშე წარდგომამდე ჯერ ლოკალურ სცენაზე დამკვიდრებაა საჭირო.

რვავე შემსრულებელი მეუბნება, რომ მსმენელის რეაქციას დიდი გავლენა აქვს მათ შემოქმედებაზე. საკუთარ სათქმელს მუსიკით გადმოსცემენ, წერენ იმაზე, რაც თავად გამოუცდიათ, რაც საკუთარ თავში ან სხვაში აწუხებთ, გვაძლევენ რჩევებს და გვიზიარებენ გამოცდილებას. მუსიკა ხომ მეტია, ვიდრე უბრალოდ დროის სასიამოვნოდ გატარება? მუსიკამ რაღაც უნდა გვასწავლოს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ქართველ მუსიკოსებს ამის სჯერათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

LOUDspeakers

დავით ცომაია, ალექსანდრე წიკლაური, ლევან მამალაძე, ლევან ცხვარაძე

დებიუტი: 2009 წელი

მშვიდი ხალხი ვართ, ვმღერით იმაზე, რასაც განვიცდით, ამიტომ ჩვენი სიმღერები გვგავს – არის მელანქოლიური და ხანდახან მხიარულიც. ჩვენი პირველი სიმღერა იყო Time to, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაზე პოპულარული არის World in my eyes. ტექსტი ინგლისურ ენაზეა, რის გამოც ძალიან გვაკრიტიკებდნენ, მაგრამ ჯერჯერობით ქართულად სიმღერის დაწერის სურვილი არ გაგვჩენია. იმას, რისი თქმაც გვინდა, მუსიკის საშუალებით გამოვხატავთ და თუ პუბლიკა კარგად მიიღებს, თავს გამარჯვებულად ვთვლით. მათზე ბევრია დამოკიდებული, ხანდახან ვიძლევით რჩევასაც და მსმენელისგან ვგრძნობთ, რომ ისინი სწორად იღებენ და საკუთარ თავზე ირგებენ სიმღერას. ვთხოვ მათ, რომ იარონ ლაივებზე, უსმინონ ხარისხიან მუსიკას და არა რესტორნის სიმღერებს. ბოლო რეპეტიციებზე ახალი ემოციებიც დაგვეუფლა, ცოტა ფანტაზიანარევი სიმღერებიც გვექნება, მაგალითად, ახლა ვწერთ მფრინავ გოგონაზე.

ლუკა ნაკაშიძე

დებიუტი: 2012 წელი

14 წლის ვიყავი და ვერც წარმოვიდგენდი, რომ მუსიკის კეთება ასე გამიტაცებდა. თამაშით ან კომპიუტერთან ჯდომით რომ დავიღლებოდი, ჩავრთავდი პროგრამას და ექსპერიმენტებს ვატარებდი. ახლა ვაკეთებ ისეთ მუსიკას, როგორიც ქართულ ნაცრისფერ რეალობას შეესაბამება. ვთვლი, რომ როგორიც არის რეალობა, ისეთი უნდა დაანახვო ხალხს. ძირითად შემთხვევაში, ხასიათს მიქმნის მუსიკა და არა პირიქით. შეიძლება რაღაც კონკრეტული ემოციის გამოტანაც მინდოდეს გარეთ, მაგრამ მუსიკა მიყოლიებს და ის აყალიბებს ხასიათს. კარგი იქნება, თუ ჩემი მუსიკა ვინმესთვის ინსპირაცია იქნება. ხელოვნებას გასართობზე მეტად საგანმანათლებო ფუნქცია აქვს და მინდა, რომ მეტმა დაიწყოს ამაზე ფიქრი. კი, გართობაც კარგია, მაგრამ ორივე ერთად უფრო მაგარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლე დეისაძე

დებიუტი: 2008 წელი

გიტარის წრეზე დავდიოდი და რაღაცეებს მასწავლიდნენ, მაგრამ მინდოდა რამე ახალი შემექმნა. ყველაზე დიდი ემოცია მაშინ მქონდა, როცა პირველად გავსინჯე ჰალუცინოგენური სოკო, ვინსენტ გალო ჩავრთე და სულ სხვანაირად დავიწყე მუსიკის მოსმენა. „პრეზიდენტო" პირველი სიმღერაა, რომელიც youtube-ზე ავტვირთე, მაშინვე ჰიტი გახდა. საერთოდ, ყველაფერს რეაქციებისთვის ვაკეთებ, ვცდილობ, მსმენელში ყველანაირი ემოცია გამოვიწვიო – გაბრაზება, გაცინება, გინებაც. ჩემთვის ყველაზე მთავარი ტექსტია, სიმღერით ვფუთავ იმას, რისი თქმაც მსურს, მინდა, რომ მოუსმენენ, მიხვდნენ რა სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაა ქვეყანაში. არ არსებობს არტი პოლიტიკის გარეშე. შიშის გრძნობა საერთოდ აღარ მაქვს, ბავშვობაში ალყაში მომაქციეს, მქონდა შანსი გავქცეულიყავი, მაგრამ ასე არ მოვიქეცი. ერთს შევაფურთხე, მეორეს კი დავარტყი. მართალია შემდეგ დანარჩენებმა მცემეს, მაგრამ კარგი ვქენი, რომ არ გავიქეცი. ახლა მით უმეტეს არ გავიქცევი, მე აქ უნდა ვიყო. აქ ვგრძნობ თავს კარგად. ერთი ოცნება მაქვს, მინდა სიყვარულზე დავწერო, აი, გოგონებს გულს რომ აუჩქროლებს და ძილის წინ მოუსმენენ ხოლმე. ჯერ არ გამომდის. მინდა მაქსიმალურად სახალხო გავხდე, ჩემი სიმღერები იყოს ყველაზე გოიმურ რადიოტალღაზეც კი, დაუკრან ქორწილებში ან სადმე მთაში, ფანდურზე. საერთოდ, ჩაკეტილი რაც არის, არაფერი არ ვარგა, მალე ლპება და არავინ აღარ ეკარება. ბევრი ოცნება მაქვს, ოღონდ ევროპული ოცნება, რომელიც ქართული უნდა გახდეს. ქართულ მუსიკას დღეს არყის სუნი ასდის, ვცდილობ ეს სუნი მოსაწევის სუნით შეიცვალოს.

Catch the Clouds
ბეთხო, ქეთი ტულუში, გიორგი არგზიანი

დებიუტი: 2011 წელი

სუფთა ჰაერი, მწვანე ბალახი და ბევრი პლედი, რა თქმა უნდა, ერთი-ორი თეთრი ღრუბელი ცაზე, ასეთია Catch the Clouds-ური გარემო. ერთ დღეს გავიღვიძეთ და უკვე ეს სახელი გვერქვა. პირველი ერთობლივი ნამუშევარი იყო Nobody at Home, რომელიც სკაიპში დავამუშავეთ. ყველაზე პოპულარული ტრეკები კი არის – I Can Remember და Cowboy. ჩვენი სიმღერები ძირითადად მელანქოლიური და სევდიანია, შეიძლება თვითონ წერის პროცესში სევდიანები არ ვიყოთ, მაგრამ საღღაც, გულის სიღრმეში დაგროვილი სევდა გამოდის მუსიკის დახმარებით. ჩვენი სევდა უწყინარი სევდაა, ფერადი სევდაა. გვიყვარს, როცა მსმენელს სიმღერით რაღაც ისტორიას ვუყვებით ან რჩევას ვაძლევთ. შემსრულებელმა საკუთარი მსმენელი არ უნდა მოაქციოს ჩარჩოში, არ უნდა უთხრას, რომ გემოვნებიან და კარგ მუსიკას მხოლოდ თვითონ ქმნის. ძალიან გვინდა, ჩვენს მსმენელს სულ კმაყოფილი სახე ჰქონდეს. მხოლოდ ბევრი ღიმილით და ბევრი პოზიტივით არის სიცოცხლე კარგი, ამიტომ ერთად დავიჭიროთ ღრუბლები.

SvanSikh

ბაჩო სვანიძე, ანანო სიხარულიძე

დებიუტი: 2012 წელი

ერთმანეთს დიდი ხანია ვიცნობთ, მაგრამ მუსიკალური ცხოვრება ერთად არ დაგვიწყია. შემდეგ ისე აღმოჩნდა, რომ ჩვენი გემოვნება და ინტერესი დაემთხვა ერთმანეთს. თუმცა პირველ ნაბიჯებს გართობის სახე უფრო ჰქონდა, რაც ნელ-ნელა სერიოზული გახდა. სწორედ ამ გართობისა და ცოდნის გაზიარების ფონზე შეიქმნა პირველი ერთობლივი ნამუშევარი read in the air, რომელიც მალევე გახდა ცნობილი. სიმღერები ძირითადად ინგლისურ ენაზეა, გათვლა უცხოელ მსმენელზეც გვაქვს, გვინდა საზღვარგარეთაც გვისმინონ. 24 საათის განმავლობაში ვქმნით რაღაცას, შექმნის პროცესში კი სამუშაოსაც ვინაწილებთ. დიდი ყურადღება ექცევა როგორც ტექსტს, ისე აკომპანიმენტს. არასდროს დაწერილა სიმღერა იმაზე, რაც რომელიმე ჩვენგანს არ გამოუცდია. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ალბათ ამიტომაც გვაქვს კარგი შედეგი. საქართველოში, განსაკუთრებით კი ხელოვნების სფეროში, ძალიან უჭირთ რაღაცაზე თქვან, რომ კარგია. უნდა ვეცადოთ, რომ ერთმანეთს რამის გაკეთების სურვილი არ ჩავუკლათ. ჩვენი მუსიკაც ამას ემსახურება, რაც შეიძლება მეტი დადებითი ემოცია უნდა გავავრცელოთ და ყოველდღე გვიყვარდეს ერთმანეთი.



თინათინ შურღაია

დებიუტი: 2012 წელი

14 წლის ვიყავი, როცა ბიჭი შემიყვარდა, პირველი სიმღერაც ამაზე დავწერე. სიმღერები კი პირველად ოქტომბერში ჩავწერე, ესენი იყო – woods და One Bullet. საქართველოდან წასვლამ ყველაზე დიდი გავლენა იქონია ჩემზე, სულ სხვა სამყარო აღმოვაჩინე, იქ აღმოვაჩინე ჩემი თავიც. სულ მარტო რჩები და ეს ზოგჯერ კარგიც არის. ზოგადად ამერიკაში დავიწყე შინაგან ომებზე წერა, საკუთარ თავთან ომი მქონდა, ადგილს ვერ ვპოულობდი და სულ ორ სამყაროს შორის ვიკარგებოდი. ახლა იმაზე ვწერ, რისი თქმაც მინდა. როცა ვგრძნობ, რომ შიგნიდან რაიმე ემოციით ვარ ავსებული ან ვინმეს სევდიან ისტორიას ვისმენ, წერას ვიწყებ – ეს ჩემი თანადგომაა მათდამი. ვწერ მაშინაც, როცა საკუთარ თავში ან სხვაში რაღაც მაწუხებს, არავის არაფერს არ ვასწავლი, უბრალოდ მგონია, რომ კარგ რაღაცას ვამბობ და თუ მოუსმენენ და მოეწონებათ, ეს ძალიან კარგია. ამ ბოლო დროს ყველგან მუსიკა მესმის, ნოტები მესმის, რაც ალბათ იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავი ვიპოვე. არ მიყვარს, როცა მუსიკას კატეგორიებად ყოფენ, ვთვლი, რომ ნებისმიერი მუსიკოსი, რომელიც მსმენელამდე მიდის, დასაფასებელია. როგორც კი ჩათვლი, რომ ვინმეზე უკეთესი ხარ, ეს უკვე ჩარჩოში გსვამს. ისევ მინდა ამერიკაში წასვლა, სადაც უცხოა ეს მუსიკალური სნობიზმი. მგონია, რომ ჩემი შინაგანი სამყაროსთვის ეს კარგი იქნება. რაც უფრო მეტს ნახულობ და ბევრ ადამიანს ხვდები, უკეთესად გამოგდის წერა. ძალიან მინდა, რომ ქუჩაში მაჩერებდნენ და ბევრ უაზრო კითხვას მისვამდნენ, არასდროს მომბეზრდება ეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შარქათაქი“
დავით გოგოლაძე, ბექა კუნდალინი

დებიუტი: 2010 წელი

2010 წელს გაჩნდა „შარქათაქის“ შექმნის იდეა, სახელი ერთი ანეკდოტის მოსმენის შემდეგ დავირქვით და საერთოდ არაფერს არ ნიშნავს. გვინდოდა ისეთი სახელი გვქონოდა, როგორიც მხოლოდ ჯგუფის წევრების კრებით სახელწოდებას აღნიშნავდა. როდესაც ვმუშაობთ, ჯერ ვქმნით მუსიკას და შემდეგ განწყობიდან გამომდინარე იწერება ტექსტიც, ძირითადად ქართულ ენაზე. გვინდა, რომ მსმენელისთვის გასაგები იყოს ის, რისი თქმაც გვინდა. ხშირ შემთხვევაში, სწორად იგებენ და ძალიან გვიხარია, როცა ჩვენს სიმღერებს მღერიან. სიმღერას ძირითადად სპონტანურად ვქმნით და, მე მგონი, ყველა ნამდვილი მუსიკოსი ასეა, უნდა შეგეძლოს კარგი მომენტის დაჭერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NEWA
ანა კუბლაშვილი

დებიუტი: 2011 წელი

2011 წელს ტაშკენტში უსაქმურად ყოფნისას, უცებ მომინდა გამეკეთებინა ელექტრონული მუსიკა. თავიდან ვმაიმუნობდი, მაგრამ, როდესაც დავინახე, რომ დაინტერესება დიდი იყო, სერიოზულად მივუდექი საქმეს. ზოგადად არავის არ სცალია იმისთვის, რომ რამე გასწავლოს, მეც ყველაფერი ჩემით ვისწავლე, ვცდილობ საკუთარ თავს არ დავაძალო და მუსიკის შექმნის პროცესი სასიამოვნო გავხადო. საქართველოში ყველა არტისტს თავისი ხელწერა აქვს, მეც ვცდილობდი, რომ ჩემი ხელწერა, ჟღერადობა მქონოდა და ადამიანს, რომელიც მომისმენდა, ეცნო, რომ ეს ანას მუსიკაა. მთელი ცხოვრება რაღაც მაწუხებდა, სულ მინდოდა რამე ღირებული შემექმნა. დამეტოვებინა ჩემს შემდეგ რამე, რაზეც იტყვიან, რომ კარგია. ძალიან მინდა, რომ პუბლიკამ ჩემში ის დაინახოს, რა ემოციაც მუსიკის მოსმენისას აქვს. ის უნდა შეეხოს მუსიკის სულს, რომელმაც უნდა დააფიქროს და ხანდახან სენტიმენტალურ განწყობაზეც დააყენოს. ამიტომ არ არის ჩემი მუსიკა აგრესიული. ხალხზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული, როცა მთელი პუბლიკა ერთი მთლიანი ძალაა, ეს ძალიან მაგარია. ის ჩემთვის ყველაზე დიდი სტიმულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დესანტი ბერლინში

ავტორი, ფოტო: ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახ ბერლინ... ბერლინ...", ეს არის ჩემის ძმის საყვარელი ფრაზა ფილმ „ეუროთრიფიდან". ყოველთვის, როცა მწერს, „სად ხარ" და მე ვპასუხობ „ბერლინში", მერე აუცილებლად მოაყოლებს „Ah, Berlin, Berlin...". ჩვენი ჩატის ასი სკრინშოტი შემიძლია დავდო ამ დიალოგით. ჩვენი დიალოგი რეპეტიტიულია, ისევე როგორც ტექნო.

ამას წინათ ვფიქრობდი, ვინ აღმოაჩინა ეს ბერლინი პირველად ჩვენი ქვეყნიდან. იმ ჯარისკაცებს არ ვგულისხმობ, ვერმახტს რომ ემსახურებოდნენ. იმათი ბერლინიც ძალიან საინტერესო იქნება, შებოჭილი და დატერორებული, აბსოლუტურად განსხვავებული იმისგან, რაც ახლა გვაქვს. ნეტავ როგორ გამოიყურებოდა მაშინდელი კატერჰოლციგი? უფრო სწორად, ადგილი, რომელსაც დღევანდელი კატერჰოლციგის დატვირთვა ჰქონდა 30-იანებში. საღამოობით რას სვამდნენ, ან ამფეტამინს თუ იღებდნენ თვალებში ნაპერწკლების გასაჩენად?

ახალი ბერლინი ალბათ გოსლაბმა იპოვა. არა, უფრო მანამდე კარლო კაჭარავამ. მოკლედ, არ ვიცი. თქვენ შეგიძლიათ გაარკვიოთ, მე უბრალოდ მოხარული ვარ, რომ ქართული ქომუნითი ბერლინში დღეს ძალიან კარგია.

ქართულ-ბერლინურ დესანტში შედარებით ბევრნი არიან დიზაინერები, არქიტექტორები და მუსიკოსები. აქ რამდენიმე ადამიანზე მოგიყვებით, რომლებსაც ეროვნული მუსიკალური საქმის განვითარების ამბავში კარგი დამსახურება აქვთ.

„პარგია კიკეთი"

რამდენი ხანია ვმკითხაობ და ვერ გავარკვიე ვინაა ის ბიჭი, კიკეთის ვიდეოში შაკოს უკან რომ კვდება. კვდება გადატანითი მნიშვნელობით, მაგრამ მაინც კვდება. დგება, ვერ დგება, გორავს. „ჩვენ გადავწყვიტეთ უბრალოდ დროში გავწეულიყავით", ემატება შაკოს სიტყვები, რომელიც ყველანაირ მაიმუნობას და დისკო-სტრესს მაგრად უძლებს, ახლა კი ბელგიაშია და ხატავს. შაკო ჩემი ერთი მოთხრობის პერსონაჟიცაა, სადაც კატები ხმლით შუაზე ჭრიან კლუბის ვიშიბალას.

„კიკეთი ოუფენ ეარი" არის ის ფესტივალი, საიდანაც თბილისში „გულაობა" დაიწყო. მანამდე ღია ცის ქვეშ კარგი ელექტროფესტივალი ჯერ არავის გაეკეთებინა. ერთადერთი დასამახსოვრებელი სიხარული მანამდე ბათუმში იყო, „სუბტროპიკი", რომელიც მავნემ და რამდენიმე იქაურმა კარგმა ადამიანმა განახორციელეს.

კიკეთის მთავარი შემოქმედი კიდევ ჭიპოა, თემურ ჯოჯუა, რომელიც სოლოლაკში, ჩემი სახლიდან ასიოდე მეტრში ცხოვრობს. ცხოვრობდა უფრო სწორად, ახლა ებერსვალდერზე ცხოვრობს. ელბაქიძის აღმართზე, ლეგენდარული ანდერგრაუნდ კლუბი „ბერლინიც" ჭიპოს გაკეთებულია. ჭიპოს დიდი დამსახურება აქვს ეროვნული ალტერნატიული კულტურის განვითარების საქმეში.

პირველი „კიკეთი ოუფენ ეარი" ძალიან პატარა იყო, 150 კაცისთვის, 2004 წელს. ფლაერს რომ დახედო გაგელიმება, ყველა არტისტს წინსართად DJ-ი უწერია. ახლა ამის აუცილებლობა აღარაა, ადრე კი უნდა მიგეწერა, რომ ერს გაეგო რატომ იყო ჩამოწერილი ამდენი გაუგებარი სახელი.

თბილისის ივლისის სიცხეში ერთი ღამით კიკეთში გაქცევა სანუკვარი ამბავი იყო. თან მაშინ არ იყო ასე ხშირად ღია ცის ქვეშ ცეკვა-თამაში. ბალახებში გორაობა, თუ თხლად გეცვა – გაყინვა, ბევრი ფოტო, შური, როცა ვიღაცას გადრაგულს იპოვიდი. ძალიან ტკბილი იყო კიკეთი. ბოლო ივენთიც უსაყვარლესი იყო, ცოტა ხალხისთვის და „სან პროპერთან" ერთად, რომელმაც დილამდე საოცრად უკრა და უკრა.

„მიყვარს და იმიტომ ვაკეთებ, – ამბობს ჭიპო. პირველად რომ გავაკეთე ჩემი „ნოლტრი" გავყიდე, მერე კიდევ ერთი მანქანა გავყიდე და კიდევ „გავაკეთე კიკეთი", ახლა აღარ მყავს მანქანა, თორემ იმავეს ვიზამდი.

„კიკეთი" არასოდეს არ „გაგვიკეთებია" ფულის საშოვნელად. ეს იყო სიამოვნების წყარო ჩვენთვის, ორგანიზატორებისთვის და ჩვენი მეგობრებისთვის. კიკეთი ყოველთვის ანდეგრაუნდად დარჩება და არ იქნება კომერციული. კარგი იქნება, თუ ის ჯგუფები, რომლებიც ფესტივალების ორგანიზებას აკეთებენ, უფრო ამ რისხზე გაამახვილებენ ყურადღებას, ვიდრე კომერციაზე. საქართველოში შეუძლებელია, რომ ელექტრომუსიკით ბიზნესი აკეთო, პუბლიკა ძალიან პატარაა და გაზრდა სჭირდება. თბილისში ან ბათუმში დიდი ხნის განმავლობაში ვერ გაკეთდება სონარი, ან „ექსიტ ფესტივალი", ფიზიკურად არ არსებობს ადამიანების ისეთი რაოდენობა, რამდენიც ამ ფესტივალებზე დადის ესპანეთში თუ ხორვატიაში.

ერთადერთი გამოსავალი იქნება ის, თუ ბევრი ხარისხიანი და შედარებით მცირე ზომის ფესტივალები გაკეთდება, როცა ეს რეგულარულ ხასიათს მიიღებს, აუცილებლად აისახება მსმენელის კულტურასა და ინტელექტზე, რაც შემდეგ საშუალებას მოგვცემს, დაახლოებით 10 წელში დიდი, რამდენიმედღიანი ფესტივალიც გაკეთდეს. მანამდე მგონი არ ღირს..."

ჭიპოს ახლა მეორე შვილი შეეძინა, ცხოვრობს მშვიდად, მუშაობს ვინტაჟ რამეების მაღაზიაში „ვებ სეილ დეპარტამენტში" და სახლში დრამზე დაკვრას სწავლობს.

SPRING

დიჯეი ბაბა ვის გახსოვთ? ეს იყო ადამიანი, რომელმაც ნამდვილად პირველმა დაიწყო ელექტრო დენსმუსიკის დაკვრა. მე არ ვიცნობდი, არც მისი მაღაზია „კაპსულა" მახსოვს, რომელიც სადღაც კუტუზოვის ქუჩისკენ იყო. როგორ მინდა მაშინდელი თბილისის ალტერნატიულ გასართობ ადგილებს ცალი თვალით მაინც შევხედო ახლა, იმაზე მეტად მინდა, ვიდრე XIX საუკუნის თბილისის ნახვა.

როგორც მახსოვს, სულ პირველი კლუბი ვაკის პარკის წინ, ახლანდელი „ქართუ" ბანკის შენობაში იყო, მერე „ლიფტი" გაიხსნა იქვე, მერე „ყაზბეგი" რესპუბლიკის მოედანზე. თბილისში ისროდნენ, ცეკვავდნენ ტექნოზე და კალათბურთს თამაშობდნენ ვერის ბაღში.

გინდ დაიჯერეთ და გინდა არა, „კაპსულაში" დიჯეის ტექნიკა და ვინილები იყიდებოდა; ვინილ სთორი თავისი ბევრი ფართით, რაც ახლა თბილისში საოცნებო რამაა. გახსნას კიდევ ვერავინ რისკავს, იმიტომ, რომ იცის, ვაჭრობა

ზედასი თემო ჯოჯუა (ჭიპო)

ქვედასი მარიამ მურუსიძე (Spring) და თემო ჯოჯუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ექნება. თბილისში ვინილზე თითქმის აღარ უკრავენ. კაპსულას დროს სხვა ამბავი იყო. სად იყო ამდენი ლაპტოპი, მაკბუკპრო, 13 ინჩი, 15 ინჩი... ვინილი და სიყვარული. კლუბ „ბერლინში“ და „კაპსულაში“ აიდგა ფეხი მარიამმა. 14 წლის იყო და კაპიშონჩამოფხატული მიდიოდა ხოლმე კლუბში, რომ ასაკი არ შეემჩნიათ. ჩუმად იდგა და უსმენდა, როგორ უკრავდნენ გიო ბაქანიძე, ბერო, თომა, ჭიპო... მერე დიჯეინგზე ბაბასთან დაიწყო სიარული.

და მოვიდა პირველი ფართის დრო. 15 წლის მარიამმა პირველად უნდა დაუკრას „კაფსულაში“. კიდევ ბაბა უკრავდა იმ დღეს მგონი და კიდევ ვიღაც, არ მახსოვს.

მარიამ მურუსიძე რომ დაეწერათ პოსტერზე, ვერ იყო მთლად კარგი ვარიანტი. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მარიამი გახდა შპრინგი და სამუდამოდ დარჩა ეს სახელი.

სპრინგჩო, სპრინგუშკა, სპრინგუჩელა... მარიამის არტისტნეიმს განსაკუთრებულ ვარიაციებს გიო ბაქანიძე ურჩევდა და ჩასაყლაპ პატარა სფრინგს ლოყებზე ეფერებოდა.

დიჯეი შპრინგი თბილისმა შეიყვარა, მერე მარიამი ბერლინში გადავიდა და სწავლა დაიწყო. დაკვრა არ შეუწყვეტია, ჭიპოსთან ერთად „კროიცბერგის“ პატარა ბარებში და კლუბებში უკრავდა. მერე რაღაცნაირი მომენტი დადგა – ან უნდა დაეკრა, ან უნდა ესწავლა. ძალიან რთულია ასეთ დროს არჩევანის გაკეთება, არადა, ბერლინში სასწავლებლად როცა ხარ ნასული, ცოტა უხერხულია მთლად მუსიკაზე გადართვა.

სფრინგის დაკრულს ცოტა ხნის წინ მოვუსმინე ლისზე. საოცრად კარგი მუსიკა დაუკრა, ბერლინური დაბი, ყოველგვარი ვოკალისა და ლათინო ტაში-ტუშის გარეშე, კაცური, ბერლინური დაბტექნო. მას მერე არსად დაუკრავს. სფრინგი მუსიკას ვერასოდეს ვერ დატოვებს. მალე სწავლას მორჩება და მერე უკვე იცის რასაც იზამს.

სფრინგი დღემდე გვახსოვს, გვიყვარს და დაველოდებით როდის მორჩება სწავლას, რომ ერთიც დაგვიკრას.

ბაბას არ ვიცი როდის გავიცნობ.

I/Y

როცა ბერლინში არ ხარ, მაინც იქაური ცხოვრებით ცხოვრობ. იმის გამო, რომ ყველა საინტერესო ფეიჯი დალაიქებული გაქვს, გამუდმებით მოგდის აფდეიითები ფეისბუქზე ან ფოსტაზე. კონკრეტული ადგილი როცა გიყვარს, ვერასოდეს მოშორდები, სხეულის რომელიმე ნაწილით მაინც იქ იქნები.

ბერგჰაინის ლაინ აფი რომ დაიდო ორიოდე კვირის წინ, სიაში ახალი არტისტის სახელი, I/Y გამოჩნდა. მცირეოდენი რესერჩის მერე ჩემს გულში გარდარეულმა სიხარულმა დაისადგურა, რამეთუ (!) I/Y-ს ერთი ნახევარი ქართველი ირაკლი კიზირია აღმოჩნდა.

იშვიათად, რომ ქართველი ადამიანი ასეთ მუსიკას წერდეს. ირაკლის მუსიკას როცა ვუსმენ, ყოველთვის ჩემს ქვეცნობიერ შავბნელ შრეებს ეხება და წარმოსახვის ზედაპირზე გამოაქვს. თითქოს საიდუმლო ოკულტისტურ რიტუალს ვესწრები, სადაც 13 წლის გოგონას კასტრაცია მიმდინარეობს, გარშემო კი სოფელი როკავს, ჩირაღდნებით თვალებში, ლატექსის ტრუსებამოცმული.

ირაკლი ბერლინში ჩასვლისთანავე გავიცანი. კოტბუსერ ტორზე შევხვდით პატარა ბარში კათხა ლუდზე.

„– სამხატვრო აკადემია რომ დავამთავრე, არქიტექტორი ვარ, მივხვდი, რომ ვერასოდეს ვერ გავაკეთებდი საქართველოში იმას, რაც მინდოდა, – ამბობს ირაკლი. – ამიტომ სწავლის დასრულებისთანავე დავიწყე ფიქრი საზღვარგარეთ წასვლაზე. ეს იყო 12 წლის წინ. ვიპოვე პროგრამა უცხოელი სტუდენტებისთვის ჰოლანდიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, რომლის დედლაინიც 2 თვეში იყო“.

უცნაური დრო იყო 2000-იანების დასაწყისი. ევროპაში წერილის ჩასვლას საქართველოდან ერთ თვემდე სჭირდებოდა, აღმოჩნდა, რომ ვიდრე ირაკლის საბუთები ჰოლანდიაში უნივერსიტეტამდე ჩააღწევდა და მიმღები კომისია განიხილავდა, პროგრამა სრულდებოდა.

პირველი იმედგაცრუების შემდეგ ირაკლი კიოლნში აღმოჩნდა, სადაც ცხრა წელი გაატარა. მუშაობდა დიზაინერ-ფრილანსერად და აკეთებდა მუსიკას. როგორც ამბობს, მუსიკა არის მისი მეორე საყვარელი ხელობა და ძალიან უჭირს დროის თანაბრად განაწილება დიზაინსა და მუსიკის კეთებაზე, რადგან ორივე მისგან სრულ დროს მოითხოვს.

ბერგჰაინამდე და I/Y-ის შექმნამდე კი იყო უამრავი ფართი კიოლნში, ბერლინში და კიდევ ბევრ სხვა ადგილას.

I/Y-ს მეორე ადამიანის სახელია იაკობ ჩაკარჯი. ვინ დაგვასაფორთა? ძნელი სათქმელია, პრინციპში არავინ განსაკუთრებულად, მენტორის მაგვარი არავინ ყოფილა. ინსპირაცია ჩემთვის იყო სიო დ'ორ, ჯეფ მილსი, დაშა რაში, დონატო დოცი, მურკოფი, ბენ ქლოქი.

ჩემს კარიერაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო voices from the lake-ის ოუფენ ეარზე დაკვრა, ასევე დაშა რაშთან ერთად დაკვრა. და ზადიგთან. პრინციპში ყველა გიგი მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ერთი ადამიანიც რომ იყოს, მისთვისაც საუკეთესო სეტი უნდა დაუკრა.

მე და იაკუბი შემთხვევით შევხვდით. ერთმანეთის მუსიკა აღმოვაჩინეთ და რაღაცნაირად ერთად დავიწყეთ პროდაქშენის კეთება. ახლა გამოდის მალე ვინილი, დღეს დაიბეჭდა და ორშაბათს უკვე დისტრიბუციაში იქნება. ყველაზე დიდხანს დიზაინზე ვფიქრობდი, მაინც ჩემი პროფესიაა და მინდა, რომ უბრალოდ ვინილი არ იყოს და რაღაცას გავდეს.

უეცრად დაგვირეკეს და გვკითხეს, ბერგჰგაინიდან გირეკავთ და კვირას თუ გცალიათ, გვინდა რომ დაუკრათ ჩვენთანო. ვუთხარით, რომ გვცალია, და დავუკარით. დავუკარით მძიმე, ჩვენი მუსიკა. სეტი არ ჩაგვიწერია, იმიტომ, რომ როცა იწერ, რაღაცაზე ზედმეტად კონცენტრირებული ხარ და იბოჭები. გვინდოდა, რომ უსაყვარლეს კლუბში პირველი გიგი ყოფილიყო აბსოლუტურად თავისუფალი და გამოვიდა.

საქართველოზე თითქმის არაფერი ვიცი. არც იქაურ მუსიკაში რა ხდება, ვინ უკრავს, რას უსმენენ... ვიცი, რომ ქუჩაში „ტაბურეტკებით“ დარბიან. არ ვიცი, ჩავიდე? რა გავაკეთო? ყველაფერი აქ მაქვს, საქმე, მეგობრები, მირჩევნია იქიდან იარონ ჩემთან. ასე უფრო სასარგებლო იქნება“.

კოლონია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი კიზირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლუზი მტკვრის პირას

ავტორი: ბიძინა მაყაშვილი
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ N 90, 91)

1970-იანები

ნაწილი მეორე

სცენა

საესტრადო შემსრულებლების გარდა, ამ წლებში თბილისში ევროპის სოციალისტური ქვეყნების როკჯგუფებიც ჩამოდიოდნენ, მაგრამ „პაპსავიკებისგან“ განსხვავებით, მათ არ ინერდნენ ტელევიზიაში. ამიტომ მათთან დაკავშირებული ამბები უფრო პირად ემოციებსა და მეხსიერებას ეფუძნება, ვიდრე მშრალ ისტორიულ ფაქტებს.

მათ სანახავად ძირითადად სპორტის სასახლეში ან ფილარმონიაში დავდიოდით. ვერ გეტყვით, ვინ წყვეტდა ან რის მიხედვით განისაზღვრებოდა ის, თუ რომელი ჯგუფი სად უნდა გამოსულიყო. დარბაზების მონაცემები ტევადობის, აკუსტიკური თვისებებისა და პრესტიჟულობის თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სპორტის სასახლის სასარგებლოდ მხოლოდ ტევადობა მეტყველებდა, ხოლო აკუსტიკური თვისებები უსაზიზღრესი იყო, ჩვენ მაინც იქ გამართული კონცერტები გვერჩივნა. იქ უფრო უკეთ გამოვხატავდით ემოციებს. ფილარმონიის სკამები და ატმოსფერო თავის გამოხატვის საშუალებას არ გვაძლევდა. სპორტის სასახლეში შეგვეძლო სკამებზე დგომა, ქურთუკებისა და შარფების ფრიალი და, რაც მთავარია – ყვირილი, ანუ ისე მოქცევა, როგორც, ჩვენი ჭკუით, იქცეოდნენ ახალგაზრდები როკკონცერტებზე დასავლეთში.

ამ გასტროლიორებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით პოლონელები სარგებლობდნენ; პოლონელებს შორის კი – „ჩერვონი გიტარი“. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სიმღერები ჰქონდათ, რომლებსაც დისკებზე წერდნენ, თბილისში ძალიან იშვიათად ასრულებდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. ისინი პირველ რიგში საერთაშორისო როკჰიტებს და იშვიათად, მათი აზრით, პოპულარულ რუსულ სიმღერებს აწვებოდნენ.

მაშინ ეს დისკები ოფიციალურად შემოჰქონდათ პოლონეთიდან, მაგრამ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი არ იყო, რადგან დახლქვეშიდან ოდნავ ძვირად იყიდებოდა. რამდენიმე დისკი მქონდა და ძალიან ბევრსაც ვუსმენდი, მაგრამ დღემდე ვერც ერთმა ვერ მოაღწია. ეხლა ყველას ვერ ვიხსენებ, მაგრამ დანამდვილებით ესენი მქონდა: ჩესლავ ნემენის და „ჩერვონი გიტარის“ 2-2 დისკი და თითო „სკალდების“, „ბრეიკაუტის“ და „ნოტოცოსი“. თითოეულ მათგანს საკუთარი სახე ჰქონდა და ისევე ვარჩევდით ერთმანეთისგან, როგორც დასავლეთის როკჯგუფებს.

ნემენი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული როკმუსიკოსი იყო აღმოსავლეთ ევროპაში. მას ფართო სტილისტიკური დიაპაზონი ჰქონდა: ჩემ პირველ დისკში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა სოულის სტილში შესრულებული სიმღერა აზერბაიჯანელ გოგონა ალილაზე, ხოლო მეორე დისკი, რომელშიც შედიოდა 17-წუთიანი კომპოზიცია, „რექვიემი ვან გოგისათვის“, ნამდვილი ავანგარდი იყო. მის მნიშვნელობაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ის ერთადერთი მუსიკოსი იყო სოციალიტური ბანაკიდან, რომლის შესახებაც კომენტარის გაკეთება მთხოვეს რადიო „თავისუფლებისთვის“. სამწუხაროდ, ეს 2004 წელს მოხდა, მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.



„ბრეიკაუტი“ კლასიკურ ბლუზროკს ასრულებდა, „სკალდი“ – არტროკს. განსაკუთრებით მომწონდა „ნოტოცოს“ მთლიანად ინგლისურენოვანი ალბომი. ჩემი ფავორიტი კი „ჩერვონი გიტარი“ იყო. მათ ტყუილად არ უწოდებდნენ პოლონელ ბიტლებს: ერთ დისკზე ჩაწერილი მუსიკალური მასალიდან, ფოტოებიდან და სიმღერების თემატიკიდან გამომდინარე, სხვა აზრი, უბრალოდ არ გაგიჩნდებოდათ. მეორე დისკი, დროის შესაბამისად უფრო დამძიმდა და თანამედროვე ჟღერადობა შეიძინა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მათ თბილისურ საკონცერტო რეპერტუარს თითქმის არაფერი საერთო არ ჰქონდა პოლონეთში გამოცემულ დისკებთან. თუმცა ჰქონდათ ერთი საკუთარი როკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ენ-როლი, Nie Zadirai Nosa, რომელიც სრულ ფურორს იწვევდა სპორტის სასახლეში.

ერთხელ ჩამოვიდა პოპულარული პოლონური ჯგუფი „ტრუბადური“, რომელიც ყველა ზემონახსენებზე ნაკლებად მომწონდა. ამ ჯგუფზე ჩვენი ტელევიზიის მეშვეობით, რომელიც განუწყვეტლივ ატრიალებდა მათ ერთ სიმღერას, – „კოხანა“ – უკვე გვქონდა შექმნილი გარკვეული წარმოდგენა. იმ კლიპში რატომღაც მუშკეტერებივით ეცვათ, მაგრამ თბილისში ამ მასკარადის გარეშე გამოდიოდნენ. კონცერტის პირველ ნახევარში ისინი აკომპანიმენტს უკეთებდნენ ვიღაც მომღერალს, მეორე ნახევარში კი მარტო თვითონ გამოდიოდნენ. მეც ამ მეორე ნახევრისთვის წავედი სპორტის სასახლეში, გარეთელი შემსრულებლები სრულიად მოუმზადებლები იყვნენ კონკრეტული აუდიტორიის მოთხოვნებისადმი და არ ითვალიწინებდნენ აუდიტორიის ეროვნულობას: მათთვის საბჭოთა კავშირი რუსეთი იყო. მეორე მომენტი კი კარგად ასახავს ჩვენი აუდიტორიის მუსიკალურ შიმშილს.

ამ შიმშილის გამო ხშირად ყოვლად უაზრო კონცერტებზე დავდიოდით. იუგოსლავიიდან საინტერესო მუსიკოსები არ ჩამოდიოდნენ, მაგრამ ერთხელ მაინც „მიმიტყუეს“ ჯგუფ „დელფინის“ კონცერტზე. დასარტყმელებზე შემსრულებელი თავით უკრავსო და, აბა არ წავიდოდი?! დაკვრის რა მოგახსენოთ, მაგრამ სოლოს შესრულებისას, ერთ მომენტში, თეფშს თავს ჩამოარტყამდა..

ტესტი იყო, რომელსაც „ჯანტი“ უნდა გაეცა მარტივ კითხვაზე – მიიღებდა თუ არა აღმოსავლეთ ევროპა ყველაზე თანამედროვე დასავლურ მუსიკას. პოლონელმა ახალგაზრდებმა ძალიან გაიხარეს, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. კონცერტის დიდ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ საბჭოთა იდეოლოგიური ოფიციოზი ესწრებოდა. დასკვნა უარყოფითი იყო: „როლინგსტოუნზი“ რუსეთში მხოლოდ ათასწლეულის მიწურულს, 1998 წელს მოხვდა, როცა საბჭოთა კავშირი უკვე აღარ არსებობდა.

ძალიან იშვიათად, მაგრამ ჩვენთან დასავლეთიდანაც ჩამოდიოდნენ მესამეხარისხოვანი შემსრულებლები. ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზიც მახსოვს. ერთი შერეული შემად-

ლეგენდის თანახმად, კანადელი ჯაზ-პიანისტი ოსკარ პიტერსონი თავისი ტრიოთი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, სადაც პირველი კონცერტი გამართა ტალინში. შემდეგ ლენინგრადში თუ მოსკოვში ჩავიდა, სადაც სასტუმრო არ მოეწონა და გაბრაზებულმა ისე შეწყვიტა ტურნე და ისე დატოვა საბჭოთა კავშირი, რომ თბილისისკენ არც გამოუხედავს.

რადგან წინა დღეს ნამყოფებმა ამბავი გამოიტანეს – „ლედ ზეპელინის“ Black Dog-ს მღერიანო. ყველა მეორე ნახევარს ელოდებოდა. როგორც ახლა ვხვდები, მომღერალმა რეპერტუარი კლასიკური სქემით ააწყო. ჯერ რაღაც პოპულარული, რიტმული სიმღერა შეასრულა. შემდეგ რაღაც უფრო წყნარი, მერე ისევ რაღაც პოპულარული მიაყოლა და რომ ეგონა, აუდიტორია ავიყვანეო, დაიწყო ერთი ცნობილი რუსული სიმღერა ომის თემაზე. აი მაშინ კი ცუდად წაუვიდა საქმე: დარბაზში ჯერ აქა-იქ გაისმა სტვენა, მალე კი ისეთი ხმაური ატყდა, რომ მომღერალმა არტისტული ჟესტით გააჩერა მუსიკოსები და შეწყვეტილი სიმღერა შოტლანდიური პოპჯგუფის Middle of the Road-ის, იმ დროისთვის პოპულარული ჰიტით, – Chirpi, Chirpi, Chirp-ით გააგრძელა, რითიც მომენტალურად დაიბრუნა დარბაზის კეთილგანწყობა. ამ მაგალითიდან ორ დასკვნას გავაკეთებ: საბჭოთა კავშირში ჩამოსული საზღვარ-

კიდევ ერთმა პოლონურმა ჯგუფმა „ჩერვონო-ჩარნიმ“ თავი იმით დამამახსოვრა, რომ ფილარმონიაში კონცერტზე გამოაცხადეს, ახლა ჩვენ საკუთარ კომპოზიციას შემოგთავაზებთო და ჰენდრიქსის Changes დაუკრეს სიმღერის გარეშე. აი, მაშინ დავინახე, ჰენდრიქსის დისკის მეშვეობით რა უპირატესობა მქონდა დარბაზთან შედარებით. მაშინ არ ვიცოდი, რომ 1967 წელს ამ ჯგუფმა „როლინგსტოუნზის“ კონცერტი გახსნა ვარშავაში. ამ კონცერტის შესახებ გაგონილი გვქონდა. ეგ კი არა, ლეგენდებიც კი დადიოდა, კინაღამ არ ჩაიშალაო. თითქოს ჯაგერს ზედ კონცერტის დაწყების წინ, როცა ეგონა მიკროფონები ჯერ არ არის ჩართულიო, ჯგუფის წევრებისთვის მიუმართავს – ერთი ამ სლავ ღორებს ვაჩვენოთ, რა შეგვიძლიაო. ყველაზე უცნაური ის არის, რომ მსგავსი სისულელეების გვჯეროდა. ეს იყო „როლინგსტოუნზის“ პირველი კონცერტი სოციალისტურ სამყაროში. ეს ერთგვარი

გენლობის ინგლისური პოპჯგუფი იყო – „დოული ფემილი“. გაავსეს სპორტის სასახლე (თუმცა ამას მაშინ ნებისმიერი გასტროლიორი ახერხებდა). იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში ჩამოსული თითქმის ყველა უცხოელი შემსრულებელი აუცილებლად ასრულებდა „ბიტლზის“ Back In The USSR-ს. არც ეს ჯგუფი იყო გამონაკლისი, – ამ სიმღერით დაიწყეს გამოსვლა. მერე გამოვიდა ოფიციანტივით გამოწყობილი მოხუცი კონფერანსიე. 50-იანი წლების კლასიკური კონფერანსიეს ნამდვილი პაროდია იყო. დაიწყო დამტვრეული რუსულით ლაპარაკი, მაგრამ რას ბჟუტურებდა, თვითონ ნამდვილად არ იცოდა. დაახლოებით ასეთი რამ თქვა: „დიდებულია, რომ ავიხდინეთ დიდი ხნის ოცნება და ჩამოვედით ამ მშვენიერ, მზიურ ქალაქ ბაქოში! ახლა ჩვენი მოკრძალებული შემოქმედებით...“. მაგრამ არცთუ მოკრძალებულმა სტვენამ შეაწყვეტინა ბოდვა. აი ასეთი დრო იყო: ჩამოჰყავდათ საბჭოთა კავშირში კრეტინები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებმაც ისიც კი არ იცოდნენ, თუ რომელ ქალაქში გამოდიოდნენ.

მაგრამ უსამართლობა იქნება არ აღვნიშნო, რომ იმ პერიოდში მაინც ჩამოდიოდნენ ხოლმე საინტერესო შემსრულებლები. ეს არ იყო როკი, მაგრამ იყო ძალიან მაღალი დონის აფრო-ამერიკული მუსიკა. მაგალითად 1977 წელს ჩამოვიდა გავლენიანი ამერიკული ქანთრი-ფოლკ-როკჯგუფი Nitty Gritty Dirt Band. გადატვირთული აღმოჩნდა 1978 წელი. პირველ რიგში გაიმართა თბილისის პირველი საკავშირო ჯაზფესტივალი, რომელიც 10 დღე გაგრძელდა და საბჭოთა კავშირში ანალოგი არ ჰქონდა. მერე ამერიკიდან ჩამოვიდა მოხუცი ჯაზმენების ჯგუფი Preservation Jazz Band, რომელიც ტრადიციულ ახალ ორლეანურ ჯაზს ასრულებდა. შემდეგ წელს კი თბილისს თვით ბლუზის მეფედ აღიარებული, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი გიტარისტი, ამერიკელი ბლუზმენი ბი ბი კინგი ეწვია. იმავე წელს ჩამოვიდა ამერიკელი ბლუზმენი, მულტი-ინსტრუმენტალისტი, კლარენს „გეიტმაუთ" ბრაუნი. მისი ვიზიტი იმით იყო გამორჩეული, რომ გახდა პირველი ამერიკელი მუსიკოსი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა არა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის, არამედ კერძო პირის, ბრაუნის მენეჯერის მეშვეობით.

ახლა კი მინდა გაგახსენოთ ის მუსიკოსი, რომელიც იმ პერიოდში უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ არ ჩამოვიდა. ლეგენდის თანახმად, კანადელი ჯაზ-პიანისტი ოსკარ პიტერსონი თავისი ტრიოთი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, სადაც პირველი კონცერტი გამართა ტალინში. შემდეგ ლენინგრადში თუ მოსკოვში ჩავიდა, სადაც სასტუმრო არ მოეწონა და გაბრაზებულმა ისე შეწყვიტა ტურნე და ისე დატოვა საბჭოთა კავშირი, რომ თბილისისკენ არც გამოუხედავს. ფაქტები კი ასეთია: 1974 წელს პიტერსონის ტრიომ ტალინში ჩაატარა კონცერტი, რომლის ჩანაწერი ორდისკიან ალბომად გამოვიდა. მერე რა მოხდა, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ მე საკმაო ხანი ჩემი ოთახის კედელზე გაკრული მქონდა „გოსკონცერტის" მიერ დაბეჭდილი პიტერსონის საკონცერტო აფიშა, რომელსაც მხოლოდ კონცერტის თარიღი აკლდა.

ასეთ ფონზე ნელ-ნელა ძალა მოიკრიბეს პოპულარულმა საბჭოთა პოპჯგუფებმა, როგორებიც იყვნენ – Веселые Ребята მოსკოვში, „პესნიარი" მინსკში, „ნოროკი" მოლდავეთში, „პაიუშჩიე გიტარი", თუ არ ვცდები – ლენინგრადში. ცხადია, იყვნენ სხვებიც, მაგრამ ყველას რა გაიხსენებს?! პირველმა ორმა უკეთ დაიწყო, ვიდრე გააგრძელა. თავიდან Веселые Ребята-მ იმით მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომ მათი ფირფიტის ყდაზე გიტარიანი ბიჭების ფოტო იყო გამოსახული. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ფირფიტაში შეტანილი ოთხი სიმღერიდან, ერთი იყო „ბიტლზის" Drive My Car-ის რუსული ვერსია. ეს უკვე საკმარისი იყო იმისთვის, რომ ფირფიტა შემეძინა. მოკლედ, ამ ერთი სიმღერის გამო შეძლებისდაგვარად თვალყურს ვადევნებდი ჯგუფს, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო მიცრუდებოდა იმედი. საბოლოოდ, Веселые Ребята ისეთ პოპსად გარდაიქმნა, რომ მისადმი სრულიად გამიქრა ინტერესი.

„პესნიარის" შემთხვევაშიც დაახლოებით იგივე მოხდა, მაგრამ მათი შედარება არ იქნება. ბელორუსები უფრო მაღლა იდგნენ. ისინი გემოვნებიანი, ელეგანტური ფოლკროკიდან მძიმე როკში გადავიდნენ და სრულიად დაკარგეს საკუთარი სახე. „ნოროკი" მას მერე არ შემხვედრია. მისი არსებობა დაახლოებით 35 წლის შემდეგ შემახსენა რომელიღაცა რუსულმა პოპვიდეომ, რომელიც ჯგუფის ძველი სიმღერის დისკო-რემიქსზე იყო აგებული. „პაიუშჩიე გიტარიმ" ჩემი ყურადღება თავდაპირველად მხოლოდ თავისი სახელით მიიპყრო. მერე ელექტრო-გიტარების ჟღერადობამ მიმიზიდა. არაუშავდა. თავისებური, ახალი ბგერა ჰქონდა. რამდენიმე წელი დამჭირდა იმის მისახვედრად, რომ იგი ინგლისური ინსტრუმენტული ჯგუფის, „შედოუსის" ასლი იყო.

საქართველოს ფილარმონიული სცენაც გამრავალფეროვანდა. „ორერას" და „დიელოს" ჯერ „ივერია", ხოლო შემდეგ „75" დაემატა. „ივერიას" დასახასიათებლად ალბათ ყველაზე უფრო პოპროკი გამოდგება. ჩვენ სრულ აღტაცებას იწვევდა მათ მიერ შესრულებული ინგლისური ჯგუფის, Uriah Heep-ის სიმღერა July Morning. მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ ამბებიდან თითქმის 40 წლის შემდეგ, თბილისის ფილარმონიის იმავე სცენაზე ამ სიმღერას თვით Uriah Heep იმღერებდა. „ივერიამ" კი თავი კიდევ თავისი მიუზიკლებით დაგვამახსოვრა, ხოლო მე მათ სახელთან სხვა ასოციაციებიც მაკავშირებდა.

ამას მუსიკასთან არა აქვს კავშირი, მაგრამ საქართველოში სიტყვა „ივერიის" უნივერსალობა ცოტათი მაღიზიანებს და უნდა ვთქვა: შეიძლება ერთდროულად ეს სიტყვა ერქვას ისტორიულ მხარეს, სასტუმროს, მუსიკალურ ანსამბლს, კბილის პასტას და თვით სოსისის სახეობასაც კი?! კიდევ კარგი დროზე მიხვდნენ და თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბს ისევ აღუდგინეს იბერიათი შეცვლილი ტრადიციული სახელი.

„75-ის" სახელი შექმნის წელთან – 1975-თან არის დაკავშირებული. ჯგუფი უფრო ჯაზროკზე იყო ორიენტირებული და ძალიან მსუბუქად იწვევდა ცნობილი რუსული ჯგუფის, პოპულარული საქსოფონისტისა და მოსკოველი სტილიაგის, ალექსეი კოზლოვის „არსენალის" ასოციაციას. „არსენალი" აქცენტს უფრო ჯაზზე და იმპროვიზაციაზე აკეთებდა, „75" – პოპსიმღერებზე. მათ შორის კიდევ ერთ პარალელს გავავლებ. „არსენალმა" საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა პოპულარული როკოპერა Jesus Christ Superstar. „75-მა" კი შეასრულა პირველი ქართული როკოპერა, იოსებ ბარდანაშვილის „ალტერნატივა".

ყველა ეს ჯგუფი, როგორც ქართული, ისე სხვა რესპუბლიკებიდან, ასე ვთქვათ, ოფიციალური იყო. მაგრამ თვით საქართველოშიც კი ცოცხლობდა ადგილობრივი როკანდერგრაუნდი. ძნელი სათქმელია, ფორმამ მოახდინა გავლენა თუ ბგერამ, მაგრამ, ფაქტია, მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსკენ საქართველოში ამ კულტურის ელემენტები ჩაისახა. ბაჩი ქიტიაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო საქართველოში იმ ბიჭებს შორის, რომლებიც შეეხნენ ელექტრო-გიტარის სიმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე იყვნენ ვალერი კოჩაროვი, მიშა ფოფხაძე, დათო სულაქველიძე, დათო შუშანია, ვოვა მოგელაძე, მაო (თამაზ კაპანაძე), რეზო ჩაჩხიანი, ილია ზაუტაშვილი, ვოვა გონჩარენკო, საშა და გოგი გოცირიძეები და სხვები. ეს იყო ქართული როკის პირველი თაობა.

შეიძლება მათი მაშინდელი ტექნიკური აღჭურვილობა, ინსტრუმენტები და შესრულების დონე დღეს ცოტა უსუსურად გამოიყურებოდეს, მაგრამ რომ არა ეს პიონერები, როკი საქართველოში კიდევ დიდხანს დარჩებოდა იმპორტულ პროდუქტად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ მათგანს საკუთარი სიმღერებიც ჰქონდა, ხოლო ზოგი ქართულადაც მღეროდა, ეს მაინც უფრო მიბაძვა იყო. თუმცა, მეორე მხრივ, ამის გარეშე არ იქნებოდა – ეს აუცილებლად გასავლელი გზა იყო. ისინი ფაქტობრივად სისტემას დაუპირისპირდნენ, რათა საკუთარი თავი გამოეხატათ ისე, როგორც საჭიროდ მიაჩნდათ. შემოქმედებას რომ თავი დავანებოთ, მათი გარეგნობა იმდენად ამოვარდნილი იყო ქართული რეალობიდან, რომ გარანტირებული ჰქონდათ მეამბოხეების იმიჯი. ცხადია, მათ ცენტრალურ სცენას არავინ აღირსებდა, ამიტომ მათ მოსასმენად გარეუბნების კულტურის კლუბებში გვიხდებოდა სიარული – ელექტროდეპო, 31-ე ქარხანა, ისანი, ლილო... როკს უკრავდნენ უნივერსიტეტის მეორე კორპუსის, ძალიან ღრმა სარდაფში, ფიზიკოსების კლუბში და ხანდახან ბარათაშვილის ხიდის ქვეშ მდებარე კლუბში, რომელსაც გაიოზ კანდელაკი ხელმძღვანელობდა. ჩვენთვის ეს არ იყო უბრალო კონცერტი – ეს ბევრად მეტი იყო, ელიტარულ-სექტანტური სეანსი, რომელიც ახალგაზრდებს უცვლიდა ყველაფერს – ნარკოტიკებს, სექსს, თავისუფლებას.

იმდროინდელი გარემოს უკეთ წარმოსადგენად მუსიკოსებს დავიხმარებ. აი როგორ იხსენებს ბაჩი ქიტიაშვილი 70-იანი წლების დასაწყისს: „ბევრ ნინააღმდეგობას ვაწყდებოდით. ჩვენს გარეგნობაზე ღიზიანდებოდნენ. უბნის რწმუნებული მაფრთხილებდა: შეიჭერი თმა და დაანებე თავი მუსიკას, ეგ რა კაცის საქმეაო. პირველად 1966 წელს დაგვიჭირა და თმები გადაგვპარსა. მოგვიანებით ასეთი შემთხვევა კიდევ რამდენჯერმე განმეორდა“.

ჩანაწერების არარსებობის გამო, საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთადერთი ფორმა ნახევრად არალეგალური კონცერტები იყო. „ეს კონცერტები კი არა, ბრძოლა იყო“ – იხსენებს ბაჩი. „კომუნისტები მართლები იყვნენ – ახალგაზრდა კაცი კონცერტზე რომ კარგად იგრძნობს თავს და ამ განწყობას ქუჩაში გადმოიტანს, აი, ამას ებრძოდნენ ისინი. მომსწრე ვარ იმისა, თუ როგორ იჩხრიკებოდა მთელი დარბაზი კონცერტის დროს და ხშირად ჩვენც ზედ მივუყოლებივართ. ერთხელ ზესტაფონში, კონცერტზე, მილიციელი მომადგა და მითხრა: „მოდი აქ ბიჭო, ყველაფერი შენი ბრალია, შენ აგიჟებ ამათ!“ ცხაკაიაში კინაღამ მილიცია და ხალხი შეეჯახნენ. მილიციას კონცერტის ჩაშლა უნდოდა. როცა მიხვდნენ, რომ ვერ გაიტანდნენ თავისას, მითხრეს, „დაუკარი, ოღონდ კონცერტი ჩუმად ჩაატარე“.

ანალოგიური სიტუაცია იყო აბაშაში, ქობულეთში, ბათუმში. აღარაფერს ვამბობ თბილისზე, სადაც ეს ყველაფერი ყველაზე მძაფრად იყო გამოხატული. თითქმის იმავე ისტორიებს ყვებიან იმ თაობის სხვა მუსიკოსები, ამიტომ აღარ დაგღლით გამეორებით. დათო შუშანია იხსენებს, რომ 1973 წელს ძველი კინოსტუდიის დარბაზში დაიგეგმა როკკონცერტის ჩატარება. იმდენი ხალხი მივიდა, სტადიონს გაავსებდა. პლეხანოვის პროსპექტი გადაკეტეს. კინოსტუდიის დირექტორს შეეშინდა – დაამტვრევენ ყველაფერსო. ხალხი მილიციამ გაყარა.

მაოს სხვებთან შედარებით ბედმა გაუღიმა, რადგან პოლიტექნიკური ინსტიტუტის (დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი) ჯგუფში უკრავდა. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა კი თავისი ორკესტრისთვის ინსტრუმენტებს სოციალისტურ ქვეყნებში ყიდულობდა. 70-იანი წლების შუახანებში ძალიან გაიზარდა მაოს ჯგუფის პოპულარობა. ამის გამო უშიშროება გამუდმებით თვალს ადევნებდა ბიჭებს. „იმის გამო, რომ სხვა მხრივ „სუფთები“ ვიყავით, ნიჭიერი ბიჭები, ორკესტრის წევრები – ვერაფერს გვიბედავდნენ. ერთხელ ინსტიტუტის პარტკომში გამომიძახეს: თქვენი მუსიკა ბურჟუაზიულია და ფილარმონიის კომისია გადაწყვეტს, იარსებებთ თუ არაო. კომისიის რეაქცია საშინელი იყო; აყვირდნენ – გააუქმეთ ეს ჯგუფიო. მხარს მხოლოდ გოგი ცაბაძე გვიჭერდა; ხელითაც კი გაიწია კომისიის წევრებზე“.

საქართველოში სიტყვა „ივერიის“ უნივერსალობა ცოტათი მაღიზიანებს და უნდა ვთქვა: შეიძლება ერთდროულად ეს სიტყვა ერქვას ისტორიულ მხარეს, სასტუმროს, მუსიკალურ ანსამბლს, კბილის პასტას და თვით სოსისის სახეობასაც კი?!

უკომპრომისობის გამო სცენას არ უთმობდნენ ჯგუფ „კონტრასტს“. ჯგუფის წევრის, ილიკო ზაუტაშვილის სიტყვებით, ერთადერთი გაიოზ კანდელაკი იყო, რომელიც ბარათაშვილის ხიდის კლუბში აძლევდა გამოსვლის საშუალებას. იქაც ყოფილა შემთხვევა, რომ უაზრო ბრალდებით – აპარატურა დაპატიმრებულიაო, კონცერტი ჩაუშლიათ. „მაშინ ტოტალური ნადირობა იყო გრძელ თმებზე. ერთხელ მომეპარნენ უკნიდან და სანთებელით ცეცხლი წამიკიდეს თმაზე. ერთხელ სასტუმროში მომიკიდეს, ერთხელ ქუჩაში. მერე მილიციაში მივყავდით. ეს ჩაწყობილი ფანდი იყო“.

უკომპრომისობით გამოირჩეოდა ქართული როკის კოლორიტული ფიგურა ვალერი კოჩაროვი. მისი მძიმე





МЕЛОДИЯ
ВСЕСОЮЗНАЯ ФИРМА ГРАМПЛАСТИНОК

ОРЭРА

Вокально-инструментальный ансамбль

Руководитель Р. Бардзимашвили

Мария-Изабель (чилийская песня)

Скажи, что любишь (Н. Рота)

Песнь о любви (Ф. Лэй)

Т. Давитая

Будь что будет (Мильячи — Фонтан)

Р. Бардзимашвили

ВСЕСОЮЗНАЯ СТУДИЯ ГРАМЗАПИСИ

Цена 89 коп.

...ПРОСТО
...ЧЕМ ...ШЬ
...УРИЯСКАЯ ШТОЧКАЯ
(Ж. Какидзе — ...)
...ЕКАЛО (Ю. Антонов — ...)
...АДО ЖЕ (А. Басилая — М. Танич)

...ВА СТАРУШКА
...ВА ТОКУ (А. Басил...)
ГОРСКАЯ БАЛЛАДА
(В. Дурглишвили — сл. на...)

На русском (1, 2, 4, 5), грузинском (3) языках
...авид Абуладзе и Нугзар Квашали (2)
...гений Лалиашвили (4)
...еймураз Циклаури (5)

На грузинском (1, 2, 4, 5), английском (3) языках
Дато Абуладзе (1)
Луиза Кобаладзе и Зураб Цискаридзе (2)
Зураб Лалиашвили (3)
Теймураз Циклаури (5)

ეროვნული ბიბლიოთეკა

როკის ჯგუფის, „კვადრატის“ წევრები ფაქტობრივად შოკს გვრიდნენ თბილისელ ობივატელებს. მათი პორტრეტები გამოფენილი იყო მილიციის სტენდებზე, წარწერით – „ესენი არცხვენენ ჩვენს ქალაქს“.

მათთან ერთად ხშირად გამოდიოდა ჯგუფი, რომელშიც სხვებთან ერთად უკრავდა. დათო სულაქველიძე: „ლილოს ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ კომკავშირის ქალაქკომში დაგვიბარეს. მოსახლეობისგან საჩივარი მივიღეთ – ეს რა მორფინისტები, პლანისტები და ანტიფაშისტები იყვნენო (ეს უკანასკნელი ზედმეტად ფაშისტს გულისხმობდა)“.

აი ასეთი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მორალური წნეხის ქვეშ ვითარდებოდა ქართული როკი 70-იან წლებში. ეს არც არის გასაკვირი – საბჭოთა კავშირში გამეფებული ტოტალიტარული რეჟიმი შედიოდა „უძრაობის“ სახელით ცნობილ ფაზაში.

იმ პერიოდის ჯგუფების სახელებიდან აქამდე მასობრივად მხოლოდ ბაჩი ქიტიაშვილის „ბერმუხამ“ მოაღწია. საინტერესოა, რამდენს ახსოვს დღეს ვალერი კოჩაროვის „კვადრატი“ და Cold Flame, ან „კონტრასტი“, „ლაბირინთი“ და სხვები? აღარაფერს ვამბობ უსახელო ჯგუფებზე. რატომღაც მგონია – მათ თუნდაც სამოყვარულო დონეზე გაკეთებული ჩანაწერები რომ დაეტოვებინათ, ისინი უფრო სერიოზულ გავლენას მოახდენდნენ შემდგომ თაობებზე. ცალკე თემაა, რომ ეს ჩვენი ისტორიაა, რომელიც მხოლოდ ასეთი საეჭვო ხარისხით – მეოცე საუკუნესათვის შეუფერებელი ტექნოლოგიებით – ზეპირმეტყველებით და პაპირუსის დონეზე არ უნდა ინახებოდეს.

საქართველო მარტო არ იყო – ოფიციალურის პარალელურად თითქმის მთელ საბჭოთა კავშირში არსებობდა ბევრად უფრო საინტერესო და დამაინტრიგებელი რამდენიმე არაოფიციალური, და აქედან გამომდინარე, ნადვილი როკჯგუფი. მათგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო ანდრეი მაკარევიჩის Машина Времени მოსკოვში, რომელიც მელოდიურ როკს ასრულებდა. ამის მიუხედავად, ეს ჯგუფი პირველი იყო მათ შორის, ვინც „პერესტროიკის“ მოახლოებასთან ერთად, წარმატებით გადავიდა პოპროკში, რითაც ნამდვილი როკის მოყვარულთა განაწყენება გამოიწვია.

იყო კიდევ ერთი, – Аквариум-ი, ლენინგრადიდან. ამ ჯგუფის კარიერა საწინააღმდეგო სცენარით განვითარდა. მისი პოპულარობა „პერესტროიკის“ შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ჯგუფის ლიდერი ბორის გრებენშიკოვი დღეს საკულტო სტატუსით სარგებლობს პოსტსაბჭოთა სივრცეში. ის საქართველოშიც ძალიან პოპულარულია. გრებენშიკოვის პოპულარობამ რუსულენოვან სამყაროში დასავლეთიც დაინტერესა მისი პიროვნებით და მას ინგლისურენოვანი ალბომი ჩაწერინეს ლონდონში. შედეგი სრული ფიასკო იყო. თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ.

მინდა შეგახსენოთ ქართული როკისთვის დამახასიათებელი ერთი სპეციფიკური მომენტი: მიუხედავად იმისა, რომ ქართველ როკმენებს კარგი ურთიერთობი და პირადი კონტაქტები ჰქონდათ საბჭოთა რესპუბლიკების მუსიკოსებთან, ქართული როკი ცენტრალური ხაზიდან დამოუკიდებლად, თვითიზოლაციაში ვითარდებოდა.

ამის მიუხედავად, 70-იანი წლების მიწურულს, გახურებული უძრაობის პერიოდში, 1980 წელს, საბჭოთა კავშირში პირველად, თბილისში ჩატარდა ისეთი როკფესტივალი, რომელსაც დღესაც კი საბჭოთა ვუდსტოკად მოიხსენიებენ და ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად საბჭოთა როკის ისტორიაში. ფესტივალი შედგა თბილისის ფილარმონიის დირექტორის გაიოზ კანდელაკისა და ცნობილი მოსკოველი როკკრიტიკოსის არტიომ ტროიცკის მეცადინეობით. ფესტივალის შესახებ ფინელმა დოკუმენტალისტებმა ფილმი გადაიღეს. ფესტივალზე ფილარმონიულ და კულტურის სახლის ჯუფების მხარდამხარ გამოდიოდნენ ნამდვილი ანდერგრაუნდის წარმომადგენლები.

თითქმის მთელი საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ როკჯგუფებთან ერთად ფესტივალში ზემონახსენები ორი ჯგუფიც მონაწილეობდა. ორივე ჯგუფმა გარკვეული ყურადღება მიიპყრო: Машина Времени ფესტივალის გამარჯვებულად აღიარეს, რაც თავისთავად აბსურდი იყო (როკფესტივალის გამარჯვებული, დიპლომის მფლობელი და ა.შ. აშკარად საბჭოთა სიახლე იყო), ხოლო Аквариум-ი საბჭოთა მუსიკოსებისთვის მიუღებელი, სკანდალური საქციელისთვის ჟიურიმ ფესტივალიდან მოხსნა. ლენინგრადში დაბრუნებული გრებენშიკოვი სამსახურიდან გაათავისუფლეს და კომკავშირიდან გარიცხეს. ეს ფაქტები კარგად ასახავს იმდროინდელ საბჭოთა კავშირში ოფიციოზის დამოკიდებულებას როკისადმი.

მაგრამ აქ მთავარი სხვა რამ იყო: გამოიკვეთა მიმართულებები, საითკენაც უნდა განვითარებულიყო საბჭოთა როკი. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან როკი საბჭოთა კავშირში ლეგალური გახდა. დაიწყო ახალი ეპოქა.

„ეს კონცერტები კი არა, ბრძოლა იყო“ – იხსენებს ბაჩი. „კომუნისტები მართლები იყვნენ – ახალგაზრდა კაცი კონცერტზე რომ კარგად იგრძნობს თავს და ამ განწყობას ქუჩაში გადმოიტანს, აი, ამას ებრძოდნენ ისინი. მომსწრე ვარ იმისა, თუ როგორ იჩხრიკებოდა მთელი დარბაზი კონცერტის დროს და ხშირად ჩვენც ზედ მივუყოლებივართ“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გამოფენა ფაფუნა ლეონი აფხაზეთში

Future Shorts საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალია, რომელიც 90 ქვეყანაში გლობალური კინოპროგრამით სეზონურად, წელიწადში 4-ჯერ ტარდება.

ტრადიციული კინოფესტივალებისგან განსხვავებით Future Shorts-ის ივენტი არამარტო კინოჩვენებაა არამედ კინოს, მუსიკის, ვიზუალური ხელოვნების ერთ საღამოში გაერთიანებით, აუდიტორიას დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სთავაზობს.

FUTURE SHORTS

www.futureshorts.com
facebook/Futureshortsgeorgia

ეროვნული ბიბლიოთეკა



შოთა იათაშვილის

80-იანები

ფოტო: გურამ წიბახაშვილი

წითელი ხაზი

ძალიან ცვალებადი იყო 80-იანები. იმდენად ცვალებადი, რომ მისი დასაწყისი და ბოლო უკვე თითქმის აღარაფრით ჰგავდა ერთმანეთს. არადა, ეჭვი მაქვს, რომ ყოველთვის არ ხდება ასე, ყოველთვის არ დგება სულ რაღაც ათ წელიწადში ძალიან ბევრი რამ ყირაზე. მაგრამ რაც უნდა დინამიკური და მოუხელთებელი იყოს რომელიმე ათწლეული, ალბათ მაინც მოიძებნება ისეთი რამ, რაც დროის მთელ ამ მონაკვეთს თავიდან ბოლომდე წითელი ხაზივით მიუყვება. მართალი რომ გითხრათ, კაი ხანი ვერ ვპოულობდი, თუ რა იყო 80-იანებისთვის ასეთი თანამდევი, მაგრამ მერე უცებ მივხვდი, რომ ის, რაც ამ პერიოდს სულ გასდევდა, ეს ავღანეთიდან ჩამოტანილი თუთიის, ანუ როგორც ხალხში ამბობდნენ, „ცინკის კუბოები“ იყო. 79-ში შევიდა საბჭოთა ჯარი ამ ბედკრულ ქვეყანაში და დაიწყო „ცინკის კუბოების“ ათწლიანი სამგლოვიარო პროცესიაც. დამთავრდა 80-იანები და დატოვა ბოლო საბჭოთა სამხედრო ნაწილმაც ავღანეთი...

მე ამ კუბოებს რატომღაც ვერ ვხედავდი, მაგრამ სულ მესმოდა მათ შესახებ, ვიღაც სულ მიდიოდა პანაშვიდსა თუ გასვენებაზე იქ, სადაც „ცინკის კუბო“ ესვენა. ჰაერშიც სულ ტრიალებდა მათი გამოჩენის შიში... „ცინკის კუბოებს“ გადარჩენილები ნელ-ნელა უკანაც ბრუნდებოდნენ. მათ ხალხმა „ავღანელები“ შეარქვა. თავადაც მიიღეს ეს სახელწოდება, მერე „ავღანელთა კავშირიც“ კი შექმნეს. ეროვნული მოძრაობა რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო, პოლიტიკურად გააქტიურდნენ, თავიანთი განცხადებებით და მოწოდებებით გამოდიოდნენ, ამბობდნენ, რომ მიღებულ სამხედრო გამოცდილებას ახლა საქართველოს თავისუფლებას მოახმარდნენ... ასე იყო თუ ისე, მგონია, რომ „ავღანელებმა" შექმნეს 80-იანების წითელი ხაზი, თავიანთი სისხლით, თავიანთი ბედისწერით, თავიანთი „ცინკის კუბოებით"...

ტრიბუნები და საკონცერტო დარბაზები

ბევრი რამით დაიწყო საქართველოს 80-იანები. მათ შორის ალბათ ბორია გრებენშჩიკოვითაც „ჯაზფესტივალზე" ფილარმონიაში. მაშინ მე იქ „ივერიას" კონცერტებზე თუ დავდიოდი, და მთელი საქართველოც მთავარი საკონცერტო დარბაზისაკენ ძირითადად ამ მიზნით ეშურებოდა. ტანჯულ „ივერიელებსაც" რა ექნათ, ყველას სურვილი რომ დაეკმაყოფილებინათ, ხშირად დღეში ორ კონცერტსაც კი მართავდნენ... „75" დღეში ორ კონცერტს არ ატარებდა, მაგრამ ისინი „ივერიის" შემდეგ ყველაზე ხშირად იდგნენ სცენაზე. და კიდევ იყო „ბლიცი", კოჩაროვის მიერ ბოლომდე, ერთი-ერთზე კოპირებული „ბიტლზი" – ჩაცმულობითაც, ვარცხნილობითაც, ქცევებითაც, სიმღერის მანერითაც, – და სცენასა და დარბაზს შორის მილიცია დგებოდა, რათა „ბიტლზ-ბლიცის" ფანებს ნამეტანი არ აეწყვიტათ. რაც შეეხება მძიმე როკს, მას მაშინ ბაჩი ქიტიაშვილის „ბერმუხა" წარმოადგენდა, თუმცა, როგორც მახსოვს, მის კონცერტებს არ სჭირდებოდა აღგზნებული პუბლიკის დაშოშმინება მილიციის მიერ.

რაც შეეხება 1980 წლის „ჯაზფესტივალის" მთავარ გმირს, ის რამდენიმე წლის შემდეგ გახდა ჩემი მუსიკოსი და ყველგან და ყველა საშუალებით დავდევდი, ჩანაწერებით, კონცერტებით... ხან ვაგნებდი, ხან ვერა... ლენინგრადში ჩემს მასპინძელ აიდარს 88-ში ვთხოვე, იქნებ გავარკვიოთ, „აკვარიუმის" კონცერტი სადმე ხომ არაა-მეთქი. კაიო, და ნევსკიზე აწყვეტილი ახალგაზრდების ერთ ბარში ჩამიყვანა, შესაძლოა სწორედ იმაშიც კი, სადაც ბერჯესს „მექანიკური ფორთოხლის" რუსული სლენგით დაწერის იდეა გაუჩნდა. გაიკითხ-გამოიკითხა და კი, არის, ქალაქის გარეუბანში, რომელიღაც „დომ კულტურიში", მაგრამ მეუბნებიან, შანსი არაა, ბილეთს ვერ იშოვით, ვერ შეხვალთო. წავედით მაინც. ბევრი ვიწრიალეთ, მილიციის ბოლო კორდონამდეც კი მივაღწიეთ, ერთი ნაბიჯიც და კონცერტზე ვიქნებოდით, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, კინწისკვრით გამოგვყარეს. ბოლო ის იყო, რომ გარეთ დარჩენილები ამ „დომ კულტურის", როგორც ნაძვის ხეს, ხელიხელჩაკიდებულები წრეს ურტყამდნენ და ბორიას სიმღერებს მღეროდნენ, და მე და აიდარიც შევუერთდით მათ და ავყევით.

დასევდიანებული ჩამოვბრუნდი თბილისში. რა ახლოს ვიყავი და მაინც ვერ მივაღწიე ბორიასთან-მეთქი და ორიოდე თვეში ქალაქში აფიშები გაიკრა: „სპორტის სასახლეში" „აკვარიუმის" სამი კონცერტი იყო დანიშნული. გახარებულმა ჩემმა დამ მოახია აფიშების სტენდს პლაკატი და მოაფრიალა – დიდი ხანი გვეკიდა მერე სახლში, კედელზე. სამივე კონცერტზეც ვიყავით...

არადა, ჩამოდიოდნენ იმ პერიოდში ვიღაც გაურკვეველი როკმუსიკოსები მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან და დავდიოდით მათ კონცერტებზეც პატიოსნად, ისევე როგორც „ივერიას" მორიგ როკოპერაზე. ერთხელ მადონაც კი ჩამობრძანდა და „დინამოს" სტადიონზე ჰქონდა გამოსვლა. ვიყიდეთ მადონასთვის შეუფერებლად იაფფასიანი ბილეთები და წავედით რაღაც მოულოდნელის უცნაური განცდით... და დაგვხვდა ყალბი ბულგარელი მადონა, მხოლოდ ჩრდილოეთის ტრიბუნები რომ შეევსო სტადიონისა და ნამდვილმადონობას ლამობდა თუ რამე სხვას, ვერც კი მივხვდით.

ტრიბუნები სულ იყო იმ წლებში ჩვენს ცხოვრებაში: თავიდან ისე, როგორც ალბათ უნდა ყოფილიყო – ფეხბურთის საყურებლად, 80-იანების ბოლოს კი მიტინგების გასამართ ადგილად იქცა. 80-იანების დასაწყისში ყიფიანის, ჩივაძის, დარასელიას, შენგელიას და ძმათა მისთა ფინტებით ვიხიბლებოდით ტრიბუნებიდან, 80-იანების ბოლოს კი გამსახურდიას, კოსტავას, ჭანტურიას, წერეთლის და ძმათა მისთა შემართება გვნუსხავდა (თუმცა არა „დინამოდან", არამედ ძირითადად იპოდრომის ტრიბუნებიდან).

სულაქველიძის ორი გოლი და 3:0 „ფეიენოორდთან" ჩემი თვალით ვიხილე და 81-ის 13 მაისსაც „დინამოს" ტრიბუნებზე ვიდექი მთელი ღამე დედასთან და დასთან ერთად. მამაჩემი მოსკოვში იყო, დრამატურგიულ შეკრებაზე, და იქიდან ნერვიულობდა და ხარობდა... თასის აღებიდან სულ ცოტა ხანში, მაისშივე, საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის 60 წლისთავის აღსანიშნავად თბილისს ცეკას მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწვია. აღლუმები მუდამ რუსთაველზე იმართებოდა, მაგრამ შევარდნაძემ ამჯერად სხვანაირად გადაწყვიტა: კონსტიტუციის მოედანზე, სასტუმრო „აჭარის“ წინ გადაიტანა იგი. „გეპეის“ მხარეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა ტრიბუნა ააგო ლენინის უზარმაზარი ბიუსტით (მერე ხმა დაირხა, ლენინის ამ თავში ბრეჟნევისთვის ტუალეტი იყო გაკეთებულიო), სპორტის სასახლის მხარეს კი ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმის ტრიბუნა (აქაც ტრიბუნა!), რომელზეც ნავარჯიშევი ახალგაზრდები ისხდნენ და სხვადასხვა საშუალებებით კომუნისტურ ლოზუნგებს თუ იმიჯებს (მაშინ ეს კაპიტალისტური სიტყვა არ არსებობდა!) წერდნენ და სახავდნენ. ტრიბუნას გადახდილ მანქანაში მსხდომმა „დინამოელებმაც“ ჩაუარეს თასით ხელში... მერე კი „დინამოს“ დაისი დაიწყო, ოღონდ ისეთი, რომ თავისი ეშხი ჰქონდა ამ დაისსაც, თავისი სტილი, მუღამი... მუღამით კვდებოდა თბილისის „დინამო“, საინტერესოდ, ღირსეულად... უმცროსი მიშა მესხის მემკვიდრული გაბრწყინებებით კვდებოდა, ლოყებლაჟღაჟა ცაავას თუ ცავას (ბოლომდე ვერაფრით დაადგინეს – ხან ისე წერდნენ, ხან ასე) თავგანწირვის ქვეშ კვდებოდა, დაბერებული ჩელე-პელეს ზანტი და განუმეორებელი არტისტიზმით კვდებოდა, მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ გადმოსული გაზაევის გუცაევთან შეწყვილებული ოსური ცეკვით კვდებოდა... დავდიოდი და თვალს არ ვაშორებდი ამ კვდომის პროცესს... ამასობაში კი ეროვნული მოძრაობა გაცოცხლდა, რომელსაც ეს კვდომადი პროცესი უნდა ჩაენაცვლებინა. ტრიბუნებიდან ახლა ფეხბურთელების ნაცვლად დისიდენტებისთვის უნდა გვეცქირა და გვეკრა ტაში...

ოთხი ლენინი და თეთრი ოტელო

1980 წელს ლენინის დაბადებიდან 110 წლისთავი იყო და ზემოდან ყველა თეატრს დაევალა ლენინზე ერთი სპექტაკლის დადგმა. ეტყობა ისეთი მკაცრი იყო ეს დავალება, რომ თვით შემოქმედებითი წარმატებისა და აღიარების პიკში მყოფ რუსთაველის თეატრსაც კი უნდა შეესრულებინა იგი. პირადად რობერტ სტურუას ალბათ არავინ მოსთხოვდა ამ საქმის გაკეთებას, შეეძლო რომელიმე მეორეხარისხოვანი რეჟისორისთვის გადაებარებინა სოციალისტური ხელოვნების მორიგი ნიმუშის შექმნა, მაგრამ რუსთაველის თეატრს უსახური სოციალისტური ნაწარმოები, თუნდაც დაძალებით შექმნილი, ეტყობა უკვე არანაირად არ ეკადრებოდა და ამიტომ სტურუამ ეს დავალება თავის თავზე აიღო. მიხეილ შატროვის პიესა „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ საკუთარ „საფირმო“ ეკლექტიკაში ჩააგდო და ლენინზე პიესისაგან არტი გააკეთა. მამაჩემი დრამატურგი იყო და არც ერთ პრემიერას არ ტოვებდა. მახსოვს, როგორი აღფრთოვანებული მოვიდა სახლში: ეს რა გააკეთა

არადა, ჩამოდიოდნენ იმ პერიოდში ვიღაც გაურკვეველი როკმუსიკოსები მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან და დავდიოდით მათ კონცერტებზეც პატიოსნად, ისევე როგორც „ივერიას“ მორიგ როკოპერაზე. ერთხელ მადონაც კი ჩამობრძანდა და „დინამოს“ სტადიონზე ჰქონდა გამოსვლა.

ნების მორიგი ნიმუშის შექმნა, მაგრამ რუსთაველის თეატრს უსახური სოციალისტური ნაწარმოები, თუნდაც დაძალებით შექმნილი, ეტყობა უკვე არანაირად არ ეკადრებოდა და ამიტომ სტურუამ ეს დავალება თავის თავზე აიღო. მიხეილ შატროვის პიესა „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ საკუთარ „საფირმო“ ეკლექტიკაში ჩააგდო და ლენინზე პიესისაგან არტი გააკეთა. მამაჩემი დრამატურგი იყო და არც ერთ პრემიერას არ ტოვებდა. მახსოვს, როგორი აღფრთოვანებული მოვიდა სახლში: ეს რა გააკეთა

რობიკომ, როგორ ითავხედაო... მერე ბილეთები აიღო და მთელი ოჯახი წაგვიყვანა. სცენაზე ოთხი ლენინი მოძრაობდა, გარეგნულად არც ერთი არ ჰგავდა ლენინს, ეს ლენინები ლენინის თაბაშირის ბიუსტს თავზე წყალს ასხამდნენ, მოლბერტთან იდგნენ, ერთმანეთს შორის კამათობდნენ და რა ვიცი, დეტალები ბუნდოვნად მახსოვს, თუმცა ცნობიერებაში ჩამრჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპექტაკლის ფერადოვნება, დინამიკურობა... და მაინც, ახლა კიდევ ერთხელ ვფიქრობ: ეს ოთხი ლენინი რა იყო? ოთხი სტიქია? ტემპერამენტის ოთხი ტიპი? ოთხი მიმართულება? ანუ, რაკი ლენინი უნივერსალურია, ოთხივე სტიქია მის ხელში უნდა იყოს, ოთხივე ტემპერამენტს ფლობდეს, ოთხივე მიმართულებით ავრცელებდეს საკუთარ იდეებს? და ეს იდეა გროტესკულად აჩვენა რობერტ სტურუამ? ალბათ შეიძლება ასეც ინტერპრეტირება, მაგრამ ეს ოთხი უფრო ალბათ სრულიად შემთხვევითია და ხუთიც შეიძლებოდა ყოფილიყო და შვიდიც, მთავარი ალბათ ის იყო, რომ სცენაზეც ტარაკნებივით გაამრავლა ჩვენს საბჭოურ ყოფაში ისედაც ტარაკნებით გამრავლებული ლენინები რეჟისორმა. აკაკი ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერებაში“ წერს, რომ სპექტაკლი „მოსკოვში გასტროლების დროს პირველივე ჩვენებისას მოხსნეს რეპერტუარიდან. სსრკ კულტურის სამინისტროში სპექტაკლს „შინაპატიმრობა“ მიუსაჯეს და ნება დართეს, მარტო საქართველოში ეჩვენებინათ“.

ოთხი ლენინიდან ორი წლის შემდეგ თეატრის მოყვარული ქართული საზოგადოება ახალმა ინტრიგამ შეძრა: თემურ ჩხეიძემ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თეთრი ოტელო გამოიყვანა ოთარ მეღვინეთუხუცესის შესრულებით. ამ სპექტაკლის პრემიერაზეც მთელი ოჯახი წავედით: მამაჩემი, დედაჩემი, მე და ჩემი და, და რატომღაც მკაფიოდ მახსოვს, რომ პარტერის ბოლო რიგში ვისხედით. მოქმედება გემბანზე ხდებოდა. დეზდემონას როლს მარინა ჯანაშია ასრულებდა, იაგოსი – ნოდარ მგალობლიშვილი, ყველა ერთმანეთზე უკეთესი იყო, მაგრამ სხვებზე მეტი აპლოდისმენტი და სპექტაკლის შემდეგ კი ყველაზე მეტი ყვავილი კასიოს როლის შემსრულებელ რეზო ჩხიკვიშვილს ხვდა წილად, რომელმაც რამდენიმე წლის წინ რუსთავის თეატრში „დარაბებს მიღმა გაზაფხულიაში“ შესრულებული კოკას როლის და შანდლით ხელში ცრემლიანი ფინალის შემდეგ, რასაც ხშირად აჩვენებდნენ ტელევიზიით, ქართველი გოგონების გული ბოლომდე შეძრა და დაიპყრო. რაც შეეხება თეთრ ოტელოს, მეორე მოულოდნელობა ის იყო, რომ თავიც სულ სხვანაირად მოიკლა: გადაიჭრა ვენები და ხელები აკვარიუმში ჩაყო... და სიკვდილის წინ სახე მურით გაიშავა, ანუ მას შემდეგ, რაც მკვლელი გახდა. მეტაფორა ჩემთვის, 14-15 წლის ასაკის ბიჭისთვისაც კი სრულიად გასაგები იყო, არადა, ჩემდა გასაკვირად, დიდი ძიები და დეიდები სპექტაკლის გამოსვლის მერე, თვეების განმავლობაში გაცხარებით კამათობდნენ იმაზე, თუ რა ჟესტი იყო რეჟისორის მხრიდან

ოტელოს თეთრად გამოყვანა და თავს აქნევდნენ და მხრებს იჩეჩავდნენ...

მიშველაძიდან ნაგიშა ოშიმამდე

ისევ ფილარმონიას უნდა მივუბრუნდე, სხვანაირად არ გამოვა, რადგან 80-იანი წლების დინამიკურობა საოცრად აირეკლა იმ ღონისძიებებში, რაც იქ იმართებოდა. იმართებოდა კომუნისტური პარტიის ყრილობები, 81-ში ჩამოსული ბრეჟნევიც აქ მობრძანდა, ათწლეულის ბოლოს კი უკვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები მართავდნენ იქ თავიანთ შეკრებებს. გარდა ამისა ეს ადგილი ჯერ კიდევ რჩებოდა მწერლებთან შეხვედრებისა და მათი იუბილეების ალაგად, და ასეთ ღონისძიებაზე მოხვედრა არ იყო იოლი. სცენაზე იდგა ხოლმე, მაგალითად, რეზო მიშველაძე და გადატენილ დარბაზს რიხით ელაპარაკებოდა. რა დამავიწყებს მის ერთ ქმედებას – რაღაც თემაზე ლაპარაკისას მან უცებ შესძახა: ჯიბეში კი მიდევს პარტიული ბილეთი, მაგრამ ყელზე ჯვარი მიკიდიაო – და პერანგიდან თავისი ჯვარი ამოაძვრინა, რათა თავმომწონედ ეჩვენებინა პუბლიკისთვის. და ამ იანუსის ორსახოვნებაზე ფილარმონიის ჭერი ლამის ჩამოიქცა. ეს სადღაც 80-იანების დასაწყისში იყო, მის ბოლოს, 89-ში კი აქ ფრანგ პროდიუსერ დომას ფილმების ჩვენება გაიმართა. გადატენილი დარბაზი ახლა უკვე მიშველაძეს კი არ უსმენდა, არამედ ნაგიშა ოშიმას „გრძნობათა იმპერიას“ უყურებდა. ფილმების ცენზურა ერთი-ორი წელი უკვე გაუქმებული იყო, ეროტიკულ კადრებს აღარ ჭრიდნენ და ხალხი კინოთეატრებში კოლექტიურად ეროტიკის ყურებას ასე თუ ისე უკვე მიჩვეოდა, მაგრამ ეს სულ სხვა კინო იყო – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. პუბლიკა ძირითადად არაინფორმირებული იყო, თუ რა ტიპის ფილმზე მიდიოდა და ჯერ კიდევ შემორჩენილი რიტუალის ერთგულებით ბევრი ოჯახთან ერთად მისულიყო ჩვენებაზე. ისინი ფილმის დაწყებიდან ცოტა ხანში შეძრწუნებულები ტოვებდენ დარბაზს. თუმცა მხოლოდ ისინი არა – სხვებიც, არცთუ მაინცადამაინც ცოლ-შვილთან ერთად მყოფნი. ბოლომდე გმირულად დარჩენილნი კი ერთმანეთის გვერდიგვერდ უხერხულად ისხდნენ, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილმის დასრულების შემდეგ ერთიმეორეს მზერას ვეღარ უსწორებდნენ.

ვიდეომაგნიტოფონი

80-იანები ვიდეომაგნიტოფონის ათწლეული იყო. თავიდან ძალიან ცოტას ჰქონდა, ბოლოსკენ – საკმაოდ ბევრს. ეს იყო აკრძალულ სივრცეებში შეჭყიტვის ახალი, ძლიერი შესაძლებლობა. პირველ თუ მეორე კურსზე ვიყავი, ასე შვიდიოდე ბიჭმა რომ ფული დავდეთ და ერთი დღით ვიდეომაგნიტოფონი ვიქირავეთ კასეტებითურთ. პაატას სახლში მოვეწყვეთ. მისი საშუალებით ვნახე პირველად აბულაძის „მონანიებაც“, როცა ის ჯერ კიდევ აკრძალული იყო. ჩვენი ოჯახის მეგობრებმა, მწერალმა ნათელა ონაშვილმა და მოქანდაკე გურამ პიპინაშვილმა სახლში დაგვპატიჟეს მის სანახავად. ოღონდ არავის უთხრათ, რისთვის მოდიხართო... მამაჩემი ახალი გარდაცვლილი იყო. მე, ჩემი და და დედაჩემი წავედით. სანამ ვიდეომაგნიტოფონს ჩართავდნენ, ფანჯრებს ფარდები ჩამოაფარეს, გვითხრეს, ამ ფილმს დასდევენო, თუ გაიგეს, სად უყურებენ, შუქს უთიშავენ, რათა კასეტა ვიდეომაგნიტოფონში ჩარჩეს და ფაქტზე დაიჭირონო. ახლა ამას რომ ვიხსენებ, ასეთი შიში გადაჭარბებული მეჩვენება, თუმცა ეშმაკმა უწყის, შეიძლება მართლაც იყო ასე. ფაქტი კი ისაა, რომ „მონანიებას“ ჩაბნელებულ ოთახში, არალეგალურად, შიშის ქვეშ ვუყურეთ და ამ გარემომ ფილმისგან მიღებული განცდები ათჯერ უფრო გაამძაფრა.



„მონანიებას“ ჩაბნელებულ ოთახში, არალეგალურად, შიშის ქვეშ ვუყურეთ და ამ გარემომ ფილმისგან მიღებული განცდები ათჯერ უფრო გაამძაფრა. მეორე დღეს უნივერსიტეტში ყველას მის შესახებ ვუყვებოდი და ვურჩევდი, რამენაირად მოეხერხებინა მისი ნახვა.

პროდუქტები და სიგარეტი მოვიმარაგეთ: მთელი დღე უნდა გვეყურებინა ფილმებისთვის. კასეტებს შორის მხოლოდ ორიოდე ეროტიკული ფილმი თუ აღმოვაჩინეთ, დანარჩენი მძაფრსიუჟეტიანი კინოპროდუქცია იყო მხოლოდ და მხოლოდ. უმრავლესობა ინტერესით ჩაუჯდა ამ განგსტერულ ფილმებს თუ „ბოევიკებს“, მე კი გულაცრუებული დავრჩი. „რა არის ეს? – ვბუზღუნებდი შემაწუხებლად – ჯობია ისევ ის ეროტიკა ჩავრთოთ და მეორედ ვუყუროთ“. სერიოზული კინოსადმი ინტერესი ცოტა მოგვიანებით გამიჩნდა და ამიტომ ბუნუელს თუ ანტონიონის მაშინ არ ვითხოვდი. „მოიცა, მოიცა, რა დროს ეროტიკაა“ – მაჩერებდნენ მაფიოზურ ინტრიგებსა და ხოცვა-ჟლეტაში ბოლომდე ჩართული კურსელები.

შეიძლება ითქვას, რომ ასე დაიწყო ჩემი შეხება ვიდეომაგნიტოფონთან. მეორე დღეს უნივერსიტეტში ყველას მის შესახებ ვუყვებოდი და ვურჩევდი, რამენაირად მოეხერხებინა მისი ნახვა. იგი ჯერ არავის ჰქონდა ნანახი, არც კი გაეგონათ, რომ ასეთი ფილმი არსებობდა...

სტუდენტობა

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ყურისძირში ვცხოვრობდი, მაგრამ ყოველ დილით 20 ნომერი ავტობუსით მაღლივ კორპუსში მივჩაქჩაქებდი, რადგან მათემატიკის შესწავლა გადავწყვიტე, თუმცა ლექციების შემდეგ სახლისკენ წამოსული პირველ კორპუსთან ჩამოვდიოდი და იქ ვაბირჟავებდი. უნივერსიტეტის სტუდენტი ხომ პირველი კორპუსისა და მისი ეზო-კარის გარეშე ნამდვილ უნივერსიტეტელად ვერ გრძნობს თავს!

გორბაჩოვი მოვიდა, „უსკორენიე“ და ეგეთი რაღაცები დაიწყო, მაგრამ გარემო მაინც ძველებურად შებოჭილი რჩებოდა. გოგოები ისევ ტუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეტში ეწეოდნენ (ან ბაღში, მაგრამ მაღლივ კორპუსს ბაღი არ ჰქონდა და ვინც იქ სწავლობდა, ალტერნატივა არ ჰქონდა). დეკანატი შერბილებული მეთოდებით, მაგრამ მაინც ებრძოდა ბიჭებში გრძელ თმასა და წვერს. გრძელი თმა არც არასოდეს მქონია, მაგრამ მახსოვს, როგორ მომიახლოვდა წვერგაბურძგნულს დეკანის მოადგილე, მეგობრულად მომიკითხა და მერე მითხრა: რად გინდა ეს წვერი რომ მოგიშვია, ჰა? არ ჯობია მოიპარსო? მერე მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა, მხარზე ხელი დამარტყა და წავიდა. კომკავშირი ისევ ყვაოდა. ისე დამემართა, რომ ფილოლოგიური ფაკულტეტის კომკავშირის მდივანი მეგრელი გოგოს მიმართ გამიჩნდა გრძნობები და ამიტომ მუდამ ვცდილობდი კომკავშირის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მოხვედრას. ასე ვეცეკვე პირველად და უკანასკნელად პირველი კორპუსის დარბაზის ფოიეში გამართულ კომკავშირულ წინასაახალწლო კარნავალზე მას. მერე გავიგე, რომ ფასანაურში რაღაც ერთკვირიანი მათი შეკრება იგეგმებოდა, რომელზეც, ცხადია, ჩემი სატრფოც მიდიოდა. ჩემი ფაკულტეტის კომკავშირის სამდივნოში ვთხოვე, იქნებ მეც ჩამწეროთ-მეთქი. წინასწარ სიაში ჩამწერეს, უარი არ უთქვამთ, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ვერ მოვხვდი ფასანაურში, სადაც ასეთი შესანიშნავი შესაძლებლობა მექნებოდა, მას ცოტა სხვანაირად დავახლოვებოდი და დავკონტაქტებოდი.

ამ პერიოდში ანტიალკოჰოლური კამპანიაც დაიწყო და კომკავშირული ქორწილებიც შემოიღეს, ანუ ქორწილები ლიმონათებით. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კომკავშირის ცეკას მდივნის, სესილი გოგიბერიძისა და ქვეყნის კიდევ ერთი წამყვანი კომკავშირელის, ზაზა შენგელიას ქორწილი იყო... მოკლედ, კომკავშირელები, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ცდილობდნენ ფეხი აეწყოთ გამოცხადებული ანტიალკოჰოლიზმისთვის, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში ეს მუშაობდა. როგორც მახსოვს, სასმელის დეფიციტი საქართველოში არ შექმნილა. როცა გვინდოდა დალევა, მუდამ უპრობლემოდ ვსვამდით...

მაღლივიდან სახინკლე „სასაფლაოში" ჩავდიოდით ფეხით ხშირად – იგი საბურთალოს სასაფლაოს შესასვლელთან იდგა და ამიტომ ვეძახდით ასე. მაშინდელი ხინკალი ახლანდელზე გაცილებით პატარა იყო, ამასთან ქალაქში იმ დროს სულ რამდენიმე შესატყვისი დაწესებულება არსებობდა, ანუ ისე გამოდიოდა, რომ 80-იანებში მთელი ქალაქი ისე არ იყო მიძალებული ამ კერძს, როგორც ახლაა, თორემ ის რამდენიმე სახინკლე და პლიუს

რამდენიმე რესტორანი ვერანაირად საკმარისი ვერ იქნებოდა. თუმცა ისიც იყო, რომ მაშინ ოჯახებშიც ამზადებდნენ, ოღონდ ასე უთავბოლოდ არა, იშვიათად და რაიმესთან დაკავშირებით.

ჰმ, სტუდენტობაზე დავიწყე ვითომ ლაპარაკი და ხინკალზე გადავედი... ჯობს, ისევ ლექციები გავიხსენო. რა ლექცია არ მომისმენია 80-იანებში: ჯერ ბრწყინვალე მათემატიკოსების: გიორგი ჭოღოშვილის, ვანო კიღურაძის, გოგი ლომაძის, ფრიდონ ხარშილაძის, ავთო ბენდუქიძის, სერგო თოფურიასი... მერე – მეორად ფაკულტეტზე, უნივერსიტეტშივე, ლექციები კინოზე: ნოდარ მანაგაძის, ერლომ ახვლედიანის, გოგი გვახარიასი... ისე ნოდარი ძირითადად ჩუმად იჯდა ხოლმე და იქით გვეხვეწებოდა, მოიფიქრეთ ახლა, რაზე ვილაპარაკოთო, ერლომი სცენარის წერის სწავლების ნაცვლად ბიბლიოთეკაში გვიკითხავდა და ცხოვრებას გვასწავლიდა ძალიან ღრმად და საყვარლად, და კინოზე თუ ლექციებს გვიკითხავდა, ისევ გოგი გვახარია იყო და კიდევ აჩიკო შუბაშვილი... და იქვე, უნივერსიტეტშივე, თავისუფალი ლექციები აკაკი ბაქრაძის და მერაბ მამარდაშვილის. ეს ლექციები სრულიად სხვადასხვა ფენომენი იყო: ბაქრაძესთან ზღვა ხალხი სააქტო დარბაზშიც კი ვერანაირად ვერ ეტეოდა. მახსოვს, როგორ შევძვერით ერთხელ კულისებში და ეკრანის უკან დავმკვიდრდით. ხმა გვესმოდა, მაგრამ ვერაფერს ვხედავდით, ამიტომ ეკრანის აქაჩვა-დაწყეთ და ამ აქაჩვა-აქაჩვაში გავხიეთ კიდეც ეკრანი. მამარდაშვილთან 93-ე აუდიტორიაში ვიკრიბებოდით და იქ სულ სხვა განწყობა, თემატიკა და გადმოცემის მანერა გვხვდებოდა. ორივე გვზრდიდა, ორივე თავისებურად და სულ სხვადასხვა რაღაცებზე გვიხელდა თვალებს...

ანუ...

80-იანებში ორი ორსათაურიანი ფილმი გადაიღეს ქართველმა რეჟისორებმა: „მშობლიურო ჩემო მიწავ ანუ რაიკომის მდივანი" 1980 წელს რეზო ჩხეიძემ და „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი" ელდარ შენგელაიამ 1983 წელს. სულ სამი წელია ამ ფილმებს შორის სხვაობა, არადა, რა დიდია სხვაობა განწყობაში: ჩხეიძესთან შენების განწყობაა, თვით უდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნოს აყვავების რწმენაც კი, ელდარ შენგელაიასთან კი პათოსი სარკაზმით იცვლება, შენება – ნგრევით... ეტყობა რეზო ჩხეიძემ მალევე იგრძნო, რომ მიზეზთა თუ აუცილებლობის გამო ნამეტანი იდონკიხოტა და ამიტომ ადგა და არც მეტი, არც ნაკლები, თავად „დონ-კიხოტის" გადაღება გადაწყვიტა. 1989-ში გამოსული ეს რამდენიმესერიანი ფილმი თავისი სტილური ეკლექტიკითა და ფორმალური ძიებებით, მგონია, რომ დღევანდელი გადმოსახედიდანაც კი ძალიან საყურადღებო ფილმია, მაგრამ მას რა-



ტომლაც არავინ აქცევს ყურადღებას და რამდენი წელია, ტელევიზიითაც კი არ მომიკრავს მისთვის თვალი. აი, გიგა ლორთქიფანიძემ კი „დათა თუთაშხიას" შემდეგ შეკვეთა შეასრულა და რამდენიმესერიანი „წიგნი ფიცისა" გადაიღო. მთელ საქართველოს 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან 200 წლისთავი უნდა ეზეიმა და ასეთი ფილმი აუცილებლად იყო გადასაღები, რა მნიშვნელობა ჰქონდა ნეტა, ვინ გადაიღებდა! ანუ აქეთ „ცისფერი მთები", იქით „წიგნი ფიცისა" – აბსოლუტურად ერთდროულად... რამდენიმე წელიწადში კი „მონანიება". და კიდევ ალეკო ცაბაძის „ლაქა" ქიშო გლუნჩაძით მთავარ როლში... ამასობაში ოთარ იოსელიანმა დრო იხელთა, საფრანგეთში გადაბარგდა და იქ მიჰყო ფილმების გადაღებას ხელი. მოკლედ, ქართულ კინოშიც პარალელურ რეჟიმში რამდენიმე პროცესი ერთად მიმდინარეობდა: ვიღაც აშენებდა, ვიღაც ანგრევდა, ვიღაც ფიცს დებდა, ვიღაც ინანიებდა, ვიღაც გარბოდა, ვიღაც დონკიხოტობდა... ასე იყო თუ ისე, სამწუხაროდ, გედის სიმღერა იყო მისთვის 80-იანები. აი, როგორც „დინამო" კვდებოდა ღირსეულად და თავისი მუღამით, ასევე კვდებოდა ქართული კინოც...

მომიტინგეები და კინოს მოყვარულები

რამდენიმე მუდმივი სამიტინგო ადგილი იყო თბილისში. ერთ-ერთ ასეთ ალაგს „კინოს სახლის" მიდამოები წარმოადგენდა. „კინოს სახლის" კიბეებსა და რუსთაველის ძეგლს შორის სივრცე ძალიან ხშირად ხალხით იჭედებოდა. პარტიების ლიდერები, ორატორები მოდიოდნენ რუპორებით ხელში და იწყებოდა მიტინგი. ჩვენც იქ ვიყავით, ვუსმენდით მათ და მუშტებშემართულ მომიტინგეებს შორის ნელ-ნელა გზას ვიკვლევდით. ჩვენ საქართველოს ბედზე გული გვტკიოდა, ჩვენ ვუკრავდით ტაშს და ხანდახან „გაუმარჯოსაც" ვყვიროდით, მაგრამ ჩვენ კინოც გვიყვარდა ძალიან. ის კინო, რომელიც ცოტა ხანში კიბეებზე მდგარ სიტყვით გამომსვლელთა ზურგს უკან უნდა დაწყებულიყო. ჩვენ ყურებდაცქვეტილები მივძვრებოდით პატრიოტთა შორის, გული გვიძგერდა, სამშობლოს ბედზე ვფიქრობდით და საათს დავყურებდით: ბუნუელის „ვირიდიანამდე" 15 წუთი რჩებოდა, 10 წუთი რჩებოდა პაზოლინის „საღორემდე", 5 წუთი – ბერგმანის „პერსონამდე", იოსელიანის „და იქმნა ნათელი" უკვე იწყებოდა, ბერტოლუჩის „XX საუკუნე" უკვე დაწყებულიყო, ახლავე თუ არ შევიდოდით, გოდარის „უკანასკნელ ამოსუნთქვაზე" შესვლას აზრი აღარც ექნებოდა...

– შევიდეთ?

– რა ვიცი. იქნებ დავრჩეთ. ხედავ, რა ხდება?

„კინოს სახლის" კიბეებსა და რუსთაველის ძეგლს შორის სივრცე ძალიან ხშირად ხალხით იჭედებოდა. პარტიების ლიდერები, ორატორები მოდიოდნენ რუპორებით ხელში და იწყებოდა მიტინგი. ჩვენც იქ ვიყავით, ვუსმენდით მათ და მუშტებშემართულ მომიტინგეებს შორის ნელ-ნელა გზას ვიკვლევდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ჰო, მაგრამ რამდენი ხანია ამ ფილმის ნახვა მინდოდა.

– ეჰ, მეც...

– რომელი საათია?

– ცოტა გადაცდა.

– წამო, წამო, შევიდეთ!

– კოსტავას მოვუსმინოთ და მერე შევიდეთ.

– მერე გვიანი იქნება. წამო, შევიდეთ...

– ჰო, კარგი... მიდი, გაძვერი. იქით, იქით ჯობია, უფრო ცოტა ხალხია.

და შევდიოდით. უფრო სწორად გადავდიოდით: ერთი სამყაროდან მეორეში. ზოგიერთი ჩვენთაგანი კი რჩებოდა. რჩებოდა მომიტინგედ. თან უსმენდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, თან „კინოს სახლის" კედელზე გაშვებული კოქტოს „პოეტის სისხლის" კადრები ელანდებოდა ჩამოწოლილ ბინდბუნდში...

ხეზე გაკრული ლექსები

8 აპრილს პარლამენტთან ვიდექი გამთენიამდე. რამდენიმეჯერ გამოაცხადეს საფრთხის შესახებ: ჯარია შემოსული და შეიძლება შემოვიდნენ და გადაგვიარონო. ვიდექით და ველოდით, მაგრამ არ გამოჩენილან. მეორე დღეს ეტყობა უძინარი ვიყავი და ადრე მივბრუნდი სახლში, დავწექი. გამთენიისას კარზე ზარის ხმა გაისმა. დაფეთებულებმა გავაღეთ. გარებიძაშვილი დიანა იდგა კართან, ფეხშიშველი, დარბევას გამოქცეული. მისგან გავიგეთ, თუ რა მოხდა... სხვა რა გითხრათ 9 აპრილზე, უკვე იმდენია ნათქვამი, დაწერილი და ნაჩვენები... ერთი ის იყო, რომ იმ დღეებში ვიღაცამ ამ თემაზე ლექსი დაწერა, მივიდა იქ, სადაც ეს ყველაფერი მოხდა, ერთ-ერთ ხეს ჭიკარტით მიაკრა ხელნაწერი და სახლში გაბრუნდა. ვინც ეს ლექსი წაიკითხა, თავადაც მოუნდა გრძნობების გამოხატვა, ამიტომ იმ იდუმალ ადამიანს მიბაძა: დაწერა თავადაც ლექსი და გააკრა მანაც ერთ-ერთ ხეზე. და დაიწყო და დაიწყო: ყველამ უცებ პოეტი დაინახა საკუთარ თავში. მთელი ერი იმ დღეებში ლექსებს წერდა, მიჰქონდა მერე ის ლექსები რუსთაველზე და ხეებზე აკრავდა. კაი ხანი ეკიდა 9 აპრილისადმი მიძღვნილი პოეზია ხეებზე. ხალხი იდგა და კითხულობდა. მოშორდებოდნენ ერთ ხეს, მეორესთან მივიდოდნენ და აგრძელებდნენ კითხვას. მგონი ხანდახან იქვეც კი დაწერდნენ და მაშინვე გააკრავდნენ ხოლმე თავისას... მერე ფილარმონიაში საღამო გაკეთდა: „ხეზე გაკრული ლექსები". ჩამოხსნეს ის ლექსები, წამოიღეს, მსახიობებს დაურიგეს და იდგნენ მსახიობები სცენაზე და დეკლამირებდნენ ამ გულისმომკვლელ ეროვნულ თვითშემოქმედებას... ვიყავი მეც იქ, უკვე მესმოდა, რომ პოეზია სხვა რამ იყო, ჩემთვისაც ვწვალობდი ჩუმ-ჩუმად რაღაცას, მაგრამ იქ მაინც ვიყავი, მაინც საშინლად მოქმედებდა, მტკივნეულად ხვდებოდა გულს ეს მოუხეშავი, პრიმიტიული სტრიქონები... სადაა ნეტა ახლა ის ლექსები, სად წაიღეს? არის ნეტა სადმე შემორჩენილი? თუ გაქრა, გაყვა დროის დინებას?..

80 000

80-იანები ჯერ კიდევ ის დრო იყო ლიტერატურისათვის, როცა 5-მილიონიან რესპუბლიკაში ჯეიმს ჯოისის „ულისეს" პირველი ნაწილი, ნათარგმნი ნიკო ყიასაშვილის მიერ, 80 000-იანი ტირაჟით გამოვიდა. წარმოგიდგენიათ? „ულისეს" 80 000 ეგზემპლარი, სადაც მხოლოდ ასე, 800 კაცი თუ იქნებოდა მისი წამკითხველი და გამგები. თითქმის ყველას სახლში ედო „ულისე" – „თხა და გიგო" ერქვა ალბათ ამ უნებლიე პროექტს თუ პერფორმანსს, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულს.

იმ პერიოდის მთავარი ბესტსელერი გურამ ფანჯიკიძემ დაწერა: „სპირალი". „ცისკარში" იბეჭდებოდა შუა 80-იანებში, მერე კი ასევე უზარმაზარი ტირაჟით წიგნად გამოიცა და ტალონებით იყიდებოდა. თუმცა „სპირალი" ფანტასტიკა იყო, „პროფესორ დოუელის თავის" ერთგვარი ვარიაცია და ჟანრული ლიტერატურის არმქონე ქართველმა მკითხველმა ის ხელად აიტაცა. მახსოვს, მეც დღე-დღეზე ველოდი ხოლმე „ცისკრის" ახალი ნომრის გამოსვლას და მერე რომანის გაგრძელებას სულმოუთქმელად ვკითხულობდი...

მურმან ლებანიძის და ბუბრან ბაჭავარიანის პოეტური კრებულებიც სამოციათას-ოთხმოციათასს ურტყამდნენ. ოთარ ჭილაძემ 81-ში თავისი მეორე რომანი, „რკინის თეატრი" გამოსცა და მერე მთელი 80-იანები მესამე რომანზე, „მარტის მამალზე" ფიქრსა და წერაში გალია...

ყველაფერს რა ჩამოთვლის და გაიხსენებს... თან რაღაც გარდატეხაც ხდებოდა, ახალი ლიტერატურა მოდიოდა, მაგრამ არ ჩანდა ის ჯერ კარგად: მხოლოდ შიდალიტერატურულ წრეებში... და მხოლოდ დაკვირვებული მკითხველი თუ შეამჩნევდა: მე, მაგალითად, მერაბ აბაშიძე მიზიდავდა ახლებიდან ძალიან, ყველაფერს ვკითხულობდი მისას, რასაც კი გადავაწყდებოდი, მიკა ალექსიძე, ნაირა გელაშვილი... ერთი მოთხრობა იყო ანა მხეიძის, „არჩევანი მე", ნარკომანიის პრობლემაზე, მგონი ყველამ წაიკითხა იმ პერიოდში ვინც კი კითხვა იცოდა... თამაზ ბაძაღუამ რაც მოასწრო, 80-იანებში მოასწრო და იქვე დაამთავრა სიცოცხლე ტრაგიკულად, 87-ში...

მოკლედ, ლიტერატურაშიც ბევრი რამ ხდებოდა, და საერთოდ, ძალიან ბევრი რამ ხდებოდა იმ ათწლეულში, ურთიერთგამომრიცხავიც და ურთიერთშემავსებელიც, ხდებოდა ყველა სფეროში, ხდებოდა ყველა ადამიანში – შიგნით, სულში რაღაც ამოძრავდა უცნაურად და გარეგნულადაც უცნაურად ამოძრავდნენ ადამიანები. ალბათ უნდა ამოძრავებულიყვნენ კიდეც, რადგან „უძრაობის" ეპოქა მთავრდებოდა... ამოძრავდნენ ანტიკური გმირებივით, ჰომეროსის თუ ჯოისის პერსონაჟებივით, 10 წელიწადში 20 წლის გზის გავლა მოინდომეს უცებ... თვალსა და ხელს შუა „ულისეს" ეგზემპლარებს დაემსგავსნენ, უსაშველოდ დიდი ტირაჟით გარეთ გამოშვებულებს... და აი, დადიოდა ამ პატარა საქართველოში 80 000 ულისე 80-იან წლებში აცა-ბაცა და ძალიან ცოტას თუ ესმოდა მათი, ძალიან ცოტას თუ გამოჰქონდა აზრი მათი ქმედებებიდან... 80 000 ულისე 80-იან წლებში...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

"primeclass" CIP სამსახური
თქვენი პირადი
დამხმარე აეროპორტში

ექსკლუზიური მომსახურება
ჩამოსვლისას
თუ გამგზავრებისას

მებარგულის
მომსახურება

პირადი ასისტენტი
უსაფრთხოების კონტროლის
გავლისას

პირადად თქვენთვის
განკუთვნილი მოსასვენებელი
დარბაზები

TAV
primeclass

თბილისი : +995 322 310 330
ბათუმი : +995 422 235 111
www.primeclass.com.tr
TAV Georgia Operation Services L.L.C.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო მ. ჩიპოლამ (1922-2000) პავიას უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაამთავრა და შემდეგ ეკონომიკის ისტორიის კვლევა განაგრძო. 1953 წელს ჩიპოლა ფულბრაითის სტიპენდიით ბერკლის უნივერსიტეტში მიიწვიეს, ორი წლის შემდეგ კი იმავე უნივერსიტეტში პროფესორის ადგილი შესთავაზეს. სწორედ ბერკლიში ასწავლიდა სიცოცხლის ბოლომდე ეკონომიკის ისტორიას. კარლო ჩიპოლა ეკონომიკის ისტორიის სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. ჩიპოლას კვლევის მეთოდი ემყარებოდა მაკროისტორიული და მიკროისტორიული მიდგომების კომბინირებას ძალიან ვრცელ კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტებში.

მთარგმნელი

„რა არის ეს „მ“ კარლო მ. ჩიპოლას სახელში? „მარია“, როგორც ბევრს ჰგონია (ვიკიპედიაც ამას გვამცნობს)? მარიო? არა. არაფერსაც არ ნიშნავს. უფრო სწორად, საკუთარ თავს ნიშნავს: ეს „მ“ ჩიპოლამ იმისთვის მიიმატა, რომ სავალდებულო ველი – **middle name** – შეევსო ხოლმე ბერკლის უნივერსიტეტის ბლანკებში, სადაც 1953 წელს გადავიდა.

ეს არ ყოფილა ეკონომიკის ისტორიის ამ გიგანტური ფიგურის ერთადერთი „ანცობა“. ასევე გასართობად დაწერა და გაავრცელა ტექსტიც, რომელიც მოგვიანებით მის ყველაზე ცნობილ წიგნად და გამომცემლობა „მულინოს“ საარაკო ლონგსელერად იქცა, სახელწოდებით „სახალისო, მაგრამ არც ისე“. ეს პაწაწინა წიგნი ყოველ წელს ხელახლა გამოიცემა და მისი მილიონობით ეგზემპლარი იყიდება მსოფლიოში. წიგნი უამრავ ენაზე ითარგმნა. ბედის ირონიაა, რომ სწორედ ამ ტექსტმა, და არა მისმა „სერიოზულმა“ ნაშრომებმა, მოუტანა დიდ მეცნიერს მეტი აღიარება და პოპულარობა.

ეს ამბავი 1973 წელს დაიწყო. ჩიპოლამ ბოლონიელ გამომცემელს, „მულინოს“, სთხოვა მოკლე, ინგლისური ტექსტის ასიოდე ეგზემპლარის დაბეჭდვა, რომლებიც მეგობრებისთვის უნდოდა ეჩუქებინა შობის დღესასწაულზე. ეს იყო მომხიბლავი (თვით)პაროდია ეკონომიკის ისტორიაზე უძველესი დროიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით. 1976 წლის აგვისტოში კი ჩიპოლამ მეორე ტექსტის დასაბეჭდად მიმართა იმავე გამომცემლობას. ტექსტს ერქვა **The Basic Laws of Human Stupidity.**

„მულინომ“ კვლავ ასიოდე ეგზეპლარი დაუბეჭდა ავტორს. ჩიპოლამ მეგობრებს დაურიგა დანომრილი ეგზემპლარები. მრავალი წლის მანძილზე ავტორი უარს ამბობდა ტექსტის იტალიურად თარგმნაზე. შეუძლებლად მიაჩნდა ორიგინალის სვიფტისეული იუმორის სხვა ენაზე გადატანა. მაგრამ მეგობრები არ ასვენებდნენ, ტექსტი მრავლდებოდა, ხელიდან ხელში გადადიოდა და ბოლოს, ჩიპოლა დაყაბულდა, ორივე ტექსტი თავიდან დაეწერა იტალიურად და გამოეცა პატარა წიგნად სახელწოდებით „სახალისო, მაგრამ არც ისე“. წიგნი 1988 წელს გამოვიდა. ვიკიპედია იუწყება: 1976 წელს ტექსტი ინგლისურად გამოსცა გამომცემლობამ **The Mad Millers**-მაო. თუ შეამოწმებთ, დარწმუნდებით, რომ წიგნის **ISBN** -ი არანაირ ასეთ გამომცემლობას არ შეესაბამება. დიახ, ეს არარსებული გამომცემლობა იყო და ის „გიჟი მეწისქვილეები“ სწორედ ბოლონიური „მულინო“ (მულინო – იტალიურად წისქვილს ნიშნავს) იყო, რომელმაც უბრალოდ პირადი თხოვნა შეუსრულა მეცნიერს და ასე იქცა მისი წარმატების მთავარ პროტაგონისტად. „მულინოს“ გუნდი ძალიან ამაყობს ამ ისტორიით. ტექსტს არნახული წარმატება ხვდა წილად. ზღვა თარგმანი დაიბეჭდა უამრავ ქვეყანაში, მაგრამ არასოდეს გამოსულა ტექსტის ორიგინალის ნამდვილი ბრიტანული ან ამერიკული გამოცემა, რაც ფრიად უცნაური იყო ტექსტისთვის, რომელიც თავდაპირველად სწორედ ინგლისურად დაიწერა. ეს საქმე კვლავ ბოლონიურმა გამომცემლობამ ითავა და ინგლისური ორიგინალი გამოსცა, მალე კი მისი ელექტრონული ვერსიაც გამოაქვეყნა. პარადოქსია, მაგრამ ასეა: ტექსტი ჯერ თარგმანების მეშვეობით გახდა მსოფლიო ბესტსელერი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიბეჭდა მისი ორიგინალი“.

არმანდო მასარენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო მ. ჩიპოლა

ადამიანური სიბრიყვის ძირითადი კანონები

იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ

კაცთა მოდგმა, მის წარმომადგენელთა ერთსულოვანი ნებითა და შესაშურად შეხმატკბილებულ ქმედებათა წყალობით, სავალალო მდგომარეობაშია. თუმცა ამაში ახალი არაფერია. რომელ ეპოქასაც არ უნდა გადავწვდეთ, ასე იყო მუდამ: კაცობრიობის მოდგმა მუდამ სავალალო დღეში იყო. უბედურებისა და ჭირ-ვარამის მძიმე ტვირთი, რომელსაც ადამიანი ეზიდება (როგორც ინდივიდი, ისე ორგანიზებული საზოგადოების წევრი), არსებითად იმ გაუგონარი – გავბედავ და ვიტყვი, სულელური – წესის შედეგია, რომლის მიხედვითაც დასაბამიდანვე მოხდა სიცოცხლის ორგანიზება.

დარვინისგან ვიცით, რომ ჩვენც იქიდან მოვდივართ, საიდანაც ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლები. ცნობილია, რომ ყველას, ჭიაღუა იქნება ეს თუ სპილო, თავისი წილი ვაი-ვაგლახის, შიშის, ფრუსტრაციის, ტანჯვისა თუ შეხლა-შემოხლის ყოველდღიური ულუფა ერგო ცხოვრებაში. მაგრამ ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ადამიანს ხვდა წილად ყოველდღიური ტანჯვა-უბედურების დამატებითი დოზა, რომლის წყარო და თავიდათავი მისივე სახეობის წარმომადგენელ არსებათა ჯგუფია. და ეს ჯგუფი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე მაფია ან ნებისმიერი სამრეწველო, სამხედრო თუ კომუნისტური დაჯგუფება. ეს არაორგანიზებული ჯგუფია, მას არანაირი წყობა და წესრიგი არ გააჩნია, არა ჰყავს ხელმძღვანელი, პრეზიდენტი, არა აქვს წესდება. თუმცა ისეთი იდეალური ჰარმონიულობით მოქმედებს, თითქოს უხილავი ხელი მართავდეს. მისი თითოეული წევრის ქმედება პოტენციურად აძლიერებს ყოველი სხვა წევრის ქმედების ეფექტურობას. სწორედ ამ დაჯგუფების წევრთა ბუნება, ხასიათი და ქცევაა მომდევნო გვერდების თემა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ესე არც ცინიზმის ნაყოფია და არც სოციალური დესტრუქტივიზმის გამოხატულება, ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტად არა, ვიდრე მიკრობიოლოგიის ნებისმიერი წიგნი შეიძლება იყოს. ეს ნაშრომი კონსტრუქციული ძალისხმევის შედეგია, რომლის მიზანია, გამოიკვლიოს, გაიცნოს და, ამრიგად, შეძლებისდაგვარად გააუვნებლოს კაცობრიობის კეთილდღეობისა და ბედნიერების მოძულე შავბნელ ძალთაგან ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი.

პირველი ძირითადი კანონი

ადამიანური სიბრიყვის პირველი ძირითადი კანონი სრულიად ნათლად ამბობს, რომ:

ვერასოდეს, ვერც ერთი ადამიანი სათანადოდ ვერ აფასებს სულელი ინდივიდების რაოდენობას მის გარშემო[1].

1 ძველი აღთქმის ავტორები კარგად იცნობდნენ პირველ ძირითად კანონს. სწორედ მისი პერიფრაზირება სურდათ, როცა დაწერეს, „სტულტორუმ ინფინიტუს ესტ ნუმეროუს“ („სულელთა რიცხვი უსასრულოა”). თუმცა პოეტური გაზვიადება გამოუვიდათ: სულელთა რიცხვი უსასრულო ვერ იქნება, რადგან სამყაროში ადამიანთა რაოდენობა სასრულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი შეხედვით ეს განცხადება ტრივიალურია, ან სულაც – ცხადი, ან – არცთუ ისე კაცთმოყვარული. შეიძლება – სამივე ერთად. მაგრამ დაკვირვება გვარწმუნებს ამ განცხადების ჭეშმარიტებაში. გავითვალისწინოთ შემდეგი:

რამდენად გადაჭარბებულიც უნდა იყოს ჩვენი მოლოდინი რეგვენთა რაოდენობასთან დაკავშირებით, მუდამ გვაოცებს, რომ:

ა) ადამიანები, რომლებიც ადრე რაციონალურებად, გონიერებად მიგვაჩნდა, მოულოდნელად აბსოლუტურად სულელები აღმოჩნდებიან;

ბ) ყოველდღე, საოცარი დაჟინებითა და მონოტონურობით ხვდები აუტანლად სულელ სუბიექტებს, რომლებიც მოულოდნელად, სრულიად უადგილო დროსა და ადგილას გამოტყვრებიან.

პირველი ძირითადი კანონის თანახმად, შეუძლებელია რიცხვითი მნიშვნელობა მიენიჭოს სულელი ადამიანების შეფარდებას მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან: ნებისმიერი რიცხვითი პროგნოზი არასაკმარისი აღმოჩნდებოდა. ამიტომ რომელიმე პოპულაციაში სულელი ადამიანების წილი პირობითად σ-თი გამოვსახოთ.

მეორე ძირითადი კანონი

დღეს დასავლეთის დომინანტური კულტურული ტენდენცია კაცობრიობის თანასწორობის იდეას იზიარებს. პოპულარულია ადამიანის, როგორც იდეალურად აწყობილი სამრეწველო ჯაჭვის მასობრივი პროდუქტის, აღქმა. განსაკუთრებით გენეტიკა და სოციოლოგია იტეხს თავს იმის დასამტკიცებლად (შთამბეჭდავი მეცნიერული მონაცემებითა და ფორმულირებებით), რომ ბუნებით ყველა ადამიანი ერთნაირია და თუ გარკვეული ჯგუფების წევრები უფრო მეტად ჰგვანან ერთმანეთს, ეს აღზრდისა და სოციალური გარემოს ბრალია და არა დედაბუნებისა. მე, პირადად, ამ გავრცელებულ აზრს არ ვეთანხმები. მრავალწლიანმა დაკვირვებამ და ექსპერიმენტებმა დამარწმუნა, რომ ადამიანები ერთნაირები არ არიან, რომ ზოგი სულელია და ზოგი – არა და რომ განსხვავებას კულტურული ფაქტორები კი არ განსაზღვრავს, არამედ – სწორედ დედაბუნების ბიოგენეტიკური ხრიკები. ადამიანი ისევე იბადება სულელი, როგორც – ჟღალთმიანი; ისევე მიეკუთვნება სულელთა σ ჯგუფს, როგორც სისხლის ამა თუ იმ ჯგუფს შეიძლება ეკუთვნოდეს. დიახ, ადამიანი განგების ამოუცნობი ნებით იბადება სულელად.

მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანთა გარკვეული σ რაოდენობა სულელია და რომ ეს განგების ნებაა, რეაქციონერი არ გახლავართ, რომელიც რასობრივი ან კლასობრივი დისკრიმინაციის იდეის შემოპარებას ცდილობს. მტკიცედ მწამს, რომ სიბრიყვე ნებისმიერი ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის სრულიად არადისკრიმინირებადი პრეროგატივაა და ეს პრეროგატივა მუდამ პროპორციულადაა გადანაწილებული. ამ ფაქტს მეცნიერულად გამოხატავს მეორე ძირითადი კანონი, რომელიც გვამცნობს:

ადამიანის სისულელე აბსოლუტურად დამოუკიდებელია ამავე ადამიანის ნებისმიერი სხვა მახასიათებლისგან.

აქ ბუნებამ თითქოს საკუთარ თავს გადაამეტა. ცნობილია, რომ რაღაც აუხსნელი ძალით მუდმივად ნარჩუნდება ზოგიერთი ბუნებრივი მოვლენის ფარდობითი სიხშირე: ადამიანი ჩრდილოეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლუსზეც მრავლდება და ეკვატორზეც; წყვილდებიან როგორც პროგრესული, ასევე გონებაჩამორჩენილი ინდივიდები, შავკანიანები, წითელკანიანები, თეთრკანიანები თუ ყვითელკანიანები; ახალშობილებში მამრისა და მდედრის შეფარდება (მამრთა უმნიშვნელო უპირატესობით) მეტ-ნაკლებად მუდმივია, და ა.შ. აუხსნელია, როგორ აღწევს ამ საოცარ შედეგს ბუნება, მაგრამ ცხადია, რომ მას დიდ რიცხვებთან უწევს მუშაობა. სისულელის ფარდობით სიხშირეში გამოაგნებელი ისაა, რომ ბუნება ახერხებს ამ სიხშირის მუდმივობის შენარჩუნებას ყოველთვის და ყველგან, ჯგუფის ზომისგან დამოუკიდებლად: მნიშვნელობა არა აქვს, რამხელაა ჯგუფი, მასში სულელი ადამიანების პროცენტი მარად უცვლელია.

არც ერთი სხვა მოვლენა, რომელიც ოდესმე შესწავლის საგანი ყოფილა, არ იძლევა ბუნების ძალის ასეთ საოცარ დასტურს.

ის, რომ აღზრდასა და სოციალურ გარემოს არანაირი კავშირი არა აქვს σ-თან, მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა დაადასტურა. უნივერსიტეტის პოპულაცია ოთხ დიდ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: მეთვალყურეები, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და პროფესურა.

მეთვალყურე პერსონალზე დაკვირვებამ აშკარად აჩვენა, რომ მათი ნაწილი სულელია. σ-ს მნიშვნელობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა (პირველი კანონი), თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ამ ადამიანების სოციალურ პირობებს, განათლების დონეს და ა.შ. დააბრალეს. მაგრამ სოციალურად უფრო მაღლა მდგომი ჯგუფების – სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის – ანალიზმაც სულელთა იგივე წილი გამოავლინა. ეს მონაცემიც ბევრად აღემატებოდა მოლოდინს. კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო პროფესურაზე დაკვირვებით მიღებული შედეგები. არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა უნივერსიტეტის ზომას ან სახელს: იგივე σ წილი, ყველგან სულელებისგან შედგებოდა. იმდენად გამოაგნებელი იყო მიღებული შედეგები, რომ გადაწყვიტეს, კვლევა „ელიტურ“ ჯგუფზე – ნობელის პრემიის ლაურეატებზე – გაევრცელებინათ. ბუნების უზენაესი ძალა კვლავაც დადასტურდა: ნობელის პრემიის ლაურეატების σ რაოდენობა სულელებისგან შედგება. ძნელია ამ შედეგის მიღება და გადახარშვა, მაგრამ უამრავი ექსპერიმენტი ადასტურებს მის სანდოობას. მეორე ძირითად კანონს წყალი არ გაუვა, გამონაკლისი გამორიცხულია. ის ამტკიცებს, რომ სულელები თანაბრად არიან ქალებსა და მამაკაცებში, „განვითარებულ“ თუ „ჩამორჩენილ“'ერებში. მისგან გამომდინარეობს, რომ მნიშვნელობა არა აქვს, დახვეწილ საზოგადოებაში ტრიალებ თუ პოლინეზიელ პირსისხლიან ყაჩაღებთან გიჭირავს საქმე, მონასტერში ხარ გამოკეტილი თუ მდიდარ ბანოვანთა საზოგადოებაში ნებივრობ, სულელი ადამიანების მუდამ ერთნაირ რაოდენობასთან გიწევს ურთიერთობა და ეს რაოდენობა (პირველი ძირითადი კანონი) – მუდამ იმაზე მეტია, ვიდრე ელი. ეს რიცხვი ყოველთვის, ყველაზე პესიმისტურ პროგნოზსაც კი გადააჭარბებს.

ტექნიკური შუალედი

ახლა კი საჭიროა, განიმარტოს ადამიანური სიბრიყვე და განისაზღვროს მოქმედი პირები.

ადამიანებს სოციალიზების სხვადასხვანაირი მიდრეკილება და უნარები აქვთ. არიან ინდივიდები, რომლებისთვისაც სხვა ინდივიდებთან ნებისმიერი კონტაქტი მტანჯველი აუცილებლობაა. მათ, პირდაპირი გაგებით, ადამიანების ატანა უხდებათ, ადამიანებს კი – მათი. სპექტრის მეორე ბოლოში არიან ინდივიდები, რომლებსაც არანაირად არ შეუძლიათ მარტოობა და მზად არიან, ისეთი ადამიანების წრეში გაატარონ დრო, რომლებიც არ მოსწონთ, ოღონდაც კი მარტო არ იყვნენ. ამ ორ უკიდურესობას შორის დიდი მრავალფეროვნებაა, თუმცა ადამიანთა დიდ უმრავლესობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოობა უფრო ტანჯავს, ვიდრე ადამიანური ურთიერთობები. არისტოტელემ აღიარა ეს, როცა დაწერა, ადამიანი სოციალური ცხოველიაო. მისი მოსაზრების ჭეშმარიტებას ადასტურებს ის, რომ ადამიანები უმეტესწილად სოციალურ ჯგუფებად ცხოვრობენ, რომ უფრო მეტი დაოჯახებული ადმიანია, ვიდრე მარტოხელა, რომ უდიდესი დრო და კაპიტალი იხარჯება უაზრო და მოსაწყენ საღამოებზე და რომ სიტყვას „მარტოობა" ზოგადად უარყოფითი დატვირთვა აქვს. განდეგილია თუ გართობის მოყვარული, ადამიანს მაინც უწევს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. ადამიანი საკუთარ თავს მუდამ სხვა ადამიანებთან მიმართებაში განიხილავს, თუნდაც თავს არიდებდეს მათ. თითოეულ ჩვენგანს ერთგვარი მიმდინარე ანგარიში აქვს თითოეულ სხვა ადამიანთან. ნებისმიერი ქმედებიდან ან უმოქმედობიდან, თითოეული ადამიანი იგებს ან აგებს და ამავე დროს განაპირობებს მოგებას ან წაგებას სხვისთვის. მოგება და წაგება შეიძლება სათანადოდ გამოისახოს გრაფიკულად. 1-ელ ნახაზზე სწორედ ეს მთავარი გრაფიკია მოცემული.



ნახ. 1

ავიღოთ ინდივიდი, რომელსაც პირობითად პეტრეს დავარქმევთ. X ღერძი ასახავს შემოსავალს, რომელსაც ის საკუთარი საქმიანობიდან იღებს, Y ღერძი კი – შემოსავალს, რომელსაც სხვა ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი იღებს პეტრეს ქმედებისაგან. X ღერძზე ნულის მარჯვნივ პეტრეს მოგებაა ასახული, მარცხნივ კი – წაგება. შესაბამისად, Y ღერძზე ნულის ზევით იმ ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მოგებაა (ნულის ქვევით კი – წაგება) გამოსახული, რომელთანაც პეტრეს ურთიერთობა აქვს. თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ მაგალითი: პეტრე გარკვეულ ქმედებას სჩადის პავლესთან მიმართებაში. თუ პეტრე ამით სარგებელს ნახულობს, პავლე კი ზარალდება, ეს ქმედება ჩვენს გრაფიკზე **ბ** არეალის რომელიღაც წერტილში განთავსდება.

მოგება და ზარალი X და Y ღერძებზე ნებისმიერ ვალუტაში შეიძლება აისახოს, მაგრამ, მთავარია, მხედველობაში მივიღოთ ფსიქოლოგიური და ემოციური მოგება და წაგებაც. ეს არამატერიალური ქონებაა (ან ზარალი) და, ამდენად, მათი გაზომვა ობიექტური პარამეტრებით რთულია. ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზმა შეიძლება ნაწილობრივ გაგვიადვილოს პრობლემის გადაჭრა, მაგრამ არ მინდა ტექნიკური დეტალებით გავუწვრილო მკითხველს გული, უზუსტობამ შეიძლება გაანგარიშებაში შეცდომა მოგვცეს, თუმცა თემის არსს ვერ შეცვლის. ერთი რამ ძალიან მნიშვნელოვანია: პეტრეს მოქმედების შეფასებისას, იმ მოგებისა და ზარალის შეფასებისას, რომელიც პეტრეს ამ მოქმედებიდან ელის, პეტრეს ფასეულობათა სისტემა უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ პავლეს მოგებისა და ზარალის განსაზღვრისათვის აუცილებელია, პავლეს ღირებულებათა სისტემას დავეყრდნოთ და არა პეტრესას. პატიოსანი თამაშის ეს წესი ხშირად ირღვევა ხოლმე და ბევრი უბედურება სწორედ იმის ბრალია, რომ ადამიანები ცივილიზებული ქცევის ამ უმნიშვნელოვანეს პრინციპს არ იცავენ. კიდევ ერთხელ მოვიყვანოთ ბანალური მაგალითი: პეტრე თავში ჩასცხებს პავლეს და ამით სიამოვნებას იღებს. პეტრეს იქნებ ჰგონია კიდეც, რომ პავლე ბედნიერია, რომ თავში ჩასცხეს. მაგრამ დიდი შანსია, პავლე ასე არ ფიქრობდეს და, შესაძლოა, საშინლად უსიამოვნოდაც თვლიდეს თავში ჩაცხებას. თავში ჩაცხება პავლესთვის მოგებაა თუ ზარალი, ეს პავლეს გადასაწყვეტია და არა – პეტრესი.

ეს ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე (და უზენაესი) ძირითადი კანონი

მესამე ძირითადი კანონი გულისხმობს, თუმცა ღიად არ ამბობს ამას, რომ თითოეული ადამიანი აუცილებლად მიეკუთვნება რომელიმეს ამ ოთხი მთავარი კატეგორიიდან: უთავბოლოები, ჭკვიანები, ბანდიტები და სულელები. დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს ოთხი კატეგორია შეესაბამება **უ, ჭ, ბ** და **ს** არეალებს საწყის გრაფიკზე (იხ. ნახ. 1).

თუ პეტრე სჩადის ქმედებას, რომელიც მას ზიანს აყენებს, მაგრამ, ამავე დროს, ეს ქმედება მომგებიანია პავლესთვის, პეტრე **უ** ზონაში განთავსდება: მისი საქციელი უთავბოლობაა. თუ პეტრეს საქციელი მასაც სარგებელს მოუტანს და პავლესაც, პეტრეს ადგილი **ჭ** არეალშია: მისი საქციელი ჭკვიანურია. ხოლო თუ მისი საქციელი თავად მოგებას მოუტანს, მაგრამ პავლეს დააზარალებს, პეტრე **ბ** არეალში ხვდება, რადგან ის ბანდიტივით მოიქცა. სულელები კი **ს** არეალში არიან.

მესამე ძირითადი კანონი ნათლად ამბობს, რომ:

სულელი არის ის, ვინც ზიანს აყენებს სხვა ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ისე, რომ, ამავე დროს, თავად არანაირ სარგებელს არ ნახულობს; მეტიც, შეიძლება, თავადაც ზარალდებოდეს საკუთარი ქმედებით.

მესამე ძირითადი კანონისადმი რაციონალური ადამიანები ინსტინქტურად სკეპტიკურად ან უნდობლად განეწყობიან ხოლმე. მიზეზი ისაა, რომ რაციონალურ ადამიანებს უჭირთ ირაციონალური საქციელის აღქმა და გაგება. თუმცა თავი დავანებოთ თეორიას და იმას დავაკვირდეთ, რაც ყოველდღე ხდება ჩვენს გარშემო. ნებისმიერ ჩვენგანს გაახსენდება შემთხვევები, როცა ადამიანმა სარგებელი ნახა და ამით ჩვენ ზიანი მოგვაყენა: ეს ადამიანი ბანდიტი იყო. ისეთი შემთხვევაც გაგვახსენდება, როცა კაცმა საკუთარ თავს ავნო, მაგრამ მისი საქციელი ჩვენთვის სასარგებლო აღმოჩნდა: უთავბოლო კაცს შევხვდით[2]. ისეთიც გაგვახსენდება, როცა ადამიანის ქმედება ორივე მხარისთვის სასარგებლო ყოფილა: ეს ჭკვიანი ადამიანი იყო. ასეთი შემთხვევები უამრავია. მაგრამ თუ კარგად დავფიქრდებით, მოგვიწევს იმის აღიარება, რომ ჩვენი ცხოვრების მანძილზე მომხდარ მოვლენათა უმრავლესობა სულ სხვანაირია. ჩვენი ყოფა გადაპენტილია ამბებით, მოვლენებით, რომლებიც გვაკარგვინებს ფულს, დროს, ენერგიას, მადას, სიმშვიდესა თუ გუნება-განწყობილებას; წარამარა ვაწყდებით ვიღაც გაუგებარ არსებას, რომელიც ყველაზე უადგილო ადგილას და უდროო დროს გადაგვეყრება და თავისი სრულიად ბრიყვული ქმედებით ისე დაგვაზარალებს, რომ საკუთარი ნამოქმედარიდან ვერანაირ სარგებელს ვერც თავად მიიღებს. არავინ იცის, არავის ესმის, ვერავინ ახსნის, რატომ აკეთებს ეს გაუგებარი არსება იმას, რასაც აკეთებს. ამას ახსნა არა აქვს, უფრო სწორად – ერთადერთი ახსნა აქვს: ეს ადამიანი სულელია.

სიხშირის გადანაწილება

ადამიანთა უმრავლესობა თანმიმდევრულად არ მოქმედებს. ზოგიერთ ვითარებაში ადამიანი ჭკვიანურად იქცევა, მაგრამ სხვა ვითარებაში იგივე ადამიანი უთავბოლობას იჩენს. წესიდან

2 იმისთვის, რომ ადამიანს უთავბოლო ვუწოდოთ, მნიშვნელოვანია, რომ ის თავად იყოს თავისი საქციელის ინიციატორი. თუ მე წამოვიწყე რაღაც, რამაც ის აზარალა და მე მოგება მომიტანა, ის კი არაა უთავბოლო, მე ვარ ბანდიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთადერთი გამონაკლისი სულელები არიან, რომელთა ქმედებები, როგორც წესი, მაქსიმალური თანმიმდევრულობით ხასიათდება. აქედან არ გამომდინარეობს, რომ გრაფიკზე მხოლოდ სულელი ინდივიდების ადგილმდებარეობის მონიშვნაა შესაძლებელი. თითოეული ადამიანისთვის შეგვიძლია გავთვალოთ ადგილი 1-ელ ნახაზზე, საშუალო შეწონილი მაჩვენებლის მიხედვით. ჭკვიანი ადამიანი ხანდახან შეიძლება უთავბოლოდ მოიქცეს, ხანდახან – ბანდიტივითაც. მაგრამ, რადგან მოცემული ინდივიდი არსებითად ჭკვიანია, მის ქმედებათა უმრავლესობა შესაბამისი იქნება, ასე რომ, საშუალო შეწონილი მაჩვენებელი მას 1-ლი ნახაზის **ჭ** ზონაში მოახვედრებს.

გრაფიკზე ინდივიდები განთავსდებიან და არა მათი ცალკეული ქმედებები, ამიტომ არსებობს პატარა გადახვევები ბანდიტებისა და სულელების სიხშირეებში.



ნახ. 2

იდეალური ბანდიტი ისაა, ვინც საკუთარი ქმედებით სხვას თავისი მოგების ტოლ ზიანს აყენებს. ბანდიტიზმის ყველაზე მარტივი ფორმაა ქურდობა. ადამიანი, რომელიც 10 000 ლირას ამოგაცლის სხვა ზიანის მოყენების გარეშე, იდეალური ბანდიტია: შენ 10 000 დაკარგე, მან კი 10 000 იშოვა. მე-2 ნახაზზე ასეთები OM ბისექტრისაზე განთავსდებიან, რომელიც **ბ** არეალს შუაზე ყოფს. თუმცა იდეალური ბანდიტები შედარებით ცოტანი არიან. როგორც ვთქვით, OM წრფე **ბ** არეალს შუაზე ყოფს და ბანდიტების უმრავლესობა სწორედ ამ ორი ნახევრიდან ერთშია განთავსებული. **ბჭ** არეალის ბანდიტები თავად მეტ სარგებელს ნახულობენ, ვიდრე სხვისთვის მიყენებული ზიანია. ამ არეალში განთავსებული ყველა ბანდიტი გონიერების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება და რაც უფრო მეტად უახლოვდება მათი ადგილმდებარეობა X ღერძის მარჯვენა ნახევარს, მით უფრო მეტია ამ ინდივიდებში ინტელექტის კოეფიციენტი. საუბედუროდ, **ბჭ** არეალი არცთუ ისე ხალხმრავალია. ბანდიტების უმრავლესობა **ბს** არეალშია თავმოყრილი: ეს ინდივიდები საკუთარი ქმედებით ნაკლებ მოგებას ნახულობენ, ვიდრე სხვისთვის მიყენებული ზიანია. თუ ადამიანი მიწაზე დაგანარცხებს და ფეხს მოგტეხს, რომ 10 000 ლირა წაგართვას, მანქანას დაგიზიანებს, რომლის შეკეთება ნახევარი მილიონი ლირა დაგიჯდება, 30 000-ლირიანი მაგნიტოფონის მოსაპარად ტყვიას დაგახლის და სიცოცხლეს გამოგასალმებს მხოლოდ იმიტომ, რომ შენს ცოლთან გაერთოს ერთი ღამით, ცხადზე უცხადესია, რომ ეს იდეალური ბანდიტი არ არის. თუნდაც მისი პარამეტრები გამოვიყენოთ მისი სარგებლის გასაზომად (შესაბამისად, ჩვენც ჩვენს პარამეტრებს ვიყენებთ ჩვენთვის მოყენებული ზიანის შესაფასებლად), ეს ინდივიდი მაინც **ბს** არეალში მოხვდება, წმინდა სისულელის ზღვართან ახლოს. სულელი ადამიანების სიხშირის განაწილება ძალიან განსხვავდება ბანდიტების სიხშირის განაწილებისგან. თუ ბანდიტები ძირითადად საკუთარ არეალში ჩაფანტულები არიან, სულელების უმრავლესობა Ო ღერძის გასწვრივაა თავმოყრილი, ნულის ქვევით. ამ ყველაფრის მიზეზი ისაა, რომ სულელთა უმრავლესობა ჯიუტად არ იცვლის პოზიციას და დაჟინებით ცდილობს, ზიანი მიაყენოს სხვას ისე, რომ თავად არანაირი სარგებელი არ ნახოს. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი სრულიად წარმოუდგენელი საქციელით არა მხოლოდ სხვებს აზარალებს, არამედ – საკუთარ თავსაც. ესენი ერთგვარი სუპერსულელები არიან და მათი ადგილი ჩვენი სისტემის **ს** არეალშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბრიყვე და ძალაუფლება

ისევე, როგორც ყველა ადამიანი, სულელებიც ახდენენ ზეგავლენას სხვა ადამიანებზე, სხვადასხვაგვარი ინტენსივობით. სულელის მიერ მიყენებული ზიანი, როგორც წესი, შეზღუდულია, მაგრამ ზოგიერთი მაინც ახერხებს საშინლად აზარალოს არა მხოლოდ ერთი ან ორი ინდივიდი, არამედ – ადამიანთა ჯგუფი, თემი ან მთელი საზოგადოება. სულელის ზიანის მომტანი პოტენციალი ორ უმთავრეს ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველი ფაქტორი გენეტიკურია. ზოგიერთ ინდივიდს მემკვიდრეობით სისულელის გენის ვეებერთელა დოზა გადაეცემა და ამ მემკვიდრეობის წყალობით ასეთი ადამიანები დაბადებიდანვე საკუთარი ჯგუფის ელიტას ეკუთვნიან. სულელი ადამიანის მარგი ქმედების კოეფიციენტის განმსაზღვრელი მეორე ფაქტორია ამ ადამიანის სოციალური პოზიცია და ძალაუფლების ბერკეტები, რომლებიც მას ხელთ უპყრია საზოგადოებაში. შთამბეჭდავია არსებითად სულელ ინდივიდთა პროცენტი საჯარო მოხელეებს, გენერლებს, პოლიტიკოსებს, სახელმწიფოს მეთაურებს შორის. მოყვასისთვის ზიანის მიყენების უნარი ყოველთვის საგანგაშოდ იზრდებოდა (და იზრდება) იმ პოზიციის მნიშვნელობის მიხედვით, რომელიც სულელს ეჭირა (ან უჭირავს). ამ თვალსაზრისით სამღვდელოებასაც ნუ დავუკარგავთ დამსახურებას. შეკითხვა, რომელიც ხშირად ებადებათ გონიერ ადამიანებს, გახლავთ ის, თუ როგორ ახერხებენ ბრიყვები ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

კლასი და კასტა (სამოქალაქო თუ საეკლესიო) მუდამ იყო ის სოციალური ინსტიტუტი, რომელიც საშუალებას აძლევდა სულელებს, პრეინდუსტრიულ ხანაში და საზოგადოებაში მმართველი პოზიციები დაეკავებინათ. თანამედროვე ინდუსტრიულ მსოფლიოში კლასი და კასტა თანდათან კარგავს მნიშვნელობას. მაგრამ კასტისა და კლასის ადგილზე აღმოცენდნენ პოლიტიკური პარტიები, ბიუროკრატია და დემოკრატია. დემოკრატიულ სისტემაში საყოველთაო არჩევნები უაღრესად ეფექტური საშუალებაა, რათა ხელისუფალთა შორის სტაბილურად შენარჩუნდეს სულელთა პროცენტი. უნდა აღინიშნოს, რომ მეორე კანონის თანახმად, ამომრჩეველთა გარკვეული, ფიქსირებული წილი სულელია და არჩევნები მათ არაჩვეულებრივ შანსს აძლევს, ზიანი მიაყენონ სხვებს ისე, რომ არაფერი მოიგონ საკუთარი ქმედებისგან. ისინიც პირნათლად აღასრულებენ ამ მისიას: უზრუნველყოფენ სულელთა იმ ფიქსირებული რაოდენობის სტაბილურად შენარჩუნებას ხელისუფლებაში.

სიბრიყვის ძალა

ძნელი მისახვედრი არაა, თუ რაოდენ ზრდის სულელი ადამიანის ზიანის მიყენების უნარს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ბიუროკრატიული ძალაუფლების ბერკეტები. მაგრამ ჯერ კიდევ არ აგვიხსნია ბოლომდე, მაინც რატომაა ასეთი საშიში სულელი ადამიანი: ანუ რაში მდგომარეობს სიბრიყვის ძალა. სულელები განსაკუთრებით საშიში და ზიანის მომტანი იმიტომ არიან, რომ გონიერ ადამიანებს უჭირთ სულელური ქცევის წარმოდგენა და გაგება. ჭკვიან ადამიანს შეუძლია გაიგოს ბანდიტის ლოგიკა. ბანდიტის ქმედება რაციონალურ მოდელს ემყარება: ცხადია, ეს უპატიოსნო რაციონალობაა, მაგრამ რაციონალობაა. ბანდიტს მეტი უნდა საკუთარ „ანგარიშზე". ვინაიდან ჭკუა არ ჰყოფნის საიმისოდ, რომ თავადაც მეტი იშოვოს და სხვასაც მეტი აშოვნინოს, მისი „მოგება" მოყვასის „ზარალს" უდრის. ეს ყველაფერი სწორი არაა, მაგრამ სრულიად რაციონალურია და, ამდენად, პროგნოზირებადი. მოკლედ, ბანდიტის ქმედების, ბინძური მანევრების, შავბნელი ზრახვების პროგნოზირება შესაძლებელია, ისე როგორც – სათანადო თავდაცვის შემუშავება. მაგრამ სულელი ადამიანის შემთხვევაში ეს გამორიცხულია. როგორც მესამე ძირითადი კანონი ამბობს, სულელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარი მიზეზის, კონკრეტული გეგმის გარეშე გაგიმწარებთ სიცოცხლეს, ყველაზე წარმოუდგენელ უდროო დროსა და ადგილას. არანაირი რაციონალური გზა არ არსებობს, რომ გამოიცნოთ, თავს დაგესხმით თუ არა სულელი, ან სად, როდის და რატომ გააკეთებს ამას. სულელის წინაშე სრულიად უძლური ხართ.

ვინაიდან სულელი ადამიანის ქმედებები რაციონალობის კანონებს არ ექვემდებარება, აქედან გამომდინარეობს, რომ:

ა) როგორც წესი, სულელის თავდასხმა მოულოდნელია;

ბ) მაშინაც, როცა აცნობიერებ, რომ თავს გესხმიან, რაციონალურად თავდაცვას ვერ ახერხებ, რადგან თავად თავდასხმას არანაირი რაციონალური სტრუქტურა არ გააჩნია.

ის, რომ სულელის ქმედებები აბსოლუტურად ცვლადი და ირაციონალურია, არა მხოლოდ თავდაცვას ართულებს, ნებისმიერ კონტრშეტევასაც თითქმის შეუძლებელს ხდის. ეს იგივეა, ესროლო ობიექტს, რომელიც წამით არ ჩერდება და არ იცი, როდის საით გახტება. სწორედ ამას გულისხმობდნენ დიკენსი და შილერიც, როცა პირველმა თქვა: სიბრიყვითა და ჯანმრთელი საჭმლის მომნელებელი ტრაქტით კაცი ყველაფერს გაუმკლავდებაო, მეორემ კი – სირეგვნეს ღმერთებიც ფუჭად ერკინებიანო.

კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. გონიერმა ადამიანმა იცის, რომ გონიერია. ბანდიტმა შესანიშნავად იცის, რომ ბანდიტია. უთავბოლოს მარადჟამს ახსოვს და ტანჯავს საკუთარი უთავბოლობა. სამივესგან განსხვავებით, სულელმა არ იცის, რომ სულელია. ეს მას აძლიერებს, ეფექტურობას მატებს მის დამანგრეველ ქმედებებს. სულელს არ აბრკოლებს ის გრძნობა, რომელსაც ანგლოსაქსები *თვითგაცნობიერებას* უწოდებენ. სულელი მოულოდნელად, ღიმილით გამოგეცხადება და, თითქოს ქვეყნად ყველაზე ბუნებრივ რამეს სჩადიოდეს, თავდაყირა დაგიყენებს გეგმებს, მიწასთან გაასწორებს შენს სიმშვიდეს, გაგირთულებს ცხოვრებას, გაზარალებს ფულს, დროს, წაგიხდენს ხასიათს, მადას, ჩაგიკლავს შრომის უნარს და ამ ყველაფერს ყოველგვარი ბოროტი ზრახვის, მიზეზის, სინდისის ქენჯნის გარშე გააკეთებს: სულელურად.

მეოთხე ძირითადი კანონი

გასაკვირი არაა, რომ უთავბოლო ადამიანები, ანუ ისინი, ვინც ჩვენს სისტემაში **უ** არეალში არიან განთავსებულნი, როგორც წესი, ვერ ხვდებიან, რაოდენ დიდ საფრთხეს წარმოადგენენ სულელები. ეს მათი უთავბოლობის კიდევ ერთი დასტურია. გასაოცარი კი ისაა, რომ ხშირად ჭკვიანები და ბანდიტებიც ვერ აცნობიერებენ სიბრიყვის დამანგრეველ ძალას. რთული ასახსნელია, რატომ ხდება ასე. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ხშირად ჭკვიანებიცა და ბანდიტებიც სულელი ინდივიდის წინაშე ერთ შეცდომას უშვებენ: საკუთარი თავით ტკბებიან, ზევიდან დაჰყურებენ სულელს, იმის ნაცვლად, რომ სასწრაფოდ გამოუშვან ადრენალინი და თავდაცვისთვის მოემზადონ. ზოგადად გავრცელებულია აზრი, რომ რეგვენი მხოლოდ საკუთარ თავს ავნებს, მაგრამ ვინც ასე ფიქრობს, ერთმანეთში ურევს სისულელესა და უთავბოლობას. ხანდახან ადამიანი ვერ ძლევს ცდუნებას, სულელ ინდივიდს შეეკრას, რათა ის საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს. ამ მანევრის შედეგები აუცილებლად კატასტროფული იქნება, ვინაიდან:

ა) მას სულელთა ბუნების სრული არცოდნა უდევს საფუძვლად;

ბ) ეს დამატებით არეალს აძლევს სულელს, პრაქტიკულად გამოიყენოს საკუთარი ნიჭი.

ადამიანმა შეიძლება თავი მოიტყუოს, რომ სულელით მანიპულირება შეუძლია, და დროებით შეიძლება მოახერხოს კიდეც ეს. მაგრამ ძალიან მალე მოუღებს ბოლოს სულელის არაპროგნოზირებადი საქციელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ყველაფერი ნათლადაა თავმოყრილი მეოთხე ძირითად კანონში, რომელიც ამტკიცებს, რომ:

არასულელი ადამიანები ვერასოდეს აფასებენ სათანადოდ სულელი ადამიანების ზიანის მომტან პოტენციალს. უფრო ზუსტად: არასულელს მუდმივად ავიწყდება, რომ სულელთან საქმის დაჭერისას კრახი გარდაუვალია და ეს შეცდომა ძალიან ძვირად დაუჯდება.

საუკუნეთა მანძილზე, საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში, უამრავმა ადამიანმა არ გაითვალისწინა მეოთხე ძირითადი კანონი, რამაც კაცობრიობას ენით აღუწერელი ზიანი მიაყენა.

მაკროანალიზი და მეხუთე ძირითადი კანონი

წინა თავის დასკვნით დებულებებს „მაკრო“ ანალიზამდე მივყავართ. მასში ინდივიდუალური კეთილდღეობის ნაცვლად გათვალისწინებულია საზოგადოების კეთილდღეობა, რომელიც ამ კონტექსტში ინდივიდუალურ კეთილდღეობათა ალგებრული ჯამის სახითაა განსაზღვრული. მეხუთე ძირითადი კანონის სრული გაგება არსებითია ამ ანალიზში. გარდა ამისა, საჭიროა დავამატოთ, რომ ამ ხუთი ბაზისური კანონიდან მეხუთე უდავოდ ყველაზე ცნობილია და მის გამომდინარეობას ყველაზე ხშირად ახსენებენ ხოლმე. მეხუთე კანონი ამტკიცებს, რომ:

სულელი ადამიანი ადამიანის ყველაზე საშიში ტიპია.

ამ კანონის გამომდინარეობა კი ასე ჟღერს:

სულელი ბანდიტზე საშიშია.

ეს კანონი და მისი გამომდინარეობა ჯერ კიდევ „მიკრო“ დონეზეა ფორმულირებული. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ კანონსა და მის გამომდინარეობას „მაკრო“ ხასიათის ღრმა ზეგავლენა აქვს. მთავარი ისაა, რომ იდეალური ბანდიტის (ადამიანი, რომელიც მე-2 ნახაზზე OM წრფეზეა განთავსებული) ქმედების შედეგი სიმდიდრის და/ან კეთილდღეობის უბრალო გარდაქმნაა. იდეალური ბანდიტის ქმედების შედეგად მის ანგარიშზე ზუსტად იმდენი „დაირიცხება“, რამდენიც „გამოაკლდება“ მეორე ადამიანის ანგარიშს. გლობალურად, საზოგადოებისთვის, ამით მდგომარეობა არც უმჯობესდება და არც უარესდება. საზოგადოების ყველა წევრი რომ იდეალური ბანდიტი იყოს, საზოგადოება სრული სტაგნაციის პირობებში აღმოჩნდებოდა, მაგრამ დიდი კატასტროფები არ მოხდებოდა. ყველაფერი ამოიწურებოდა სიმდიდრის მასობრივი გადაცემ-გადმოცემით. თუ საზოგადოების ყველა წევრი რეგულარული მონაცვლეობით იაქტიურებდა, არა მხოლოდ მთელი საზოგადოება, არამედ მისი ცალკეული ინდივიდებიც იდეალური სტაბილურობის პირობებში აღმოჩნდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ როცა სულელი საქმეს შეუდგება, ვითარება სრულიად იცვლება. სულელი სხვას აზარალებს და თავად არაფერს იგებს. შედეგად მთელი საზოგადოება იყვლიფება და ღატაკდება. მთავარ გრაფიკზე გამოსახული სისტემა აჩვენებს, რომ POM წრფის მარჯვნივ (იხ. მე-3 ნახაზი) განთავსებული ინდივიდების ყოველი ქმედება სხვადასხვა ხარისხით, მაგრამ ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას. ხოლო POM წრფის მარცხნივ მყოფი თითოეული ინდივიდის ქმედება აღარიბებს საზოგადოებას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უთავბოლოები, რომელთაც თავიანთი კატეგორიის საშუალო მაჩვენებელზე მაღალი ინტელექტუალური მაჩვენებელი აქვთ (**უჭ** არეალი), ინტელექტუალური ბანდიტები (**ბჭ** არეალი), და განსაკუთრებით კი ჭკვიანები (**ჭ** არეალი) – ყველანი, სხვადასხვა დოზით, მაგრამ საზოგადოებრივი კეთილდღეობის შენებაში მონაწილეობენ.

ანალოგიურად, სიბრიყვის მაღალმაჩვენებლიანი ბანდიტები (**ბს** არეალი) და სულელი უთავბოლოები (**უს** არეალი) სულელთა მიერ წარმოქმნილ ზიანს კიდევ ზიანს ამატებენ და, ამდენად, მათ დამანგრევენ ძალას კიდევ უფრო აძლიერებენ.



ნახ. 3

ეს ყველაფერი საზოგადოებათა პერფორმანსის შესახებ რამდენიმე მოსაზრებას გვკარნახობს. მეორე ძირითადი კანონის თანახმად, სულელი ადამიანების რიცხვი მუდმივაა, რომელიც არაა დამოკიდებული დროზე, სივრცეზე, რასაზე, კლასზე ან სხვა ნებისმიერ – ისტორიულ, სოციალურ თუ კულტურულ – ცვლად ფაქტორზე. უმძიმესი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ სულელთა რაოდენობა დაკნინების გზაზე მყოფ საზოგადოებაში მეტია, ვიდრე განვითარებულსა და აყვავებულში. ნებისმიერ საზოგადოებას სულელთა ერთი და იგივე რაოდენობა ღრღნის. საზოგადოების ამ ორ ტიპს შორის განსხვავება იმაშია, რომ დაკნინებულ საზოგადოებაში:

ა) საზოგადოების სულელ წევრებს სხვა წევრები საშუალებას აძლევენ, უფრო აქტიურები იყვნენ;

ბ) არასულელი მოსახლეობის შემადგენლობა იცვლება **უს** და **ბს** არეალების ბინადართა მატების ხარჯზე.

ეს თეორიული ვარაუდი ბევრჯერ დაადასტურა ისტორიული შემთხვევების ამომწურავმა ანალიზმა. ისტორიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, თეორიული დასკვნები ახლებურად, უფრო მკაფიოდ ჩამოვაყალიბოთ, მეტი რეალისტური დეტალებით.

მნიშვნელობა არა აქვს, კლასიკურ ხანას ავიღებთ, შუა საუკუნეებს, ახალ პერიოდსა თუ თანამედროვეს, ყველა წინ მიმავალ, განვითარებულ საზოგადოებას სულელების თავისი უცვლელი, გამაოგნებელი რაოდენობა ჰყავს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ წინ მიმავალ ქვეყანაში ჭკვიანი ადამიანების რაოდენობაც უჩვეულოდ მაღალია. ისინი სულელებს აკონტროლებენ და, ამავე დროს, ქმნიან სარგებელს საკუთარი თავისთვის და საზოგადოების სხვა წევრებისთვის: იმდენს, რამდენიც კმარა, რომ წინსვლა გარანტირებული იყოს.

დაკნინების გზაზე მყოფ საზოგადოებაში სულელთა პროცენტი, როგორც ვთქვით, იგივეა. მაგრამ საზოგადოების დანარჩენ წევრებში – განსაკუთრებით ხელისუფლებაში მყოფ ინდივიდებში – შეიმჩნევა სისულელის მაღალმაჩვენებლიანი ბანდიტების საგანგაშო მომრავლება (მე-3 ნახაზის **ბ** არეალის **ბს** ქვე-არეალი), ხელისუფლებაში არმყოფთა შორის კი – უთავბოლოთა რაოდენობის საგანგაშო ზრდა (პირველი გრაფიკი, ნახ. 1, **უ** არეალი). არასულელი მოსახლეობის შემადგენლობის ასეთი ცვლილება აძლიერებს სულელთა წილის დამანგრეველ ძალას და გარდაუვალი დაღუპვისკენ მიჰყავს ქვეყანა.

ROOMS HOTELS
KAZBEGI
#1 V.Gorgasali street, Stepantsminda, Georgia; Tel: +995 32 2 710099; Fax: +995 32 2 720099
E-mail: roomskazbegi@roomshotel.com; www.roomshotel.com

ლიტერატურული
გამსახურდიას 31 (31 30 97), თარხნიშვილის 2 (22 51 33), აბაშიძის 22 (22 02 76)
ბაგრატ რიგი 7 (43 89 39)ბათუმი, გამსახურდიას 18 (422 222 7 20 13)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგით მესამე არტ-ფსიქოზი

სარა კეინის ყველაზე ცნობილმა პიესამ რუსთაველის თეატრშიც შეაღწია

ავტორი: დავით ბუხრიკიძე
ფოტო: გიორგი გოგატიშვილი

არცთუ შთამაგონებლად და ოდნავ ცინიკურად დავიწყებ: დეპრესიით შეპყრობილ სარა კეინს სიკვდილის შემდეგ ნამდვილად გაუმართლა. განსაკუთრებით საქართველოში და განსაკუთრებით პოლიტ-ფსიქოზის ჟამს. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში საქართველოში ბრიტანელი დრამატურგის ყველაზე გახმაურებული, უკანასკნელი პიესა „ფსიქოზი 4.48“ სამ სხვადასხვა თეატრში დაიდგა! თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამჯერვე წარუმატებლად.

თავიდან იყო მუსიკისა და დრამის თეტრში დადგმული „ფსიქოზი“, რომლის შთამბეჭდავი ვიზუალურობის მიღმა – წითელი ბალიშებით მოფენილი სცენა და ლამის ცენტრში მდგარი აბაზანა, ტექსტიც და თვითმკვლელობის იდეაც სადღაც ჩაიკარგა (რეჟისორი და სცენოგრაფია მაკა ნაცვლიშვილი, მუსიკალური გაფორმება გიორგი აფხაზავა, მთავარ როლებში – რუსკა მაყაშვილი და მარი კიტია). მომდევნო „ფსიქოზი“ ლიზა ბასიშვილის თარგმანით ილიაუნის თეატრში 2012 წელს დაიდგა (რეჟისორები გოგა ქა-

ჩიბაია და ბუბა ბასიშვილი). ამჯერად ქალთა დუეტს, ნინო ლეჟავასა და ეკა აბშილავას შემადგენლობით, ოდნავ უფრო გაუმართლა, თავად სპექტაკლი კი მაინც გზასაცდენილ პუბლიცისტურ შეგონებას დაემსგავსა... ოლონდ ორიგინალური ფოტოების თანხლებით (ფოტოების ავტორი ფიქრია გოგინაშვილი).

სარა კეინის საავტორო უფლების დამცველთა მოთხოვნაა პიესის ლიტერატურული სტილისტიკის დაცვა და მასში გამოყენებული ყველა უცენზურო სიტყვისა თუ გამონათქვამის შენარჩუნება. სხვათა შორის, ეს მოთხოვნა ყველა ქართულ სპექტაკლში მეტ-ნაკლებად დაცულია. შესაბამისად, ლანძღვასა და დედის გინებას პუბლიკა ცოტა უხერხულად, მაგრამ მაინც თავშეკავებულად უსმენს.

უკვე 2013 წლის გაზაფხულზე რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე „ფსიქოზი 4.48-ის" დამაინტრიგებელი ვერსია ვიხილეთ. კეინის პიესის მიხედვით სპექტაკლი ახალგაზრდა რეჟისორმა კიტა როყვამ დადგა (თამუნა ჯაფარიძის თარგმანი). სცენოგრაფიაც მისივე ფანტაზიის ნაყოფია – იატაკზე მომობნეული არყის ბოთლები, წამლების კოლოფები, ქაღალდის ფურცლები და სკამები. ამ ყველაფერს უშუალოდ სცენაზე მყოფი მაყურებელი ადევნებს თვალს, რომელსაც უკიდურესი დეპრესიისგან თავის დასაღწევად ბრაიან ინოს, მარკუს მილერის და ნინა სიმონეს მუსიკალური ნაწარმოებები ჩაესმის.

პიესის მთავარ გმირს, სარა კეინის პროტოტიპს, ამჯერად სტურუას ფავორიტი მსახიობი ბესო ზანგური უმკლავდება. თუმცა, სიმართლე ითქვას, სპექტაკლის ბოლომდე გაუგებარი რჩება, რატომ მოუნდა ბესო ზანგურს თვითმკვლელი ქალის თამაში, ან რეჟისორს რაში დასჭირდა „სქესის შეცვლის" სცენური ოპერაცია? მით უმეტეს, რომ თეატრალთა მეხსიერებას ალბათ შემორჩა 2009 წელს ამ პიესის პირველი საჯარო წაკითხვა... ნინო კასრაძის საკმაოდ შთამბეჭდავი და დრამატული ინტერპრეტაციით.

სპექტაკლში გმირის დეპრესიის მიზეზი ბანალურია – ავადმყოფური განდიდება, თვითდამკვიდრების მძაფრი სურვილი, ფსიქიკური გაორება. უიმედოდ სასოწარკვეთილი ხელოვანი (ალბათ ხელოვანი?!) საკუთარ თავს დაკითხვასაც უწყობს და აღსარებასაც აბარებს. თუმცა ის მაინც ვერ „შეიცნო". მკურნალი ექიმისადმი ლტოლვა თუ გრძნობა მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია. აგინებს და საყვედურობს ღმერთს, რომელმაც ყველაზე რთულ დროს ზურგი აქცია; ისევე, როგორც ადამიანებმა. დარჩენილი საათები და წუთები თითქოს ცხოვრებას აზრს ანიჭებს, მაგრამ დეპრესიულ-პათოლოგიური ფინალი ბოლო იმედია...

სცენაზე რამდენიმე სახრჩობელაა აღმართული. ერთ-ერთი დრო და დრო დაბლა ეშვება, როგორც ფინალის მუდმივი შეხსენება. თუმცა ესეც ძალიან ბანალურია, ისევე, როგორც წაქცეული, „დასკოჩილი" სკამების ხშირი ბრახუნი და ჩუმი, ხანგრძლივი ისტერია. რომ არა სარა კეინის გამბედაობა, და თავად ტექსტის დეპრესიული, ავი და ზუსტი მრისხანება, სპექტაკლი სტურუას „მტრის ნიღაბის" ერთგვარ გაგრძელებად მოგეჩვენებათ. სწორედ იქ თამაშობს ბესო ზანგური კარგად, „ფსიქოზი" კი მხოლოდ მსახიობის 50-წუთიან მოჩვენებას ჰგავს, რომლის შეგონება სარა კეინის ენაზე ასე ოპტიმისტურად ჟღერს: „გახსოვდეს სინათლე და ენდე სინათლეს"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალები „სეკენდ-ჰენდისა“ და ანტიკური ტრაგედიის ზღვარზე

დათა თავაძის „ტროელი ქალები“ სამეფო უბნის თეატრში

ავტორი: დავით ბუხრიკიძე
ფოტო: ბობო მხითარი

ჩიტების ჭიკჭიკი და ხანგრძლივი პაუზა; ახალგაზრდა ქალები თითქოს პანაშვიდზე შეგროვილან, სკამებზე სხედან და რატომღაც მორცხვად იღიმებიან. მერე ერთ-ერთი მათგანი მოულოდნელად და ხმამაღლა იწყებს მოთქმა-ტირილს: „არ შაშინდე, შავეთია ვო...“ მოკლედ, გლოვის, ზარისა თუ დატირების მსგავს რიტუალს უცქერთ. არადა, ქალებს შავი სამოსის ნაცვლად, ჭაობისფერ-ყავისფერი ლაბადები და ძველმოდური, გაცრეცილი კაბები აცვიათ. გეგონებათ, ვიღაცამ სეკენდ-ჰენდში შეირბინა და მსახიობები ნაუცბათევად გამოაწყო 70-იანი წლების კოსტიუმებში. სპექტაკლის დაწყებიდან დახლოებით 15-20 წუთი საკმარისია, რომ „გაფუჭებული“ თეატრალური მეხსიერების წყალობით ნანახი და განცდილი დააკავშირო სოციალურ თეატრთან, გადატანილ და ვერმონელებულ ომებთან, აღსარებანარევ ვერბატიმთან, ქართულ სცენაზე ცნობილი ბერძენი რეჟისორის, მიხაილ მარმარინოსის მიერ დანთებულ ესთეტიკასთან...

სამეფო უბნის თეატრმა დათა თავაძის ახალი სპექტაკლი „ტროელი ქალები“, ჯერ კიდევ მაისის ბოლოს, სტოკჰოლმის თეატრალური ხელოვნების ბიენალეზე წარმოადგინა. ამდენად, დასს ერთგვარი საპრემიერო მოთელვა უკვე გავლილი ჰქონდა. შვედური პრესა (კერძოდ, ცნობილი კრიტიკოსი მარგარეტა სიორენსენი) სპექტაკლს საკმოდ ვრცელი რეცენზიით გამოეხმაურა. ცხადია, სავალდებულო არ არის, რომ „ტროელ ქალებზე“ მისულმა ჩვენმა მაყურებელმაც გაზეთ Expressen-ის შეფასება, უფრო კი აღფრთოვანება გაიზიაროს: „მი¬უ¬ხე¬დავად სპექ¬ტაკ¬ლის სიმ¬ძი¬მი¬სა, მას¬ში მა¬ინც რჩე¬ბა სივ¬რ¬ცე თა¬მა¬ში¬სა და სი¬ცოცხ¬ლის ხა¬ლი¬სი¬სთ¬ვის, ეს კი¬დევ ერ¬თხელ გვახ¬სე¬ნებს, რა ფან¬ტას¬ტი¬კუ¬რი მსა¬ხი¬ო¬ბე¬ში ჰყავთ სა¬ქარ¬თ¬ვე¬ლო¬ში“.

მსახიობ ქალთა კვინტეტს სამეფო უბნის თეატრის ერთგული მაყურებელი თავიდანვე იცნობს: ნატუკა კახიძე, მაგდა ლებანიძე, კატო კალატოზიშვილი, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი. დრო და დრო მათი გლოვა რიტუალურ თამაშს ჰგავს. ამ დროს გეჩვენებათ, რომ ვიღაცის დაწერილ, ემოციებით სავსე ინტიმურ დღიურს კითხულობენ; ან შესაძლოა გადატანილი ტრავმებისა თუ დრამების ნუსხას – ისე, რომ ნანახისა და განცდილის მეხსიერებიდან განდევნა სურთ. იციან, რომ ნებისმიერი დიდი ტრაგედია ფსიქოლოგიური ტვირთია და ოდესღაც მთავრდება; რომ შესაშური ამტანობის მიუხედავად, ადამიანს ტოტალური დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესიიდან თავდახსნისა და მოსვენების სურვილი აქვს. ამიტომაც თერაპიისა და განტვირთვის მიზნით ქალები „ფერებით თამაშს“ წამოიწყებენ.

ეს ეპიზოდი მსახიობებისთვის ლამის სულის მოთქმაა, რომელშიც ბავშვური სიანცე და მაყურებლის თამაშში ჩართვის დაუოკებელი სურვილი იგრძნობა. საკმარისია რომელიმე მათგანმა წამოიყვიროს: „რედ, ბლუ, იელოუ, უაით“, რომ ისინი სცენაზე მსხდომ, შესაბამისი ფერით შემოსილ მაყურებლს ჩააფრინდნენ და წუთით გაშეშდნენ. ამ დროს გინდა თავადაც წამოიძახო: „დიახ, მახსოვს უნახავი და მხოლოდ „წაკითხული“ ჯულიან ბეკი და ჯუდით მალინა შორეული თეატრალური წარსულიდან“ და მახაილ მარმარინოსი არცთუ შორეული „ეროვნული ჰიმნით“!

ტექსტის ავტორი დავით გაბუნია ესქილეს ტრაგედიის ფრაგმენტს, აკუტაგავას მოთხრობას, ფრანგული ფილმის ეპიზოდს და უბრალოდ, ჩვენი დროის ქალების მოგონებებს (რომელთა ისტორიები თავის დროზე ფონდმა „ტასომ“ გამოსცა) დამხმარე მასალად იყენებს. ამავე დროს ისე „კინძავს“ და აერთებს სხვადასხვა ტექსტს, რომ თავს აღწევს ვერბატიმისთვის დამახასიათებელ ნატურალისტურ-დოკუმენტურ „ნაღმებს“. სპექტაკლის მსვლელობისას ხვდებით, რომ ამგვარი კონსტრუქცია (იქნებ დეკონსტრუქცია?) ერთგვარი თავდაცვის რეაქციაა. რომ არა ქვეტექსტში ჩადებული და რეჟისორის მიერ გაზიარებული ფაქიზი ირონია, მალე დაიღლებოდით ამ კარგად ნაკეთი „თეატრალური პანაშვიდით“, რომელიც დაახლოებით საათ-ნახევარი გრძელდება.

შეულამაზებელი თხრობა, პაუზებით აწყობილი არითმია და „მეორადი სამოსი“ ამ უბრალო, ვიტყოდი, ასკეტური სპექტაკლის ერთგვარი „ფხიზელი“ და ნეორეალისტური ფორმაა. ეს შემთხვევითი არ არის. რეჟისორმა დათა თავაძემ დრამატურგთან ერთად, სწორედ ჩვენი თანამედროვეების, უბრალო და ყველასგან დავიწყებული ქალების უმძიმეს განცდებს, მოგონებებს, ჩვეულებრივ, ყოფით სამოსს მიანიჭა უპირატესობა; ანუ პერსონაჟთა პატარ-პატარა ტრაგედიები თავიდანვე შეგნებულად განტვირთა და ამავე დროს, დაკავშირა ანტიკურ ტრაგედიასთან.

სამეფო უბნის თეატრში მისული მაყურებელი სწორედ რომ „სეკენდ-ჰენდით“ შემოსილ თანამედროვე ანტიკურ ტრაგედია-პერფორმანსს ნახავს, რომელშიც გაუცხოების ხერხი, ფსიქოლოგიური და „ფიზიკური თეატრის“ ელემენტები უხვადაა გამოყენებული. ეს გაცილებით უფრო კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე უბრალოდ მიხაილ მარმარინოსისგან ან დღევანელი გერმანული თეატრისგან ნასესხები და განცდილი ესთეტიკის „ელემენტარული ნაწილაკები“.

„გლოვაზე როგორ უნდა ილაპარაკო?“ – მგონი, 18-ჯერ იმეორებს ერთ-ერთ ეპიზოდში კატო კალატოზიშვილის პერსონაჟი. სხვათა შორის, სპექტაკლის პრემიერა და ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვა დროში დაემთხვა. ამდენად, „უსახელო“ დოკ-ქალების პატარა, დრამატული მონოლოგები სპექტაკლში და საქართველოს ტრობით საჯაროდ დატირებული ჯარისკაცების დაკრძალვა მოულოდნელად აქტუალობას სძენს რიტორიკულ შეკითხვას: „გლოვაზე როგორ უნდა ილაპარაკო?!“.

შესაძლოს „ტროელი ქალები“ სწორედ პასუხის ძიებაა. თუმცა სპექტაკლში კიდევ ბევრ სხვა რამეზე ლაპარაკობენ. მაგალითად, ბავშვობისას გადალახულ შიშზე, ომში მოკლულ დედ-მამაზე, ქმრის თვალწინ გაუპატიურებულ ქალებზე... მძიმე ემოციურ შთაბეჭდულებას ახდენს მაგდა ლებანიძის მონოლოგი დახვრეტილი ქმრის შესახებ. ასევე სალომე მაისაშვილის მიერ გათამაშებული სცენა-ეტიუდი: მსახიობი მაგიდაზე ადის და აყვავებულ მსხლის ხეზე ჩამომხრჩვალი დის ამბავს ერთგვარი გულუბრყვილობით და დრამატიზმით გვიყვება. იოლად იჯერებთ, რომ გმირები სწორედ ისინი არიან – ცოლები, დები, ქალიშვილები, ბებიები; ყველა, ვინც ომსა და მშვიდობაში საკუთარი თავისა და საყვარელი ადამიანების გადარჩენა მოახერხა.

სპექტაკლში დოკუმენტური თხრობა მოულოდნელად ერითმება აკუტაგავას მოთხრობის სასტიკ რეალიზმს, ხოლო „ფერებით“ მსუბუქი თამაში – ევრიპიდეს „ტროელი ქალების“ ეპიზოდს. კონკრეტულად კი ანდრომაქეს სცენა-მონოლოგს: „შენ კი, ათენა, არ ყოფილხარ ზევსის ასული“. შეიძლება ითქვას, რომ მსახობ ქეთა შათირიშვილის ნიჭი და ენერგია მთლიანად კონცენტრირებულია ამ უაღრესად ზუსტ, შეკუმშულ, დრამატულ ეპიზოდზე.

ფინალში მაყურებელს კიდევ ერთი მოულოდნელი „გაუცხოების ეპიზოდი“ ელის: მსახიობები დასამშვიდობებლად სცენაზე გამოდიან, დიაგონალურად ჩამწკრივდებიან და გგონიათ, რომ „გლოვით თერაპიას“ ისევ კოლექტიური მოძახილით დაამთავრებენ; უკიდურეს შემთხვევაში მოგახლიან მწარე ირონიით ნაკვებ ფრაზას; ან გამოსამშვიდობებელ მეჯლისზე მყოფი ქალებივით გაგიღიმებენ, თავი რომ ოდნავ დამნაშავედ იგრძნო.

...არცთუ ხანგრძლივი პაუზა და ისევ ჩიტების ჭიკჭიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნები

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

უცხოურენოვანი გამოცემები

„დიდი ძმა“

ლაიონელ შრაივერი

512 გვ.

ერთ-ერთი გამორჩეული ამერიკული ბესტსელერის – „ვისაუბროთ კევინზე“ (We need to talk about Kevin) ავტორი ლაიონელ შრაივერი, მიმდინარე წლის ივნისში გამოსულ ახალ რომანში კვლავ ოჯახისა და მასში განვითარებული მოვლენების გარშემო ტრიალებს. აღნიშნული ნოველა დაძმობის, ქორწინებისა და სიმსუქნის თემებს თანაბარი ინტერესით წარმოაჩენს. ფაბულის მიხედვით, ერთი ჩვეულებრივი ცოლ-ქმრის – პანდორასა და ფლეტჩერის საოჯახო იდილიას პანდორას ძმის სტუმრობა არღვევს. მაშინ, როდესაც ის სტუმრობისთვის გამოყოფილ ვადას გადააჭარბებს, ფლეტჩერი მეუღლეს ულტიმატუმს უყენებს, აირჩიოს ან ძმა, ან ქმარი. ავტორი აქცენტს სწორედ ამ ურთულეს საკითხზე აკეთებს: რამხელა მსხვერპლის გაღებაა საჭირო იმისათვის, რომ შევძლოთ თანაბრად გავუფრთხილდეთ ოჯახის მარტოსულ წევრებსაც და იმ ადამიანებსაც, რომლებიც ჩვენგან სიყვარულს მოელიან. „როგორც მწერალი, შრაივერი უამრავი ნიჭის პატრონია: მას განსაკუთრებული უნარი აქვს, ითამაშოს მკითხველის რეფლექსებით, რომლებიც მათში სიყვარულისა და სიძულვილის პროცესში მოქმედებს. შრაივერის გმირების პორტრეტებში ჩვენი ხასიათის ამოკითხვით, ჩვენ გვავიწყდება რა არის კომფორტი“ – აღნიშნულია Washington Post-ის მიმოხილვაში, რომელიც თანამედროვე ამერიკელი რომანისტისა და ჟურნალისტის ლაიონელ შრაივერის ახალ რომანს ეხება.

„შეურაცხყოფის მოკლე ისტორია“

მელისა მორი

336 გვ.

როგორ შერაცხყოფდნენ ერთმანეთს სიტყვით გასულ საუკუნეებში, რა ლექსიკა ჰქონდათ მათ და რა დარჩა თანამედროვე ეპოქაში ამ ლექსიკიდან? – თუკი საგინებელი სიტყვები შემოგელიათ, აუცილებლად უნდა გადახედოთ თანამედროვე ამერიკელი ავტორის, მელისა მორის ვრცელ დაკვირვებას, რომელიც წიგნის ბაზარზე სულ რამდენიმე ხნის წინ გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ გინება ხშირად სწორედ გაბრაზებულ ადამიანებს და კონფლიქტურ სიტუაციებს გვაგონებს, ადამიანების ურთიერთობის ეს ფორმა ერთგვარი კულტურული ისტორიაცაა იმის შესახებ, თუ რას მიიჩნევს კონკრეტული ერი სახიფათოდ, ხელშეუხებლად ან ტაბუდ. წიგნში მელისა მორი შეურაცხმყოფელ ტერმინებს ორ ჯგუფად ყოფს: ერთი, რომელიც ადამიანების დამცირებას და შერცხვენას ისახავს მიზნად და მეორე, რომელიც პირობის, ფიცის დადებასთან ასოცირდება. ლექსიკოლოგიურ ძიებას ავტორი ბიბლიური პერიოდიდან იწყებს, იმ დროიდან, როცა ფიცი და გინება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო. წინარეისტორიულ კვლევას ავტორი თანამედროვე ეპოქასთან შედარებამდე მიჰყავს, რაც წიგნს კიდევ უფრო ღირებულს და საინტერესო წასაკითხს ხდის.





„დევიდ ჰერბერტ ლოურენსის ლექსები“

რედაქტორი – ქრისტოფერ პოლნიცი

1425 გვ.

დიდი ინგლისელი პოეტისა და რომანისტის, დევიდ ჰერბერტ ლოურენსის ლექსებს ინგლისურენოვანი მკითხველი ახლა უკვე 1400-გვერდიანი კრებულიდან გაეცნობა, რომელიც მწერლის ნაშრომებს ორ ნაწილად აერთიანებს. ლექსების ეს კრებული კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობის ინიციატივით განხორციელებული პროექტის გაგრძელებაა, რომელიც ამ ავტორის ნაშრომების სრულად მოძიებას, შეგროვებასა და რეპრინტს ემსახურება. ლექსების წერა ლოურნსმა 1905 წლიდან დაიწყო და 1913-1932 წლებში მან თერთმეტი კრებული გამოაქვეყნა. კრისტოფერ პოლნიცის რედაქტორობით გამოცემული ახალი წიგნი ლოურენსის შემოქმედების იმ ნაწილს გვთავაზობს, რომელიც აქამდე არსად დაბეჭდილა; მათ შორისაა ტექსტებიც, რომელსაც ის თავის პირად დღიურებში წერდა. საკმაოდ სქელტანიანი კრებულის პირველი ნაწილი თავად ლოურენსის წინასიტყვაობაა თავისივე პოემების შესახებ, რასაც მეორე ნაწილში მოჰყვება ავტორისეული განმარტებები და სწავლება ინტერტექსტუალური მეთოდებისა და ზოგადად პოეტური ტექსტების აგების შესახებ.

„ჰოლივუდი და ჰიტლერი“

თომას დოჰერტი

448 გვ.

ამერიკელი ისტორიკოსისა და ამერიკისმცოდნეობის სპეციალისტის, თომას დოჰერტის ვრცელი ანალიზი ამერიკული კინოინდუსტრიის იმ პერიოდს ასახავს, როდესაც ის 1930-იან წლებში ევროპაში არსებულ ფაშისტურ რეჟიმთან დაკავშირებული თემების შემოტანას სხვადასხვა მიზეზებით გაურბოდა. წიგნის ავტორი ცდილობს უკანა პლანზე გადაიტანოს საუბარი იმის შესახებ, თუ რას ხედავდნენ ამერიკელები ეკრანებზე მაშინ, როდესაც ევროპაში ნაციზმი მძვინვარებდა. ამის საპირისპიროდ, მისი აქცენტები იმ ფილმებზე, რეჟისორებსა და კინოკომპანიებზე ვრცელდება, რომლებიც ამ ცენზურას არღვევდნენ. მათ შორისაა 1934 წელს კორნელიუს ვანდერბილტის (Cornelius Vanderbilt) მიერ გადაღებული პირველი ანტინაცისტური დოკუმენტური დრამა – Hitler's Reign of Teror; ასევე ანტინაცისტური ფილმი – Professor Mamlock, რომელიც 1938 წელს საბჭოთა კავშირში მყოფმა გერმანელმა ლტოლვილებმა გადაიღეს.

„ზიგიოლოგია“

საიმონ გოდარი

პოპმუსიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მისტიკური და ორიგინალური ალეგორიის – ზიგი სტარდასტის (Ziggy Stardust) შესახებ დღეს ყველამ იცის, ყველაზე უკეთ კი ამის შესახებ დევიდ ბოუის მოყვარულებს მოეხსენებათ. ალეგორია შემდეგ ამბავს ეფუძნება: როკის ღმერთმა, რომელიც დედამიწაზე მანათობელი მეტალის სახით იშვა ვარსკვლავებისგან და ტრანსფორმაცია დევიდ ბოუის სხეულში განიცადა, მუსიკოსის სახე მთლიანად შეცვალა. როდესაც ამ ამბავს ახსენებენ, მუდმივად ჩნდება ლოგიკური კითხვა: ვინ არის რეალურად ზიგი სტარდასტი, რომელსაც ბოუი ზოგჯერ თავისსავე თავში კლავდა? კითხვაზე პასუხის გაცემას ბრიტანელი ავტორი და მუსიკის კრიტიკოსი საიმონ გოდარი ამ ახალ წიგნში ცდილობს. ამისათვის მან „ზიგის“ ფენომენი ძირფესვიანად შეისწავლა და პოპმუსიკის სუპერვარსკლავად აღიარებული დევიდ ბოუის ექსცენტრიკული სამყაროს ამოხსნა სცადა.

„ფული: აკრძალული ბიოგრაფია

ფელიქს მარტინი

336 გვ.



რა არის ფული და როგორ მუშაობს ის რეალურად? – ეს ის მთავარი კითხვაა, რომელსაც წიგნის ავტორი ფულის შესახებ დაწერილ „ბიოგრაფიაში“ წერს. პასუხის მიგნებაში თავად ფელიქს მარტინი გვეხმარება და წიგნის დასაწყისში ის კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ ეპოზოდს იხსენებს: „მაშინ, როდესაც დასავლეთ ინდოეთში მცხოვრები ადამიანები ერთ დროს შაქარს იყენებდნენ, ვირჯინიელები თამბაქოს გაყიდვით ირჩენდნენ თავს, ხოლო ნიუფაუნდლენდელები გამომშრალი თევზეულით კმაყოფილდებოდნენ, დღეს ფინანსური სამყარო ბარტერის გზით ვითარდება“. რეალობიდან აღებული რამდენიმე ადამიანური ისტორიით ავტორი ცდილობს მკითხველი ნათლად გაარკვიოს ფულის არსსა და წარმომავლობაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიგნალი, რომელიც ამ წიგნიდან მოდის, გახლავთ ასეთი: დღეს ფულმა იმდენად შეცვალა თანამედროვე ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის სისტემა, რომ ის ისეთივე მნიშვნელოვანი ღირებულება გახდა, როგორიც, მაგალითად, თავისუფლებაა.

ქართულენოვანი გამოცემები



„თეთრი ძაღლი“

რომენ გარი

დიოგენე
302 გვ.

სერია „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ მიმდინარე თვეში გასული საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ავტორის, რომენ კაცევის რომანით – „თეთრი ძაღლი“ გრძელდება. რომენ გარი მწერლის, რეჟისორის, სამხედრო მფრინავისა და დიპლომატის ერთ-ერთი ფსევდონიმია. აღსანიშნავია, რომ ის პირველი მწერალია, რომელმაც „დაარღვია“ ერთ-ერთი პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის წესდება და მისი მოპოვება მეორედაც შეძლო სრულიად სხვა – ემილ აჟარის ფსევდონიმით გამოქვეყნებული რომანისთვის. „თეთრი ძაღლი“, რომელიც 1970 წელს გამოვიდა, ავტობიოგრაფიულია და მეოცე საუკუნის საკმაოდ გახმაურებულ და შთამბეჭდავ მისტიფიკაციად ითვლება. ეს არის ადამიანისა და ძაღლის ურთიერთობის ტრაგიკული ისტორია, რეალური ამბავი, თუ როგორ ცდილობდა მწერალი ხელახლა გაეწვრთნა და ადამიანებისთვის უსაფრთხო არსებად ექცია პოლიციის მიერ საგანგებოდ შავკანიანებზე დაგეშილი ნაგაზი. რომენ გარის შემოქმედებას ქართულ ენაზე მკითხველი პირველად სწორედ ამ ნაწარმოებით გაეცნობა. იგი ფრანგულიდან მერაბ ფიფიამ თარგმნა.

„სიცოცხლის გაგრძელება და სხვა ტექსტები“

მიშელ უელბეკი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
144 გვ.

თარგმნილი პროზის ნიმუშებს სულ ახლახან მიშელ უელბეკის მორიგი წიგნი შეემატა. ქართულენოვანი მკითხველისთვის ეს წიგნი სიახლეა, რადგან ჩვენთან უელბეკის ოთხი თარგმნილი რომანის შემდეგ, მცირე მოცულობის ახალი გამოცემა მწერლის ყველაზე ცნობილ ესეებსა („სიცოცხლის გაგრძელება: სახელმძღვანელო“, „დაბნეულობის ზღვარზე“) და მცირე პროზაულ ნიმუშებს აერთიანებს. მათ შორისაა ის ტექსტებიც, რომელთაც უელბეკი მემარცხენე მიმართულების ჟურნალ – Les Inrockuptibles-ში 1990-იან წლებში აქვეყნებდა. უელბეკის აღნიშნული ტექსტები, რომანების მსგავსად, მძაფრი ემოციებითა და ნატურალიზმით გამოირჩევა. სწორედ ამიტომ, გონკურის პრემიის დაჯილდოების შემდეგ, მას „ჩვენი დროის მთავარი მოწმე“ უწოდეს. „მის ესეებში სწორედ ეს ფხიზელი დამკვირვებელი ჩანს, ვინც ზოგჯერ კონტურებს იმისთვის ამუქებს, რომ საერთო სურათში სიმართლე უფრო იოლად აღსაქმელი გახადოს. მისი სიმართლე კი ყოველთვის ძალიან მწარე და აქტუალურია“ – აღნიშნულია წიგნის ქართულენოვან ანოტაციაში, რომელიც ფრანგულიდან ირმა ტაველიძემ თარგმნა.





სტივენ კინგის ორი რომანი ქართულ ენაზე

„მიზერი“

გამომცემლობა „დიოგენე“,
436 გვ.

„მიზერი“ 436-გვერდიანი ფსიქოლოგიური ტრილერია, რომანი, რომელიც პირველად 1987 წელს გამოქვეყნდა და ფანტასტიკის ჟანრში საუკეთესო რომანების დაჯილდოებაზეც მოხვდა. მისი ფაბულა ასეთია: ცნობილი მწერალი პოლ შელდონი ავტოავარიაში ხვდება, რომლის სიცოცხლეს ყოფილი მედდა, ენი უილკსი გადაარჩენს, თუმცა სიცოცხლის შესანარჩუნებლად პოლს მსხვერპლის გაღება უწევს: მედდა, სახელად ენი, მისი თაყვანისმცემელია და მწერლისგან რომანის დაწერას მოითხოვს. შელდონიც იძულებულია, ყოველღამე წეროს. წიგნის სახელწოდება – Misery, შელდონის მიერ დაწერილი რომანის მთავარი გმირის სახელია, რომელიც ინგლისურიდან ასე ითარგმნება – ტანჯვა, უბედურება, განსაცდელი. წიგნის მთარგმნელია ლალი გოგაძე.

„მწვანე გზა“

468 გვ.

ოდნავ მოგვიანებითაა დაწერილი მეორე რომანი „მწვანე გზა“, რომელიც ნიკა სამუშიამ თარგმნა. წიგნის მთავარი გმირი პოლ ეჯკუმი გახლავთ, რომელიც ერთ დროს ციხის სიკვდილმისჯილთა ბლოკის ყოფილი ზედამხედველი იყო. მოხუცთა თავშესაფარში მყოფი, ის სწორედ 50 წლის წინანდელ ამბებს იხსენებს. წიგნი 1996 წელს გამოქვეყნდა, სამი წლის შემდეგ კი მისი მიხედვით ფილმიც გადაიღეს, რომელშიც მთავარ როლებს ტომ ჰენქსი და მაიკლ კლერკ დუნკანი თამაშობენ. საუკეთესო რომანის ნომინაციაში, წიგნს ბრემ სტოკერის სახელობის პრემიაც მიენიჭა.



„თანამედროვე გერმანულენოვანი დრამატურგია“

გამომცემლობა „არტანუჯი“

თანამედროვე გერმანულენოვანი დრამატურგია პირველი ნაწილია გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ დაწყებული სერიისა „თანამედროვე დრამატურგია“, რომელიც თანამედროვე დრამატურგიის პოპულარიზაციას ემსახურება. გერმანულენოვანი პიესების კრებულში მკითხველი გაეცნობა ავტორებს, რომელთა ნამუშევრები ლიტერატურული პრემიებით აღინიშნა და რამდენიმე თეატრშიც დაიდგა. წარმოდგენილი პიესები ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება. მათ შორის გამორჩეულია ქართველი დრამატურგი და რეჟისორი ნინო ხარატიშვილი, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს და გერმანულად წერს. მისი პიესა – „ლივ შტაინი“ (გერმანულიდან თარგმნა ოთარ ყარალაშვილმა) გასულ წელს თბილისში, სამეფო უბნის თეატრში, თავად ავტორის რეჟისორობით დაიდგა. ამავე კრებულს თან ახლავს მისივე წერილი – „თეატრი ანუ ქვიშაში წერა“. ქართველ დრამატურგთან ერთად, ახალი გამოცემა თანამედროვე სამი დრამატურგის პიესებსაც გთავაზობთ. მათ შორისაა: ფოლკერ შმიდტის „ბაიკერები“ (მთარგმნელი – მაია ფალავანდიშვილი), ლუკას ბარფუსის „ავტობუსი“ (მთარგმნელი შორენა შამანაძე) და მარიუს ფონ მაინბურგის „ცივი ბავშვი“, რომელიც გერმანულიდან მაია ფალავანდიშვილმა თარგმნა.

„ორლა“

გი დე მოპასანი

გამომცემლობა „აგორა“

გამომცემლობა „აგორა“ ფრანგული ლიტერატურის მოყვარულებს მე-19 საუკუნის ფრანგი კლასიკოსის, გი დე მოპასანის ვრცელი მოთხრობის – „ორლას“ ქართულენოვან თარგმანს სთავზობს. ფრანგულიდან ის ჟორჟ ეკიზაშვილმა თარგმნა. მოთხრობა იმითაა გამორჩეული, რომ კრიტიკოსების შეფასებით, ის ფრანგული ფანტასტიკის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია. ნოველის გმირი თავის ამბებს სიგიჟის ზღვარზე გვიყვება. მთელი მოთხრობის მიმდინარეობისას, ის უხილავი არსების გვერდით ყოფნას გრძნობს, რომელიც მას ნელ-ნელა აგიჟებს. მკითხველიც გმირთან ერთად განიცდის გაორებას და ლოგიკურ კითხვას სვამს: მართალია ის, რასაც ავტორი ყვება, თუ მწერალი ნამდვილად გაგიჟდა? ამ განცდას მოთხრობის ერთ-ერთი გამორჩეული აქცენტი აძლიერებს: „ადამიანის ბატონობა დასრულდა“, რადგან სულიერ არსებათა შორის ის აღარ არის უმაღლესი გონიერი არსება“.



კლასიკური გიტარის შემსრულებელთა I რესპუბლიკური კონკურსი

“საავტორო სტუდია” წარმოგიდგენთ კლასიკური გიტარის შემსრულებელთა I რესპუბლიკურ კონკურსს. კონკურსში მონაწილეობის მიღება უფასოა ნებისმიერი ასაკის შემსრულებლისათვის. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის ოქტომბერში.

მისამართი: თბილისი ი. აბაშიძის 39
ტელ. 218 33 47
მობ. 595 355846
email: saavtorostudia@gmail.com

b 28/28

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

13
Black Sabbath
Heavy Metal
Vertigo, Republic

„გადავწყვიტეთ შევქმნათ საშიში მუსიკა!" – ასე დაახასიათა როკმუსიკის ლეგენდამ ოზი ოსბორნმა ბრიტანული ჯგუფის, Black Sabbath-ის გამოჩენა Heavy Metal-ის ისტორიაში, რომელიც 1968 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. „13" ჯუფის რიგით მე-19 ალბომია. მას ამჯერად პირვანდელი შემადგენლობა – ვოკალისტი ოზი ოსბორნი, ბასისტი ჯიზერ ბატლერი (Geezer Butler), გიტარისტი ტონი ლომი (თონი ჯომმი) და დრამერი ბილ ვორდი (Bill Ward) წარმოადგენენ. ბოლო 25 წლის განმავლობაში, ოზი ოსბორნისთვის ეს პირველი სტუდიური ნამუშევარია, რომელიც მის მიერვე დაფუძნებულ ბენდთან ერთად ჩაწერა. რიკ რუბინის პროდიუსერობით შექმნილი ახალი ალბომი იმ ეპოქასაც ასახავს, რომელმაც როკმუსიკას ეს ჯგუფი უსახსოვრა.

DVA
Emika
Dubstep, Trip hop
Ninja Tune

DVA – რიგით მეორე ალბომია ახალგაზრდა ინგლისელი მუსიკოსის, ემა ჯოლის (Emika – სასცენო ფსევდონიმი) შემოქმედებაში, რომელიც, ამავე დროს, მისი შინაგანი განწყობისა და შემოქმედებითი ბუნების გამომხატველ ენად იქცა. მისი თითქმის ყველა მელოდიის ინსპირაციას ის განსხვავებული განზომილებები წარმოადგენს, სადაც თანამედროვე ეპოქის შემოქმედს პოლიტიკური, სექსუალური თუ იდეოლოგიური ცენზურა ელობება. მას სურს თავისი გულწრფელი ემოციებით მსმენელი დაარწმუნოს იმაში, რომ მუსიკა ბნელ ღამის კლუბებშიც ისეთივე კომფორტულია, როგორიც სცენაზე. სამანიფესტაციო განწყობის შექმნას იმიკას ვოკალიც უწყობს ხელს, რომელშიც ზოგადად მისი მუსიკისთვის დამახასიათებელი სასიამოვნო ჟღეარადობის მიუხედავად, მუსიკოსის მკაცრი, მუქარანარევი ხმაც ისმის.

Wrote a Song for Everyone/John Fogerty/Folk, Country Rock/Vanguard



ფოლკი, ქანთრი და როკ-ენ-როლი – ეს მუსიკის ის სამი ძირითადი ჟანრია, რომლის ამოცნობას ამერიკელი მუსიკოსის, ჯონ ფოგერთის მოსმენისას თანაბარი ძალებით შეძლებთ. 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში, როკ-ენ-როლის ერთ-ერთი წამყვანი ვოკალისტი ამერიკიდან სწორედ ჯონ ფოგერთი გახლდათ. 70 წელს მიტანებული მუსიკოსის ახალი, რიგით მეცხრე ალბომი ჟანრობრივი მრავალფეროვნების მორიგი დადასტურებაა, რაზეც ალბომის სახელწოდებაც მიგანიშნებთ – „მუსიკა ყველასათვის" „ფოგერთის ახალი ალბომი – Wrote a Song for Everyone კიდევ ერთი უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, თუ რამდენად გულწრფელი და ძლიერია ის თავის მუსიკაში" – წერს Rolling Stone-ის მიმომხილველი ალბომის შესახებ, რომელიც ძირითადად მუსიკოსის ძველ, კლასიკურ ჰიტებს მოიცავს. ფოგერთი მათ თანამედროვე მუსიკის ვარსკვლავებთან – ჯენიფერ ჰადსონთან, ალან ჯექსონთან, კიდ როკისთან, ქეით ურბანთან და სხვებთან ერთად ასრულებს. ალბომში სულ 14 კომპოზიციაა, რომელთაგან ორი – Mystic Highway და Train of Fools ახალია.

Dark _ Music of Quality and Distinction/ B.E.F - British Elecetronic Foundation/ Indie and Alternative Pop/ Wall of Sound

ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი წამყვანი ბრიტანული ბენდი – B.E.F. მსმენელს ალბომის ახალ, მესამე ვერსიას ნაცნობი სერიიდან – „ხარისხიანი და სრულყოფილი მუსიკა" სთავაზობს. სერია, რომლის არსებობა 1982 წლიდან იწყება, კვლავ იმეორებს იმ ტრადიციას, რომელსაც სერიის პირველი ორი ალბომი ეფუძნება. ეს არის ცნობილი ჰიტების ინტერპრეტაცია, რომელსაც გამორჩეული ვოკალისტები ასრულებენ. მათ შორის აღსანიშნავია ჯგუფის წამყვანი ვოკალისტი გლენ გრეგორი, ასევე კეიტ ჯექსონი, სარა ჯეინ მორისი, კელი ბარნსი, კიმ ვაილდი და სხვები, რომლებიც ძველი და თანამედროვე ეპოქის ჰიტებს გვახსენებენ. მათგან გამორჩეულია სტივი უანდერის Every Time I See You I Go Wild, იგი პოპის I Wanna Be Your Dog, ABBA-ს – The Day Before You Came, ფრენკ სინატრა, სიმღერით – it Was A Very Good Year და კიდევ რამდენიმე განსხვავებული ჟანრის ცნობილი კომპოზიციები.

Tales OF A GrassWidow/ CocoRosie/ Alternative Electronic/ TranSisitor Recording



ექსპერიმენტული ელექტრონული მუსიკის ჟანრში ორიგინალური ვოკალითა და რეპერტუარით გამორჩეული ამერიკული დუეტი – CocoRosie მსმენელს ახალ, რიგით მეხუთე სტუდიურ ალბომს სთავაზობს. ისლანდელი კომპოზიტორისა და პროდიუსერის, ვალჯეარ სიგურდსონის (Valgeir Sigurðsson) ხელმძღვანელობით, CocoRosie-ის ახალი ალბომი, წინა ორი ალბომისთვის – Noah's Ark-ისა და Ghosthorse-სთვის დამახასიათებელ ექსტრავერტულ სტილს უბრუნდება. თუმცა ამ ორი ალბომისთვის დამახასიათებელი ხმოვანი ხარვეზებისგან განსხვავებით, „Tales OF Grass Widow" აქცენტს მუშაობის პრაქტიკულ სტილზე აკეთებს, რომელიც გამორჩეული და სრულყოფილი ვოკალური შესრულებით ხასიათდება. ელექტრონული პოპის გარდა, 2013 წლის ალბომში ფოლკლორის გავლენაც შეიმჩნევა. ყველაზე სასიამოვნო, რაც ამ ალბომის თორმეტივე კომპოზიციის მოსმენისას შეიძლება განიცადოთ, არა ინტრიგითა და რთულად გასაგები მუსიკალური წიაღსვლებით მოგვრილი განცდაა, არამედ იმის გაცნობიერება, რომ ყველა კომპოზიცია მაქსიმალურად აღსაქმელი და მგრძნობიარეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელი შოკოლადი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იოტა iOS-ისთვის

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს წიგნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან iTune-ზე მოძებნეთ „IOTA READER"

lit.ge

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხელი
შოკოლადი
98.5 FM
www.facebook.com/RadioTskheliShokoladi

98.5